



საქართველოს სავატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი

იოსებ კელენჯერიძე

საერთაშორისო სამართლებრივი  
პრინციპები მართლმსაჯულების  
განხორციელების კონტექსტში

(ვერიფიკაცია, იმპლემენტაცია, ეფექტიანობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მინდია უგრეხელიძე  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო სამართლის  
დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
2015

# სარჩევი

<b>შესავალი</b> . . . . .	<b>5</b>
ზოგადად . . . . .	5
საკითხის ნომოლოგია . . . . .	6
კვლევის საგანი და მიზანი . . . . .	9
კვლევის მეთოდი . . . . .	10
მეცნიერული სიახლე . . . . .	10
მადლიერება . . . . .	11

## **თავი 1. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების**

<b>განხორციელების უმალესი გამოხატულება</b> . . . . .	<b>12</b>
§1. სასამართლოს როლი და დანიშნულება რეტროსპექტივაში . . . . .	12
§2. სასამართლოს თანამედროვე გაგება . . . . .	18
§3. მართლმსაჯულების კულტუროლოგიური გააზრება . . . . .	26
§4. საერთაშორისო მართლმსაჯულების სათავეებთან . . . . .	31

## **თავი 2. არსებული მდგომარეობის შეღარებითი ანალიზი**

<b>(კომპარატივისტიკა)</b> . . . . .	<b>35</b>
§1. სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი . . . . .	35
1.1. პრინციპის საერთაშორისო აღიარება . . . . .	36
1.2. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა . . . . .	38
1.2.1. თანამდებობაზე გამწესება . . . . .	41
1.2.2. მანდატის ხანგრძლივობა . . . . .	48
1.2.3. დაფინანსება . . . . .	53
1.3. შიდა სისტემური დამოუკიდებლობა . . . . .	54
1.4. მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა . . . . .	56
1.5. გარე ზეწოლისაგან დაცვის ქმედითი გარანტიები . . . . .	58
1.6. ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი: სასამართლოს დამოუკიდებლობის შუქ-ჩრდილები . . . . .	63

# სარჩევი

§2. მიუკერძოებლობა . . . . .	68
§3. სამართლიანობის პრინციპი . . . . .	76
§4. მოსამართლის პროფესიონალიზმი . . . . .	78
§5. დროულობა, ქმედითობა, ეფექტიანობა . . . . .	82
§6. სასამართლოს ხელმისაწვდომობა . . . . .	90
§7. საჩინარობა და ნდობის ხარისხი . . . . .	92
§8. თანასწორუფლებიანობა საჩინარობის კონტექსტში . . . . .	99

## **თავი 3. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტები და ქართული რეალიები . . . . . 103**

§1. მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა . . . . .	103
§2. დისციპლინური პასუხისმგებლობა . . . . .	107
§3. მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა . . . . .	120

## **თავი 4. მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში . . . . . 123**

§1. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნებში . . . . .	124
§2. ფაქტის ნორმატიულობა და ნორმის ფაქტიურობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში . . . . .	129
§3. მართლმსაჯულების ცალკეულ პრინციპებთან შეუთავსებლობა (საკითხის ლეგიმეტრიული ხედვა) . . . . .	134
§4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „პერსპექტივები“ . . . . .	146

## **რეკომენდაციები . . . . . 150**

## **ციფრული ლიდერაჟი . . . . . 155**

## **ვიზუალიზაციის, ძალაუფლების, სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ანბანური საძიებელი . . . . . 165**

## ზოგადად

სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულება, დასაბამიდან დღემდე, კაცობრიობის უდიდეს საზრუნავსა და სადრტგინველს წარმოადგენს. ვინაიდან, სამართლიანობაზე სანუკვარი ოცნება კაცობრიობას არ გააჩნია და მართლმსაჯულება სწორედ ამ დიდი იდეის აღსრულებას ემსახურება, ცხადია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მოხერხდეს ყველა იმ წინააღმდეგობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა და გაანალიზება, რომელმაც სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას შეიძლება შეუქმნას საფრთხე. შესაბამისად, თემის აქტუალურობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ საქართველოში მართლმსაჯულებამ წაიფორხილა, და რომ მას სერიოზული პრობლემები შეექმნა, არამედ აქტუალურია თავად მიზანი – სამართლიანობის დამკვიდრება.

სამართლიანი მართლმსაჯულების მისაღწევად საერთაშორისო სამართალმა პრინციპების სახით დაამკვიდრა მოთხოვნები, რომლებიც სასამართლოს წარედგინება. სწორედ ამ პრინციპების ერთობლიობა ქმნის სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მყარ გარანტიებს და ერთი მათგანის უგულვებელყოფაც კი შეუძლებელს გახდის აღნიშნული მიზნის მიღწევას. ამ საერთო ჭაჭვიდან ერთი რგოლის ამოგდებაც კი მნიშვნელოვნად დააზიანებს მართლმსაჯულებას; ამიტომაცაა აუცილებელი ყველა პრინციპის თანაბრად დაცვა და გატარება.

დღესდღეობით ხშირად საუბრობენ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, როგორც სამართლიანობის მთავარ გარანტზე. მაშინ როცა, გარდა დამოუკიდებლობისა, სასამართლოს წარედგინება უამრავი სხვა მოთხოვნა როგორც პერსონალურად, ისე ინსტიტუციურად. სრულიად დამოუკიდებელმა სასამართლომ, შეიძლება, უფრო მძიმე შედეგი გამოიწვიოს, ვიდრე მართულმა სასამართლომ. დამოუკიდებელი მოსამართლე შეიძლება იყოს მიკერძოებული და არაობიექტური. ამიტომ მოსამართლეს მოეთხოვება, რომ იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური.

შესაძლოა მოსამართლე ობიექტურიც იყოს და მიუკერძოებელიც, მაგრამ პიროვნული თვისებების გამო არ იყოს შეუვალი, ადვილად ექცეოდეს გავლენების ქვეშ, ან ადვილი იყოს მისი მოსყიდვა. შესაძლოა ეს ნაკლიც არ ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვერ აღასრულოს სამართლიანი მართლმსაჯულება,

ამისთვის არ ეყოს პროფესიონალიზმი, მისი მოქმედება გაჭიანურებული იყოს დროში, ან მოქმედების შედეგები აღმოჩნდეს ძალიან უმნიშვნელო, არაქმედითი, უეფექტო, და ა.შ.

ამასთანავე, არცერთი ჩამოთვლილი პიროვნული თვისება არ იქნება საკმარისი, თუ სასამართლო ინსტიტუციურად იქნა მიუზღვრადელი. მაგალითად, გასაჩივრებისათვის დაწესებულია შეუსაბამოდ დიდი თანხები, არ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, სასამართლო ტერიტორიულად არ არის ხელმისაწვდომი და ა.შ.

მაშასადამე, სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებისათვის სასამართლო ყველა პრინციპს თანაბრად უნდა ეზიაროს. ერთ-ერთი მოთხოვნის უკმარისობა ვერ შეივსება სხვა ღირებულებათა სიჭარბით. ეს პრინციპები, ერთ მთლიან მოთხოვნად უნდა წარედგინოს სასამართლო ხელისუფლებას, ვინაიდან სწორი მართლმსაჯულების განხორციელება ამ ღირებულებათა ერთობლიობაშია. ხოლო სწორი მართლმსაჯულება, ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი წინაპირობაა.

ცხადია, ყველა პრინციპი ერთნაირი ძალისა და მნიშვნელობის არ არის და თანაბარი მოცულობით შესასრულებელი ვერ იქნება, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და დინამიკური ბალანსის სრული დაცვით უნდა იქნეს განხილულნი. მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პრინციპის დამკვიდრება, სხვა პრინციპებთან ლოგიკური ბუმის გარეშე, ვერ მიგვაახლოვებს მართლმსაჯულების სანუკვარ მიზანს – სამართლიანობას.

## საკითხის ნომოლოგია

ხელისუფლების სხვა განშტოებებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მონტესკიეს იდეოლოგიიდან იღებს სათავეს. ამ დროისათვის საფრანგეთის სასამართლო სისტემა დაკომპლექტებული იყო არისტოკრატებისაგან და ითავსებდა როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულ, აღმასრულებელ და საკანონმდებლო უფლებამოსილებებს.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ ბოლო მოუღო მოსამართლეთა შეუზღუდავ ბატონობას და ისინი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს ჩამოაშორა. ეს მიდგომა ფართოდ გავრცელდა ევროპაში და სხვადასხვა სამართლის სისტემაში მოიკიდა ფეხი. აღნიშნული წინსვლის მიუხედავად, ავტორიტარიზმი, რომელიც მსოფლიოში მძლავრობდა, აფერხებდა სასამართლოს დამოუკიდებლობას.

სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი პრინციპები და ფორმები ევროპაში, რომლებიც თანდათან დაიხვეწა და დღევანდელი სახე მიიღო, მერე მსოფლიო ომის შემდგომ დამკვიდრდა.

ყოფილ საბჭოთა სივრცეში სასამართლოს არ გააჩნდა სამართლიანობის აღსრულების გამბედაობა და იგი მუდმივად პოლიტიკის იარაღად იყო ქცეული.

სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანი კონცეფცია იმთავითვე გამორიცხავდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპს. სასამართლო პარტიის სურვილს გამოხატავდა და მისი დამოუკიდებლობა საუბრის დონეზეც არ განიხილებოდა. დიქტატურის პირობებში სასამართლოს არ გააჩნდა არცერთი სპეციფიკური ნიშან-თვისება.

სასამართლო ხელისუფლების ამგვარი დასუსტების მიზეზი უნდა ვეძებოთ თვით მარქსისტულ იდეოლოგიაში, რომელიც ქადაგებდა, რომ სამართალს არ გააჩნია არც წარსული და არც მომავალი, და რომ ერთ დღესაც სამართლის არსებობა აღარ იქნებოდა საჭირო, ვინაიდან საზოგადოებაში დანაშაული აღარ იარსებებდა.

შესაბამისად, ავტორიტარული რეჟიმის მემკვიდრეობის ფონზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ამგვარი სამართლებრივი ტრადიციების მქონე სასამართლოებს, დღესაც დიდი ბრძოლა უწევთ დამოუკიდებლობის დასამკვიდრებლად.

საქართველოში ყოველი ხელისუფლების ცვალებადობის ფაზს იწყებოდა სასამართლო რეფორმის ახალი ტალღა. მაგრამ, თავად სასამართლო სისტემას რეალურად ნაკლებად თუ ეტყობოდა წინსვლა, ვინაიდან ხელისუფლების მხრიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ცხრებოდა რეფორმის განხორციელების მუხტი. ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: არ არსებობდა მათი განხორციელების პოლიტიკური ნება, არ კმაროდა განხორციელებული ძალისხმევა ამ პრინციპების დასამკვიდრებლად, საზოგადოება არ იყო ამისათვის მზად, სასამართლო რეფორმა სხვა რაიმე მიზანთან მოდიოდა წინააღმდეგობაში და ა.შ. შესაბამისად, ძნელი სათქმელია, სასამართლო რეფორმის რომელი ეტაპი მიმდინარეობს ამჟამად.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და წინააღმდეგობებისა, საბჭოთა სივრციდან თავის დაღწევის შემდგომ ქართული მართლმსაჯულება, მართალია ძალიან ნელა, მაგრამ მაინც ახერხებს გარკვეულ წინსვლას და ეტაპობრივად უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. განხილული პრინციპები ეტაპობრივად შემოედინებოდა და მკვიდრდებოდა საქართველოში. რაიმე ძირეული საკონსტიტუციო ნორმა, რომელიც ამ პროცესს სათავეში შეაფერხებდა, არ არსებობდა და ხელისუფლება, სიტყვით მაინც, ყოველთვის საერთაშორისო მოთხოვნების დამცველად და გამტარებლად გვევლინებოდა.

სასამართლო ფასეულობების დამკვიდრების პირველი მცდელობა საქართველოში იყო 1991 წლის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება განაჩენის თაობაზე,<sup>1</sup> სადაც პირველად გაცხადდა, რომ განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი და დასაბუთებული. მანამდე მიიჩნეოდა, რომ განაჩენი უნდა ყოფილიყო კანონიერი. მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილებას დაემატა სამართლიანობისა და დასაბუთებულობის აუცილებლობა.

1 „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. 25 ივლისი, 1991.

საბჭოთა სივრციდან თავის დაღწევის შემდგომ, ეს იყო სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღიარების პირველი ოფიციალური განაცხადი. აღნიშნულმა დოკუმენტმა წარმოშვა დიდი ინტერესი და რწმენა უცხოეთის მხრიდან ქართული მართლმსაჯულების მიმართ. ეს რწმენა კიდევ უფრო გამყარდა უზენაესი სასამართლოს მიერ „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“ დადგენილების მიღებით.<sup>2</sup>

ვინაიდან დამოუკიდებლობის შემდგომ არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლო, ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა უზენაეს სასამართლოს. მასვე ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივაც, რაც ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ამასთანავე, დამკვიდრებული იყო მოქალაქეთა მიღების ტრადიცია: კონკრეტულ საქმეზე ხდებოდა თანამდებობის პირთან კაბინეტში მიღება და საქმის შინაარსზე მსჯელობა. მაშასადამე, საქმის გადაწყვეტა კონკრეტული ჩინოვნიკის კაბინეტში იყო შესაძლებელი. ცხადია, ასეთ დროს, შეუძლებელია ვისაუბროთ მართლმსაჯულების პრინციპებზე. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა უზენაესი სასამართლოს თაოსნობით გაუქმდა.

1995 წელს კონსტიტუციის მიღების შემდგომ არ აღმოჩნდა საკმარისი ოდენ კონსტიტუციაში სასამართლოს დამოუკიდებლობის აღიარება. სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა გამოიხატა იმაში, რომ 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, სადაც მეტ-ნაკლებად დარეგულირდა სასამართლოს დამოუკიდებლობის ქმედითი გარანტიები, კერძოდ: მოსამართლეთა დანიშვნა, გადაყენება, უფლებამოსილების ვადა, სამუშაო პირობები, დისციპლინა, იმუნიტეტის საკითხები, საბიუჯეტო სფერო და ა.შ.. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, არ განხორციელდა სასამართლო სისტემასთან პირდაპირ შეხებაში მყოფი სხვა სახელმწიფო უწყებების რეფორმა. მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობის პირობებში, სასამართლო სისტემაში უამრავმა პრობლემამ იჩინა თავი.

2003 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, სასამართლო რეფორმა კვლავ დადგა დღის წესრიგში. დაიწყო სასამართლოს ოპტიმიზაცია, რაც სულაც არ შეიძლება შეფასდეს წინგადადგმულ ნაბიჯად, ვინაიდან ამ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება სასამართლოს ხელმისაწვდომობა. ასევე შემცირდა მოსამართლეთა საშტატო ოდენობა, რაც იწვევს მოსამართლეთა გადატვირთულობას და პირდაპირ აისახება განაჩენის დასაბუთების ხარისხზე.

2006 წლის 27 დეკემბერს, საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან გავიდა მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება. აღნიშნული უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი,

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილება „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“. 29 აპრილი, 1992.

რომლითაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა გარკვეულწილად, ნორმატიულ დონეზე იქნა განმტკიცებული.

საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობა კვლავ დაბალი იყო. საქმემ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, სახელმწიფო ინსტიტუტების, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების სრული კრაზი უჩვენა საზოგადოებას.

2012 წლის არჩევნების შემდეგ სასამართლო რეფორმის ეტაპების ათვლა თავიდან იწყება. მოხდა რამდენიმე საკანონმდებლო პაკეტის მიღება, რომელიც მრავალ პროგრესულ ცვლილებას შეიცავს და მართლმსაჯულების გაძლიერებისაკენ არის მიმართული. ცვლილებები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესი.<sup>3</sup>

სასამართლო სისტემაში დღესდღეობით უამრავი ხარვეზი არსებობს. საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები ჭერჭერობით ბოლომდე არ არის გათავისებული. ეს პროცესი გრძელდება და რაც მეტი ხარისხით შემოვა და დამკვიდრდება ეს ფასეულობები ქვეყანაში, მით უფრო მეტად შეიძლება გვექონდეს დემოკრატიულ და სამართლიან სახელმწიფოდ არსებობის პრეტენზია.

## კვლევის საბანი და მიზანი

დისერტაციის კვლევის საგანია დავადგინოთ, თუ რას მივიჩნევთ მართლმსაჯულების ამოსავალ პრინციპებად, როგორ გვესმის თავად ეს პრინციპები, რა დებულებები უდევს მათ საფუძვლად საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში და რა საერთაშორისო სტანდარტებს ვეყრდნობით ამ პრინციპების აღიარებისათვის. ამის შემდგომ მნიშვნელოვანია თანაფარდობა ამ საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის, როგორია სხვა ქვეყნის პრაქტიკა, როგორ ფორმას ანიჭებენ ისინი უპირატესობას და რა მდგომარეობაა ჩვენთან. ყურადღება გამახვილებულია წინააღმდეგობების გამომწვევ მიზეზებზე, რაც აფერხებს მათ იმპლემენტაციას ქვეყანაში, ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარდეს მათ დასაძლევად და იმ სპეციფიკურობაზე, რომელიც ქართულ რეალობაში მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპების იმპლემენტაციის პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. გამოთქმულია მოსაზრებები მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის გზებსა და ხედვებზე.

კვლევის მიზანია ყველა იმ ფაქტორის მეცნიერულ დონეზე გაანალიზება, რომელიც ხელს უშლის მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების

3 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 131. და 47. 2013 წლის 6 მარტის და 1 მაისის საკანონმდებლო ცვლილებები.



სრულად იმპლემენტაციას ქვეყანაში. ყურადღება გამახვილებულია იმ საერთაშორისო პრინციპების დანერგვის აუცილებლობაზე, რაც ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლების ეფექტიანობას ორივე კომპონენტი განსაზღვრავს: როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო. შესაბამისად, შესწავლილი და გაანალიზებულია როგორც ადგილობრივი საკანონმდებლო სივრცე, ისე საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების გამოცდილება.

ქართული სამართლებრივი სივრცის გაჯერება საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებით და ამ ღირებულებათა პროპაგანდა ემსახურება უმთავრეს მიზანს – მაქსიმალურად მიგუახლოვდეთ სამართლიანობას.

## კვლევის მეთოდი

განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი. სიახლე (რომელიც ჯერჯერობით ახალია არა მარტო ქართული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი სივრცისათვისაც) მდგომარეობს ლევიმეტრიული (სამართალმზომელობითი) მეთოდის მომარტვებაში, სადაც მათემატიკური გადაწონის სიზუსტით არის მოცემული სხვადასხვა სამართლებრივი ფასეულობების თანაფარდობის საკითხი. მკითხველისათვის თვალსაჩინო ხდება თუ რომელი ღირებულება არის მეტად მისაღები და დასაწერგი ქართულ სინამდვილეში, ხოლო რომელი – მიუღებელი.

კვლევის დროს გამოყენებულია ასევე დიალექტიკური, ისტორიული, და სისტემური მეთოდები. ვინაიდან კვლევა ძირითადად შედარებით კონტექსტში წარმართა, ამიტომ, საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ასევე შედარებით-სამართლებრივ და შეპირისპირებით მეთოდებს.

ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ნარატიული მეთოდი, ვინაიდან ნარატიული მასალის ანალიზი გამოჩენილ მეცნიერთა ცოდნასა და გამოცდილებაში მეტი წვდომის საშუალებას იძლევა, ვიდრე მხოლოდ მათ მიერ გამოქვეყნებული შრომების შესწავლა. გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც მოიცავს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სასამართლოებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოების მიდგომებს მართლმსაჯულების ზოგიერთ საჭირობოროტო საკითხთან მიმართებაში.

აღნიშნული მეთოდების მრავალფეროვნებით უკეთ წარმოჩნდება განხილულ პრინციპთა ქართულ რეალობაში დანერგვის საჭიროება და მათი დამკვიდრების სპეციფიკა.

## მაცნიარული სიახლა

მიუხედავად საერთაშორისო მართლმსაჯულების უზარმაზარი ნორმატიული მასალისა, მათი ქართულ რეალობაში ასახვა უპირატესად

დესკრიფციულ (აღწერილობით) ხასიათს ატარებს და ამ საკითხთან დაკავშირებული ანალიტიკური კვლევები თითქმის არ არსებობს, გარდა ცალკეული ფრაგმენტებისა, რაც არ არის საკმარისი. ამიტომ კვლევა ეფუძნება მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპების ერთ კონტექსტში თავმოყრას და ვერიფიკაციის გზით ქართულ რეალობაში მათი იმპლემენტაციის აუცილებლობის დასაბუთებას. ნაშრომში განხილულია, თუ რომელი საერთაშორისო მოთხოვნის ხორცშესხმა არ მომხდარა ამ ეტაპზე, ან ჯერჯერობით საკმარისად არ განხორციელებულა; რა აუცილებელი ღონისძიებებია საჭირო იმისათვის, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები სრულად და დროულად დაინერგოს ქვეყანაში; მოცემულია საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა მართლმსაჯულების გაუმჯობესების კუთხით; გაანალიზებულია აღნიშნული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები და შესაძლო რისკები, მათი დანერგვის ეფექტიანობა და აუცილებლობა. შედარებითი მეთოდის მომარტყვებით, წარმოჩენილია საერთაშორისო სტანდარტებთან საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა. ნაჩვენებია, ქართული სასამართლო სისტემის, ცალკეულ შემთხვევებში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამობა.

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს ქართული საკანონმდებლო სივრცის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, მეტად თვალსაჩინოს გახდის იმ მოთხოვნების დანერგვის აუცილებლობას, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს არსებობას უზრუნველყოფენ ქვეყანაში. ამასთანავე ზოგიერთი მანკიერი კანონის შეცვლით ან გაუქმებით მაქსიმალურად მივუახლოვდებით სამართლიანი სახელმწიფოს სტანდარტებს.

ბუნებრივია, მართლმსაჯულების თემა ამოუწურავია და ერთი მონოგრაფიის ფარგლებში შეუძლებელია ამ მეტად რთული საკითხის სრულყოფილად წარმოჩენა, მაგრამ წარმოდგენილი ნაშრომი არის კვლევის შემდგომი გაგრძელებისა და განვრცობის ინტერესი.

## მადლიერება

დისერტაციაზე მუშაობის განმავლობაში დაუღალავი კონსულტაციები მიმდინარეობდა მეცნიერ-ხელმძღვანელთან, პროფესორ მინდია უგრეხელიძესთან, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას.

მადლობას მოვახსენებ ასევე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს განუელი დახმარებისა და გულისხმიერი თანამშრომლობისათვის.



# სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი გამოხატულება

## §1. სასამართლოს როლი და დანიშნულება რეაქციისკენ

თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობას მუდამ თან სდევდა უსამართლობის პრობლემა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა და სამართლიანობის დამკვიდრება, როგორც ბოროტზე კეთილის გამარჯვების მიზანი, ყველა დროისა და ცივილიზაციის ნიადაგ განსჭისა და ზრუნვის საგანი იყო.

ამ კეთილშობილური იდეის აღსრულება ოდითგანვე სასამართლოს ჰქონდა შეთავსებული. სხვა საკითხია, თუ როდის რას ნიშნავდა სასამართლო, ან რა იგულისხმებოდა ამ ცნებაში, ვინაიდან სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლოს ფუნქციას ასრულებდა მეფე, დარბაზი, დედოფალი და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში სასამართლო ძლიერთა ხელში პოლიტიკის განხორციელებისა და კლასობრივი ჩაგვრის იარაღად გვევლინებოდა, მისი ბუნება და დანიშნულება მაინც ყოველთვის სიმართლესთან იყო დაკავშირებული და სამართლიანობის დამკვიდრებას ემსახურებოდა თუ საქმით არა, სახელით მაინც. თვით სისხლიანი რეჟიმებიც კი, უმეტესწილად, საზოგადოებაში მეტი ნდობის მოპოვებისა და ლეგიტიმაციის ამალგების მიზნით, მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას სწორედ სასამართლოს მეშვეობით ლამობდნენ.

სასამართლო ყოველთვის გამორჩეულ და განსაკუთრებულ ინსტიტუციად მოიაზრებოდა ნებისმიერ რელიგიასა და ცივილიზაციაში. მისი მთავარი ფუნქცია იყო სამართლიანობის დამკვიდრება. ამას მოწმობს უამრავი ისტორიული წყარო. საინტერესოა ძველ ახლო აღმოსავლეთში, ძვ. წ. დაახლოებით 1500 წელს, ფარაონ თუთმოს მითითება თავისი ვეზირისადმი: „*მოსამართლე ქედს არ იხრის ვეზირებისა და დიდებულების წინაშე და არ იძმობს ადამიანებს. ...ყოველივე კანონის მიხედვით ვაკეთდეს, სამართლიანად აღსრულდეს და არცერთი ადამიანი არ დარჩეს სამართლის გარეშე*“.<sup>4</sup>

ზემოთ მითითებულ წყაროში აშკარაა მოსამართლის დამოუკიდებლობის, როგორც უდიდესი ღირებულების მნიშვნელობა. ინდუისტური სამართლის ცნობილი მკვლევარი ნარადა, „მანუს კანონებზე“ დაყრდნობით, ამგვარად აღწერს სასამართლოს პრინციპებს: „*სამეფო სასამართლოს წევრებმა უნდა*

4 C.G Weeramantry, An Invitation to the Law (Melburne, Australia, Butterworths, 1982), 239-240.

იცოდნენ სჯულის კანონი და კეთილგონიერების წესებით იხელმძღვანელონ. ისინი დიდსულოვანნი უნდა იყვნენ, ჭეშმარიტებას ემსახურონ და მიკერძოების გარეშე მიუდგნენ მტერსა თუ მოყვარეს ... მოსამართლე არ უნდა იყოს ვნებას აყოლილი, რადგან სამართლიანი მსჯავრის გამოტანა არ შეუძლია სიამოვნებათა მორევში ჩაფლულ ადამიანს“.<sup>5</sup>

აქ აშკარად იკვეთება მოსამართლისათვის სავალდებულო მოთხოვნები, კერძოდ: ცოდნა, პროფესიონალიზმი, მორალური თვისებები, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა. ეს ღირებულებები, რომლებიც მოსამართლისათვის ოდითგანვე სავალდებულო იყო, დღესაც აქტუალურია და სწორედ ამ ღირებულებების განუხრელი დაცვა მიგვაახლოებს სასურველ შედეგთან, რასაც სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვა ჰქვია.

ძველი ჩინური სამართალიც ხაზს უსვამს სასამართლოს მიუკერძოებლობას და სახელმწიფოში წესრიგის დამკვიდრებას სწორედ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას უკავშირებს: „მიუკერძოებლობა – აი, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ წინადადებათა შეფასებისას ... ნუ აჰყვები მიკერძოებას ან ნათესაობას, ეს ყველაზე უარესია, რაც შეიძლება გააკეთო. შეიძლება კარგი კანონები გქონდეს, მაგრამ სახელმწიფოში უწესრიგობა სუფევდეს“.<sup>6</sup>

რომის სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლის აღსრულების დროულობას: „მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება მზის ჩასვლამდე უნდა გამოიტანოს“.<sup>7</sup> რომში რესპუბლიკის პერიოდში სასამართლო პროცესის ორგვარი ბუნება შეინიშნება: საჯარო წარმოება (iudicia publica) და კერძო წარმოება (iudicia privata). აღსანიშნავია, რომ ძველ რომში მართლმსაჯულების ინსტიტუტები და პრინციპები ისეთ მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რომ მათი უმეტესობა დღესაც საფუძვლად უდევს განვითარებული სახელმწიფოების სასამართლოებს.

ყურადღებას იპყრობს აფრიკული სამართლის კონცეფციითა სიმრავლე მოსამართლეთა სტანდარტების შესახებ, რომლებიც მოსამართლეთა კეთილგონიერებასა და ქცევას განსაზღვრავენ: მოსამართლე „მასთან საჩივრით მისულებს ღირსებით, მოთმინებითა და თავაზიანად ხვდება... (თუ) მასთან მისულს, დაჯდომას არ შესთავაზებს და არ მოისმენს მის ჩივილს, იგი არ არის კეთილგონიერი. ასე რომ, მოსამართლეები გადაწყვეტილების გამოტანისას იმ სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, რომლებიც თემში არსებობს“.<sup>8</sup>

ძველი ებრაული სამართლის მიხედვით, სასამართლოში სუფევს უფალი, ამიტომ მოსამართლე უკიდურესი სერიოზულობით უნდა იყოს გამსჭვალული და საქმე შიშითა და რიდით უნდა გადაწყვიტოს. აღსანიშნავია, რომ ყურადღება

5 „მანუს კანონები“, Sacred Books of the East, 50 vols., F. Max Muller, (Motil Banarsidass, Delhi) 3rd reprint (1970), ტომი XXV, VII. 26.30.

6 ჩინელი მოსამართლის სიუნ ციუს ნაშრომი (ძვ. წ. დაახლოებით 312 წ.). წყარო: Basic Writings of Mo Tzu, and Han Fei Tzu, Burton Watson (trwsans.) (Columbia University Press, 1967), 35.

7 „თორმეტი ტაბულის“ კანონი (ძვ. წ. 450 წ.). წყარო: The Civil Law, S.P. Scott (trans.) (Cincinnati, Central Trust Co. 1932), Vol 1, 57.

8 C.G Weeramantry, An Invitation to the Law (Melburne, Australia, Butterworths, 1982), 35,36.

ეცევა მოსამართლის ცოდნას: „ის დამნაშავეს გაამართლებს და უდანაშაულოს დასჯის, არა იმიტომ, რომ ბოროტია, არამედ იმიტომ, რომ მას ცოდნა არა აქვს“.<sup>9</sup>

მაშასადამე, სასამართლოს ოდითგანვე ჰქონდა გარკვეული მოთხოვნები, რომლის შესრულებაც სავალდებულოდ ითვლებოდა. ძველი ცივილიზაციები ცალსახად აღიარებდნენ სასამართლოს განსაკუთრებულ ბუნებასა და დანიშნულებას. ამ კუთხით სავსაშუალოდ მდიდარი ისტორია აქვს ძველ ქართულ სამართალს. ქართულ სამართალში მოსამართლეობა გამგებლობასა და მართვას ნიშნავდა.<sup>10</sup> ვინაიდან ფეოდალურ ეპოქაში სასამართლო ხელისუფლება გადაჭაჭვული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, ამიტომ სასამართლოს ფუნქციებს სხვადასხვა ეპოქებში ირგებდნენ: მეფე, დარბაზი, მდივანბეგი, ხევისთავი და ა.შ.

ვინაიდან არ არსებობდა გასაჩივრების ზემდგომი ინსტანციები, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით მაინც მეფესთან შეიძლებოდა უსამართლო განაჩენის გასაჩივრება.<sup>11</sup> მეფის განაჩენი კი არავითარ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა. მას ვერც ერთი ფეოდალი ვერ აღუდგებოდა წინ. მეფეს შეეძლო თავისი ინიციატივით გადაესინჯა ნებისმიერი განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება.<sup>12</sup> მაშასადამე, მეფე, როგორც უმაღლესი მმართველი, უმაღლესი მოსამართლის მანტიითაც იყო შემკული.

ზოგიერთი საქმე მხოლოდ მეფეს ექვემდებარებოდა და სხვას არავის შეეძლო მისი გარჩევა: მაგალითად, სიგელის წართმევა, მეფის ორგულობა, ღალატი, ხატის დაზიანება, მეფის სალაროს გატეხვა, ცოლის დატანჯვა ქმრის მიერ და ა.შ. მეფეს ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ დიდსა თუ პატარა საქმეზე. მეფის უკითხავად მოსამართლე „დიდ საქმეებს“ ვერ გაარჩევდა.<sup>13</sup>

სასამართლო ფუნქცია გააჩნდა დარბაზსაც. იგი გვევლინებოდა სასამართლო ორგანოდ მეფის თავმჯდომარეობით, რომელიც განსაკუთრებით მძიმე საქმეებს განიხილავდა. დარბაზი შედგებოდა მსხვილი მოხელეებისა და ფეოდალებისაგან, მის შემადგენლობასაც მეფე განსაზღვრავდა.

დარბაზი, ანუ იგივე სამეფო საბჭო, პირველი ინსტანციით განიხილავდა პოლიტიკური შინაარსის საქმეებს, „ამვე დროს იგი წარმოადგენდა სააპელაციო ინსტანციას სახელმწიფოში არსებულ ყველა სხვა ორგანოთა მიმართ. გარდა ამისა, საბჭოს ჰქონდა სასამართლო ორგანოებისადმი ზედამხედველობის ფუნქცია.“<sup>14</sup>

„მოსამართლე“ ანუ „მსაჯული“, საერთო სახელწოდება იყო იმათი, ვინც სასამართლო საქმეს არჩევდა. სასამართლოს ხელმძღვანელს მდივანბეგი

9 Twersky J (ed.), A. Maimonides Reader (Berham House Inc., 1972), 193-194.

10 იმნაიშვილი ი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით. 1949.

11 სურგულაძე ი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 1952. გვ. 306.

12 კეკელია მ. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. ტ.1. გვ.119.

13 მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. „მერიდიანი“. თბილისი. 2013. გვ. 399.

14 Царевич Давид. «Обозрения Грузии по части прав и законовения». 1813. § 91.

ენოდებოდა. ამგვარად, ზოგადი მნიშვნელობით მოსამართლე მდივანბეგსაც ეწოდებოდა. სასამართლო ფუნქციის შესრულებას კი „სამართლის ქნა“ ან კიდევ „სამართლობა“ ეწოდებოდა.<sup>15</sup>

მდივანბეგი ანუ მსაჯულთუხუცესი, უფროსი მოსამართლე იყო და ეს ინსტიტუტი საქართველოში მე-17 საუკუნეში წარმოიშვა. იგი მხოლოდ მეფის მოხელე იყო. მდივანბეგი არ ჰყავდა არც ერთ საფეოდალოს. მდივანბეგის სასამართლო კოლეგიალური იყო. მასში შედიოდნენ თავად მდივანბეგი (უფროსი მოსამართლე), მსაჯულები ანუ მოსამართლეები და მდივანი, რომლის ფუნქცია იყო ორივე მხარის ჩვენებების ჩაწერა, აგრეთვე სამართლის წიგნის იმ მუხლების წაკითხვა, რომლებიც განსახილველ საქმეს ეხებოდა.<sup>16</sup> მაშასადამე, სხდომის ჩანაწერების გაკეთება, როგორც პროცესის აუცილებელი ელემენტი, საქართველოში გვიანფეოდალური პერიოდიდან ჩნდება.

მდივანბეგის თანამდებობაში ყველაზე უკეთ იკვეთება სახელმწიფოებრივი საწყისები, საჯარო სამართლის ელემენტები. იგი მთელ სამეფოზე ახორციელებდა უფლებამოსილებას და განიხილავდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებს. ზოგადად ყველა მნიშვნელოვან საქმეს მდივანბეგი განსჯიდა, როგორც უფროსი მოსამართლე, თუ საქმე თავისი სიმძიმით მეფის ან დარბაზის განსჯადი არ იყო. მკვლევლობას, როგორც წესი, მდივანბეგი განსჯიდა, თუმცა ზოგიერთი მკვლევლობის საქმე თავისებურებათა გამო მეფის ან დარბაზის განსჯადიც შეიძლება ყოფილიყო.

შედარებით მცირე დავები შეიძლება გადაეწყვიტა ადგილობრივ ფეოდალს ან ხევისთავს. მაგრამ ადგილობრივ მოხელეებს არ შეეძლოთ დიდი საქმეების გარჩევა. „*იქნების ასეთი საჩივარი, ან ვაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას*“.<sup>17</sup>

ძველ საქართველოში გვხვდება ასევე განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო. ასეთ სასამართლოს ნიშნავდა მეფე კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად და იგი სხვა საქმეებს აღარ განიხილავდა. ასეთ შემთხვევებში მეფეს შეეძლო დაენიშნა არამოსამართლე პირიც საქმის გასარჩევად, რომელიც საქმის განხილვის პერიოდში მოხელედ ითვლებოდა და კანონით იყო დაცული.<sup>18</sup>

სასამართლო სხდომები საჯარო იყო. მხარეები თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ, თუ ისინი ფეოდალური იერარქიის ერთ საფეხურზე იდგნენ. „*სასამართლო მოისმენდა მხარეების ჩვენებას, გასინჯავდა მათ მიერ წამოყენებულ საბუთებს, შეამოწმებდა საბუთების სისწორეს, დაკითხავდა მონმეებს, მოახდენდა ადგილობრივ დათვალიერებას და, თუ საჭირო იყო მოიწვევდა ექსპერტებსაც*“.<sup>19</sup>

ყურადსაღებია მდივანბეგის, როგორც უფროსი მოსამართლის, პიროვნების შერჩევის კრიტერიუმები. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მდივანბეგი უნდა

15 იხ. სურგულაძე ი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. გვ. 314.

16 იხ. მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. გვ. 399.

17 იქვე. გვ.12. § 24.

18 ვახტანგის სამართლის წიგნი. გვ. 207.

19 საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტომი III. გვ. 470.

ყოფილიყო მამულის ერთგული ვაცი, ამასთანავე დიდი ვაცის შვილი, რომ არავისი შეშინებოდა, „სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ქნას რა; მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს... ჭკვიანი, საზოგადო გულისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი“.<sup>20</sup>

კანონმდებელი არა მარტო მდივანბეგის პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ ზოგადად მოსამართლის, ანუ იმ ადამიანის სავალდებულო პირად თვისებებსაც აღწერს, რომელსაც სამართალი უნდა გაეჩინა: „მოსამართლე დიდათ მჩხრეკელი, მიმხუდარი და გამომძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებელი, გამგონი, საჩივრის ყურის მიმდებნი, გამსინჯავი... სხვათა მკითხველი... მარტო მოჩივარს სამართალი არ უყოს, მეორეც დაიბაროს, ორივე ერთად ალაპარაკოს მოწმეთ, კითხვით და გამომძიებით, მათის საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს“.<sup>21</sup>

მაშასადამე, ძველ ქართულ სამართალში შეინიშნება მოსამართლეთა პროფესიონალური თვისებების, შეუვალობის, მიუკერძოებლობის, უფლებრივი განსჯადობის, მოსამართლედ დანიშვნის კრიტერიუმებისა და სასამართლო პროცესის გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი ელემენტები.

\* \* \*

მოსამართლის მდგომარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე სხვადასხვა რელიგიებში. ისლამში, მოსამართლისათვის აუცილებელ ღირებულებებს წარმოადგენს სრულწლოვანება, ჯანსაღი აზროვნება, პატიოსნება და შინაგანი თავისუფლება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იურიდიული ანალიზის უნარს: „მოსამართლეს უნდა შეეძლოს მიმართოს კანონის პირველწყაროს და ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას სწორედ მას დაეყრდნოს, ასევე უნდა შეეძლოს იურიდიული ანალოგიების გავლება“.<sup>22</sup>

ისლამური რელიგიის მიხედვით, არ შეიძლება მართლმსაჯულების პროცესში ადამიანების განსხვავება რასის, თანამდებობის, მდგომარეობის, კანის ფერის, ეროვნებისა თუ აღმსარებლობის მოხედვით. ყველა ადამიანი ღვთის წინაშე თანასწორია და სასამართლოში თანაბრად უნდა მოეპყრან ყველას და კანონის წინაშე ყველამ თანაბრად უნდა აგოს პასუხი.<sup>23</sup>

მოყვასის სამართლიანად განსჯას მოითხოვს ქრისტიანული იდეოლოგია, რომელიც შემდგომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტი გახდა:<sup>24</sup> „და ვამცენ მსაჯულთა თქუენთა მას უამსა და ისმინეთ ჰორის

20 ბატონიშვილი ი. კალმასობა. ტომი 1. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. 1936 წ. გვ. 203.

21 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. შ. მესხიას რედაქტორობით. 1948. გვ. 53.

22 ისლამი დღეს: <http://fr.islamtoday.net/>

23 Muhammad Ibrahim H.I. Surty, "The Ethical Code And Organized Procedure of Early Islamis Law Courts, with Reference to al-Khassafs Adab al-Qadi", in Muhmmad Abdel Halem, Adel Omar Sherif and Kate Daniels (eds), Criminal Justice in Islam (London and New York, LB. Tauris & Co Ltd., 2003), 149.

24 The New Oxford Companion to Law. Edited by Peter Cane Joanne Conaghan. Oxford University Press. 2002.

*ძმათა და საჯეთ სიმართლით შორის კაცისა და ძმისა მიმართ თვისისა*".<sup>25</sup> სამართლიანობის უდიდესი განცდა იკითხება ბიბლიურ სიბრძნეში: „*ყოველი, რომელი გინდეს თქვენ, რაითა გიყონ თქვენ კაცთა, ეგრევე თქვენცა ჰყვით მათა მიმართ*“.<sup>26</sup>

აღსანიშნავია ქრისტიანული მორალის მთავარი ეპითეტი: „*რომელი სანყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგენწყვებათ თქვენ*.“ აქ აშკარაა სამართლიანი განაწილების პრინციპი – ყველა იღებს იმას, რაც დაიმსახურა.

საგულიხმოა, რომ არცერთი რელიგიური მოძღვრება არ კრძალავს ადამიანის მოკვდინებას და მას ცოდვად არ მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ არის მიღებული. მსგავსი აკრძალვა არ იკითხება მსოფლიოს არც ერთ რელიგიურ იდეოლოგიაში. ქართული საეკლესიო სამართლის ძველი „სამართალი კათალიკოსთა“ ამართლებს სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯას მძიმე დანაშაულთათვის.<sup>27</sup>

მაშასადამე, თვით რელიგიური მოძღვრება, რომელიც სამართლიანობის ერთადერთსტანდარტად იყო აღიარებული ოდითგანვე, და რომელიც ადამიანის მოკვდინებას ყველაზე მძიმე ცოდვად მიიჩნევს, მხოლოდ სასამართლოს ანიჭებს ამ უფლებას. აღნიშნული ცხადყოფს, თუ რაოდენ განსაკუთრებული იყო დასაბამიდან სასამართლოს როლი და დანიშნულება, რომლის იდეაში იმთავითვე იყო ჩადებული სამართლიანობის დამკვიდრების უნიკალური ფუნქცია.

25 ბიბლია. მეორე რჯული. (1.16). პალიტრა L. გვ. 128. 2013.

26 *იქვე*. მათეს სახარება (7.12). გვ. 795.

27 „სამართალი კათალიკოსთა“ წარმოადგენს ქართული საეკლესიო კრების კანონმდებლობას და დაწერილია 1543–1549 წლებში. წყარო: ი. დოლიძე. *ქართული სამართლის ძეგლები*. თსუ. 1963. გვ. 393–397.



## §2. სასამართლოს თანამედროვე ბაზა

გაეროს ძირითადი პრინციპების მიხედვით, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება გასამართლდეს ჩვეულებრივი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ჩვეულებრივი სასამართლოებისა და სასამართლო ტრიბუნალების კომპეტენციაში მყოფი საკითხები არ უნდა გადაეცეს იმ ტრიბუნალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადოდ ჩამოყალიბებული იურიდიული პროცესუალური ნორმები.<sup>28</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, სასამართლოს ფუნქცია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების განუყოფელი ნაწილია. სასამართლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველა ის ორგანო, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართალწარმოების პროცედურულ გარანტიებს.

მაშასადამე, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, იმისათვის, რომ რომელიმე ორგანო სასამართლოდ იქნეს მიჩნეული, უცილებელია სასამართლოსათვის სავალდებულო პროცესუალური ნორმების დაცვა.

საქმეში ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს დამახასიათებელი ნიშანი, მატერიალური თვალსაზრისით, მისი იურიდიული როლით განისაზღვრება. ამ ორგანოს მნიშვნელობას სწორედ მისი სასამართლო ფუნქციის შესრულება განაპირობებს. სასამართლოს ფუნქცია კი გულისხმობს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტას სამართლის ნორმების საფუძველზე და დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. ამასთანავე, „იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს – დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მიუკერძოებლობა, წევრების თანამდებობაზე ყოფნის ვადა, საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული გარანტიები – რომელთაგან უმეტესობა მოცემულია მე-6(1) მუხლში“.<sup>29</sup>

საქმეში რინგაიზენი ავსტრიის წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლომ სასამართლოდ მიიჩნია რეგიონული კომისია: „სასამართლომ ვერ მოიპოვა მტკიცებულება, რომ რინგაიზერი არ იყო წარდგენილი სამართლიანი სასამართლოს წინაშე. რეგიონული კომისია წარმოადგენს სასამართლოს, კონვენციის მე-6(1) მუხლის მნიშვნელობით, ვინაიდან იგი არის დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ასევე მხარეებისაგან, მისი წევრები

28 სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესი. მილანი. 1985 წლის 26. აგვისტო-6 სექტემბერი. ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით. §5.

29 BELILOS c. SUISSE. 29 avril 1988. § 64. იხ. ასევე: *Argyrou and Others v. Greece*, 15 January 2009. § 24.

ინიშნებიან 5 წლის მანდატით და მის წინაშე პროცედურა იძლევა ყველა აუცილებელ გარანტიას“.<sup>30</sup>

სტრასბურგის სასამართლოს თვალსაზრისით, აუცილებელი არ არის სასამართლოში საქმის განხილვის წესი ყოველთვის ერთი და იგივე იყოს. მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მხარეებისაგან, ასევე აუცილებელია არსებობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო სამართალწარმოების გარანტიები.<sup>31</sup>

საქმეში ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ, ევროპული სასამართლო სასამართლოს დასახელებას კონვენციის მე-6(1) მუხლის ჭრილში შემდეგნაირად განიხილავს: „ორგანო, რომელიც სარგებლობს სრული იურისდიქციის უფლებით და პასუხობს მოთხოვნათა მთელ სერიას, როგორცაა მაგალითად აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა“.<sup>32</sup>

იმავეს ამბობს სტრასბურგის სასამართლო საქმეში დიდიე საფრანგეთის წინააღმდეგ, სადაც სახელმწიფო საბჭო (Conseil d'Etat) მიჩნეულ იქნა სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოდ, ვინაიდან იგი სრულად აკმაყოფილებდა კონვენციით გათვალისწინებულ სასამართლო გარანტიებს.<sup>33</sup>

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლოდ აღიარებს ყველა იმ ორგანოს, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს. მთავარ მოთხოვნად იგი აყენებს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს. აღნიშნული გარანტიების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ორგანო შეიძლება იქნეს მიჩნეული სასამართლოდ. ამ გარანტიებიდან კი პირველ ადგილს სასამართლოს დამოუკიდებლობა იკავებს. რაც შეეხება საქმის განხილვის წესს, იგი შეიძლება განსხვავებული იყოს.

ამგვარად, სასამართლოდ შეიძლება მივიჩნიოთ: ორგანო, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას, საკუთრივ მოსამართლეებს, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, და მექანიზმს, რომლითაც ხორციელდება მართლმსაჯულება.<sup>34</sup>

\* \* \*

ექიმოლოგიური თვალსაზრისით, სასამართლოსთან მიმართებაში, შეიძლება მოვიაზროთ სამი ფილოსოფიური კატეგორია: სიმართლე, სამართალი და სამართლიანობა.

სიმართლე ფილოსოფიის შემეცნებითი კატეგორიაა, რომლის მიხედვითაც დგება ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის საკითხი. ეს არის შესაბამისობა არსებულსა და იმ ფაქტებს შორის, რაც ჩვენს რეალობაში იქნა

30 RINGEISEN v. AUSTRIA. 16 July 1971. § 95.

31 DE WILDE, OOMS ET VERSYP c. BELGIQUE. 18 juin 1971. § 78.

32 BEAUMARTIN c. FRANCE. 24 novembre 1994. § 38.

33 Didier contre la France. 27 août 2002. Article 8. 2 b). იხილეთ ასევე: Kress c. France. 7 juin 2001. § 76.

34 გოცირიძე ე. გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში. თსუ. 2008. გვ. 366.

ასახული, რომლებიც არსებობს და რომლებიც ადამიანის ცნობიერს შეეხება.<sup>35</sup>

სამართალი არის სამართლიანობის დამკვიდრების საშუალება. ეს არის მექანიზმი, რომლითაც ხერხდება სამართლიანობის მიღწევა. შინაარსობრივად ამ სიტყვის ფუძე „მართი“-საგან, ანუ სწორისაგან წარმოსდგება და ამის საფუძველზე შეიძინა მან სამართლის მნიშვნელობა.<sup>36</sup>

უზენაეს და ჭეშმარიტ ცნებად მიიჩნევენ სამართალს ივანე ჯავახიშვილი, რითაც ხაზს უსვამს სამართლის უნიკალურობასა და უზენაესობას. სამართალი არის ის, რაც „თვითთოეულ ერს ვაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ განსაზღვრულ მცნებად მიაჩნია“.<sup>37</sup>

სამართლის მთავარი ფუნქციაა მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობა იმგვარად, რომ ადამიანთა ცხოვრება გახდეს სტაბილური, ჰარმონიული და სამართლიანი. სახელმწიფოს მთლიანი საქმიანობა შეზღუდული უნდა იყოს სამართლით. მაშასადამე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი, რომელსაც სამართალს უნდა უსახავდეს, და რომელსაც ისედაც ქვეცნობიერად უსახავს, ვაცობრიობა, არის სამართლიანობის მიღწევა. სწორედ სამართლის მეშვეობით მიიღწევა სამართლიანობა, რომელიც არის შედეგი, რომლისკენაც საზოგადოება მისწრაფვის უკეთესი ცხოვრების მისაღწევად.

სამართლიანობა არის მართებული, შესაბამისი, დამსახურებულად განაწილების პრინციპი, ანუ ყველას უნდა მიეზღოს ის, რაც დაიმსახურა. სამართლიანობის იდეა სრული სახით გვხვდება სახარებაში: „როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექცით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი“.<sup>38</sup>

განასხვავებენ გამათანაბრებელ და გამანაწილებელ სამართლიანობას (Iusticia commutativa და distributiva). პირობითად, პირველი არის ჰორიზონტალური ცნება, მეორე – ვერტიკალური ცნება, და ორივე მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ საზოგადოებამ შეძლოს სათანადო დონეზე ფუნქციონირება. გამათანაბრებელი სამართლიანობა განსაზღვრავს, თუ რა ეკუთვნის თითოეულს, იგი ემყარება „თანაბარი მდგომარეობის მქონე პირების ვაგშირ-ურთიერთობას“.<sup>39</sup> ხოლო გამანაწილებელი სამართლიანობა „ემყარება არა თანასწორობას, არამედ სუბორდინაციულ ვაგშირს... იგი ევალდება ყველას, ვისაც კი რაიმე აქვს გასანაწილებელი, მაგ: მშობლებს – შვილებთან მიმართებაში, მდიდრებს – ღარიბებთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა კი, სახელმწიფოს – მის მოქალაქეებთან მიმართებაში“.<sup>40</sup>

მაშასადამე, სამართალი, როგორც სამართლიანობის მიღწევის საშუალება, სხვადასხვა დროში და სახელმწიფოში, საკანონმდებლო ხელისუფლების ნების მიხედვით, შეიძლება განსხვავებულად მოგვევლინოს, იგი შეიძლება მეტ-

35 მოსაზრება ეკუთვნის პროფესორ მ. უგრეხელიძეს, წარმოთქმულს სამართლის ფილოსოფიის ლექციაზე კავკასიის სამართლის სკოლაში. 21/02/2011.

36 იხ. მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. გვ. 17.

37 ჯავახიშვილი ი. თხზ. 12 ტომად. ტ. VI. გვ. 28.

38 სახარება მათესი 7,12.

39 დრაციური რაღფ. რა არის სამართლიანობა. „მართლმსაჯულების მაცნე“. თბილისი. 2-3. 2000. გვ. 11.

40 იქვე. გვ. 16.

ნაკლებად იყოს გამყარებული სამართლიანობით, მაგრამ, სამართლიანობა თამამად შეიძლება ვაღიაროთ, როგორც ადამიანური ღირებულებების მარადიულობა.

რა თქმა უნდა, აბსოლუტურ განზომილებაში არასოდროს იქნება სამართლიანობის სრული განცდა, ვინაიდან ყოველთვის წარმოიშობა ცალკეული გამრუდებანი, მაგრამ მთავარია, ეს გამრუდებები იყოს იმ დოზით, რა დოზითაც საზოგადოება შეძლებს გააგრძელოს ნორმალური არსებობა და ფუნქციონირება. როგორც კი უსამართლობა გადააჭარბებს ზღვარს, სადაც ირღვევა ადამიანთა თანაცხოვრების ბალანსი, სახეზე იქნება სახელმწიფოებრიობის ნგრევა და სრული ქაოსი. „სადაც კი გამრუდებულა სამართალი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უნდა მოხდეს აღდგენა მისი, და როცა მოხდება აღდგენა, ამის შემდგომ შეიძლება ვიზრუნოთ იმაზე, რომ ვიცხოვროთ სამართლიან საზოგადოებაში და სამართლიანობამ დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი“.<sup>41</sup>

ცნობილი ინგლისელი კონსტიტუციონალისტი ალბერტ დაისი სამართლის უზენაესობის სამ ძირითად პრინციპს აყალიბებს: **1.** ჩვეულებრივი კანონების აბსოლუტური უზენაესობა და მათი უპირობო უპირატესობა დესპოტური ძალაუფლების საპირწონედ; **2.** უკლებლივ ყველას თანაბარი მორჩილება ჩვეულებრივი კანონებისადმი, რომლებიც ადმინისტრირდება სასამართლოთა მიერ; **3.** მოქალაქეთა თავისუფლებების დაცვა ჩვეულებრივი კანონებით, ვიდრე აბსტრაქტული კონსტიტუციური დეკლარაციებით.<sup>42</sup>

აღნიშნული პრინციპების არსიგულისხმობს სამართლისათვის გაბატონებული უპირატესობის მინიჭებას, რაც ხელისუფლების ყველა განშტოებისათვის არის სავალდებულო და რაც საბოლოოდ სამართლიანი სასამართლო სისტემით გვირგვინდება. **სწორედ სასამართლოა ყველაზე გამორჩეული ინსტიტუცია სამართლიანობის მისაღწევად, რაც კი ვაცობრიობას შეუქმნია. ძნელი წარმოსადგენია სხვა უფრო ეფექტიანი ორგანო სამართლიანობის დასამკვიდრებლად, რომელმაც სამართლის მეშვეობით უნდა მიაგოს ყველას ის, ვინც რას იმსახურებს, ანუ ადასრულოს სამართლიანი განაწილების პრინციპი. სასამართლოს როლი და ფუნქცია სწორედ სამართლიანობის იდეის აღსრულებას უნდა ემსახურებოდეს. „ყველა სხვა სისტემის ჩამოშლის შემთხვევაში, სასამართლო რჩება, როგორც ბოლო ციხესიმაგრე, სამართლით გამობატული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“<sup>43</sup>**

სამართლიანობის აღსრულებას სასამართლო მართლმსაჯულების გზით ახორციელებს. მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, ნიშნავს სასამართლოს მიერ სისხლის, ადმინი-

41 უგრეხელიძე მინდია. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. საჯარო ლექცია თემაზე: სამართალი და მართლმსაჯულება. 26/07/2014.

42 Albert Venn Dicey, Introduction to the Study of the Law of the Constitution, 10<sup>th</sup> ed. Macmillan Education, London 1959. 38.

43 Commentaire des Principes de Bangalore sur la déontologie judiciaire. Office des nations unies contre la drogue et le crime Vienne. NATIONS UNIES New York, 2013. Préface de C. G. Weeramantry Président du Groupe sur l'intégrité de la magistrature. Page iii.

სტრაციული და სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაწყვეტას, ესე იგი კანონით დაცული სიკეთის სასამართლო წესით დაცვას და სამართლიანობის დამრღვევთა მიმართ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. მართლმსაჯულებას გააჩნია თავისი პრინციპები, რაც ადამიანის უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს. მაგალითად, კოლევიალობა, შეჯიბრებითობა, თანასწორუფლებიანობა და ა. შ.

მართლმსაჯულების აღსრულებას განეკუთვნება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაც. „კონსტიტუციონალიზმის იდეა გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლების განხორციელებას უნდა არეგულირებდეს წესები, რომლებშიც განერილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების აღსრულების პროცედურები და დადგენილია მათი შინაარსის დასაშვები საზღვრები“.<sup>44</sup>

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია არის განსხვავებული, გამომდინარე იქედან, რომ ის სასამართლო კონტროლს ახორციელებს იმ თვალსაზრისით, არის თუ არა რომელიმე კანონი კონსტიტუციის შესატყვისი, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია მართლმსაჯულების საერთო სისტემის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. ჰანს კელზენმა საკონსტიტუციო სასამართლოს უწოდა ნეგატიური კანონმდებელი.<sup>45</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს კანონებს, არამედ, კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, აუქმებს მათ. ესე იგი კანონმდებელია მხოლოდ გაუქმების ნაწილში.

მართლმსაჯულების განხორციელება არ არის მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესი, მართლმსაჯულებას განეკუთვნება ასევე გამოძიებისა და აღსრულების სტადიებიც. წინასწარი გამოძიების დროს გამოძიებელსაცისევეაქვს საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიების ვალდებულება, როგორც მოსამართლეს. რაც შეეხება აღსრულებას, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტიანი მართლმსაჯულება. არ არსებობს ეფექტიანი მართლმსაჯულება ეფექტიანი აღსრულების გარეშე. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება თანაბრად მოიცავს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ევროპული სასამართლო მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სამართლიანი სასამართლოს (კონვენციის მე-6 მუხლი) კონტექსტში განიხილება: „ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს“.<sup>46</sup>

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

44 S.A. de Smith, The New Commonwealth and its Constitutions (London, Stevens, 1964), 106.

45 ევროპის პირველი საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1920 წელს ავსტრიაში ჰ. კელზენის კონცეფციის საფუძველზე. აღნიშნული მოდელი ფართოდ გავრცელდა შემდგომ ესპანეთში (1931), ინდოეთში (1949), საბერძნეთში (1968). ეს ინსტიტუტი ამჟამად მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცირედი სახესხვაობით. საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო სისტემებში საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციას ასრულებს უზენაესი სასამართლო და არ არსებობს სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო გამიჯნული ჩვეულებრივი სასამართლო სისტემისაგან. ასეთი ქვეყნებია: აშშ, შვეიცარია, შვედეთი, დანია, ფინეთი, ნორვეგია, ესტონეთი, ირლანდია, ისლანდია და სხვ.

46 “ამატ.კ” და მეზალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ”. 2005 წლის 27 სექტემბერი. §47.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომელიც ქართულ ოფიციალურ თარგმანში სახელდება „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებად“, მოიაზრება გამოძიების, სასამართლო განხილვისა და აღსრულების მთლიანი პროცესი. აღნიშნული თარგმანი უზუსტობად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ამ მუხლისათვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დასათაურებით, იკვეცება ადამიანის უფლებები და დაიყვანება მხოლოდ სასამართლო პროცესზე.<sup>47</sup> უფრო ზუსტი იქნება, თუ კონვენციის აღნიშნულ მუხლს ვთარგმნით როგორც „საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას“, ვინაიდან სახელმწიფოს არა მხოლოდ სასამართლო პროცესზე აქვს საქმის სამართლიანად განხილვის ვალდებულება, არამედ მისი წარმოების ყველა ეტაპზე.<sup>48</sup>

ამგვარად, მართლმსაჯულება არ არის სამართლიანობის მომცველი ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი მართლმსაჯულება (მართალი მსაჯულება) მართლად (სამართლიანად) მსაჯულებას (განსჯას) მოითხოვს, რაც სასამართლომ უნდა აღასრულოს (იგი მიეკუთვნება უნდასმიერ ვატეგორიას), მართლმსაჯულება არის მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, რომელიც შეიძლება უსამართლოდაც განხორციელდეს. მართალია, მართლმსაჯულება მიზნად ისახავს სასამართლო მიზანს – სამართლიანობას, მაგრამ შეიძლება მოხდეს სამართლის გამრუდება და მართლმსაჯულება აღმოჩნდეს უსამართლო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ისეთი ტერმინის გამოყენება და დამკვიდრება, როგორცაა სამართლიანი (სწორი) მართლმსაჯულება, რაც გამორიცხავს სამართლის გამრუდებას და გულისხმობს სამართლიანობის დამკვიდრებას სასამართლოს მიერ.

მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება სასამართლოს ძირითადი ფუნქციაა, მაგრამ სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე სხვა ფუნქციებიც, როგორცაა სამართლის ნორმის განმარტება, იურიდიული ფაქტების დადასტურება და სამართლის პროპაგანდა. საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს ასევე სამართალშემოქმედების ფუნქციაც.

სამართლის ნორმის განმარტება საზღვარგარეთის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობის სფეროა და მათ სავალდებულო ძალა აქვთ სხვა სასამართლოებისათვის, ანუ წარმოადგენენ ლეგალური განმარტების სახესხვაობას.<sup>49</sup> სამართლის ნორმის ინტერპრეტაციას ახორციელებენ საერთაშორისო სასამართლოები, რაც ამ ფუნქციის მომეტებულ მნიშვნელობაზე

47 ფრანგულ ტექსტში მე-6 მუხლი ფორმულირებულია, როგორც: *procès équitable*, რაც გულისხმობს სწორად, სამართლიანად წარმართულ პროცესს, მასში იგულისხმება როგორც სასამართლო, ისე გამოძიებისა და აღსრულების პროცესებიც. ქართულში ნათარგმნი ინგლისური ტექსტიდან – *Right to a fair trial* – სადაც ინგლისური ტექსტი სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი.

48 საქმის სამართლიანი განხილვის უფლებად არის ნათარგმნი აღნიშნული მუხლი ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით გამოქვეყნებულ ტექსტში, რომელიც გამოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. თბილისი, 2004. გვ. 18.

49 მელქაძე ო. დვალი ბ. *სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში*. მსოფლიო პარლამენტარიაზმის კვლევითი ცენტრი. თბილისი. მერანი-3. 2000 წ. გვ. 17.

მეტყველებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქცია კონვენციის ტექსტის ინტერპრეტაციაა, რომელსაც ხშირად მიმართავს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. კონვენციის ინტერპრეტაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ კონვენციის რომელიმე ნაწილის განმარტებას. მაგალითად, სასამართლომ ინტერპრეტაციის შედეგად გააფართოვა კონვენციის მე-8 მუხლის საზღვრები, რომელიც იცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მიიჩნია, რომ პირადი ცხოვრების უფლება გულისხმობს ასევე ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლებას. მაშასადამე, კონვენციაში არაპირდაპირ იქნა შემოტანილი ეკოლოგიური უფლებები.<sup>50</sup>

საერთაშორისო სასამართლოებს აქვთ ისეთი სპეციფიკური ფუნქციაც, როგორცაა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა. ამ ფუნქციის არსებობა საერთაშორისო სასამართლოებში განპირობებულია იმით, რომ ისინი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით არიან შექმნილნი. გამომდინარე იქედან, რომ პოლიტიკურმა ორგანომ შეიძლება სწორად ვერ გადაწყვიტოს სამართლებრივი საკითხი, იგი მიმართავს თავის სტრუქტურულ იურიდიულ ერთეულს – სასამართლოს, კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად სამართლებრივი განმარტების მისაღებად.

ამგვარად, სასამართლო ფუნქცია არ უნდა გავიგვივით მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან. მართალია, მართლმსაჯულების განხორციელებას სასამართლოს ფუნქციებს შორის ძირითადი ადგილი უჭირავს, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი, ხოლო თავად მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთადერთი ფორმაა. არ შეიძლება მართლმსაჯულება განახორციელოს რომელიმე სხვა ორგანომ. *„მხოლოდ სასამართლოს შეუძლია პასუხისგებაში მიცემა და განსაკუთრებით დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით დასჯა; ყოველი უფლება უნდა იყოს სასამართლოში რეალიზებადი; გარანტირებული უნდა იყოს ყოველი სამართალდარღვევის გასაჩივრების შესაძლებლობა მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე“.*<sup>51</sup>

\* \* \*

სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულება და სამართლიანობის დამკვიდრება, რომელსაც სასამართლო ახორციელებს, მშვიდობისა და კეთილდღეობის საწინდარია. სამართლიანობისა და მშვიდობის ვავშირი აღიარებულია გაეროს წესდების პრეამბულაში, სადაც იქნა მიღწეული შეთანხმება, რომ *„შევექმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდი-*

50 სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის გამონაბოლქვით გარემოს დაბინძურება, რითაც ზიანი ადგებოდა ადამიანების პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააადგინა, რომ „გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ, შეიძლება მართლაც მოახდინოს გავლენა ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს თავიანთი საცხოვრებელი სარგებლობაში; ეს კი უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაზე მიუხედავად იმისა, აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ“. López Ostra c. Espagne, 9 décembre 1994. § 51.

51 შაიო ანდრაშ. *ხელისუფლების თვითშემლუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი*. სტივენ ჰოლმის წინათქმით. თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქცია. „სებანი“. 2003 წ. გვ. 270.

ან სამართლიანობიდან და საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი პატივისცემის დაცვას“.<sup>52</sup>

ქვეყანაში, სადაც მართლმსაჯულების საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნები და ღირებულებები ირღვევა, არ არსებობს ადამიანთა თავისუფლება და საზოგადოება ღრმა კრიზისს განიცდის, ვინაიდან ყველანაირ სიდუხჭირესა და შეჭირვებას უფრო ეგუება ადამიანი, ვიდრე უსამართლობას. „მის მიმართ შინაგანი პროტესტი ხომ თვით ადამიანური რაობის თანაარსია. იგი ადვილად ჩნდება და არც მაშინ არის გამქრალი, როდესაც არ, ან ვერ ვპოვებს გარეგნულ გამოხატულებას. აქედან, ის დათრგუნვილი დაძაბულობა, რომელიც მარად ფეთქებად ვითარებას წარმოშობს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების მშვიდობას, სტაბილურობასა და კეთილდღეობას“.<sup>53</sup>

სამართლიანობა უკავშირდება არამართო ადამიანის თავისუფლებას, არამედ საზოგადოების განვითარების ყელა მხარეს (მათ შორის მატერიალურ მხარესაც). თემიდას ქანდაკებაზე გამოსახული სიუხვის რქაც ხომ ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

კანონის წინაშე თანასწორობას საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედს უწოდებს ილია ჭავჭავაძე. იგი აღარებს ირანსა და შოტლანდიას და ირანის ეკონომიკური სიდუხჭირისა და ჩამორჩენილობის მიზეზად, მიუხედავად იმისა, რომ მას გაცილებით მეტი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს, სწორედ სამართლიანობის დეფიციტს ასახელებს: „ბუნებამ რაც არ უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე... მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“.<sup>54</sup>

მართალია, თანამდეროვე ეპოქაშიც ადამიანთა დიდ ნაწილს უჭირს სამართლის პოვნა სასამართლოში, მაგრამ საერთაშორისო სამართალში დაგროვილი და დღესდღეობით ცივილიზებულ სამყაროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც წარედგინება სასამართლოსა და მართლმსაჯულებას, საერთაშორისო დონეზე მათი შესრულება და ეროვნულ სასამართლოებში იმპლემენტაცია, უდავოდ აქცევს სასამართლოს ადამიანის შელახული უფლებების აღდგენის მთავარ გარანტორად და განსაზღვრავს სამართლიანობის მდგომარეობას სახელმწიფოში.

52 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების (შემდგომში: გაეროს წესდება) პრეამბულა. 1945 წ. სან-ფრანცისკო.

53 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია. თბილისი. 2010. გვ. 10.

54 ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი. “ივერია” 1877 წლის 3 მარტი N1.



### §3. მართლმსაჯულების კულტუროლოგიური გააზრება

იმ პრინციპების დასაცავად, რასაც საერთაშორისო მართლმსაჯულება ამკვიდრებს, მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების არსებობა როდი კმარა. იმისათვის, რომ ეროვნულ სამართალში რეალურად მოხდეს ამ ღირებულებების იმპლემენტაცია და ისინი მართლმსაჯულების განხორციელების უპირობო მოთხოვნებად ჩამოყალიბდნენ, აუცილებელია მათი გაჯერება და შესისხლხორცება არა მხოლოდ ხელისუფლების რომელიმე განშტოებაში ან რომელიმე ჯგუფში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში. საზოგადოების მაღალი სამართლებრივი კულტურა, უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ ნოციერ ნიადაგად ამ მოთხოვნათა მიღებისა და დამკვიდრებისათვის.

სამართლებრივი კულტურა ეს არის ინდივიდის, გარკვეული სოციალური ჯგუფის, მთლიანად საზოგადოების გაჯერებულობა იმ იდეებით, პრინციპებითა და ტრადიციებით, რომლებიც სამართლის არსს შეადგენენ. ეს არის საზოგადოების წევრების პატივისცემა სამართლისადმი, რომლის ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამართლებრივი აღზრდა, სამართლებრივი სწავლება და განათლება.<sup>55</sup>

სამართლებრივი კულტურისაგან უნდა განვასხვავოთ სამართლებრივი თვითშეგნება, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ სამართლის მხოლოდ ინტელექტუალურ დონეზე გაცნობას. ადამიანს შეიძლება კარგად ჰქონდეს შეგნებული, რომ უნდა დაიცვას კანონი, მაგრამ არადა დაგიდევს და პატივს არ სცემს მას. ამგვარად, საზოგადოებაში, ისევე როგორც ცალკეულ ადამიანში, შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი თვითშეგნება, მაგრამ მას არ გააჩნდეს სამართლებრივი კულტურა.

სამართლებრივი კულტურა, ისევე როგორც კულტურის ნებისმიერი სხვა სახის გამოვლინება, ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის ნაყოფია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ თვით სამართალი წარმოადგენს ადამიანური შემოქმედების ნაყოფს. მართალია, სამართალში ბევრი რამ ბუნებისაგან წარმოსდგება, მაგრამ არის ნორმები, რომლებიც ადამიანის მიერაა დადგენილი, ამასთანავე, ბუნებისაგან ნაბოძებ უფლებასაც სჭირდება ადამიანის ხელი, მაგალითად, სიცოცხლის უფლება ბუნებისგანაა ნაბოძები, მაგრამ მის დასაცავად აუცილებელია ტექნიკური ნორმებისა და გარანტიების შექმნა, რომლებსაც ადამიანი ადგენს და სავალდებულოდ ხდის მათ შესრულებას, ამგვარად, ტექნიკურად აწესრიგებს და ორგანიზაციას ახდენს იმისა, რაც ბუნებისაგან წარმოდგება.

<sup>55</sup> უგრეხელიძე მ. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. საჯარო ლექცია: „სამართალი და მართლმსაჯულება“. 26/07/2014

ფაქტს, რომ სამართალი ადამიანური შემოქმედების ნაყოფია, თვალსაჩინოდ დავინახავთ, თუ შევადარებთ სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში მის თავისებურებებს. ამგვარი შედარებით აშკარად იკვეთება სამართალში ადამიანური შემოქმედების კვალი. მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი სამართლებრივი ნორმა, როგორცაა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. თუ ჩვენ შევადარებთ ამ ნორმას სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში, დავინახავთ რომ განსხვავებულია ამ საკითხის მიმართ ადამიანური მიდგომები: ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის სახედ მიღებულია ჩამოხრჩობა<sup>56</sup>, ზოგან კი დენის სკამზე დასმა<sup>57</sup>. არსებობს ასევე სიკვდილით დასჯის სხვა სახეები: დახვრეტა, ქვებით ჩაქოლვა, მომაკვდინებელი ინექცია და სხვ.

რაც შეეხება ეპოქებს, სიკვდილით დასჯა ზოგიერთ ქვეყანაში გაუქმდა ათეული წლის წინ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს.<sup>58</sup>

შესაბამისად, ქვეყნებისა და ეპოქების მიხედვით, ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ განსხვავებას ქმნის ადამიანი, როგორც სამართლებრივი კულტურის უდავო შემოქმედი.

სამართლებრივი კულტურის მდიდარი ტრადიციები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას. აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი უნიკალური ეროვნული მექანიზმები, როგორცაა: ინგლისის „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (1215), „პეტიცია უფლებათა შესახებ“ (1628), ჰაბეას კორპუსის აქტი (1679)<sup>59</sup>, „უფლებათა ბილი“ (1689), საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (1789), აშშ-ს „უფლებათა ბილი“ (1791), გერმანიის სამოსამართლო მოწყობის საბაზო აქტი (1877), ასეთივე საბაზო აქტი იტალიაში (1941).

რაც შეეხება საქართველოს, იგი ოდითგანვე გამოირჩეოდა მაღალი სამართლებრივი კულტურით. ქართული სამართალი ამდიდრებდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ სამართალს ებრაული, ბერძნული, რომაული, სომხური, არაბული თუ სხვა სამართლებრივი კულტურით და იღებდა სამართლებრივი კულტურის საუკეთესო სინთეზს.

ქართული სამართლებრივი კულტურის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ ძველი ქართული სამართალი ითვალისწინებდა უფრო მძიმე სასჯელს განმეორებითი, მძიმე შედეგით დასრულებული, დამამძიმებელი გარემოებებისა და თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ასევე

56 ჩამოხრჩობა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად: ავღანეთში, იაპონიაში, ირანში, ერაყში და ამერიკის რამდენიმე შტატში.

57 სიკვდილით დასჯის ეს ფორმა გამოიყენება აშშ-ს ექვს შტატში, ესენია: ფლორიდა, კენტუკი, ალაბამა, სამხრეთ კაროლინა, ვირჯინია და ტენესი.

58 საქართველოში სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე მე-12 საუკუნეში ითქვა უარი, როგორც ადამიანისათვის მიუღებელ ქმედებზე (წყარო: ხეცურიანი ჯ. *ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში*. თბილისი. 2011. გვ.115). კომუნისტური წყობილების დანგრევის შემდგომ მხოლოდ ზოგიერთ დანაშაულზე გაუქმდა სიკვდილით დასჯა 1990 წელს, ხოლო 1997 წლიდან საქართველოს კანონმდებლობამ ყველა სახის დანაშაულზე აკრძალა სიკვდილით დასჯა. ევროპის უმეტეს ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

59 *habeas corpus* უკავშირდება სამართლებრივ კულტურას, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს სასამართლოს წინაშე.

ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ყმას ჰქონდა უფლება მოეკლა ბატონი ოჯახური სინმინდის შეურაცხყოფისათვის.<sup>60</sup> ამგვარი დაშვება წარმოუდგენელი იყო ფეოდალური კანონმდებლობისათვის. აღნიშნული ცხადად მოწმობს, რომ ზოგჯერ ხერხდებოდა და სამართლის უგნაესობა უფრო მალა იდგა, ვიდრე ფეოდალური პრივილეგიები.

მიუხედავად სამართლის მდიდარი ტრადიციებისა, თანამედროვე ქართული სამართლებრივი კულტურა დღესდღეობით ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე; ამის შეფასების ყველაზე ზუსტი ინდიკატორი კი სწორედ სასამართლოა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ბოლო წლების სამართლებრივი დასკვნები მართლმსაჯულების თემაზე, რომელთა მიხედვითაც ქვეყანაში დამკვიდრებული იყო მოსამართლეთა მხრიდან პროკურორებისადმი მორჩილების ტენდენცია. „სხდომაზე სასამართლო ყოველთვის აკმაყოფილებდა პროკურორთა შუამდგომლობას მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის შესახებ, თუმცა დაცვის მხარესთან მიმართებით, ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ამას პროკურორი ეთანხმებოდა“.<sup>61</sup>

ადგილი ჰქონდა პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, რასაც სისტემური ხასიათი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან. წამება და არაადამიანური მოპყრობა არა მხოლოდ საპატიმროებში იყო გავრცელებული, არამედ ხდებოდა პოლიციის იზოლაციორებსა და სამმართველოებშიც.<sup>62</sup>

მართლმსაჯულების სფეროში მძიმე დარღვევებია ასახული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2008<sup>63</sup>, 2009<sup>64</sup>, 2010<sup>65</sup> და 2011<sup>66</sup> წლების ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიშებში.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს მართლმსაჯულების სისტემაში, კერძოდ: სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების დარღვევის სისტემატურ ფაქტებს, არცერთი აღნიშნული ფაქტი არ იყო დროულად და ეფექტიანად გამოძიებული, ადგილი ჰქონდა პატიმართა უფლებების დარღვევებს, ადვოკატებს არ ეძლეოდათ დაცვის საშუალებები, გამოყენებული იყო არათანაბარზომიერად გრძელვადიანი საპატიმრო სასჯელები, სასამართლოები სისტემატურად და სათანადო დასაბუთების გარეშე უარს ამბობდნენ დაცვის მხარის იმ შუამდგომლობებზე,

60 იხ. მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. გვ. 229.

61 სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (JILEP) ფარგლებში საიას-ს მიერ განხორციელებული სასამართლო მონიტორინგი. პროექტის ხანგრძლივობა 06.12.2010-30.09.2014. [https://gyla.ge/geo/effective\\_governance/monitoring\\_of\\_trials/maft](https://gyla.ge/geo/effective_governance/monitoring_of_trials/maft)

62 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2012. გვ. 10-287. იხ. <http://www.ombudsman.ge>

63 [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2008-human-rights-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2008-human-rights-georgian.pdf)

64 [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2009-human-rights-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2009-human-rights-georgian.pdf)

65 [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf)

66 <http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm#wrapper>

რომლებიც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დადგენასა და შეფასებას მოითხოვდა, გამამართლებელი განაჩენების საშუალო მაჩვენებელი პირველი ინსტანციის სასამართლოებში იყო 0.2%, (ე.ი. ყოველი 1000 ადამიანიდან, რომლებსაც ბრალდება წაყენათ, მხოლოდ ორი ადამიანი გამართლდა სასამართლო მოსმენების შემდეგ), ხოლო პირველი ინსტანციის თბილისის საქალაქო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი – 0.04%.<sup>67</sup>

ცხადია, სამართლებრივი შეცდომის მსხვერპლს არ ექნება იმ სასამართლოში საკუთარი სიმართლის დამტკიცების იმედი, სადაც ბრალდებულის გამართლება მხოლოდ 0.2%-ში ხდება.

სამართლებრივი დეკადანსის უტყუარი მტკიცებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები, სადაც სახელმწიფოს სისტემურ ხარვეზებზეა ყურადღება გამახვილებული. მაგალითად, საქმეში ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლო მიუთითებს არა მხოლოდ ერთი სახელმწიფო უწყების დანაშაულზე, არამედ ხაზს უსვამს, რომ დანაშაულის დასაფარად მობილიზებული იყო მთლიანი სახელმწიფო აპარატი: „სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ... რათა ამ საშინელი მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო“.<sup>68</sup>

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების სხვადასხვა განმტოების მიერ შეთანხმებული მოქმედება მოიცავდა შსს-ს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასამართლოს უკანონო ქმედებებს, რაც დასრულდა პრეზიდენტის „გაუმართლებელი ღმობიერებით“ მსჯავრდებულთა მიმართ, როდესაც მან 2008 წელს შეიწყალა ისინი და სასჯელი გაუნახევრა.

მსგავსი უკანონო ქმედებები სასამართლოს მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ სასამართლო გახდა ადამიანთა მიმართ განხორციელებული უკანონობის მთავარი შემომქმედი, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლო გარკვეული პოლიტიკური ძალის ნების აღსრულების იარაღად იყო ქცეული.

\* \* \*

ამგვარად, ქვეყანაში არსებული სამართლებრივი კულტურის დონე სარკესავით აირეკლება სასამართლოზე, ვინაიდან საბოლოო სიტყვა სწორედ მასზეა მიხედობილი. მაღალი სამართლებრივი კულტურა ქმნის სასამართლო ღირებულებების მაღალ სტანდარტებს და გვევლინება მისი დაცვის ერთ-ერთ გარანტორად. შესაბამისად, თუ საზოგადოება განიცდის სამართლებრივი

67 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ტომას ჰამარბერგის ანგარიში –მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011. თავი IV, ქვეთავი 1, § 82.

68 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. სტრასბურგი. 26/06/2011. § 276.

კულტურის დეფიციტს, ასეთ შემთხვევაში ვერც სასამართლო იქნება მაღალი სამართლებრივი კულტურის ეტალონი.

რათა აღსრულდეს სწორი მართლმსაჯულება და სამართალმა იზეიმოს, აუცილებელია საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის ამაღლება და დამკვიდრება. სამართლებრივი კულტურის ფორმირების პროცესის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამართლებრივი აგიტაცია, პროპაგანდა, აღზრდა, სწავლება, განათლება და ახალ-ახალი ფორმები, რომლებიც გზადაგზა წარმოიშობა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების პროცესში.

## §4. საერთაშორისო მართლმსაჯულების სათავაშობთან

XX საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო სამართლის მთავარ ობიექტად ადამიანი იქნა აღიარებული. თუ მანამდე საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტი სახელმწიფოს ენიჭებოდა, უკვე ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ღირებულებების აღიარება და დამკვიდრება დგება დღის წესრიგში. საჭირო გახდა, შექმნილიყო შიდა სტანდარტებზე მაღლა მდგარი ორგანო, რომელიც თავისი როლითა და ფუნქციით უნივერსალური და შიდა სახელისუფლებო გავლენებისაგან სრულიად თავისუფალი იქნებოდა.

ამ დროისათვის ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უკვე გადადგმული იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯები. საჭირო იყო ამ უფლებების დაცვის საერთაშორისო გარანტიების შექმნა და მათი სრულყოფა. თუ მანამდე ყველაფერი დამოკიდებული იყო სახელმწიფოს კეთილსინდისიერებაზე, დღის წესრიგში დადგა სანქციების დაწესება საერთაშორისო დონეზე, რომელიც სამართალდამრღვევ მხარეს გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებდა როგორც ქვეყნის შიგნით თავისი მოქალაქეების უფლებების დასაცავად, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად.

მაშასადამე, საერთაშორისო საზოგადოებამ გადაწყვიტა კოლექტიური საშუალებებით დაეცვა ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვაც ეროვნულ სასამართლოებში ნაკლებად იყო შესაძლებელი.

საერთაშორისო მართლმსაჯულების შექმნის პირველ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ 1899 და 1907 წლების ჰააგის მშვიდობის საერთაშორისო კონფერენციები. აღნიშნულ კონფერენციებზე იმსჯელეს ომის წამოწყების მიზეზებზე, მოხდა შეთანხმება ძალის გამოყენების აკრძალვაზე სახელმწიფოთა შორის ვალეების გადაუხდელობის გამო, სამხედრო ტყვეების მიმართ აკრძალა არაადამიანური მოპყრობა, ასევე ომში მოწინააღმდეგე მხარის საკუთრების განადგურება და შეუიარაღებელი ან უვნარო მტრის განადგურება, დაუცველ ქალაქებსა და სოფლებზე თავდასხმა, მოროდორობა, გამოძიების გარეშე სამხედრო ჯაშუშების გასამართლება და სხვ.<sup>69</sup>

მაგრამ აღნიშნული აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი მხარეებს შორის ვერ იქნა მიღწეული. მათი შესრულება კვლავ სახელმწიფოთა კეთილ ნებას იყო მინდობილი. აღნიშნულ კონფერენციებს აკლდათ ძალისხმევა უთანხმოების მშვიდობიანად მოგვარების სისტემის ჩამოსაყალიბებლად. „ჰააგის კონფერენციები იყო პირველი ემბრიონი ნამდვილი მსოფლიო „ინსტიტუციური

69 Convention de la Haye 1907. Convention (IV) concernant les lois et coutumes de la guerre sur terre et son Annexe: Règlement concernant les lois et coutumes de la guerre sur terre. La Haye, 18 octobre 1907. Art. 3, 23, 25, 28, 47.

ნესრიგის“ დამყარებისა, მაგრამ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ევროპის ოციოდე სახელმწიფოთი ვიწრო „ევროპულ სცენაზე“ და ორიენტირებული იყო ძლიერ ევროპულ მოთამაშეებზე, ამიტომაც იგი მეტად მყოფე და არასაკმარისი აღმოჩნდა“. <sup>70</sup>

შემდგომში საერთაშორისო სასამართლო ჩნდება ერთა ლიგის წიაღში მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს სახით, რომლის სტატუტიც ძალაში შევიდა 1921 წელს. <sup>71</sup>

წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, ერთა ლიგა, აზროვნების ფუნდამენტურ ცვლილებად შეიძლება მივიჩნიოთ. მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნა უკავშირდება გერმანიის ყოფილი იმპერატორის, კაიზერ გიომ II-ის მიერ ომის წამოწყებასა და სამხედრო დანაშაულებისათვის გასამართლების მცდელობას, ერთა ლიგის ეს წამოწყება მკვდრადშობილ იდეად დარჩა ჰოლანდიის უარის გამო, რომელიც 1914-1918 წლებში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. <sup>72</sup> აღნიშნულმა სასამართლომ ვერ შეასრულა მისია, ყოფილიყო სამართლიანობის სადარაჯოზე და დამსახურებული პასუხი მიეგო მათთვის, ვინც ომი და სისხლისღვრა წამოიწყო. ჰააგის კონფერენციების შემდგომ, იგი წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების მიერ ერთიანი ძალებით სამართლიანობის აღსრულების მცდელობას. ამ ორგანიზაციას არასოდეს მიუმართავს იძულებითი ზომებისათვის იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთა ქმედებებიც მის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სტატუტის დარღვევის შემთხვევაში გარკვეულ სანქციებს ითვალისწინებდა. მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლო გაუქმდა 1946 წელს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ძლიერი მოთამაშეების იმპერიალისტური ზრახვების შესაჩერებლად უძლეური ინსტიტუცია აღმოჩნდა.

შემდგომში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც მისი პირდაპირი მემკვიდრეა, თავისი როლი შეასრულა 1945 წლის წესდებაში, როგორც „გაერთიანებული ერების ძირითადმა იურიდიულმა ორგანომ.“ <sup>73</sup> ახალი სასამართლოთი ჩანაცვლება არ ნიშნავს იმავე უმოქმედო ხაზის გაგრძელებას. გაეროს მართლმსაჯულების სასამართლო ბევრად უფრო დახვეწილი, ჩამოყალიბებული და ქმედითი იურისდიქციაა, ვიდრე ეს ერთა ლიგის სასამართლო იყო. აღნიშნული გაძლიერება განპირობებულია მისი ფუნქციების მკაფიო განსაზღვრით. თუ მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი ერთა ლიგის პაქტისაგან ცალკე აღებულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა და მონაწილე სახელმწიფოთა განსხვავებულ წრეს მოიცავდა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი თვით გაეროს წესდების დანართის სახითაა წარმოდგენილი. ეს არის აშკარა პროგრესი, ვინაიდან ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის წევრს წარმოადგენს *ipso facto*. <sup>74</sup>

70 Decaux, E. Droit international public, DALLOZ, 5 e edition, 2006. § 7.

71 Pacte de la Société des Nations. Traité de Versailles de 1919. Article 14.

72 ib. Decaux, E. § 210.

73 ib. გაეროს წესდება. მუხ. 92.

74 ib. გაეროს წესდება. მუხ. 93.

\* \* \*

აღნიშნული დიდი საერთაშორისო იურისდიქციები, მიუხედავად მათი ავტორიტეტისა, ვერ განიხილავდნენ მსოფლიოში გავრცელებულ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებს. კონკრეტულ შემთხვევებში აუცილებელი ხდებოდა ცალკეული ad hoc ტრიბუნალების შექმნა, რათა გაესამართლებინათ საერთაშორისო დამნაშავენი.

მაგრამ ad hoc სასამართლოების შექმნით აშკარა იყო, რომ საერთაშორისო საჯიროებები ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა და საჯირო იყო მუდმივმოქმედი საკონტროლო ორგანო, რომელიც სახელმწიფოზე მაღლა მდგომი იქნებოდა და დაიცავდა კაცობრიობას ათასი ჯურის მოძალადისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართალი „ლიტონ მოწოდებად ან ქადილად შეიძლება ქცეულიყო“.<sup>75</sup>

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება მიღებულ იქნა რომში 1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე და ძალაში შევიდა 2002 წლიდან. აღნიშნული სასამართლო წარმოადგენს მუდმივმოქმედ, დამოუკიდებელ საერთაშორისო იურისდიქციას. იგი არ ფუნქციონირებს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით და განიხილავს მხოლოდ შემდეგ საერთაშორისო დანაშაულებს: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და აგრესია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსაკუთრებულობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი ფლობს აღსრულების მექანიზმს, რაც უცხოა სხვა საერთაშორისო სასამართლოებისათვის. მაგრამ, აღსრულების მთავარი პირობა მაინც არის რომის სტატუტზე მიერთება, ანუ სახელმწიფოს ნება, შეუერთდეს და იკისროს წესდებით გათვალისწინებული ყველა პასუხისმგებლობა.

\* \* \*

პარალელურად რეგიონულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, თავიანთი ტრადიციებიდან გამომდინარე, მთელი თავისი ძალისხმევა მიმართეს ადამიანის უფლებების გარანტიისა და განვითარებისაკენ. მათი ეს ძალისხმევა არა თუ არ ეწინააღმდეგება გაეროს უნივერსალურ წამოწყებას, არამედ პირიქით, მისი დანამატია. კონკურენციის პირობებში გამოსავალი ადამიანის უფლების ყველაზე უფრო მისაღები და ხელსაყრელი მექანიზმების გამოყენებაშია.

ამ რეგიონულ ორგანიზაციებს შორის, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ევროსაბჭომ მოწინავე როლი ითამაშა. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეს ორგანიზაცია ავითარებს ადამიანის უფლებების დაცვის იმ მნიშვნელოვან მონაპოვარსა და ღირებულებებს, რომელთა დაცვა თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან და აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ევროსაბჭოში ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ სისტემას წარმოადგენს

<sup>75</sup> უგრეხელიძე მ. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის სათავეებთან. ჟურნ. „მართლმსაჯულება“. 2008. N1. გვ. 13.



კონვენცია,<sup>76</sup> რომელმაც გვერდით დაიყენა სასამართლო. მაშასადამე, შეიქმნა ორგანო, რომელიც კონვენციის დარღვევის შემთხვევაში მართლმსაჯულებას განახორციელებს.

ამ სუპერნაციონალური სასამართლოების ჩამოყალიბებით საფუძველი ჩაეყარა ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის მძლავრ მექანიზმს. მკაცრად განისაზღვრა საერთაშორისო სასამართლოს დანიშნულება და მისი ფუნქციები. ჩამოყალიბდა სასამართლო პრინციპები, რომლებიც სხვადასხვა აქტით განმტკიცდა.

\* \* \*

მაშასადამე, საერთაშორისო სასამართლოებში თავმოყრილია მსოფლიო ცივილიზაციების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და სხვადასხვა კულტურისა და სივრცის ხალხში გაბნეული საუკეთესო სამართლებრივი ტრადიციები. განვითარებისა და კვლევის შემდგომ პროცესში, დროისა და ვითარების გათვალისწინებით, შესაძლოა მოხდეს ამ პრინციპების შევსება და განახლება.

განსახილველი პრინციპები აღიარებულია ადამიანის უფლებათა შესახებ ყველა საერთაშორისო აქტში. მათი აღიარება და ეროვნულ სასამართლოებში იმპლემენტაცია ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის სავალდებულო მოთხოვნად იქცა. ისინი გავლენას ახდენენ ეროვნულ სასამართლოებზე, თუმცა ამავედროულად თავადაც განიცდიან ეროვნული სასამართლო სისტემების გავლენას.

დღესდღეობით მსოფლიოში ათეულობით საერთაშორისო სასამართლო არსებობს კვაში სასამართლოების ჩათვლით. აღნიშნული მაღალი იურისდიქციები განუხრელად იცავენ იმ პრინციპებს, რაც მათ მიერვე არის შეკრებილი და დამკვიდრებული. ისინი განიხილავენ არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებს, არამედ არეგულირებენ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით.

---

<sup>76</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი. რომი (შემდგომში: ევროპული კონვენცია).

# არსებული მდგომარეობის შეღებვითი ანალიზი (კომპარატივიანი)

# 2

## §1. სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სასამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგი მართლმსაჯულების ფუძემდებლურ პრინციპად შეიძლება ვაღიაროთ, ვინაიდან, თუ ეს პრინციპი დაირღვა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი შეირყა, ყველა სხვა პრინციპი ინერტული და აზრს მოკლებული აღმოჩნდება. შეუძლებელია ვიმსჯელოთ სასამართლოს მიუკერძოებლობაზე ან ქმედითობაზე, თუ მისი დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დადგა. შესაბამისად, ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც სასამართლოს წარედგინება, სწორედ მისი დამოუკიდებელი ბუნებიდან მომდინარეობს. „მიგზი, თუ რატომ არის სასამართლოს დამოუკიდებლობა ასეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, არის ის, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინა თავისუფალი, როდესაც მასში ბატონობს სამართალი და კანონი... რომლებიც ერთნაირად ზღუდავენ მათ, ვინც მართავს, და მათაც, ვისაც მართავენ... ამ საპასუხისმგებლო ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელია, რომ მოსამართლეები იყვნენ დამოუკიდებლები და ასეთებად აღიქმებოდნენ“.<sup>77</sup>

აღნიშნული პრინციპის დაცვა სავალდებულოა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. „არც კანონმდებელს და არც მთავრობას არ შეუძლიათ ... სასამართლოებისათვის მითითებების მიცემა ან მათი ჩანაცვლება“.<sup>78</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპი არის ერთ-ერთი მთავარი პირობა იმისათვის, რომ სასამართლო ხელისუფლებამ საზოგადოების მიმართ ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს. „დამოუკიდებლობა არის... ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რომელიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას – ენდონ სასამართლო სისტემას“.<sup>79</sup>

77 Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, "Judicial Independence", The Australian Judicial Conference, 2 November 1996, Canberra. High Court of Australia. ob. [www.hcourt.gov.au](http://www.hcourt.gov.au)

78 პეტე პიერ. *ფრანგული კონსტიტუციური სამართალი*. ფერდინან მელენ-სუკრამიანი. 28-ე გამოცემა. თსუ გამომცემლობა. 2012. გვ. 809.

79 Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies), Preamble.

დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ უფლება, არამედ იგი სასამართლოს ვალდებულებაცაა, რომელიც აკისრია მოსამართლეს, იმ ადამიანთა დაცვის მიზნით, ვინც სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართავს. „დამოუკიდებლობა... არ არის პრივილეგია, რომელიც მოსამართლეს მინიჭებული აქვს მისივე ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ დაიცვას კანონის უზენაესობის და იმ ადამიანების ინტერესები, ვინც ეძებს სამართლიანობას და აქვს მისი მიღების მოლოდინი“.<sup>80</sup>

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვისგან ან რისგან უნდა იყოს სასამართლო დამოუკიდებელი? რა თქმა უნდა, ხელისუფლების სხვა განშტოებებისაგან (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისაგან), შიდა ადმინისტრაციული გავლენებისაგან, ასევე მხარეებისა და ყველა სხვა პირისაგან.

მაშასადამე, სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ იგი არის ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი განშტოება, რომლის გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ახდენენ ვერც გარე ფაქტორები – სხვა სახელისუფლებო განშტოებები, ფიზიკური თუ იურიდიული პირები, და ვერც სასამართლოს შიდა სტრუქტურული ადმინისტრაცია. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს ბალანსი სასამართლოს ანგარიშვალდებულებასა და მის დამოუკიდებლობას შორის.

## 1.1. პრინციპის საერთაშორისო აღიარება

სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო დონეზე აღიარება XX საუკუნის შუა წლებამდე არ მომხდარა. პირველი საერთაშორისო აქტი, რომელმაც სასამართლოს ეს ძირითადი ღირებულება აღიარა, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ იქნა მიღებული. დეკლარაციის თანახმად, „ყოველ ადამიანს მისი უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის... აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“.<sup>81</sup>

აღნიშნული დოკუმენტი არის დეკლარაცია და არა იურიდიულად სავალდებულო სამართლებრივი აქტი, თუმცა, დეკლარაციის დებულებები, შეიძლება, ვალდებულებების სახით მაინც დაეკისროთ სახელმწიფოებს ჩვეულების საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკის წყალობით.

1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით: „თითოეულს აქვს უფლება, რომ მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან

80 იქვე.

81 გაეროს გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხ. 10.

რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.<sup>82</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სწორი მართლმსაჯულების ფუნდამენტი, განმტკიცებულ იქნა გაეროს 1985 წლის დოკუმენტში „ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“. სასამართლოს დამოუკიდებლობა აღნიშნულ დოკუმენტში ფართო გაგებით არის მოცემული, ვინაიდან მასში ასახულია მართლმსაჯულების განხორციელების სხვა პრინციპებიც, რომელთა დაცვა საერთო ჯამში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, „სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას“.<sup>83</sup>

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მთავარ პრინციპად მიიჩნევა სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც სასამართლოს უპირველეს ღირებულებად დასახელებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა: „სასამართლო დამოუკიდებლობა არის ... სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური გარანტიის წინაპირობა“.<sup>84</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი აღიარებულია ასევე რეგიონული საერთაშორისო აქტებით. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს დამოუკიდებლობას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოდ აცხადებს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას საქმე გონივრულ ვადებში, სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“.<sup>85</sup>

კონვენციის აღნიშნული მუხლი სასამართლოს დამოუკიდებლობის ქვაკუთხედად აღიქმება არა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის.

82 გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მუხლი 14(1).

83 სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. მიღებული გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ. მილანი. 1985 წლის 26 აგვისტო-6 სექტემბერი. ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით. §1. შემდგომში: სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები.

84 ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს. შემდგომში: ბანგალორის სამოსამართლო ქცევის კოდექსი

85 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. მუხ. ნ. §1. შემდგომში: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ან ევროპული კონვენცია.

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი დაცულია ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, მისი საქმე სათანადო გარანტიებითა და გონივრულ ვადებში მოისმინოს კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“.<sup>86</sup>

ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტიის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნეს. ამას განეკუთვნება: ... (ე) მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადებში განხილვა“.<sup>87</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ მიღებულია უამრავი რეკომენდაცია ევროპის საბჭოს ფარგლებში. მაგალითად, 2010 წლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში აღნიშნულია: „მოსამართლეები საქმეთა მიუკერძოებლად, კანონისა და ფაქტების მათეული ინტერპრეტაციის საფუძველზე გადასაწყვეტად დაუბრკოლებელი თავისუფლებით უნდა სარგებლობდნენ“.<sup>88</sup>

გვაქვს ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების დასკვნები. მნიშვნელოვანია ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ, მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ.<sup>89</sup>

აღნიშნული დოკუმენტები ცალსახად აღიარებენ სასამართლოს დამოუკიდებლობას და მონაწილე ქვეყნებს ამ პრინციპის განუხრელად დაცვას ავალდებულებენ.

## 1.2. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

ინსტიტუციური თვალსაზრისით, სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს ხელისუფლების განშტოებებს შორის ბალანსის იმგვარად დაცვას, რომ სხვა განშტოებებს თანამდებობრივად არ ჰქონდეთ უფლება და შესაძლებლობა ჩაერიონ ან რაიმე ფორმით გავლენა მოახდინონ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე. სასამართლო თანაბრად უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო

86 ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენცია. 1969 წ. მუხ. 8(1).

87 ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია. 1981 წ. მუხ. 7(1).

88 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)12 წევრი სახელმწიფოებისადმი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და პასუხისმგებლობის შესახებ. § 5.

89 მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია და განმარტებითი მემორანდუმი (სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი); ევროპის საბჭოს რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ. რეკომენდაცია NR(94)12. აღნიშნული დოკუმენტების ქართული თარგმანი იხილეთ: „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები.“ ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით. თარგმანი ე. გოცირიძის. საქართველოს უზენაესი სასამართლო. ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი. 2001.

ხელისუფლებისაგან და სამივე ხელისუფლების ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული.

საქმეში ბაკამონდე ეკვატორული გვინეას წინააღმდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ ვინაიდან სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები მკაფიოდ არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული, ამიტომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან შესაძლებელია სასამართლო ხელისუფლების კონტროლი და მართვა. აღნიშნული კი შეუთავსებელია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ცნებასთან პაქტის<sup>90</sup> მე-14(1) პარაგრაფის კონტექსტში.<sup>91</sup> შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც სასამართლოს ფუნქციას ასრულებენ, შეუძლებელია ჩაითვალოს დამოუკიდებელ სასამართლოდ.

საქმეში „ლაუკო სლოვაკეთის წინააღმდეგ“ იმ ორგანოს გადაწყვეტილებები, რომელთაც ლაუკოს საქმე განიხილეს, არ ექვემდებარებოდა იურიდიული ორგანოს გადასინჯვას, რომელიც კონვენციის მე-6(1) მუხლის გარანტიებს დაიცავდა. ვინაიდან აღნიშნული ორგანოები ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს და თანამდებობის პირები ინიშნებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ამიტომ ისინი მოკლებულნი იყვნენ გარე ზეწოლისაგან დაცვის გარანტიებს, არ ქმნიდნენ დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას. სასამართლოს პოზიციით, მსგავსი ორგანო შეუძლებელია ჩაითვალოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად.<sup>92</sup> საქმეში ლე კონტი, ვან ლოვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ ევროპის სასამართლო სასამართლოდ მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ორგანოს (სხვა მოთხოვნებთან ერთად), რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან არის დამოუკიდებელი.<sup>93</sup>

მაშასადამე, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები არ შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ მოსამართლეებად, ვინაიდან მოსამართლე არა მხოლოდ დამოუკიდებელი უნდა იყოს, არამედ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

რაც შეეხება მოსამართლის ხშირ სამსახურებრივ კონტაქტს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მსგავსი შემთხვევა შეუძლებელია მივიჩნიოთ ისეთ შემთხვევად, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას აფერმკრთალებს. საქმეში „კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლო დაასკვნის, რომ შთაბეჭდილება, რომელიც პატიმარს გააჩნია კომიტეტსა და ციხის ადმინისტრაციას შორის მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობის თაობაზე, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.<sup>94</sup>

90 იგულისხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. 1966.

91 *Oló Bahamonde v. Equatorial Guinea*, Communication No. 468/1991, U.N. Doc. CCPR/C/49/D/468/1991 (1993). § 9.4.

92 *LAUKO c. SLOVAQUIE*. 2 septembre 1998. §64.

93 *LE COMPTE, VAN LEUVEN ET DE MEYERÉ c. BELGIQUE*. §55.

94 *CAMPBELL ET FELL c. ROYAUME-UNI*. 28 juin 1984. §81

რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, მართალია, იგი აწესრიგებს სასამართლო ხელისუფლების მოწყობასა და უზრუნველყოფს მას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით, მაგრამ ამის შემდგომ რაიმე ფორმით ჩარევა ან მის მიერ სასამართლოს ფუნქციების შესრულება დაუშვებელია.

თავად ის ფაქტი, რომ სასამართლო სახელმწიფო მმართველობის სამ განშტოებას შორის ერთ-ერთი დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი რგოლია, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს. „სასამართლოს დამოუკიდებლობის საგარანტიო პირობა არის ერთი მხრივ, ხელისუფლების დანაწილება და გამიჯვნა, მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობის, ბალანსის შენარჩუნება და ამ მიზნით ერთიერთკონტროლის განსაზღვრული უფლებამოსილებებით მათი აღჭურვა“.<sup>95</sup>

მართალია, სასამართლო ხელისუფლება „ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ხელისუფლების სხვა შტოები“,<sup>96</sup> მაგრამ ეს სამი განშტოება, თანაბრად ეწევა სახელისუფლებო ჯაპანს. აღნიშნული სამეული შეიძლება შევადაროთ რუსულ მარხილში შებმული ცხენების სამეულს, თუმცა აღნიშნულ მაგალითში რაღაც დოზით შეიძლება მაინც დაირღვეს თანასწორობა. უფრო ზუსტი ილუსტრაცია წარმოდგენილია ამერიკული სქემის სახით, სადაც წრეში მოცემულია თანაბარი ზომის სამი სამკუთხედი ფიგურა, რაც თითოეული ხელისუფლების თანაბარ მნიშვნელობას უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს.<sup>97</sup>

ხელისუფლების ამ განშტოებათა შორის წონასწორობის დარღვევა გამოიწვევს დიქტატურის, უკეთეს შემთხვევაში კი – ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბებას,<sup>98</sup> ან პირიქით, ხელისუფლების პარალიზებას ან შეერხებით მუშაობას.

მონტესკიეს მტკიცებით, სასამართლოს ხელისუფლების სხვა განშტოებებისაგან განცალკავება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ მოსამართლე მიერთებულია აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაშინ იგი იძენს მჩაგვრელის ძალაუფლებას.<sup>99</sup> სამივე ხელისუფლების გაერთიანება ნიშნავს „პიროვნებისა და თავისუფლების, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების აბსოლუტურ სიკვდილს“.<sup>100</sup>

ხელისუფლების ამგვარი განაწილება „ყოველთვის მიიჩნეოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპად“.<sup>101</sup> თუ მოსამართლეს და კანონმდებელიც ერთი და იგივე პირია, მოქალაქეთა თავისუფლებას საფრთხე მოელის, რად-

95 რამიშვილი ნ. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში. „ენა და კულტურა“. თბილისი. 2005. გვ. 18.

96 Никеров Г.И.: Судебная власть в правовом государстве (Опыт сравнительного исследования) государства и права. 2001N3. Ст.16.

97 აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება. თარგმანი: მინდია უგრეხელიძე, ვიქტორ ყიფიანი. გამომცემლობა „ჯისიანი“ თბილისი 1997 წ. გვ. 25.

98 იხ. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია. გვ. 6.

99 Charles Secondat, Baron de Montesquieu. The Spirit of the Laws, and ed. Anne M. Cohler, Basia Carolyn Miller, and Harold Samuel Stone (Cambridge: Cambridge University Press, 1992), XI. p.6.

100 Проблемы общей теории права и государство М., 1999 г. ст. 669.

101 Martin Weinstein. წყარო: მელქაძე ო., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი XI. თბილისი. მერანი-3. 2000 გვ. 12.

გან „მოსამართლეს ყოველთვის შეუძლიან ამა თუ იმ შემთხვევაში კანონი შესცვალოს და ისეთი კანონი გამოსცეს, როგორც საჭიროა მისთვის. სასამართლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი რომ ერთად აურიოთ, ყოველ მოსამართლეს შეუძლიან ტირანად გადაიქცეს, მმართველობის დროს ის ყოველ ნაბიჯზე დაარღვევს კანონს და სასამართლოში თავისთავს თვითონ გაასამართლებს“.<sup>102</sup> ამგვარად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საწინდრად.

დღესდღეობით ევროპაში არ ცხრება დავა ასევე ხელისუფლების მეოთხე, სრულიად დამოუკიდებელ განშტობაზე, რომელსაც დაეკისრება მაკონტროლებელი ფუნქცია.<sup>103</sup> მასში შეიძლება შედიოდეს ორგანოთა ჯგუფი, რომლის მოვალეობას არ წარმოადგენს არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი და არც სასამართლო ფუნქციის განხორციელება. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პროკურატურა. იგი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც არა მხოლოდ იძიებს საქმეს, არამედ ახორციელებს საპროცესო ზედამხვედველობას ყველა იმ უწყებაზე, სადაც საგამოძიებო საქმიანობა ტარდება. გამოძიება ეს არის პროცესი, როდესაც ხდება მტკიცებულებების მოძიება, გამოკვლევა და შესწავლა, მაშასადამე ეს არის იგივე სასამართლო, ოღონდ დახურული ტიპისა. ფრანგულად გამომძიებელს ეწოდება *juge d'instruction*, რაც სიტყვასიტყვით საქმის შემსწავლელ მოსამართლეს ნიშნავს. გამომძიებელი სასამართლოს ეტაპამდე ახდენს მტკიცებულებების შესწავლას, ხოლო სასამართლოზე ხდება უკვე საქვეყნოდ ამ მტკიცებულებების გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული მოსაზრების თანახმად, გამოძიება, რომელიც საქმის შესწავლის დახურულ პროცესს ახორციელებს, არ შეიძლება იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და იგი ხელისუფლების მეოთხე განშტობად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

### 1.2.1. თანამდებობაზე გამწესება

სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსამართლეთა თანამდებობაზე განმწესების წესი და პირობები. ვინაიდან მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გარკვეული დოზით ჩართულები არიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და ამ პროცესის სრულად იგნორირება ხელისუფლების განშტოებებს შორის ბალანსის დაცვის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვის ერთ-ერთ მთავარ რისკფაქტორად შეიძლება შეფასდეს.

102 ჯავახიშვილი მ. დამოუკიდებელი სასამართლო. ივერია. 1906. N20. გვ. 10.

103 აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ხავიერ ბლან ჟუვანი (Xavier BLANC-JOUVAN). კონტინენტური სამართლის სასწავლო კურსი. პარიზი. სორბონი. 2013 წლის 2-19 ივლისი.



მსოფლიოში არსებობს მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის სისტემა. იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეთა არჩევის სისტემა მოქმედებს, გვხვდება მოსამართლეთა არჩევის ორი ნაირსახეობა: როდესაც მოსამართლეებს უშუალოდ ხალხი ირჩევს და როდესაც მათ ირჩევს პარლამენტი. პირველი მაგალითი ძალიან ცოტაა და გვხვდება შვეიცარიაში კანტონების მოსამართლეთა არჩევის დონეზე და აშშ-ში (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა). რაც შეეხება მეორე მაგალითს, იგი გამოიყენება შვეიცარიაში და სლოვენიაში ფედერალური მოსამართლეების ასარჩევად, უკრაინაშიც პარლამენტის უმაღლეს რადას უფლება აქვს აირჩიოს არაპროფესიონალი მოსამართლეები.

აშშ-ში მოსამართლეს ირჩევს ხალხი პირდაპირი კენჭისყრით და გარკვეული ვადით. უზენაესი სასამართლოს წევრებს კი ნიშნავს პრეზიდენტი სენატის რჩევითა და თანხმობით. დანიშვნის შემდგომ არც სენატს და არც პრეზიდენტს არ შეუძლია მათი გათავისუფლება. უფრო დაბალი რანგის (საოლქო) ფედერალურ სასამართლოებს ქმნის კონგრესი. ფედერაციული მოსამართლეების დანიშვნის პროცედურა უზენაესი სასამართლოს პროცედურის ანალოგია.

მოსამართლეთა არჩევის წესი მოქმედებს შვეიცარიაშიც, სადაც გაერთიანებული ფედერალური ასამბლეა ირჩევს მოსამართლეებს ექვსი წლის ვადით, განმეორებითი არჩევის შესაძლებლობით. ხოლო უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ირჩევს იმავე ორგანო სასამართლოს წევრთაგან ორი წლის ვადით, დასაშვებია მხოლოდ ერთი დამატებითი ვადით ხელმეორედ არჩევა.<sup>104</sup> მოკლე ვადის გამო, უმეტეს შემთხვევაში, ხდება მათი ხელმეორედ არჩევა. დღესდღეობით, „პრაქტიკაში, შვეიცარიელი მოსამართლეები, რომლებიც ცდილობენ ხელმეორედ არჩევას, რეგულარულად აირჩვიან.“<sup>105</sup> მოსამართლეთა არჩევნებს ამზადებს გაერთიანებული ფედერალური ასამბლეის იურიდიული კომიტეტი, რომელშიც შედიან ორივე პალატის წევრები და ყველა საპარლამენტო ფრაქცია.

ესპანეთში მოსამართლეებს ნიშნავს მონარქის მიერ შექმნილი სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო. აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეცაა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კი ნიშნავს მონარქი, გენერალური საბჭოს წარდგინებით.

იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეთა დანიშვნის სისტემა მოქმედებს, ის ვინც მოსამართლეს ნიშნავს, შეიძლება იყოს სახელმწიფოს მეთაური. ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება ალბანეთი, მოლდოვა, პოლონეთი, უკრაინა, ირლანდია – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, სომხეთი – იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, საბერძნეთი – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილებით, ლიტვა – კანონით გათვალისწინებული მოსამართლეთა სპეციალური ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე. მალტა – პრემიერ–

104 Bundesgericht gesetz BGG. SR 173 110. 2005. Art. 14.

105 ვალტერ ჰალერი. შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში. ქართული თარგმანი: ნ. ბაქრაძე, თ. ბაქრაძე. „უნივერსალი“. 2012. გვ. 172. § 328.

მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, რუმინეთში – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, რუსეთის ფედერაციაში – უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეების წარდგინებით.

მართალია, აღნიშნულ ქვეყნებში პრეზიდენტს და მთავრობას არ შეუძლიათ თავად შეარჩიონ კანდიდატი და დანიშნონ, თუ იგი სპეციალური ორგანოს მიერ არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ მათ აქვს თავისუფლება, უარყონ წარდგენილი კანდიდატი და არ დანიშნონ იგი. ამგვარად, სახელმწიფოს მეთაურს ან მთავრობას აქვთ შესაძლებლობა დაბლოკონ ღირსეული კანდიდატი თავიანთი პოლიტიკური ანტიპათიის ან სხვა ფაქტორების გამო. მართალია, დანიშვნის შემდგომ, მოსამართლეს არანაირი ვალდებულება მისი დამნიშნავის მიმართ აღარ გააჩნია და მთავრობას არ შეუძლია მისი თანამდებობიდან განთავისუფლება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსამართლე შეიძლება ქვეცნობიერად გრძნობდეს ვალდებულებას მისი დამნიშნავის მიმართ, რაც შესაძლოა შემდგომ გადაწყვეტილებებზეც აისახოს.

ზოგიერთ ქვეყნებში მოსამართლეები ინიშნებიან მთავრობის მიერ. მაგალითად, შვედეთში. არსებობს ასევე შერეული სისტემა, სადაც სახელმწიფოს მეთაური და მთავრობა ერთობლივად ნიშნავენ მოსამართლეებს. აღნიშნულის მაგალითია ნიდერლანდები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს სასამართლოს დამოუკიდებლობის დარღვევად იმ ფაქტს, რომ მოსამართლეთა დანიშვნა განხორციელდა ხელისუფლების მიერ.<sup>106</sup>

კანადაში ფედერალური მთავრობა ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ფართო საჯარო კონსულტაციების შემდგომ. კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ იურისტად მუშაობის მინიმუმ ათი წლის გამოცდილებას. კანდიდატები თხოვნით მიმართავენ შესარჩევ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედიან მოსამართლეები, ადვოკატები, ხელისუფლების თანამდებობის პირები და საზოგადოების წევრები. აღნიშნული კომიტეტი აფასებს კანდიდატებს და ადგენს, მათი შეფასებით, საუკეთესოთა სიას. საბოლოო გადაწყვეტილებას კი იღებს ფედერალური მთავრობა. რაც შეეხება საერთო სასამართლოების მოსამართლეების გამწვანების წესს, იგი თითოეული რეგიონის მიერ ცალ-ცალკე არის დადგენილი. მაგალითად, კვებეკის მთავრობა ნიშნავს კვებეკის მოსამართლეებს საჯარო კონკურსით, ხოლო კანდიდატების შერჩევას ახდენს შესარჩევი კომიტეტი. გამოცდა შეიცავს სამართლის დარგის სპეციფიკურ საკითხებს, რომლის მიხედვითაც მოსამართლის ფუნქციების შესრულება იქნება შესაძლებელი.<sup>107</sup>

იაპონიაში უზენაესი და უმაღლესი სასამართლოს წევრებს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი. უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობს იმპერატორის მიერ დანიშნული მთავარი მოსამართლე, ხოლო უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ატესტაციას აძლევს იმპერატორი.<sup>108</sup>

106 იხ. LITHGOW ET AUTRES c. ROYAUME-UNI. 8 juillet 1986. § 202.

107 კანადის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ასოციაცია. იხ: (ACJCS) <http://www.cscja-acjcs.ca/>

108 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. ავტორთა კოლექტივი ო. მეღაძის

ევროპული სტანდარტებით, მოსამართლეთა დანიშვნა არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს ძველი დემოკრატიის ქვეყნებისათვის, რადგან ამ ქვეყნებში სამოსამართლო კულტურა გაცილებით დიდია. „ზოგიერთი ძველი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას დიდი როლი აქვს მოსამართლეთა დანიშვნის საკითხში, ეს სისტემები პრაქტიკაში შეიძლება კარგად ფუნქციონირებდეს და სასამართლო ხელისუფლებას დამოუკიდებლობის შესაძლებლობას აძლევდეს, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება შემზღვეულია საუკუნეების მანძილზე განვითარებული სამართლებრივი კულტურითა და ტრადიციებით. სამაგიეროდ, ახალი დემოკრატიის ქვეყნებს ჯერ კიდევ არა აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ამგვარი ტრადიციები, რათა არ მოხდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენება. ამიტომ ამ ქვეყნებში, აუცილებელია, სულ მცირე, კონსტიტუციური ნორმები მკაფიოდ იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ არ მიეცეს საშუალება სახელმწიფოს, ბოროტად ისარგებლოს მოსამართლის დანიშვნის უფლებით“.<sup>109</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა დანიშვნის წესს არ მიიჩნევს მისი დამოუკიდებლობის შელახვად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: „აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკასაციო თავმჯდომარის მხოლოდ დანიშვნა არ იქნება მისი დამოუკიდებლობის შელახვა, თუკი დანიშვნის შემდგომ იგი აღარ ექვემდებარება არანაირ ინსტრუქციებსა და ზეწოლას, და თავის ფუნქციებს დამოუკიდებლად ახორციელებს“.<sup>110</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებას სასამართლო ამტკიცებს 2007 წლის საქმეში: „აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მოსამართლეთა დანიშვნა მისაღებია, იმ პირობით, თუ დანიშნული პიროვნება სრულად არის თავისუფალი ყოველგვარი წნეხისა და ზეწოლისაგან თავისი ფუნქციების განხორციელების დროს“.<sup>111</sup>

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მისაღებად მიიჩნევს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მოსამართლეთა დანიშვნის წესს მხოლოდ იმ პირობით, რომ დანიშვნის შემდგომ ყოველგვარი ზემოქმედება თავიდან იქნება აცილებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არც პარლამენტის მიერ მოსამართლეთა დანიშვნას მიიჩნევს სასამართლოს დამოუკიდებლობის შემზღვევად, თუკი დანიშვნის შემდგომ მოსამართლეები არანაირ კანონისმიერ ინსტრუქციებსა და მითითებებს აღარ მიიღებენ.<sup>112</sup>

ქვეყნებში, სადაც მოსამართლეთა დანიშვნა ხდება იმ ორგანოს მიერ, რომელიც არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ განეკუთვნება, მოსამართლეთა დანიშვნა ხდება ყოველგვარი წარდგინებითი

---

რედაქტორობით. კრებული I. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი. თბილისი. 2008. გვ. 190-192.

109 მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა, ვენეციის კომისიის 70-ე პლენარულ სესიაზე მიღებული ანგარიში (ვენეცია, 16-17 მარტი 2007წ.) (CDL-AD (2007)028). §5,6. იხილეთ ასევე: COMMISSION EUROPÉENNE POUR LA DÉMOCRATIE PAR LE DROIT. (Commission de Venise). Rapport annuel d'activités 2007. გვ. 55.

110 ZOLOTAS c. GRÈCE. 2 juin 2005. 30/11/2005. § 24.

111 Flux (NO.2) v. MOLDOVA. 03/10/2007. § 27.

112 Sacilor-Lormines c. France, § 67. იხილეთ ასევე Pabla Ky c. Finlande, §§ 31-35.

პროცედურების გარეშე. მაგალითად, იტალიასა და პორტუგალიაში მოსამართლეებს ნიშნავს იუსტიციის საბჭო. ამ ორგანოს აქვს ასევე მათი შემდგომი კარიერული წინსვლისათუ დისციპლინური დევნის უფლებამოსილება. ბულგარეთში მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ხორვატიაში მოსამართლეები ინიშნებიან იუსტიციის სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელსაც შეუძლია ასევე მათი თანამდებობიდან განთავისუფლება. კვიპროსზე მოსამართლეთა დანიშვნა, დაწინაურება, უფლებამოსილების შეწყვეტა, ასევე დისციპლინური დევნის საკითხები განეკუთვნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას. თურქეთში მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნას, სხვა თანამდებობაზე გადაყვანას ან დაწინაურებასა თუ დისციპლინურ დევნას ახორციელებს მოსამართლეთა და პროკურორთა უზენაესი საბჭო. უნგრეთში არსებობს იუსტიციის ეროვნული საბჭო, რომელიც აღჭურვილია სასამართლოთა ადმინისტრაციული ფუნქციებით, სადაც შედის მოსამართლეთა დანიშვნაც.

თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის წესი, არ ნიშნავს იმთავითვე მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აბსოლუტურ გარანტიას, თუ თავად ამ ორგანოს ფორმირება არადემოკრატიულად ხდება და მასზე გავლენის მოხდენა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ.

მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტია ადგენს ამგვარი ორგანოს შექმნის კრიტერიუმებს: *„ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევას, კანდიდატურების მოძიებას, დანიშვნას, სამსახურებრივ წინსვლას ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას, რომლის შემადგენლობის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება მოსამართლეებისაგან, რომლებიც არჩეული არიან კოლეგების მიერვე სასამართლო ხელისუფლების ყველაზე ფართო წარმომადგენლობის უზრუნველყოფი მეთოდების საფუძველზე.“*<sup>113</sup>

ამგვარად, იუსტიციის საბჭოს უმეტესი ნაწილი არჩეულ უნდა იქნეს თავად მოსამართლეების მიერ თავიანთი რიგებიდან. დანარჩენი ნაწილს შეიძლება შეადგენდნენ ხელისუფლების სხვა განშტოების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები და დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. არამოსამართლე წევრების ჩართულობა გამართლებულია იმით, რომ *„მოსამართლეების ინტერესს მიღმა მოხდეს ხარისხისა და მიუკერძოებლობის სამართლიანი გაკონტროლება“*.<sup>114</sup>

შერეული ტიპის შემადგენლობის უპირატესობა ისაა, რომ იგი უზრუნველყოფს პირადი ინტერესებისა და ნეპოტიზმის არსებობის შესახებ შეხედულების გაქარწყლებას საზოგადოების თვალში და მნიშვნელოვნად ამაღლებს სასამართლოს ლეგიტიმურობის ხარისხს.

113 იხ. მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია. § 1.3.

114 Commission de Venise, Avis sur des modifications récentes de la loi relative aux principales dispositions constitutionnelles de la République d'Albanie, CDL-INF(1998)009, § 9.

დაუშვებელია არამოსამართლე წევრების არჩევა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ზოგადად, იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრებს ირჩევს პარლამენტი სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალიტა შორის. მაგალითად იტალიაში და ბულგარეთში ამგვარი კანდიდატი უნდა იყოს სულ მცირე სამართლის დარგის პროფესორი და უნდა ჰქონდეს იურისტად მუშაობის მინიმუმ 15 წლიანი გამოცდილება.

ევროპული სტანდარტის მიხედვით: თუ რომელიმე არამოსამართლე წევრს აირჩევს პარლამენტი, ის არ უნდა იყოს პარლამენტის წევრი, მას უნდა ირჩევდეს ისეთი კვალიფიციური უმრავლესობა, რომელსაც ოპოზიციის მნიშვნლოვანი მხარდაჭერა სჭირდება და უნდა იყოს ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მართლმსაჯულების საბჭოს მთლიან შემადგენლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა.<sup>115</sup>

ცალკეულ ქვეყანაში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შედიან. მაგალითად, საფრანგეთში ქვეყნის პრეზიდენტი იმავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეცაა. აღნიშნული საბჭო მოსამართლეების დისციპლინურ დევნას ახორციელებს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არის იუსტიციის მინისტრი, საბჭოს წევრ მოსამართლეებს კი ნიშნავს პრეზიდენტი.<sup>116</sup> ბულგარეთში, იუსტიციის მინისტრი, ხმის მიცემის უფლების გარეშე, ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თურქეთში, იუსტიციის მინისტრი და მისი თანაშემწე არიან პროკურორთა და მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს წევრები. ამგვარ წარმომადგენლობას არ კრძალავს ევროპული სტანდარტები, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობა გარკვეულწილად ქმნის ამ ორგანოს პოლიტიზების საფრთხეს და ამდაბლებს საბჭოს წევრთა ნდობის ხარისხს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, ყველაზე მართებულ, ყველაზე დემოკრატიულ მოდელს წარმოადგენს სისტემა, სადაც მოსამართლეთა დანიშვნა ხდება იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ მიეკუთვნება არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას. აღნიშნული მოდელი იცავს მოსამართლეებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გავლენებისაგან. რაც შეეხება მოსამართლეთა ისეთ სისტემას, რომელშიც მოსამართლეს ირჩევს პარლამენტი, დანიშვნის პროცედურა გარკვეული დობით შეიძლება პოლიტიზებულ ელფერს ატარებდეს და მოსამართლეობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიაში ჩართულები აღმოჩნდნენ.

115 ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N10 (2007) ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი. მართლმსაჯულების საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში. სტრასბურგი, 2007 წლის 21-23 ნოემბერი. B. დ.

116 Constitution de la République française. 4 octobre 1958. Article 64,65. ob: [http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/constitution.asp#titre\\_8](http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/constitution.asp#titre_8)

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით შექმნილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.<sup>117</sup> აღნიშნული ორგანო სრულად პასუხობს მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის ზემოთ განხილულ მოთხოვნებს. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობებზე ინიშნებიან სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იუსტიციის სკოლის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის რიგითი ნომრის მიხედვით. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს, მათ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 10 წლის ვადით ირჩევა საქართველოს პარლამენტი.<sup>118</sup>

შეიძლება ითქვას, რომ სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის წესი სრულად პასუხობს დემოკრატიის თანამედროვე გამოწვევებს. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნას, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს აღარ შეუძლია მათი თანამდებობიდან განთავისუფლება და წარდგენის შემდგომ მასზე კანონით ყოველგვარი ურთიერთობა წყდება, მოსამართლე ქვეცნობიერად მაინც შეიძლება დარჩეს მისი წარმდგენის გავლენის ქვეშ. ამიტომ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების კანდიდატურების პრეზიდენტის მიერ წარდგენა, რასაც დღევანდელი ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს, გარკვეულ რისკებს მაინც შეიცავს მათი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. უმჯობესია ისინი არჩეულ იქნენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო კანდიდატურების წარდგენა განხორციელდეს საპარლამენტო ფრაქციების მიერ, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ.

ამასთანავე, აუცილებელია, რომ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების კრიტერიუმები მკაფიოდ იყოს კანონში ჩამოყალიბებული. ქართულ კანონმდებლობაში ზოგადი ჩანაწერის მიხედვით: „*მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.*“<sup>119</sup>

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლეთა შერჩევის სხვა კრიტერიუმებს, გარდა აღნიშნული ზოგადი ჩანაწერისა, არ ითვალისწინებს. აღნიშნული კი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში პოლიტიკური ფაქტორების

117 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 86 1 (1)

118 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხ. 35, 36

119 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 34.1.

გათვალისწინების შესაძლებლობას არ გამოორიცხავს. „ზოგიერთი კრიტერიუმი იმდენად არაზუსტად არის ჩამოყალიბებული, რომ უშვებს ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. სხვა კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაისმის კითხვა, იქნებ ეს უფრო ის თვისებებია, რომელსაც დედა ისურვებდა, რომ ჰქონოდა მის მომავალ სიძეს? არასწორად მიმაჩნია, რომ მოხდეს მსგავსი წარმოდგენების განვითარება და ჩანაცვლებადი, სტანდარტული მოსამართლის მოდელის შექმნა“.<sup>120</sup>

სასურველია, მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები მკაფიოდ გაიწეროს კანონში. მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამართლეთა დარგობრივ კვალიფიკაციას, დამსახურებას, პროფესიონალიზმს, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და ა.შ.

### 1.2.2. მანდატის ხანგრძლივობა

სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა ასევე მოსამართლის მანდატის ხანგრძლივობა. მოსამართლის უფლებამოსილების ვადის შეზღუდვის შემთხვევაში, განსაკუთრებით მანდატის მიწურულს, ისინი შეიძლება მოექცნენ მათი გავლენის ქვეშ, ვინც თავიდან უნდა დანიშნოს ან აირჩიოს. ამიტომ, ევროპული სტანდარტი უპირატესობას ანიჭებს მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ გამწესებას. ვადის შეზღუდვის მოხსნით და თანამდებობაზე უვადოდ გამწესებით, გაცილებით დიდია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის შინაგანი განცდა.

სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, „არჩეულ თუ დანიშნულ მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე ან მათი მოსამართლედ ყოფნის ვადის ამოწურვამდე, თუ ასეთი არსებობს“.<sup>121</sup>

ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებისათვის განსაზღვრულია პენსიაზე გასვლის დადგენილი ასაკი. მაგალითად, მოსამართლის საპენსიო ზღვარი საბერძნეთში, მალაიზიასა და ნამიბიაში განსაზღვრულია 65 წლით (70 წლამდე გავრძელების შესაძლებლობით), ბოტსვანასა და ბელიზში – 62 წლით, სინგაპურში, შრი-ლანკაში, თურქეთსა და კვიპროსში – 68 წლით, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ჰანაში, პერუსა და სამხრეთ აფრიკაში – 70 წლით, კანადასა და ჩილეში კი – 75 წლით.

აღსანიშნავია, რომ ბელიზსა და ბოტსვანაში არსებობს ასევე ნორმა, რომლის თანახმად, საპენსიო ასაკს მიღწეულ მოსამართლეს შეუძლია, იმდენ

<sup>120</sup> ჰავენლოხი ულრიხ. დრემდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე. გერმანელი მოსამართლის თვალით დანახული მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015. გვ. 21.

<sup>121</sup> იხ. სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. § 1.2.

ხანს დარჩეს თანამდებობაზე, რამდენსაც მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანა იმ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, რომელიც მისი მოსამართლეობით დაიწყო იქამდე, ვიდრე მას საპენსიო ასაკი შეუსრულდებოდა.

საპენსიო ასაკის ზღვარს არ ითვალისწინებს აშშ-ს კონსტიტუცია: „როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე დაბალი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე დარჩებიან მანამ, სანამ ისინი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებენ“.<sup>122</sup>

გერმანიაში მოსამართლეები უფლებამოსილების ვადის მითითების გარეშე ინიშნებიან, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეუცვლელნი არიან, მაგრამ არებობს საპენსიო ზღვარი 65 წლამდე.

დიდ ბრიტანეთში მოსამართლე უვადოდ ინიშნება და თანამდებობაზე რჩება 72 წლის ასაკამდე. ამ ასაკამდე მოსამართლის განთავისუფლება შეუძლია ლორდ-კანცლერს, თუ მოსამართლე გახდება არაქმედუნარიანი ან ჩაიდენს რაიმე უკანონო ქმედებას.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული მიდგომა არ აკრიტიკებს მოსამართლეთა ხანმოკლე მანდატის ვადას. საქმეში „სმარევი ავსტრიის წინააღმდეგ“ სასამართლო მისაღებად მიიჩნევს სამი წლით მოსამართლეების დანიშვნას.<sup>123</sup> საქმეში „ლე კონტი, ვან ლოვენის და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ“ სასამართლომ მოსამართლეთა მანდატის ექვსი წლით ხანგრძლივობა სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიად მიიჩნია,<sup>124</sup> ხოლო რინგაიზენის საქმეში ხუთი წელი სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებელ გარანტიად იქნა მიჩნეული.<sup>125</sup>

საქართველოში 2013 წლის 17 ნოემბრიდან ამოქმედდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის წესს. მოსამართლეებს ექნებათ 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, რის შემდეგაც გადაწყდება საკითხი მათი უვადოდ დანიშვნის შესახებ. 3 წლის განმავლობაში მუდმივად მოხდება მოსამართლეების გადამოწმება პირველი წლის ბოლოს, მე-2 წლის ბოლოს და მესამე წლის დასრულებამდე 4 თვით ადრე. ანუ მოხდება მოსამართლეების მუდმივი კონტროლი, მათი საქმიანობის შეჯამება და შეფასება.<sup>126</sup>

მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება უახლოვდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში ჩარევის ზღვარს, მაგრამ იგი გარდაუვალია, ვინაიდან მოსამართლის საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და მისი საქმიანობა არ უნდა რჩებოდეს ყურადღების მიღმა. აქ მნიშვნელოვანია, ვინ აკეთებს ამ შეფასებას. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეთა შემფასებლები არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრები. აღნიშნული წესი დემოკრატიულ მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ,

122 იხ. აშშ კონსტიტუცია. ქართული თარგმანი. თბილისი. 1995. მუხლი 3.

123 SRAMEK c. AUTRICHE. 22 octobre 1984. § 37.

124 LE COMPTE, VAN LEUVEN ET DE MEYERE. 23 JUIN 1981. § 57.

125 RINGEISEN c. AUTRICHE. 16 juillet 1971. § 95.

126 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2009 წლის 4 დეკემბერი. მუხლი 36 (44).



მაგრამ შესაძლებელია უკეთეს მოდელზე ორიენტაციის გაკეთებაც, კერძოდ, პოლონურ მოდელზე, რომელიც „ვიზიტორების“ არჩევის კონცეფციას გვთავაზობს: სააპელაციო სასამართლოს ყველა მოსამართლე ირჩევს რამდენიმე „ვიზიტორს“, რომლებიც ამზადებენ შეფასებებს სასამართლოს თავმჯდომარისათვის. ეს ვიზიტორები აირჩევიან განსაკუთრებით გამოცდილ და კვალიფიციურ მოსამართლეთა რიგებიდან, შესაბამისად, შეფასების მაღალკვალიფიციურობაც ნაკლებ ეჭვებს აღძრავს.

ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც მოცემულია ორი ალტერნატივა: მოსამართლის უვადოდ გამწესება და უვადოდ გამწესებამდე განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლამდე დანიშვნა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი უნდა დარეგულირდეს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.<sup>127</sup>

აღნიშნული ჩანაწერის ამოქმედების შემდგომ დღემდე, არცერთი მოსამართლე არ დანიშნულა უვადოდ და ყველა ვადის გამოსაცდელ ვადას. 128 ამასთან, «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონი დღემდე არ ითვალისწინებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სავალდებულო წესს, თუ როგორ უნდა დაინიშნოს მოსამართლე უვადოდ. კანონი იძლევა მხოლოდ გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას. ამიტომ, აუცილებელია, რომ ორგანულ კანონში განისაზღვროს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესიც, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციასთან და არ მოხდეს კონსტიტუციის ორი ალტერნატიული ვარიანტიდან მხოლოდ ერთის პრაქტიკაში დამკვიდრება.

მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის აღნიშნულ წესს აკრიტიკებს ვენეციის კომისია. მათი დასკვნით გამოსაცდელი ვადის დაწესებამ შესაძლოა დააკნინოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ვინაიდან მათ შესაძლოა იგრძნონ ზეწოლა და საქმეები გარკვეული მიმართულებით გადაწყვიტონ.<sup>129</sup>

მოსამართლეთათვის გამოსაცდელი ვადის დაწესებას მიუღებლად მიჩნევს 2010 წლის მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენცია: „მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას ბოროტად გამოყენების შემთხვევაში შეუძლია შეარყიოს სასამართლო“.<sup>130</sup>

**უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კანონიერი პროცედურის გამოყენება შეიძლება ბოროტად, რაოდენ დემოკრატიულ მიზნებსაც უნდა ემსახუროდეს იგი. პროცესის ლეგიტიმურობა ყოველთვის ეჭვქვეშ დგება, როდესაც ამ**

127 საქართველოს კონსტიტუცია მუხ. 86(2). ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან.

128 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო: <http://hcoj.gov.ge/>

129 ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა N°773/2014. CDL-AD (2014) 031. სტრასბურგი, 14 ოქტომბერი 2014. § 32.

130 „მოსამართლეთა ქვეყის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები (პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები). მიღებულია სასამართლოს პათოსნებისა განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ ქ. ლუსაკა, ზამბია. 2010 წლის 21-22 იანვარი. § 13.14.

## პროცედურის განმახორციელებელი პირები არ მოქმედებენ იმ მიზნებით, რასაც შესაბამისი პროცედურა უნდა ემსახურებოდეს.

მოსამართლეთა უვადოდ გამწვანებამდე გამოსაცდელ ვადას უშვებს მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტია. თუმცა ქარტია მიუთითებს, რომ ვინაიდან მოსამართლის გამოსადეგი ვადა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას მაინც უქმნის გარკვეულ საფრთხეს, ამიტომ აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა. კერძოდ, გადაწყვეტილება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ან ამ ვადის არგაგრძელების შესახებ უნდა მიიღოს ისეთმა ორგანომ, რომელიც არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და რომელშიც ნახევარზე მეტი წარმოდგენილია მოსამართლეთა კორპუსის მიერ.<sup>131</sup>

საქართველოში ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და რომლის შემადგენლობის ნახევარზე მეტიც წარმოდგენილია მოსამართლეთა კორპუსის მიერ, არის იუსტიციის საბჭო. ეს ორგანო სრულად აკმაყოფილებს ევროპული ქარტიის აღნიშნულ მოთხოვნებს.<sup>132</sup>

მოსამართლეთა დანიშვნის გამოსაცდელ ვადას ითვალისწინებს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაც. მაგალითად, გერმანიაში სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების წესებს არეგულირებს გერმანიის აქტი „სასამართლოების შესახებ“. აღნიშნული აქტის მიხედვით, მოსამართლე უვადოდ განმწვანებამდე მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 წელი ატარებს “პრობაციონერი მოსამართლის” სტატუსს. დანიშნიდან ოთხი წლის განმავლობაში, დამოუკიდებელ კომიტეტს შეუძლია მოსამართლე თანამდებობიდან ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს, თუ იგი შეუფერებელია ამ პოზიციისთვის. პირველი ორი წლის განმავლობაში, მოსამართლის საქმიანობა ყოველ ექვს თვეში ერთხელ ფასდება. კომისიას აქვს უფლება მოსამართლე უვადოდ დანიშნოს სამი წლის გასვლის შემდეგ.<sup>133</sup>

ესტონეთში, აღნიშნულ საკითხს მოსამართლეთა სტატუსის შესახებ 1991 წლის აქტი არეგულირებს. ამ კანონის თანახმად, მოსამართლის გაათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი, თანამდებობაზე დანიშნიდან სამი წლის განმავლობაში, შესაძლებელია იყოს მისი ამ პოზიციასთან შეუთავსებლობა. სამი წლის გასვლის შემდეგ დათხოვნის ეს საფუძველი აღარ არსებობს. მსგავსი რეგულირება მიუთითებს იმაზე, რომ ესტონეთშიც, პირველი სამი წლის განმავლობაში, მოსამართლეს აქვს გარკვეული გამოსაცდელი ვადა, რათა დაამტკიცოს საკუთარი კომპეტენტურობა და თანამდებობასთან შესაბამისობა.<sup>134</sup>

სამი წლის გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან უნგრეთის საერთო

131 იხ. მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია. § 3.3.

132 საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ”, 47-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

133 German Judiciary Act in the promulgation of 19 April 1972 (Federal Law Gazette Part I p. 713), as last amended by Article 9 of the Art of 5 February 2009 (Federal Law Gazette part I p. 160). Section 12

[http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_drjg/englisch\\_drjg.html](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_drjg/englisch_drjg.html)

134 <http://www.juridicainternational.eu/?id=12423>

სასამართლოს მოსამართლეებიც. მსგავსი სამწლიანი ვადა არ არის საჭირო იმ პირთათვის, ვინც ხუთი წლის განმავლობაში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ნოტარიუსი, პროკურორი, ადვოკატი ან სამართლებრივი მრჩეველი.<sup>135</sup>

ქართულ საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსამართლეთა უმეტესობა წლების მანძილზე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2013 წლის 24 ივლისს აღმოჩენილ იქნა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები, რომელთა შევროვების მიზანიც შესაძლო შანტაჟისთვის მათი გამოყენება იყო. მასალები შეიცავდა პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების შეხვედრებისა და საუბრების ფარულ ჩანაწერებს, ასევე დაკავებულთა წამების ამსახველ ვიდეოებს.<sup>136</sup>

აღნიშნული ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ არსებობდა მოსამართლეთა ან მათი ოჯახის წევრთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალებიც, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო ხშირად ხდებოდა უკანონობის შემოქმედი. თუნდაც ამ კადრების აღმოჩენა, გარკვეულწილად, ირიბ გავლენას მოახდენს მოსამართლეზე საქმის გადაწყვეტის დროს. იგი შეიძლება ქვეცნობიერად გრძნობდეს, რომ მისი პირადი ცხოვრების კადრები სადღაც არსებობს, და რომ მის მიერ გარკვეული ძალებისათვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შურისძიების მიზნით მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა ნებისმიერ დროს შეიძლება გაცხადდეს. დიდია რისკი იმისა, რომ მოსამართლე, რომელიც იძულებული იყო გარკვეული მითითებები შეესრულებინა, კვლავ იქნება მართული იმ ძალის მიერ, ვინც თავის დროზე უსამართლობის შესრულებას აიძულებდა.

შესაბამისად, იმავე შემადგენლობის უვადოდ დანიშვნა საზოგადოების დიდ იმედგაცრუებასა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის საბოლოოდ დაკარგვას გამოიწვევს. არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ წარსულში მართლმსაჯულების სისტემაში მომხდარი ფაქტების თაობაზე დუმილს. ეს რა თქმა უნდა, მცდარი გზაა და არ ეგების. ამიტომ, მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნა, აღნიშნულ ვითარებაში, მისაღებია, მით უმეტეს, როცა აღნიშნული წესი არ არის უარყოფილი საერთაშორისო პრაქტიკით.

თუმცა შესაძლოა რიგ შემთხვევებში უვადოდ დანიშვნის ალტერნატივის გამოყენებაც, რათა კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერი ლიტონ მოწოდებად არ დარჩეს; მით უმეტეს, რომ უვადოდ დანიშვნა ვერ იქნება გარანტი იმისა, რომ მოგვიანებით მოსამართლეზე დისციპლინურ-სამართლებრივი დევნა არ განხორციელდება, თუ დამტკიცდება წარსულში მისი ინდივიდუალური ბრალეულობა. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, მოსამართლეებს უნდა მოეჭრათ სამოსამართლო საქმიანობის გავრძელების გზა. ეს აუცილებელია მოქალაქეთა ნდობის განსამტკიცებლად მართლმსაჯულების მიმართ და ამავე დროს მნიშვნელოვნად გააძლიერებს იმ მოსამართლეთა

135 <http://www.ahjucaf.org/Hongrie-Cour-supreme,4659.html>

136 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: [www.police.ge](http://www.police.ge)

შინაგან დამოუკიდებლობას, რომელებიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას.

### 1.2.3. დაფინანსება

სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას მჭიდროდ უკავშირდება მისი დაფინანსების საკითხი. შეუძლებელია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა სათანადოდ იყოს გარანტირებული, თუ სასამართლოს არ გააჩნია ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი სახსრები. ამასთან, პარლამენტის მიერ სასამართლოს ბიუჯეტის მიღების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას თავად სასამართლოს აზრი, ვინაიდან მოსამართლის ხელფასი მისი დამოუკიდებლობის ერთგვარი გარანტიაა.

სასამართლოების დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილია და არ შეიძლება იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე. დაუშვებელია სასამართლო თუნდაც ნაწილობრივ დაფინანსდეს რომელიმე კერძო პირის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული წესის დაცვა აუცილებელია დამოუკიდებლობის ხარისხის შესანარჩუნებლად, ვინაიდან თუ სასამართლო ფინანსდება კერძო პირისაგან, ან რომელიმე ეროვნული თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, იგი ყოველთვის მოექცევა დამფინანსებლის გავლენის ქვეშ და მისი ინტერესების დამცველი და გამტარებელი იქნება.

აშშ-ში მოსამართლეთა ფინანსური დამოუკიდებლობა კონსტიტუციითაა განსაზღვრული: „*თავიანთი სამსახურისათვის მოსამართლეები კომპენსაციას მიიღებენ მითითებულ დროს, რომელიც თანამდებობაზე მათი ყოფნის განმავლობაში არ შემცირდება*“.<sup>137</sup>

ზოგიერთი ქვეყნა თავად მიმართავს პარლამენტს სასამართლოს ბიუჯეტის დასამტკიცებლად, ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება: ესტონეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი, სლოვენია და ა.შ.

რუსეთის მოსამართლეთა გაერთიანება უშუალოდ მონაწილეობს სასამართლოს სახსრებთან დაკავშირებით ფედერალური ბიუჯეტის განხილვის დროს ფედერალური კრების პალატებში.

შვეიცარიის ფედერალურ უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, სამი მოსამართლისგან შემდგარი ადმინისტრაციული კომისიის მიერ მოწონებული საკუთარი ბიუჯეტი წარუდგინოს ფედერალურ პარლამენტს, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარესა და გენერალურ მდივანს შეუძლიათ ბიუჯეტის განხილვისას პარლამენტში გამოსვლა.

ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დადგენილია პრინციპი, რომლის შესაბამისად, თითოეულ სასამართლოს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტის უფლება.

დანიაში კოორდინატორის როლი დაკისრებული აქვს ადმინისტრაციულ

137 აშშ კონსტიტუცია. მუხლი III. ნაწ. 1.

სასამართლოს, რომლის ხელმძღვანელ კომიტეტში უმრავლესობას წარმოადგენენ სხვადასხვა სასამართლოთა მოსამართლეები. შვედეთში ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს სპეციალური სამთავრობო ორგანო – ნაციონალური სასამართლო ადმინისტრაცია, რომელმაც უნდა მოამზადოს სამწლიანი უწყვეტი ბიუჯეტი.<sup>138</sup>

დამოუკიდებლობის პირველ წლებში ამ მხრივ ძალიან რთული ვითარება იყო ქართულ სასამართლო სისტემაში. მოსამართლეთა ძალიან დაბალი ხელფასი ვერ უზრუნველყოფდა ცხოვრების მინიმალური პირობების დაკმაყოფილებას, რაც სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობას უწყობდა ხელს.<sup>139</sup>

2004-2005 წლებში, ქართული სასამართლო სისტემა ფინანსდებოდა უცხოური ორგანიზაციიდან.<sup>140</sup> აღნიშნულით იგნორირებული იყო მართლმსაჯულების საბიუჯეტო გარანტიები, რაც მნიშვნელოვნად ხელყოფდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ არც მაშინ და არც შემდგომ, ამ ფაქტზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა.

ამჟამად, საქართველოში საერთო სასამართლოების დაფინანსების პროექტს მთავრობას წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. პარლამენტში პროექტის განხილვამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია პარლამენტს წარუდგინოს მოსაზრებები დაფინანსების თაობაზე. უზენაესი სასამართლოს ხარჯების პროექტს მთავრობას წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>141</sup>

### 1.3. შიდა სისტემური დამოუკიდებლობა

ხელისუფლების სხვა განშტოებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობა არ არის მისი დამოუკიდებლობის ერთადერთი გარანტი. შესაძლებელია სასამართლო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან სრულად იყოს თავისუფალი, მაგრამ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდული იყოს შიდა სამოხელეო გავლენებით. ამ შემთხვევაში სახეზეა გარე ძალებისაგან დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც განიცდის შიდა სამოხელეო ზეწოლას. სასამართლოს ადმინისტრაციას არ უნდა შეეძლოს რაიმე ფორმით მოსამართლეზე გავლენის მოხდენა. სასამართლოს თავმჯდომარეობა არის დამატებითი ფუნქცია, რათა შეუქმნას სხვა მოსა-

138 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №2(2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის. სასამართლო ორგანოების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოების მართვისა და დაფინანსების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესრულების თაობაზე. სტრასბურგი, 2001 წლის 23 ნოემბერი. CCJE (2001) OP N2. § 6.

139 პრეზიდენტმა შევარდნაძემ საჯაროდ დაადასტურა, რომ სასამართლო სისტემა მთლიანად კორუმპირებული იყო. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „ანგარიში ევროპის საბჭოს სტანდარტებთან საქართველოს მართლწესრიგის შესაბამისობის შესახებ“ (1997) 1, § 115.

140 იხ. სასამართლო სისტემის ბიუჯეტი <http://www.supremecourt.ge/>

141 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 67 (2).

მართლეს დავის გადასაწყვეტად აუცილებელი და ხელსაყრელი გარემო. „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების ნაკლებობამ სასამართლო ორგანოს შიგნით, იერარქიის მიხედვით, შეიძლება მიიყვანოს სასამართლო საექვო გადაწყვეტილების მიღებამდე.“<sup>142</sup>

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის განმარტებით „მოსამართლეები უნდა ვათავისუფლდნენ ვავლენისგან სასამართლო ორგანოების შიგნით. სასამართლო ორგანოების იერარქიამ არ უნდა შეარყიოს ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობა“.<sup>143</sup>

სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა შეეძლოს საქმის განხილვას ჩამოაშოროს მოსამართლე, გადაიყვანოს სხვა სასამართლოში, აწარმოოს მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, ეს დამოუკიდებელი ორგანოს პრეროგატივა უნდა იყოს.

ქართულ რეალობაში, ამგვარ დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>144</sup> დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლება გააჩნიათ უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს. თუმცა, კანონის თანახმად, საერთო სასამართლოს ყველა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ექსკლუზიური უფლებამოსილებით მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სარგებლობს.<sup>145</sup>

მაშასადამე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედაც გვევლინება, იმავდროულად აწარმოებს მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას. ცხადია, იმ ორგანოს თავმჯდომარეობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას ახორციელებს, ხელს უწყობს შიდა ადმინისტრაციული დამოკიდებულების ზრდას და მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხის ქვეშ აყენებს. აღნიშნული ფუნქცია გარკვეულწილად დამოკიდებულს ხდის მოსამართლეებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე, ვინაიდან, ყველა საკითხის გადაწყვეტა, რაც სასამართლოსა და მართლმსაჯულებას უკავშირდება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელშია თავმოყრილი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს საკმარისი ბერკეტი მისთვის სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინოს მოსამართლეებს. აუცილებელი არ არის კონკრეტულ საქმეზე ხაზგასმა. საკმარისია მსგავს საქმეებზე მინიშნება მოსალოდნელ სავარაუდო შედეგზე, რაც მოსამართლის მიერ შეიძლება პირდაპირ მითითებად იქნეს აღქმული. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარისათვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღებისას, აღნიშნული ფუნქციის შეიძლება გააჩნდეს

142 CEDH. Parlov-Tkalčić c. Croatie, § 86. იხ. ასევე: Agrokompleks c. Ukraine, § 137.

143 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები კომ/რეკ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, § 22.

144 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 47. § 2.

145 საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 7. § 2.

**შემაკავებელი ეფექტი, ვინაიდან მოსამართლე შინაგანად გრძნობდეს თავისი სამოსამართლო კარიერის დასასრულს.**

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ „საქალაქო სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი განაჩენი საკმაოდ დასაბუთებულია და მას წყალი არ გაუვა“. აღნიშნული განცხადება შეიძლება შეფასდეს, როგორც პირდაპირი მინიშნება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თუ რა შედეგი შეიძლება დამდგარიყო. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ეს განცხადება შეაფასა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევად.<sup>146</sup>

ამგვარად, იუსტიციის საბჭოს დღევანდელი ფორმით არსებობა, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პარალელურად სადისციპლინო ორგანოსაც თავმჯდომარეობს, სრულიად მიუღებელია. ამასთანავე, უმჯობესია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაერქვას მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, ვინაიდან იგი სწორედ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს.<sup>147</sup>

ევროპული სტანდარტების მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ირჩევდეს თავად საბჭო თავისი არამოსამართლე წევრებისაგან.<sup>148</sup> ამგვარი მიდგომით შეიძლება დაცული იქნეს ბალანსი საბჭოს შიგნით თავმჯდომარის აუცილებელ დამოუკიდებლობასა და სხვადასხვა მოსამართლე წევრთა ინტერესებს შორის.

მაშასადამე, აუცილებელია ქართული კანონმდებლობით განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის ახალი წესი, რომლის მიხედვითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს შემადგენლობის არამოსამართლე წევრებიდან იქნება არჩეული.

## **1.4. მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა**

სასამართლოს დამოუკიდებლობა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან ერთად გულისხმობს აგრეთვე მოსამართლის ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას. მართალია, სასამართლო ორგანოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად განაპირობებს, მაგრამ მხოლოდ ინსტიტუციური დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყოფს ბოლომდე მოსამართლის პერსონალურ დამოუკიდებლობას.

146 მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. 30 სექტემბერი 2014 . § 29.

147 ტერმინი „მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო“ ეკუთვნის პროფესორ მინდია უგრეხელიძეს. იხ. „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია“. გვ. 67.

148 COMMISSION EUROPEENNE POUR LA DEMOCRATIE PAR LE DROIT (COMMISSION DE VENISE) NOMINATIONS JUDICIAIRES Rapport adopté par la Commission de Venise lors de sa 70e session plénière (Venise, 16-17 mars 2007). CDL-AD(2007) 028. Strasbourg, le 22 Juin 2007. Avis n° 403 / 2006. გვ. 9 § 35.

მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლის თვითშეგნებას, წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ გარე ფაქტორებს და გადაწყვეტილება მხოლოდ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს. მოსამართლე არ უნდა იყოს რაიმე ფორმით ანგარიშვალდებული მხარესთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად მიიჩნევს მოსამართლის რომელიმე მხარისადმი რაიმე ფორმით ანგარიშვალდებულებას; „როდესაც სასამართლოს შემადგენლობის ერთი წევრი იმყოფება ფუნქციურ ან რაიმე სახის დაქვემდებარებაში ერთ-ერთ მხარესთან, ჩნდება მისი დამოუკიდებლობის მიმართ ლეგიტიმური ეჭვი“.<sup>149</sup>

მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა დაწინაურების სისტემა. მოსამართლეთა დაწინაურება, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ შესაძლებლობებს, ღირსებებსა და გამოცდილებას. გადაწყვეტილება მოსამართლის დაწინაურების შესახებ უნდა მიიღოს მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელმა დამოუკიდებელმა ორგანომ, კონკრეტული მოსამართლის ობიექტური შეფასების საფუძველზე, კვალიფიკაციის, უნარების, პირადი თვისებებისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.<sup>150</sup>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლის დაწინაურებას ახდენს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო იუსტიციის საბჭო.<sup>151</sup> მოსამართლეს ეკრძალება თანამდებობრივი დაწინაურება, თუ მის მიმართ დისციპლინური სახდელი ამ დროისათვის გაქარწყლებული არ არის.<sup>152</sup> საქართველოს კანონმდებლობა დისციპლინურ სამართალწარმოებას უშვებს ხუთ წლამდე მეტი ვადით.<sup>153</sup> მაშასადამე, აღნიშნული ვადით, შეიძლება შეფერხდეს მოსამართლის დაწინაურება. ხოლო თუ მოსამართლის მიმართ დადგინდება, რომ მას არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა, მის მიმართ დაწინაურებაზე უარის თქმა და გაცდენილი წლების ანაზღაურება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

ამიტომ, აუცილებელია კანონში დაკონკრეტდეს, დისციპლინური სამართალწარმოების რომელ ეტაპზე უნდა იყოს შეზღუდული მოსამართლის დაწინაურება და ეს შეზღუდვა არ უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების მთელ პერიოდზე. ამასთანავე, მოსამართლეს, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილნი დასაწინაურებლად, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება.

რაც შეეხება მოსამართლის ერთი იურისდიქციიდან, სასამართლოს ერთი თანამდებობიდან სხვა იურისდიქციასა და სასამართლოში სხვა თანამდებობაზე

149 SRAMEK c. AUTRICHE. STRASBOURG. 22 octobre 1984. § 42.

150 „მოსამართლეთა ქვევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები (პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები) მიღებულია სასამართლოს პატიოსნებისა და განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ. ქ. ლუსაკა, ზამბია. 2010 წლის 21-22 იანვარი. § 12.6.

151 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 41.

152 საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 85.

153 იხ. საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 3.



გადაყვანას, აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ მისი თანხმობით. ვინაიდან მოსამართლის გადაყვანა შეიძლება გამოიყენებოდეს იმისთვის, რომ დაისაჯონ დამოუკიდებელი და გაბედული მოსამართლეები, რათა სხვებმაც არ მიბაძონ მათ. მოსამართლის თანხმობა სხვა სასამართლოში გადაყვანაზე შეიძლება არ იყოს საჭირო მხოლოდ სასამართლოს ლიკვიდაციის დროს.

დაუშვებელია, ასევე, საქმისაგან მოსამართლის ჩამოშორება მისი მსვლელობის პროცესში, ვინაიდან თუ მოსამართლეს დაუსაბუთებლად ჩამოაშორებენ საქმეს, ეს შეიძლება აღმოჩნდეს ირიბ მინიშნებად სხვა მოსამართლეთათვის, რომ იგივე განხორციელდება მათ მიმართ, თუკი ისინი არასასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანენ.

## 1.5. ბარე ზეწოლისაგან დაცვის ქმედითი გარანტიები

სასამართლოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მის საქმიანობაში მხოლოდ ხელისუფლების სხვა განშტოების ან შიდა ადმინისტრაციის ჩაურევლობას. აუცილებელია ასევე ყველა სხვა ძალებისაგან მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ძალები შეიძლება იყოს როგორც მონაწილე მხარეები, ისე საზოგადოების ცალკეული წევრები, მასმედია, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. სახელმწიფოს არა მხოლოდ მაშინ ევალება ზომების მიღება, როდესაც არის საფრთხე, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანომ ან ცალკეულმა თანამდებობის პირმა შეიძლება მოახდინოს სასამართლოზე ზეწოლა, არამედ არასახელმწიფო სუბიექტების გავლენებისაგან მის დასაცავადაც.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მიმდინარეობს სასამართლოს განსახილველ საკითხზე წინასწარ აზრის ან განწყობის შექმნა და ფონის მომზადება. საზოგადოებაში ჩამოყალიბებულმა განწყობამ, ხელისუფლების წარმომადგენელთათვის სხვადასხვა ავტორიტეტული პირებისა და ორგანიზაციების მიერ წინასწარ გამოთქმულმა შეფასებებმა შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინონ მოსამართლეზე და მან ვერ იგრძნოს თავი დამოუკიდებლად საქმის გადაწყვეტის პროცესში. ამგვარი ვითარება კი შეიძლება შექმნას მედია საშუალებებმა, პრესამ ან ცალკეულ პირთა საჯარო გამოსვლებმა.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა უფრო ღირებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში, გამოხატვის თავისუფლება თუ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიები? სად გადის ზღვარი კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასა და მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს შორის?

სხვა სოციალური ჯგუფებისაგან განსხვავებით, მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკური საქმიანობა და შესაბამისად, პოლიტიკური განცხადებების

გაკეთება.<sup>154</sup> ამიტომ, როცა მასზე ხორციელდება პოლიტიკური გეგმვა, იგი მოკლებულია შესაძლებლობას უპასუხოს მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას და აიტანოს ყველა პერსონალური შეზღუდვა ამ კუთხით. მოსამართლეს არა აქვს უფლება, უარი თქვას სამართლის აღსრულებაზე და თავიდან აიცილოს გახმაურებულ საქმეზე ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც საზოგადოებას მის მიმართ უარყოფითად განაწყობს, ხოლო საზოგადოების ნების დაყოფიება კი სამართლიანობის გამრუდებისკენ უბიძგებს. ასეთ შემთხვევაში მას უხდება მეტად რთული მისიის შესრულება. უნდა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, თუნდაც საზოგადოების რისხვა დაიმსახუროს. და ეს იმ პირობებში, როდესაც მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობაც კი არა აქვს.

შესაბამისად, ვინაიდან საზოგადოების ამ კატეგორიას არა აქვს კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, ამიტომ მათ მიმართაც გამოთქმული კრიტიკა უნდა იყოს ზღვრული და დასაშვები, რათა უსაფუძვლოდ არ იქნას შელახული მათი რეპუტაცია და არ შეირყეს ხალხის ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

საქმეში ალენე და ლიბერმონი საფრანგეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართებაში. „კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის როგორც მიღებას, ისე გავრცელებას. მე-6(2) მუხლს არ შეუძლია ხელი შეუშალოს ხელისუფლებას ინფორმაცია გაავრცელოს მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების შესახებ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის სრული დაცვით“<sup>155</sup> მაშასადამე, უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთგვარი გარანტი, რომელიც ეწინააღმდეგება აზრისა და განწყობის წინასწარ ჩამოყალიბებას, გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში უპირატესობით სარგებლობს.

საქმეში „პრაჭე და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ საქმე ეხებოდა ჟურნალისტისა და გამომცემლისათვის ჯარიმის დაკისრებას მოსამართლის მიმართ ცილისმწამებლური სტატიის გამოქვეყნებისათვის. ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტისა და გამომცემლისათვის ჯარიმის დაკისრება არ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების დარღვევად. ევროპული სასამართლოს მიერ ჟურნალისტისა და გამომცემლის მიერ გამოხატული კრიტიკა შეფასდა, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევა, ხოლო მათ მიმართ ეროვნული სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა, მიჩნეულ იქნა აუცილებელ ზომად დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლოს შეფასებით, მოსამართლის მიმართ გამოხატული კრიტიკა იყო უკიდურესად მძიმე, შესაბამისად, გამოხატვის

154 აღნიშნულ აკრძალვას ითვალისწინებს მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი დემოკრატიის ქვეყანა. პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ავალდებულებს მოსამართლეს სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები. 4.11. 3; საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86.

155 ALLENET DE RIBEMONT c. FRANCE. 10 février 1995. §38.

თავისუფლებაში ჩარევა და დევნის მიზანი – სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის დაცვა და შენარჩუნება – იყო ლეგიტიმური. გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოები წარმოადგენენ მართლმსაჯულების გარანტს, ისინი უნდა სარგებლობდნენ მაღალი საზოგადოებრივი ნდობით, რისთვისაც აუცილებელია მათი დაცვა უსაფუძვლო კრიტიკისგან.<sup>156</sup>

საქმეში „ბარფორდი დანიის წინააღმდეგ“ მომჩივანი თავის პუბლიკაციაში ადანაშაულებდა დანიის სასამართლოს ხელისუფლების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიკერძოებით მიღებაში. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული პუბლიკაციით, უსაფუძვლოდ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე იქნა შელახული სასამართლოს რეპუტაცია და შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში არ მომხდარა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.<sup>157</sup>

ევროპული სასამართლოს ამგვარი პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს, თუ როდენ დიდია სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება მეტად ღირებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში, იგი იზღუდება სასამართლოს დამოუკიდებლობის წინაშე. აღნიშნული შეზღუდვა სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან მასმედიით შექმნილმა განწყობამ მოსამართლეზე შეიძლება მართლაც განაპირობოს კონკრეტულ საქმეში აზრის წინასწარ ჩამოყალიბება და იგი მოექცეს საზოგადოებრივი განწყობის გავლენის ქვეშ. ამასთანავე, თუ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარეობს დისკრედიტაციის შემცველი კამპანია მასმედიის საშუალებებით, მოსამართლე შეიძლება მოერიდოს საზოგადოებისაგან მკვეთრად განსხვავებული აზრის დაფიქსირებას და დაჰყვეს საზოგადოების ნება-სურვილს, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალები არ აძლევს ამის საშუალებას. ასეთ დროს სასამართლოს, როგორც ერთადერთი კომპეტენტური ორგანოს როლი დავების გადაწყვეტის საკითხში, შესაძლოა დაიკარგოს ან მეორეხარისხოვანი გახდეს. ასევე „*იქმნება საშიშროება საქმეზე წინასწარი შთაბეჭდილებისა და განწყობილების შექმნისა საზოგადოებაში, რამაც ერთი მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, და, მეორე მხრივ, დააბრკოლოს საზოგადოების თვალში სასამართლოს მიერ მიღებული თუნდაც ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების ასეთად აღქმა.*“<sup>158</sup>

მაშასადამე, გამოხატვის თავისუფლება, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენს, შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის სასარგებლოდ. მოსამართლეები დაცული უნდა იყვნენ უსაფუძვლო თავდასხმებისგან იმის გათვალისწინებით, რომ მათ ეკისრებათ თავშეკავებულობის ვალდებულება, რომელიც თავად მათ არ აძლევს კრიტიკაზე შეპასუხების უფლებას.

156 Prager et Oberschlick c. Autriche. 26 avril 1995. §36,37.

157 BARFOD c. DANEMARK. 22 février 1989.

158 გოცირიძე ე. გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში. თსუ. 2008. გვ. 367.

სასამართლო დაცული უნდა იქნეს მხარეებისაგანაც. მოსამართლე ფუნქციურად არ უნდა იმყოფებოდეს რომელიმე მხარის დაქვემდებარებაში. მსგავს შემთხვევაში შეიძლება საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი. საქმეში „სმარევი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სასამართლოს ერთ-ერთი წევრი მხარესთან ფუნქციურ დამოკიდებულებაშია, განსაჯელს სწორედ რომ სამართლიანად შეუძლია დააყენოს ეჭვქვეშ მისი დამოუკიდებლობა.<sup>159</sup>

დაუშვებელია ისიც, რომ ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის ავტორიტეტულმა პირებმა გავლენის მომხდენი განცხადებები აკეთონ სასამართლოზე, რაც არაპირდაპირ აისახება მართლმსაჯულებაზე. ბოლო პერიოდში საქართველოში გახშირდა სხვადასხვა მაღალი რანგის უცხოელი პოლიტიკოსებისაგან ქართულ მართლმსაჯულების მუშაობაში პირდაპირი ჩარევის მცდელობის შემთხვევები.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2014 წლის მარტში, საქართველოს ექსპრეზიდენტის დაკითხვასთან დაკავშირებით, გააკეთა მოწოდება, სადაც მითითებულია: „ყოფილი პრეზიდენტის მიმართ რამდენიმე საქმის ერთდროული გამოძიების დაწყება ლეგიტიმურ შემფოთებას იწვევს პოლიტიკური ანგარიშსწორების მხრივ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იურიდიული და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიდვეა საქართველოში“.<sup>160</sup>

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარლ ბილდტმა, სოციალური ქსელით „ტვიტერით“ გაავრცელა შეტყობინება: „საქართველოს მთავრობა ევროპული გზიდან უხვევს სასამართლო სისტემის შურისძიებისთვის გამოყენებით“.<sup>161</sup>

მოწოდება იმის შესახებ, დაისაჯოს თუ არ დაისაჯოს, ან უფრო მეტიც, რა სასჯელი განისაზღვროს ამა თუ იმ პირის მიმართ, ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის უხემ დარღვევას და პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს მოსალოდნელ გადანყვეტილებაზე, მაშინ როცა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ იმ ფაქტებითა და მტკიცებულებებით, რაც საქმეშია და არ შეიძლება მოწოდებები რაიმე ქმედების შესრულების ან შესრულებაზე თავის შეკავების შესახებ, მით უმეტეს, როდესაც ეს კეთდება ულტიმატუმის ფორმით.

2015 წლის აპრილის თვეში, შვეიცარიის ელჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ მოსამართლეები გადანყვეტილებებს იღებენ ქრთამის და არა მტკიცებულებებისა და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე“.<sup>162</sup>

რა თქმა უნდა, სასამართლო ექვემდებარება კრიტიკას და პასუხი უნდა გაეცეს ყველა პრეტენზიას, მაგრამ ვიდრე სათანადო წესით არ დადგინდება მოსამართლის მხრიდან კორუფციული ქმედების ჩადენა, წინმსწრებად მსგავსი

159 SRAMEK c. AUTRICHE. 22 octobre 1984. § 42.

160 აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მარი ჰარფის განცხადება. ვაშინგტონი. 24.03. 2014. <http://www.amerikiskhma.com/content/us-state-dept-comments-on-georgia/1877592.html>

161 <http://www.radiotavisupleba.ge/archive/geo-news/20140806/1001/1001.html?id=26517025> . 06.08.2014

162 შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის ინტერვიუ „Times“-თან. 09.04.2015.

შეფასებების გაკეთება დაუშვებელია. ნებისმიერი საეჭვო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა რეაგირებისთვის უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს. კონკრეტული ფაქტების დადასტურებამდე საჭარო შეფასებების გაკეთებაზიანს აყენებს არამხოლოდ კონკრეტულ მოსამართლეებს, არამედ ზოგადად უარყოფითი შედეგის მომტანია სასამართლო სისტემისათვის. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა კი არის საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების გარანტი. საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია, პატივი სცეს სასამართლოს ავტორიტეტსა და მის დამოუკიდებლობას.

დაუშვებელია ასევე მოსამართლესთან კომუნიკაცია განაჩენის გამოცხადების შემდგომაც, რაც მის შეურაცხყოფაში შეიძლება გამოიხატოს. მართალია, აღნიშნულით განაჩენი აღარ შეიცვლება, მაგრამ ქმნის განწყობას, რომ სხვა საქმეების გადაწყვეტისას მოსამართლის ავტორიტეტი მსგავსი ხერხებით კვლავ შეიბღალება. ამასთანავე, ჩნდება საშიშროება, რომ ამგვარმა ქმედებამ ზემდგომ ინსტანციებში გარკვეული გავლენა შეიძლება მოახდინოს. კრიტიკა მისაღებია მხოლოდ სამართლებრივი გზით, შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებითა და დასაბუთებით. როდესაც მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ კომენტარს, მათ თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს ან ეჭვის ქვეშ დააყენოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, ან შეარყიოს სასამართლოს მიმართ საზოგადოების რწმენა.

მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, განაჩენის გამოცხადების შემდგომ საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი წევრისაგან მობილურ ტელეფონზე მიიღო შეურაცხმყოფელი შეტყობინება. ასევე სოციალურ ქსელში კანონმდებლის გამონათქვამები გასცდა ეთიკის ფარგლებს.<sup>163</sup> მსგავსი ქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, ვინაიდან საქმე გვაქვს მოსამართლის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან.<sup>164</sup> მით უმეტეს კიდევ უფრო მძიმეა ამგვარი შემთხვევა, როცა ამას აკეთებს კანონმდებელი. შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, რას იზამდა იგი უმრავლესობაში ყოფნის დროს, მოსამართლის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

მაშასადამე, სასამართლოს მიმართ პატივისცემა არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლების, არამედ უცხოური თუ ეროვნული არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების ყველა წევრის აუცილებელი მოთხოვნაა.

163 გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, საქმის განხილველმა მოსამართლემ ბესიკ ბუგიანიშვილმა საქართველოს პარლამენტის წევრ აკაკი მინაშვილისგან მობილურ ტელეფონზე შეურაცხმყოფელი ტექსტური შეტყობინება მიიღო წყარო: <http://www.for.ge/> 24.10.2014.

164 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოსამართლის შეურაცხყოფას დანაშაულად აცხადებს. მუხლი 366 (2).

## 1.6. ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი: სასამართლოს დამოუკიდებლობის შუქ-ჩრდილები

ევროსაბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის მე-16 დამატებითა ოქმმა ერთგვარი სიახლე შემოიტანა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში. აღნიშნული ოქმის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უმაღლეს იურისდიქციებს, სათანადო საფუძვლების არსებობისას, შეუძლიათ, პრინციპულ საკითხებზე საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით.<sup>165</sup>

სტრასბურგის სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემა, წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის 47-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც საკონსულტაციო დასკვნა არ უნდა ეხებოდეს კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული უფლებების განმარტებას. სასამართლომ არ უნდა გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ისეთ საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს სამართალწარმოების საგანი და სასამართლოს დავის რეჟიმში მოუწიოს ამ საქმის განხილვა. ის, რაც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლო წესით, არ შეიძლება საკონსულტაციო დასკვნების მეშვეობით მოგვარდეს.<sup>166</sup>

აღნიშნულ მუხლში გაცხადებული აკრძალვა გამომდინარეობს იმ მყარი ლოგიკიდან, რომ საქმის განხილვის პროცესში სასამართლო სრულად იყოს დამოუკიდებელი და ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში არ მოექცეს თავის მიერ უკვე გაცემული საკონსულტაციო დასკვნის გავლენის ქვეშ.

მე-16 ოქმის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შემდგომ, მხარეებს არ ეკრძალებათ, რომ საქმე გაასაჩივრონ სტრასბურგის სასამართლოში. მსგავსი აკრძალვა არც შეიძლება დანესდეს, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, შეიზღუდება კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის პირობები, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიმართოს ევროპულ სასამართლოს.

მაშასადამე, ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი უშვებს, რომ საკითხი, რომელზედაც სტრასბურგის სასამართლოს უკვე გაცემული აქვს საკონსულტაციო დასკვნა ეროვნულ დონეზე, შეიძლება შემდგომში მისი განხილვის საგანი გახდეს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო შეიძლება მის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის „მძევალი“ აღმოჩნდეს და იძულებული გახდეს იმ პოზიციაზე დარჩეს, რომელსაც საკონსულტაციო დასკვნაში ავითარებდა.

იმ შემთხვევაში თუ სტრასბურგის სასამართლო საქმის განხილვის დროს

<sup>165</sup> Protocole n° 16 à la Convention de sauvegarde des Droits de l'Homme et des Libertés fondamentales. Strasbourg. 2.X.2013. Art. 1.

<sup>166</sup> კორკელია კ., ქურდაძე ი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. სამოსამართლო სწავლების ცენტრი. თბილისი. 2004. გვ. 120

საკონსულტაციო დასკვნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ საფრთხის ქვეშ დადგება მისი, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის პრესტიჟი და ავტორიტეტი. ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ორგანოდ, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს სხვადასხვა გარემოებების მიხედვით და არა სამართლებრივი მტკიცებულებების საფუძველზე.

აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, სტრასბურგი იძულებული გახდება ყოველთვის დაიცვას პოზიცია, რომელიც გამოხატა საკონსულტაციო დასკვნის სახით, მიუხედავად იმისა, საქმის რა ახალმა გარემოებებმა იჩინა თავი შემდგომში.

რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხს, მე-16 ოქმი ამ მხრივ აჩენს მრავალ კითხვის ნიშანს, კერძოდ:

ეროვნული სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს სთხოვს განხილვაში მყოფი საქმის შესახებ პრინციპულ საკითხებზე დასკვნის გაცემას კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების განმარტების ან გამოყენების დროს, ანუ სთხოვს მას მიუთითოს, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება კონვენციასთან შესაბამისი. ასეთ შემთხვევაში ვერ ვილაპარაკებთ ეროვნული სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე, ვინაიდან მას მითითებას აძლევს საერთაშორისო სასამართლო. „ეს ნამდვილად არის ეროვნული სასამართლოსათვის იმის კარნახი, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მან ამ კონკრეტულ საქმეზე“.<sup>167</sup> აღნიშნულ საფრთხეს აღიარებს თავად ევროსაბჭოს დოკუმენტი – Reflection Paper, რომლის მიხედვითაც, „სასამართლო არ დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ მისი ავტორიტეტი სადავო გახდეს შიდა სასამართლოების მხრიდან მისი რჩევის გაუთვალისწინებლობის გამო. ნამდვილად არ არის მოსალოდნელი, რომ შიდა სასამართლომ, რომელმაც რჩევა ჰკითხა სასამართლოს, არ დაუჭეროს მას“.<sup>168</sup> აღნიშნული პათოსი სრულიად რეალურია. მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი, ძნელად წარმოსადგენია ვითარება, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინოს საერთაშორისო სასამართლოს მითითება. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლო არ მიიჩნევს მართებულად სტრასბურგის სასამართლოს დასაბუთებას და შეიძლება საკონსულტაციო დასკვნის გავლენისაგან თავის დაღწევას, არანაკლებ შეუსაბამობას ვაწყდებით: რატომ გააგზავნა ეროვნულმა სასამართლომ საქმე საერთაშორისო სასამართლოში, როდესაც მის აზრს არ ითვალისწინებს? ორივე შემთხვევაში ძნელი გახდება მხარეებისათვის დამატერებელი პოზიციის დასაბუთება და მნიშვნელოვნად შეირყევა ეროვნული იურისდიქციისადმი ნდობის ხარისხი.

მართალია, განმარტებითი ბარათის თანახმად, იდეაში საკონსულტაციო დასკვნის გაცემა არის სახელმძღვანელო განმარტება კონვენციის საკითხებთან დაკავშირებით და არა საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკითხის

167 გოცირიძე ე. „ქართული უნივერსიტეტი“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი – სუბსიდურობის პრინციპის განვითარება თუ გაუმართლებელი ჩარევა? ტ. I. 2015. გვ. 186.

168 Reflection Paper on the Proposal to Extend the Courts' Advisory Jurisdiction. § 29.

გადაწყვეტა,<sup>169</sup> მაგრამ, ვინაიდან ევროპულ სასამართლოს ეგზავნება საქმის ფაქტობრივი გარემოებები, იგი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციის განმარტებით და იძულებული იქნება იმსჯელოს საქმის შინაარსობრივ ნაწილზე, ანუ მიუთითოს, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

ამასთანავე, საერთაშორისო სასამართლოს მიერ სახელმძღვანელო განმარტების მიცემა იმავედროულად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმძღვანელო მითითებად, მით უმეტეს იგივე საქმე შემდგომში სტრასბურგმა შეიძლება არსებითად განიხილოს და ეროვნული სასამართლოს მხრიდან „ურჩობის“ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებაში მაინც თავისი პოზიცია დააფიქსიროს.

აღნიშნული ოქმი ეწინააღმდეგება ასევე სუბსიდიურობის პრინციპს. როგორც ვიცით, სტრასბურგის სასამართლო არ არის ეროვნული სასამართლო ხელისუფლების შემდგომი ინსტანცია. ამ ორგანოს არ შეუძლია შეცვალოს ეროვნული ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტი. თავისი სუბსიდიური ხასიათიდან გამომდინარე, იგი განიხილავს უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდა ეროვნულ დონეზე და შეუძლია დააფიქსიროს მხოლოდ კონვენციის კონკრეტული მუხლის დარღვევა. აქ წყდება საქმის სამართლებრივი განხილვის ეტაპი და გადადის პოლიტიკურ ტრილში, სადაც ევროსაბჭო მონისტრთა კომიტეტის მეშვეობით პოლიტიკური გეწოლით აიძულებს სახელმწიფოს თავისი ქმედებები სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეუსაბამოს.<sup>170</sup>

ვინაიდან სტრასბურგის სასამართლო, მე-16 ოქმის თანახმად, გვევლინება საქმის განხილვის პროცესში ჩართულ მხარედ, უფრო მეტიც ფაქტობრივად კარნახობს, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს ეროვნულმა სასამართლომ და ფაქტობრივად გვევლინება „*მეორე და მესამე ინსტანციებს შორის დამატებით საერთაშორისო ინსტანციად*“,<sup>171</sup> ამიტომ მისი სუბსიდიურობა, ანუ გადაწყვეტილების დამატებითი ხასიათი სადავო ხდება. არადა, მე-16 ოქმის მიზანი, პრეამბულის თანახმად, სწორედ სუბსიდიურობის პრინციპის განმტკიცებაა.

სრულიად გაურკვეველია ისიც, თუ რას ნიშნავს სათანადო საფუძვლების არსებობა, ანუ როდის წარმოიშობა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის აუცილებლობა. ოქმში ეს საკითხები დარეგულირებული არ არის. შესაბამისად, მოსამართლეს, საკითხის სირთულის ან პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს საკონსულტაციო დასკვნის ფუნქცია.

მე-16 ოქმი ქმნის აგრეთვე საქმის გაჭიანურების საფრთხეს, მით უმეტეს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას სტრასბურგის სასამართლო

169 მე-16 ოქმის განმარტებითი ბარათი. პუნქტი 11.

170 გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ გადაწყვეტილება საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ გამოსცა შედეგობრივი განკარგულება მომჩივნის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ. (თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარ განკარგულებას არ გააჩნია სავალდებულო ძალა ეროვნულ იურისდიქციებში). იხ.: ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ. 2004 წლის 8 აპრილი. §202, 203.

171 იხ. გოცირიძე ე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 187.



არ იღებს უპირობოდ, მან მისაღებობის ეტაპიც უნდა გადალახოს. ხოლო, საქმის მისაღებობის ეტაპზე ლოდინმა შესაძლოა ეროვნულ სასამართლოში საკონსტიტუციო ვადების დარღვევაც კი გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ეროვნული უმაღლესი იურისდიქცია იდეაში წარმოადგენს ყველაზე მაღალი იურიდიული კომპეტენციის მქონე ორგანოს ქვეყანაში. მის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად სხვა, თუნდაც საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა, აკნინებს ამ ორგანოს და მას სამართლებრივი საკითხებისადმი ნაკლებად განსწავლულად წარმოაჩენს. ევროსაბჭოს სხვა სტრუქტურული ერთეულისათვის სამართლებრივ საკითხებზე განმარტების მიცემა ხშირ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელიც კი გახდეს, თუკი პოლიტიკურმა ორგანომ თავი ვერ გაართვა სამართლებრივი საკითხების სწორად გადაწყვეტას, მაგრამ იურიდიული ორგანოს მიერ სამართლებრივი საკითხების განმარტების თხოვნა, გარკვეულ უხერხულობას წარმოქმნის ეროვნული უმაღლესი სასამართლოებისათვის მათი კომპეტენციის შეფასებიდან გამომდინარე. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ეროვნულ უმაღლეს იურისდიქციას არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, ან შეიძლება შეგნებულად, პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით იყენებს საკონსულტაციო დასკვნის პროცედურას და პასუხისმგებლობას საერთაშორისო სასამართლოს გადააკისრებს.

ამასთანავე, საქმის განხილვის პროცესში წინასწარ დასკვნის გაცემით ირყევა დამოუკიდებელი სასამართლოს ორგანული იდეა: საქმის განხილვა სასამართლოში მოხდეს შესაბამისი პროცედურების დაცვით, მტკიცებულებათა გამოკვლევით და მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ერთადერთი დადებითი მხარე, რომელიც მე-16 ოქმს გააჩნია და ოქმის პრეამბულაშიც პოვნებს ასახვას, ისაა, რომ იგი ხელს უწყობს ინსტიტუციური დიალოგის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებს შორის, მაგრამ ცხადია, ინსტიტუციური დიალოგის განვითარება ვერ გამოდგება ეროვნული სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვინების საპირწონედ.

მაშასადამე, ეროვნული უმაღლესი იურისდიქციების მიერ, საქმის განხილვის პროცესში, სამართლებრივი საკითხების თაობაზე განმარტების თხოვნამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის შეზღუდვა და გარკვეული სამართლებრივი შეუთავსებლობა შეიძლება გამოიწვიოს.

მე-16 ოქმი, სხვა ოქმებისაგან განსხვავებით, არ იქნება სავალდებულო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის და გამოყენებული იქნება მხოლოდ ხელმომწერი სახელმწიფოების მიმართ. ოქმი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს წევრი 10 სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიკაციას.

ამჟამად, ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან თექვსმეტ სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი ოქმზე, მათგან რატიფიკაცია მოახდინეს: სან მარინომ,

სლოვენია და ალბანეთმა.<sup>172</sup> საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 4 მარტს მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია.<sup>173</sup>

იმედია, რომ ევროსაბჭოს სახელმწიფოები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია თავიანთი ქვეყნის სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხი, არ მოახდენენ აღნიშნული ოქმის რატიფიკაციას და მე-16 დამატებითი ოქმი არასოდეს შევა ძალაში.

---

172 [http://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/214/signatures?p\\_auth=HG0EAACg](http://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/214/signatures?p_auth=HG0EAACg) (ბოლოს გადამოწმებულია 1.08.2015).

173 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე. ქუთაისი. 4 მარტი 2015 წ. N3139-III.

## §2. მიუკერძოებლობა

სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი დამოუკიდებლობის ხარისხთან, რომ იგი, როგორც წესი, თითქმის ყველა საერთაშორისო თუ ეროვნულ ნორმაში ერთად მოიხსენიება. სასამართლოს მიუკერძოებლობა განმტკიცებულია ყველა ზემოთ მოყვანილ საერთაშორისო აქტში, სადაც, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან ერთად, თანაბრად განიხილება მისი მიუკერძოებლობის აუცილებლობაც.<sup>174</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუკერძოებლობის ვალდებულებას კონვენციის მე-6 მუხლის წიაღში განიხილავს. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ევროპული სასამართლოსათვის სამართლიანობის მთავარ განმსაზღვრელ ელემენტებს წარმოადგენს. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრების განხილვისას, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ეროვნული სასამართლო ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს, იგი უმეტეს შემთხვევაში წყვეტს მე-6 მუხლით საქმის შემდგომ განხილვას, ვინაიდან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარეშე შეუძლებელია აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვაზე მსჯელობა. საქმეში „ფინდლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს იმის შემდგომი შესწავლა, საქმე განხილული იყო თუ არა საქვეყნოდ და კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ, ვინაიდან დასტურდება, რომ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. შესაბამისად, სახეზეა მე-6(1) მუხლის დარღვევა.<sup>175</sup>

ამგვარად, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების ყველა სხვა პრინციპთან მიმართებაში. ამ ორი პრინციპის ურთიერთგამიჯვნა ხშირად წარმოადგენს დავის საგანს. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ძალზე რთულია მათ შორის მკაფიო ზღვრის გავლება.<sup>176</sup> საქმეში „ჩირაკლარი თურქეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ძალიან რთულია დამოუკიდებლობის საკითხის მიუკერძოებლობისაგან გამიჯვნა, ვინაიდან მომჩივნის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, რომლებიც დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დარღვევაზე მიუთითებენ, ერთი და იმავე ფაქტებზეა დაფუძნებული.<sup>177</sup>

სასამართლოს ეს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი მართლაც იმდენად

174 იხ. § 1.1. პრინციპის საერთაშორისო აღიარება. გვ. 54.

175 FINDLAY c. ROYAME-UNI. 25 février 1997. §80; იხ. ასევე: ÖZERTİKOĞLU c Turquie. 17 mai 2001 §25.

176 დანელიუსი (1997) 151. ციტირებულია: „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრეფსელი. სარა ვ. სამერსის დახმარებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2010. გვ.70.

177 Cengiz Çiraklar contre Turquie. 20 mai 1996. §38.

მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გაძნელდეს მათი გამიჯვნა, მაგრამ მათ შორის მაინც არის ძირეული განსხვავება. რა თქმა უნდა, **თუ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, იგი ვერც მიუკერძოებელი იქნება. მოსამართლის მიუკერძოებლობა ამ შემთხვევაში მნიშვნელობას კარგავს სხვა ძალის გადაწყვეტილების წინაშე, მაგრამ მიკერძოებელი მოსამართლე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი.** ამგვარად, მიუკერძოებლობის ელემენტი შეიძლება მხოლოდ დამოუკიდებლობის შეფასების შემდგომ იქნეს განხილული. სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლის მართვას სხვა ძალის მიერ, იქნება ეს მოსამართლის სანინააღმდეგოდ, თუ მოსამართლე ამგვარ მითითებებზე ადვილად დამყოლია, ხოლო მიკერძოებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეს წინასწარ აქვს ჩამოყალიბებული აზრი და შეხედულებები და გადაწყვეტილებას შეგნებულად იღებს ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ.

მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლე მაქსიმალურად უნდა განთავისუფლდეს მხარეთა შეხედულებებისაგან და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კანონის საფუძველზე შინაგანი რწმენისა და მორალის კარნახით. შინაგანი რწმენა შეიძლება მომდინარეობდეს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, რის საფუძველზეც, კანონზე დაყრდნობით მიიღება სამართლიანი გადაწყვეტილება. თუ მოსამართლე შინაგანად არ არის დარწმუნებული გადაწყვეტილების სამართლიანობაში, მან არ უნდა გადახაროს სასწორი რომელიმე მხარეს, ანუ მაქსიმალურად უნდა განთავისუფლდეს სუბიექტური განცდებისაგან და მიიღოს ობიექტურობასთან მაქსიმალურად მიახლოებული გადაწყვეტილება.

ვინაიდან ადამიანი, როგორც სუბიექტი, ვერასოდეს გახდება ბოლომდე ობიექტური, ამიტომ მოსამართლის სუბიექტურობა შეიძლება მეტ-ნაკლებად აისახოს კიდევ მის შინაგან რწმენაზე. შესაბამისად, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება ვერ იქნება ყოველთვის ბოლომდე ობიექტური (და სუბიექტური განცდებისაგან ბოლომდე დაცლილი), მაგრამ იგი უნდა იყოს ობიექტურობასთან მაქსიმალურად მიახლოებული. ამისათვის აუცილებელია მოსამართლის შებოჭვა ყველა სხვა პრინციპით, რათა სუბიექტურობისა და მიკერძოების რისკი მაქსიმალურად შემცირდეს.<sup>178</sup> „წარმოდგენა, რომ თითქოს მოსამართლე ყოველდღიურ ადამიანურ მისწრაფებებზე მაღლა დგას და კანონის აბსტრაქტული ცნების საფუძველზე მოქმედებს, მითია. მოსამართლეებიც კითხულობენ გაზეთებს და უყურებენ ტელევიზორს, მაგრამ ხალხს მითები სჭირდება, მითში სასამართლოს ობიექტურობაზე ბევრად უფრო მეტია ჭეშმარიტება, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებულ ცინიკურ სიბრძნეში.“<sup>179</sup>

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის მიუკერძოებლობაში

178 მოსაზრება ეკუთვნის პროფესორ მინდია უგრეხელიძეს, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. 21/02/2011.

179 ჰერმან შვარცი. შვარცი ჰერმან, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003წ. გვ. 365.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, თუ არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ. „არ არსებობს არანაირი მოტივი, ეჭვი შევიტანოთ მოსამართლის მიუკერძოებულობაში, თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ აღმოჩნდა“.<sup>180</sup> მაშასადამე, მოსამართლის მიუკერძოებულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსამართლის პიროვნული მრწამსი და სინდისი. „მიუკერძოებლობა ძირითადად სინდისის საქმეა და ამ საკითხში სავსებით კანონზომიერად შეიძლება კორპუსის ტრადიციული პატიოსნების იმედი ვიქონიოთ“.<sup>181</sup>

საქმეში პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლო ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში მიუკერძოებლობას განმარტავს როგორც: „წინასწარი ჩამოყალიბებული აზრის ან მიკერძოების უქონლობას“.<sup>182</sup> აღნიშნულ საქმეში სასამართლო აფიქსირებს მიუკერძოებლობის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს. სუბიექტური მიუკერძოებლობა სახეზეა, როდესაც კონკრეტული საქმის მიმართ მოსამართლეს წინასწარ გააჩნია ჩამოყალიბებული აზრი, ხოლო ობიექტური მიუკერძოებლობა განსაზღვრავს, არსებობდა თუ არა საკმარისი იურიდიული გარანტიები, რათა გამორიცხულიყო ნებისმიერი ეჭვი მიკერძოების თაობაზე.

ჰოლშილდტის საქმეში ევროპული სასამართლო ამყარებს აღნიშნულ მოსაზრებას: „კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სუბიექტური ფაქტორით მიუკერძოებლობა უნდა შეფასდეს, როგორც კონკრეტული მოსამართლის პიროვნული მრწამსის განსაზღვრის მცდელობა კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, ხოლო ობიექტური ფაქტორით უზრუნველყოფა გულისხმობს საკმარის გარანტიებს, რაც გამორიცხავს ამ მხრივ ყოველგვარ საფუძვლიან ეჭვს.“<sup>183</sup>

იმავე პოზიციას იმეორებს სასამართლო საქმეში „ინკალი თურქეთის წინააღმდეგ“. სასამართლოს შეფასებით, მიუკერძოებლობა, კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში, ორი მნიშვნელობით ფასდება. პირველი კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ მრწამსს უკავშირდება (სუბიექტური მიუკერძოებლობა), ხოლო მეორე იმას, თუ რამდენად უზრუნველყო მოსამართლემ საკმარისი გარანტიების არსებობა, რათა მიკერძოებასთან დაკავშირებით ყველა საფუძვლიანი ეჭვი გამორიცხულიყო (ობიექტური მიუკერძოებლობა).<sup>184</sup>

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ მიუკერძოებლობის ორ ასპექტზე: პირველი ეს არის მოსამართლეთა სუბიექტური მიუკერძოებლობა და მეორე – სასამართლოს მიუკერძოებლობა ობიექტური თვალსაზრისითაც, ანუ უნდა დადგინდეს, რომ მოსამართლემ უზრუნველყო ყველა შესაბამისი საპროცესო

180 LE COMPTE, VAN LEUVEN ET DE MEYERE C. BELGIQUE. Le 23 juin 1981. § 58

181 პიერ პაქტე, ფერდინან მელენ-სუკრამიანი. კონსტიტუციური სამართალი. 28-ე გამოცემა. 2009 წლის მდგომარეობით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 . გვ. 810.

182 PIERSACK C. BELGIQUE. Le 1 octobre 1982. §30.

183 HAUSCHILD T. C. DANEMARK. STRASBOURG. 24 mai 1989. § 46.

184 INCAL c. TURQUIE. 9 juin 1998. §65. იხილეთ აგრეთვე: *Fey v. Austria*, 24 February 1993 §§ 28,30.

გარანტია იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მიკერძოებასთან დაკავშირებით. ობიექტური მიუკერძოებლობა იურიდიული მექანიზმების არსებობას უკავშირდება, ხოლო სუბიექტური მიუკერძოებლობა ძირითადად სინდისის საქმეა.

სუბიექტური მიკერძოებულობის დროს უნდა დამტკიცდეს, რომ მოსამართლემ თავისი სუბიექტური განცდები უფრო მაღლა დააყენა და პირადი მოსაზრებების ან წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების გამო დაადგინა მიკერძოებული განაჩენი, ხოლო ობიექტური მიკერძოების დროს საკმარისია იმის მტკიცება, რომ არსებობს ობიექტური საფუძველი მოსამართლის მიკერძოებისა, მაგალითად: დაარღვია ერთ-ერთი მხარის საპროცესო უფლებები, ან ერთ-ერთი მხარე ჩააყენა უპირატეს მდგომარეობაში, არ ჩამოშორდა საქმეს, როცა არსებობდა ამის ვალდებულება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში იგი მეორე მხარეს ამყოფებს საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ და ასეთ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია მართლაც ჰქონდა ადგილი მოსამართლის სუბიექტურ მიკერძოებას, თუ საქმე გვაქვს სამართლებრივ შეცდომასთან.

მაშასადამე, სუბიექტური მიუკერძოებლობა შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს და ემსახურება იმის დადგენას, თუ რამდენად სამართლიანი და მიუკერძოებელია შინაგანად მოსამართლე. მისი სუბიექტური მიუკერძოებლობა მხოლოდ გონებისმიერი წვდომითაა შესაძლებელი, ხოლო ობიექტური მიკერძოების დროს სახეგა საპროცესო დარღვევების უტყუარი ფაქტები.

პრაქტიკაში ობიექტური მიკერძოებლობის დადგენა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სუბიექტური მიკერძოებისა, ვინაიდან ობიექტური მიკერძოების დროს სახეგა საპროცესო ნორმების უტყუარი დარღვევა და აშკარა ფაქტები, ხოლო სუბიექტური მიკერძოების დროს შეუძლებელია მოსამართლის აზრების წაკითხვა და იმის მტკიცება, რომ მოსამართლემ ვერ დაძლია შინაგანი სუბიექტური განცდები და მისი გადაწყვეტილება, თუნდაც აშკარად უკანონო, შინაგანი რწმენით არ იყო ნაკარნახევი. ამიტომ, შინაგანი სუბიექტური განცდების მტკიცება ბუნებრივია რთულდება, ხოლო ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნების დარღვევა შეიძლება უტყუარ მტკიცებულებად მივიჩნიოთ. „იმ შემთხვევებში, სადაც ძნელია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.“<sup>185</sup>

მაშასადამე, სუბიექტური მიუკერძოებლობა ძირითადად მოსამართლის სინდისზე გადის და მის შინაგან პატიოსნებაზე დამყარებული. ობიექტური მიუკერძოებლობა კი გარეგან გამოვლინებას უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მართლმსაჯულება სამართლიანად განხორციელდეს, მაგრამ საზოგადოების თვალში ჩანს, რომ განხორციელდა უსამართლოდ. საფრთხის ქვეშ დგება ნდობა, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოებმა უნდა ჩაუნერგონ ხალხს. ევროპული სასამართლოს პოზიციით, საზოგადოებაში

185 OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE. 9 January 2013. § 105; იხ ახვევ: *Pullar v. the United Kingdom*. 10 June 1996, § 32.

განცდაც კი არ უნდა შეიქმნას იმისა, რომ სასამართლო არის მიკერძოებული, რათა არ შეილახოს ნდობა სასამართლოს მიმართ.

მაშასადამე, მოსამართლე შეიძლება მართლაც მიუკერძოებელი იყოს, მაგრამ ტოვებდეს მიკერძოებულის შთაბეჭდილებას, ასეთ შემთხვევაში იგი ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ მოსამართლედ. ხოლო თუ მოსამართლე ტოვებს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილებას, მაგრამ სინამდვილეში მიკერძოებულია, ის ჩაითვლება მიუკერძოებლად სამართალწარმოების მიზნებისთვის, სანამ მისი მიკერძოების შესახებ არ გახდება ცნობილი.<sup>186</sup>

საქმეში „ბელილოსი შვეიცარიის შინააღმდეგ“ მოსამართლე იყო ყოფილი პოლიციელი, რომელსაც შეეძლო ვადის ამონურვის შემდეგ კვლავ პოლიციაში დაბრუნება.<sup>187</sup> ვინაიდან საზოგადოების თვალში იგი ტოვებდა პოლიციელის შთაბეჭდილებას, ეს ფაქტი სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას ასუსტებდა. სასამართლო საქმეს კონვენციის მე-6(1) მუხლის ჭრილში განიხილავს და ადგენს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დარღვევას, თუმცა ცხადია, აღნიშნული საკითხი მთლიანად მიუკერძოებლობას შეეხება. თანაც სუბიექტურ მიუკერძოებლობას, ვინაიდან ქმნის მიკერძოების შთაბეჭდილებას, ხოლო პროცესუალურად იგი ნამდვილად იყო დანიშნული თანამდებობაზე და არ ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს დამოუკიდებლობის რაიმე ფორმალურ ნიშანს. მაშასადამე, მართლმსაჯულების სწორად განხორციელების თაობაზე რაიმე კითხვის ნიშანიც კი არ უნდა გაჩნდეს.

ვინაიდან მიუკერძოებლობა სუბიექტური თვალსაზრისით მოსამართლის სინდისს უკავშირდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის ფიცს. ფიცის დადებას დიდი მორალური და ზნეობრივი დატვირთვა აქვს. ფიცს დებს ყველა მოსამართლე როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სასამართლოებში. გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, მოსამართლესაზეიმოდ აცხადებს, რომ „აღასრულებს სასამართლოს ფუნქციებს სრული მიუკერძოებლობითა და კეთლსინდისიერებით“.<sup>188</sup>

ადამიანის უფლებათა ეროპული სასამართლოს რეგლამენტი მოსამართლის ფუნქციის დაკისრების აუცილებელ პირობად მიიჩნევს ფიცის დადებას, სადაც კანდიდატი აცხადებს, რომ ღირსეულად აღასრულებს მოსამართლის ფუნქციას, იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.<sup>189</sup> არის აგრეთვე ფიცი ათვისებისათვის, რაც მხოლოდ საზეიმო განაცხადით შემოიფარგლება.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სასამართლოს მოსამართლეს არც სჭირდება მკაცრი რეგლამენტირება ფიცის დონებზე, ვინაიდან ისედაც ყველა აცნობიერებს მოსამართლის როლსა და დანიშნულებას, მაგრამ ეს ფორმალური მხარე მაინც არ არის უარყოფილი. რაც შეეხება ეროვნულ სასამართლოებს,

186 ტრექსელი შტეფან. სარა ჯ. სამერსის დახმარებით. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი. 2009. Oxford University Press. გვ. 85.

187 BELILOS c. SUISSE. 29 avril 1988. § 67.

188 გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტი. 1978 (2005 წლის 14 აპრილის შესწორებებით). მუხლი 4(1).

189 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესდება. 2015 წლის 1 ივნისის შესწორებებით. მუხლი 3.

განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთაც დამოუკიდებელი სასამართლოს ხანგრძლივი ტრადიციები არ გააჩნიათ, მოსამართლის ფიცს უდიდესი მორალური დატვირთვა შეიძლება მიენიჭოს.

მოსამართლის ფიცს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულია მოსამართლის ფიცი: „*ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ... ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.*“<sup>190</sup> მაშასადამე, მოსამართლე ღვთის წინაშე დებს ფიცს, რომ დაიცავს ამქვეყნიურ სამართალს. აქ აშკარად იკვეთება, თუ რაოდენ დიდია მიუკერძოებლობის მნიშვნელობა. დედამიწაზე სამართალს ადგენს წუთისოფლის მოსამართლე, რომელიც ღვთის წინაშე დებს ფიცს, რომ დაიცავს ამქვეყნიურ სამართლიანობას და არ გაამრუდებს ამ უმთავრეს ადამიანურ ფასეულობას.

\* \* \*

მიუკერძოებლობის პრინციპს მნიშვნელოვნად აზიანებს მოსამართლის მიერ წინასწარ კომენტარის გაკეთება იმ საქმის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით, რომელსაც იგი განიხილავს, ან რომელიც შეიძლება გახდეს განხილვის საგანი. შესაძლებელია მოსამართლემ წინასწარ განმარტება გააკეთოს საქმის ტექნიკურ მხარეზე, მაგრამ შინაარსობრივ ნაწილზე წინასწარ კომენტარის გაკეთება მიანიშნებს, რომ მოსამართლეს უკვე აქვს აზრი ჩამოყალიბებული, რაც შემდგომში გონივრული მოლოდინის ფარგლებში მის გადაწყვეტილებაზე შეიძლება აისახოს. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება ვეღარ იქნება მიუკერძოებელი.

მოსამართლე ზედმინევით სწავლობს პროცესზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მხოლოდ მათი შესწავლის საფუძველზე, მოწმეთა ჩვენებების, მტკიცებულებების გამოკვლევის, სხვადასხვა შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, საქმეში არსებული მასალების წინააღმდეგობების გაანალიზებით მას ექმნება შინაგანი რწმენა, რის შემდეგაც კანონის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. საქმის განხილვის პროცესში შეიძლება გამოვლინდეს გარემოება, რომელიც წინასწარ არ იყო, ან/და არც შეიძლება ყოფილიყო ცნობილი, რაც არსებითად ცვლის საქმის ვითარებას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება აღმოჩნდეს თავისივე კომენტარის მძევალი, ვინაიდან საქმის მასალების სრულად გაცნობის შემდგომ, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად, შესაძლოა აუცილებელი გახდეს წინასწარ გამოხატული აზრისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

მსგავს შემთხვევაშიც, თუ მოსამართლე სრულად განთავისუფლდება წინასწარ გაკეთებული საკუთარი კომენტარის გავლენისაგან და მიიღებს საქმიდან გამომდინარე სამართლიან გადაწყვეტილებას, ჩნდება საფუძვლიანი რისკი იმისა, რომ საზოგადოებამ მისი პოზიციის რადიკალური ცვლილება

<sup>190</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/204-2007 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ. 2007 წლის 25 სექტემბერი.



აღიქვას რომელიმე ძალის ზეწოლის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებად, რომელიც არ არის მისი შინაგანი რწმენის გამოხატულება. ცხადია, მსგავს შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან იკარგება ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

დაუშვებელია ასევე მოსამართლემ საქვეყნოდ გამოხატოს რაიმე სახის დამოკიდებულება რომელიმე კატეგორიის სამართლდამრღვევთა მიმართ. ნიუ-იორკის მოსამართლეთა საქმის განმხილველმა კომისიამ ბრალეულად ცნო მოსამართლე ედვარდ ტრასი, ვინაიდან მან საქვეყნოდ განაცხადა თავისი წინასწარი დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ მაქსიმალურ სასჯელს შეუფარდებდა ნასვამ მძღოლებს. მოსამართლემ თავისი ქადილი აღასრულა კიდევ შემდგომ გადაწყვეტილებებში. მოსამართლეთა საქმის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების თანახმად: „სასამართლო დისკრეცია, რომელიც არის მოსამართლის უფლებამოსილების არსი, უქმდება, როდესაც მოსამართლე თავის თავს დაუნესებს პოლიტიკას, რომელიც მომავალში უკარნახებს მას გადაწყვეტილებებს. ამ დისკრეციის განხორციელებისას, **მოსამართლეს შეუძლია დააკისროს ნებისმიერი სასჯელი, რასაც კანონი უშვებს, მაგრამ მხოლოდ თითოეული საქმის ფაქტების გათვალისწინებით და თითოეული ბრალდებულის მოსმენის შემდეგ.** საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ მცირდება ასეთი განცხადებების გამო”.<sup>191</sup>

მოსამართლის მიერ დაუშვებელია კომენტარის გაკეთება საქმის შინაარსობრივ ნაწილზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომაც, ვინაიდან მოსამართლის კომენტარი უნდა იკითხებოდეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, ხოლო თუ მოსამართლის გადაწყვეტილებას რაიმე დამატებითი ახსნა-განმარტება სჭირდება, ეს ნიშნავს, რომ იგი სათანადოდ ვერ ასახუტებს თავის გადაწყვეტილებას, რაც თავისთავად გადაწყვეტილების უსამართლობაზე ან მოსამართლის არაკომპეტენტურობაზე მიანიშნებს. სასამართლოს შეუძლია გააკეთოს გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება, რაც შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ გადაწყვეტილების ტექნიკურ მხარეს და განმარტავდეს მისი აღსრულების სამართლებრივ ნაწილს.

მოსამართლის მიერ წინასწარ კომენტარის გაკეთებისაგან თავის შეკავების ვალდებულება გამოხტულია ბანგალორის სამოსამართლო ქცევის კოდექსში, რომლის თანახმადაც: „**მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი საჯაროდ ან იმდაგვარად, რომ გავლენა მოახდინოს ვინმეს წინააღმდეგ ან რაიმე საკითხის გამო წარმართულ სამართლიან პროცესზე**”.<sup>192</sup>

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უნდამოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.<sup>193</sup> აღნიშნული ჩანაწერი ზოგადად

191 STATE OF NEW YORK COMMISSION ON JUDICIAL CONDUCT. November 19, 2001. <http://www.scjc.state.ny.us/determinations/t/Tracy.Edward.J.2001.11.19.pdf>

192 ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს. § 2.4.

193 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები. მუხლი 5. იხ:

მოიცავს მოსამართლის მიერ წინასწარ კომენტარის გაკეთებას. ვინაიდან, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს მოსამართლისათვის დისციპლინური დევნის საფუძველს,<sup>194</sup> აღნიშნული ქმედება შესაძლოა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ზოგადი ჩანაწერი პრაქტიკაში ვერ უზრუნველყოფს ბოლომდე მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან მოსამართლის წინასწარ კომენტარის გაკეთება შესაძლოა სულაც არ იქნეს მიჩნეული ისეთ ქცევად, როდესაც პროცესის მონაწილეები ან საზოგადოება ამას წინასწარ შექმნილ შეხედულებად აღიქვამს.

ამიტომ, სასურველია საქმის შინაარსობრივ ნაწილზე წინასწარ კომენტარის გაკეთება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველად იქცეს და როგორც დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ ნაირსახეობა მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კანონში.

---

<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>

194 საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 2 (2 „ი“).

### §3. სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობის პრინციპი ლამის უთანაბრდება სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპს. შინაარსობრივად ისინი ერთ სფეროს მოიცავენ, მაგრამ მათ შორის მაინც არის თვისებრივი სხვაობა, კერძოდ, თუ მიუკერძოებლობის პრინციპი გულისხმობს, რომ სასამართლომ არ უნდა გადახაროს ისარი რომელიმე მხარისაკენ იმის გამო, რომ მისი სუბიექტური განცდა უფრო ძლიერია, ვიდრე ობიექტურობასთან მიახლოებული მაქსიმუმი, საქმის სამართლიანი გადაწყვეტა გულისხმობს სამართლიან განაწილებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა იღებს იმას, რაც დაიმსახურა.

ამგვარად, მიუკერძოებლობა არის გადაწყვეტილების მიღების განწყობა, შინაგანი ტენდენცია და შესაბამისი პროცესი, ხოლო სამართლიანად გადაწყვეტის პრინციპი გულისხმობს შედეგს, რაც მიუკერძოებლობის პრინციპიდან უშუალოდ გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში სასამართლო თავად წყვეტს კანონის გათვალისწინებით, რა შედეგი დაიმსახურა მხარემ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად გადაწყვეტა ამკვიდრებს ქვეყანაში სამართლის უზენაესობას, რასაც გადამწყვეტი როლი ენიჭება დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საქმეში.<sup>195</sup>

საქმის სამართლიანად გადაწყვეტის აუცილებლობაზე მიუთითებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო აქტი, სადაც სასამართლოს ღირებულებები ამოცემულია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით: „*ყველას აქვს გონივრულ ვადაში თავისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება*“.<sup>196</sup>

საქმის სამართლიანი განხილვა გულისხმობს საპროცესო გარანტიებს და მისი შეფასება უნდა მოხდეს გამოძიების ეტაპიდან (*სისხლის სამართლის საქმეში*).<sup>197</sup> საქმის სამართლიან განხილვაში შედის დუმილის უფლება, ბრალდების არსის გაცნობა, საკმარისი დროის მიცემა დაცვის მოსამზადებლად. დამცველის ყოლის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფიცია, მტკიცების წესები და ა.შ.

მაშასადამე, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მრავალ-კომპონენტური პროცესია და სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია გან-

195 ქართულ სამართლებრივ სივრცეში ხშირად გვეხვები ისეთი ტერმინი, როგორცაა კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობამ შეიძლება არასწორი კანონის მორჩილებამდე მიგვიყვანოს. სამართლის უზენაესობა კი უდავოა, ვინაიდან უსწორო ან გამრუდებული სამართალი არ შეიძლება არსებობდეს. სამართლის უზენაესობის შესახებ იხილეთ: „*სამართლის უზენაესობის ცნების მნიშვნელობა და ფუნქცია ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებში*“. გაბრიჩიძე გ. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თსუ. საქართველოს სახალხო დამცველი. თბილისი. 2013. გვ. 30.

196 იხ. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

197 განსასჯელთა საპროცესო გარანტიებს ითვალისწინებდა ჯერ კიდევ ნიურნბერგის ტრიბუნალი (წესდების IV თავი) მე-16 მუხლი, განსასჯელთა საპროცესო გარანტიები. UN Doc. A/1316 (1950).

ვიხილოთ, როგორც საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა ერთობლიობა, რომელიც წარედგინება სასამართლოსა და მართლმსაჯულებას.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის კონსტიტუცია ხაზგასმით აღნიშნავს: „სახელმწიფოს საქმიანობა დაფუძნებულია და შეზღუდულია სამართლით“<sup>198</sup> (და არა კანონით) ამდენად, კონსტიტუცია ასრულებს სამართლის უზენაესობით მართული სახელმწიფოს სავალდებულო მოთხოვნებს. სახელმწიფოს ყოველგვარი საქმიანობა დაფუძნებულია სამართალზე და შეზღუდულია მის მიერ.<sup>199</sup>

სამართლიანობის პრინციპი უკაპირდება ინსტიტუციურ და მორალურ გარანტიებს. ინსტიტუციური გულისხმობს სახელმწიფოში არსებულ იმ საკანონმდებლო ვალდებულებებს, რომლის შესრულების ვალდებულებაც სასამართლოს გააჩნია. ხოლო მორალური გულისხმობს იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც წინ უძღვის პროცედურის ყოველ ეტაპს. მაგ. უდანაშაულობის პრეზუმფცია, მხარეთა თანასწორობის პრინციპი და ა.შ. შეიძლება გამოვყოთ ასევე მესამე დაჯგუფება სამართლიანობის პრინციპისა, რომელსაც წარმოადგენს სხვადასხვა ცალკეული უფლება: დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის განსაზღვრა, ბრალდების არსისა და საფუძვლების გასაგებ ენაზე გაცნობა, მოწმეთა თანაბარ პირობებში დაკითხვა და ა.შ.<sup>200</sup>

ვინაიდან სამართლიანობის პრინციპი მაინც შესაბამისის მიზლვას უკავშირდება, ამიტომ იქმნება საშიშროება, რომ სამართლიანობის პრინციპი არ გადაიზარდოს ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვევაში. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მართალია, დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ იგი მიზნად ისახავს ისეთ შედეგებს, რომელთაც სამაგიეროს მიზლვასთან არაფერი აკავშირებს. ეს მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამასთანავე, ნებისმიერი სამართალდარღვევა არ წარმოადგენს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო აქტს, არამედ იგი ამავე დროს უსამართლობაცაა.

სასჯელის სამართლიანობა ერთი მხრივ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, რომ დანაშაულის ჩადენით ხელყოფილი სამართლიანობა იქნეს აღდგენილი, ხოლო მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოების გათვალისწინება და დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის განსაზღვრა.

198 1999 წლის 18 აპრილის შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუცია (SR 101). „სამართლის უზენაესობა“. მუხლი 5.

199 ჰალერი ვალტერ. შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში. ქართული თარგმანი ნ. ბაქრაძე, თ. ბაქრაძე. „უნივერსალი“. 2012. გვ. 31. § 57.

200 თოფურიძე ნ. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში. სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. თსუ. 2013. გვ. 85-86.

## §4. მოსამართლის პროფესიონალიზმი

დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოსაც არ შესწევს ძალა ჯეროვნად განახორციელოს მართლმსაჯულება საკმარისი ცოდნისა და გამოცდილების, ან სათანადო უნარ-ჩვევების გარეშე. რაოდენ მყარი საკანონმდებლო გარანტიებიც არ უნდა შევუქმნათ სასამართლოს, სამართლიან განაჩენს მაინც მეტწილად პროფესიული ტრადიციები განაპირობებს: „*ვინებრივი შესაძლებლობები, ანალიზური აზროვნების უნარი და პროფესორის ავტორიტეტი ხელს უწყობს მის თავდაჯერებულობას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ანალიზური არგუმენტების მიღებასა და დამოუკიდებლობას, და ამ არგუმენტების ხორცშესხმის საშუალებას იძლევა*“.<sup>201</sup>

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები „*არჩეულნი არიან მაღალი მორალური თვისებების მქონე პირთა რიცხვიდან, აკმაყოფილებენ მათ ქვეყნებში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დასანიშნად წაყენებულ მოთხოვნებს, ან/და არიან საერთაშორისო სამართალში აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისტები*“.<sup>202</sup>

საერთაშორისო პაქტი – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ხაზს უსვამს მოსამართლის პროფესიონალიზმს.<sup>203</sup> სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების მიხედვით: „*მოსამართლედ შერჩეული პირები უნდა იყვნენ ღირსებისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანები, რომლებსაც სამართლის დარგში ექნებათ შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია*“.<sup>204</sup>

მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის მოსამართლეთა უნივერსალური სტატუტის თანახმად, „*თითოეული მოსამართლის დანიშვნა უნდა მოხდეს ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების მიხედვით და ეფუძნებდეს პროფესიონალიზმს*“.<sup>205</sup>

მოსამართლის ფუნქციის განსახორციელებლად პროფესიონალიზმის აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილებულია სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში: „*მოსამართლემ უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა შეინარჩუნოს და აამაღლოს მისი ცოდნა, უნარი და პირადი თვისებები, რომლებიც აუცილებელია სამოსამართლო ფუნქციის ჯეროვანი განხორციელებისათვის*“.<sup>206</sup>

201 შვარცი ჰერმან. „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტსაბჭოურ ევროპაში“. გვ. 367.

202 სტატუტის მე-2 მუხლი. გაეროს სასამართლო

203 საერთაშორისო პაქტი – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1966 წ. 6 დეკემბერი. მუხლი 14 (1).

204 იხ. სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. § 10.

205 Le Statut Universel du Juge de l'Union Internationale des Magistrats (UIM). Art.9.

206 სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები. (ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალლობის განმამტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, შვეიცარიის

ყველა პირს, ვინც მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნება, უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი განხრების, ასევე საპროცესო ნორმების შესახებ. „სასამართლოს მუშაკთა პროფესიული მომზადება უნდა ეფუძნებოდეს მსოფლმხედველობათა პლურალიზმის პრინციპს, რათა უზრუნველყოს მოსამართლეების მხედველებათა ფართო თვალსაწიერი და ობიექტურობა და სასამართლო ორგანოების მიუკერძოებლობა.“<sup>207</sup>

ევროსაბჭოს სტანდარტების მიხედვით, მოსამართლეთა შერჩევა უნდა მოხდეს მათი „დამსახურების, კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და ეფექტიანობის მხედველობაში მიღებით...“.<sup>208</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაცია აზუსტებს ამ კრიტერიუმებს: „მოსამართლეთა შერჩევისა და კარიერის გადანყვეტილება უნდა ეყრდნობდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც კანონით, ან კომპეტენტური ორგანოს მიერ უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული. ეს გადანყვეტილება უნდა ემყარებოდეს დამსახურებას, კვალიფიკაციას, კომპეტენციას და შესაძლებლობას, ადამიანის ღირსების პატივისცემის ფარგლებში სამართლიანად გადანყვიტოს საქმე“.<sup>209</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს „უნდა ახასიათებდეთ მაღალი მწიფობრივი თვისებები და/ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები.“<sup>210</sup> ამასთანავე, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ეროვნულ სასამართლოებში კომპეტენტური მოსამართლეების ყოლას ავალდებულებს.

ამგვარად, კომპეტენცია წარმოადგენს სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვანი განხორციელების წინაპირობას. მოსამართლის მაღალი კომპეტენცია და მორალური თვისებები იწვევს სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობას და მისდამი პატივისცემას. პროფესიონალიზმი სასამართლოს აძლევს ძალასა და ავტორიტეტს, ხოლო მოქალაქეებს კი განუმტკიცებს რწმენას, რომ მათი უფლებების ყველაზე საიმედო გარანტი სასამართლოა. „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი გულისხმობს იდეას, რომ ისინი წარმოადგენენ სამართლებრივი დავის გადანყვეტის, პიროვნების დანაშაულობისა თუ უდანაშაულობის განსაზღვრის ერთადერთ სათანადო დაწესებულებას“.<sup>211</sup>

---

სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს). § 6(3).

207 „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები (პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები). მიღებულია სასამართლოს პატიოსნებისა განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ ქ. ლუსაკა, ზამბია. 2010 წლის 21-22 იანვარი. § 7.4.

208 Recommandation N° R (94)12 du Comité des Ministres du Conseil de l'Europe sur l'indépendance, l'efficacité et le rôle des juges. (adoptée par le Comité des Ministres le 13 octobre 1994, lors de la 518e réunion des Délégués des Ministres) Principe I. 2. C.

209 Recommandation CM/Rec(2010)12 du Comité des Ministres aux Etats membres sur les juges : indépendance, efficacité et responsabilités. (adoptée par le Comité des Ministres le 17 novembre 2010, lors de la 1098e réunion des Délégués des Ministres). Chapitre VI. § 44.

210 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. მუხლი 21. § 1.

211 WORM c. AUTRICHE. 9 août 1997. § 40.

მოსამართლეთა მომზადების პროცესი მრავალფეროვანია ევროპის ქვეყნებში. ეს მრავალფეროვნება ნაწილობრივ გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო სისტემებიდან. ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკით მეტად ხანგრძლივია ტრენინგები სპეციალიზებულ დანესებულებებში. სხვა ქვეყნებში კი დანერგილია პრაქტიკული სწავლება გამოცდილი მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც თავის ცოდნასა და პროფესიულ რჩევებს გადასცემს კონკრეტული მაგალითების გამოყენებით, ასწავლის თუ რა მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული, რათა არ ჰქონდეს ადგილი რაიმე სახის შეცდომას. ხანგრძლივ პროფესიულ გამოცდილებას ეყრდნობიან საერთო სამართლის ქვეყნებიც.

მაშასადამე, იმ რეალობაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების საბოლოო გარანტად იქნა აღიარებული, სახელმწიფოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოში სიმართლის დადგენას მხოლოდ პროფესიონალები უნდა ემსახურებოდნენ.

\* \* \*

ევროპული სტანდარტების მიხედვით, პროფესიული მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანო იმ ორგანოებისაგან განცალკევებით უნდა არსებობდეს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ წარმოებასა და მათ გამწესებაზე.<sup>212</sup> მოსამართლეთა პროფესიულ მომზადებაზე პასუხისმგებელი უნდა იყვნენ თავად სასამართლო ორგანოები. აღნიშნული იძლევა, მოსამართლეებთან კონსულტაციების საფუძველზე, პროფესიული მომზადების პროგრამების მომზადებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფის მეტ შესაძლებლობას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით: „*მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც... გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა სიაში*“.<sup>213</sup> იუსტიციის სკოლის დანიშნულებაა „*საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება*“.<sup>214</sup>

იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ანუ ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმის შესწავლასა და წარმოებაზე.<sup>215</sup> აღნიშნული ეწინააღმდეგება ევროპულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანო

212 „მოსამართლეთა ქვეყის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). თბილისი. 2015. § 204. გვ. 189.

213 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2009 წ. მუხლი 34(1).

214 საქართველოს კანონი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ. 2005 წ. მუხლი 1(2).

215 იხ. დასახელებული კანონი. მუხლი 3. (4).

განცალკავებული უნდა იყოს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების ორგანოსაგან.

ამგვარად, სასურველია შეიცვალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრების დამტკიცების წესი და შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან. აღნიშნულ საბჭოს წევრებს უნდა ამტკიცებდეს არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, არამედ მოსამართლეთა კონფერენცია.



## §5. დროულობა, ქმედითობა, ეფექტიანობა

სასამართლოს დროული და ქმედითი ხასიათი განაპირობებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას. დროულობაში მოიაზრება სამართალწარმოების მთლიანი პროცესი და მოიცავს როგორც სასამართლო განხილვას, ისე წინასწარი გამოძიებისა და აღსრულების ეტაპებს. პრინციპი, რომ საქმეები გონივრულ ვადაში უნდა გადაწყდეს, იცავს პროცესის მონაწილეებს ხანგრძლივი გაურკვეველობისაგან.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სასამართლოს მიერ დროულად საქმის გადაწყვეტა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა სწორი მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, „მისი საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში“.<sup>216</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი აღნიშნულ უფლებას დიდ ყურადღებას უთმობს და სავალდებულოდ აცხადებს: „სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული თუ დაკავებული ყოველი პირი სასწრაფო წესით უნდა მიიყვანონ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონით უფლება აქვს აღასრულოს სასამართლო ხელისუფლება, და დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს გონივრული ვადის მანძილზე აქვს სასამართლო გარჩევისა თუ განთავისუფლების უფლება“.<sup>217</sup>

ბუსტი წესი, თუ რას ითვალისწინებს გონივრული ვადა, არ არსებობს. „სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევა იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლივობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში ექვს წელიწადს.“<sup>218</sup>

თუმცა აღნიშნული განმარტება ვერ ჩაითვლება ვადის გონივრულობის განსაზღვრების ბუსტი ინდიკატორად. აღნიშნული მაინც დამოკიდებულია მთელ რიგ კრიტერიუმებზე, საკითხის კომპლექსურობისა და მხარეების ქცევის ჩათვლით. მაგალითად, გასათვალისწინებელია ადმინისტრაციული სირთულეები: როდესაც საჩივარი დროზე ჩაბარდა, მაგრამ განმცხადებელს დაავიწყდა ხელმოწერა ან აუცილებელი საჭირო ასლების დართვა. ასეთ შემთხვევაში მას უნდა მიეცეს მოკლე ვადა, რათა გამოასწოროს ხარვეზი და ა.შ.

ისმის კითხვა: როდის იწყება გონივრული ვადის ათვლა? ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ გონივრული ვადა იწყება პირის დაკავების მომენტიდან.

216 ევროპული კონვენცია. მუხლი 5 (3).

217 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. მუხლი 9 (3).

218 ვიტკაუსკასი დ., დიკოვი გ., ევროსაბჭო, „სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად“. 2012, გვ. 74.

„ვადის დანცების დროდ ყოველთვის უნდა იქნეს მიჩნეული ის თარიღი, როდესაც პირმა პირველად ოფიციალური გზით მიიღო ნებისმიერი სახის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიმართ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ დანცებულია გარკვეული პროცედურები“.<sup>219</sup>

საქმეზე „ვემჰოფი ვერმანიის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული პერიოდის ათვლა დაიწყო მაშინ, როდესაც გაიცა პირის დაპატიმრების ბრძანება. საბრალდებო აქტი კი შედგენილ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინასწარი გამოძიების დასრულებიდან გავიდა 2 წელზე მეტი. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ მოხდა მომჩივანის გონივრულ ვადაში გასამართლება და დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი.<sup>220</sup> სამოქალაქო საქმეებზე ეს ვადა იწყება სარჩელის შეტანის მომენტიდან, ხოლო მოპასუხის შემთხვევაში სარჩელის ჩაბარების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის შეტანა ხდება არაუფლებამოსილ ორგანოში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების მიხედვით, აღნიშნული დრო უკვე ითვლება გონივრულ ვადაში და სახელმწიფო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ამ განცხადების დროულად გადაგზავნა ადრესატისათვის.

საქმეში „ბოიმარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა არაუფლებამოსილ ორგანოში – პარიზის ადმინისტრაციულ სასამართლოში, რომელიც განსჯადობის მიხედვით არ იყო უფლებამოსილი განეხილა ეს საქმე. ამიტომ იგი გადაუგზავნა კომპეტენტურ ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს. ევროპული სასამართლოს მიხედვით, „დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც განმცხადებელმა პირველად შეიტანა სარჩელი, თუნდაც არაუფლებამოსილ ორგანოში“.<sup>221</sup>

ეფექტიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ასევე სასამართლოს ქმედითობა, რაც გულისხმობს სასამართლოს ძალასა და ავტორიტეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე არა თუ დაზარალებულის უფლებების აღდგენას შეძლებს, არამედ მას თავად მოუწევს თავდაცვა მხარეთა გავლენებისაგან. სასამართლოს ძალა და ავტორიტეტი სწორედ მისი გადაწყვეტილების აღსრულებაში ვლინდება. გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხება ან გაჭიანურება ლახავს ქმედითი მართლმსაჯულების იმიჯს. საქმეში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, მომჩივნის მიერ წამოყენებული ერთ-ერთი პრეტენზია ემყარება ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია აღნიშნული უფლება, ამკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, მაგრამ იგი შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 (1) მუხლის გაგებით.<sup>222</sup> სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო მე-6 მუხლის დარღვევა ცნო

219 სიჭინავა ე. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი. თსუ. თბილისი. N1. 2008. გვ.102.

220 WEMHOFF c. ALLEMAGNE. STRASBOURG. 27 juin 1968.

221 Beaumartinc France. (Requête n° 15287/89). STRASBOURG. 24 novembre 1994.

222 აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ. 28/02/2007. §37.

ევროპულმა სასამართლომ ასევე საქმეში „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებელს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანიდან 3 წლის განმავლობაში თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი.<sup>223</sup>

მაშასადამე, ქმედითობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი გადაწყვეტილებების აღსრულების სავალდებულო ხასიათი, ქმედითობაში მოიაზრება მისი გადაწყვეტილებების შეუცვლელობაც. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს ხელისუფლების არცერთი სხვა განშტოების, ან სხვა ორგანოს გადასინჯვას. თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებარა ხელისუფლების სხვა განშტოების მიერ შექმნილ დროებითი ან მუდმივი ორგანოს გადასინჯვას, ეს გამოიწვევს სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის შერყევას. საქმეში „ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, ვინაიდან საფრანგეთის სააპელაციო და საკასაციო ინსტანცია (Conseil d'Etat), რომელიც კონვენციის მე-6(1) მუხლის თანახმად, სასამართლოს ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, საერთაშორისო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია.<sup>224</sup>

მაშასადამე, დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა რომელიმე სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ. მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლოები უნდა ახორციელებდნენ. ამ პრინციპიდან ერთგვარ გადახვევას წარმოადგენს შეწყალება და ამნისტია, რომლითაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გარკვეულწილად ერევა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამნისტიისა და შეწყალების ინსტიტუტს ცნობს ქვეყნების უმრავლესობა. ეს მექანიზმები ძირითადად სასამართლოს მიერ მსჯავრის გამოტანის შემდეგ გამოიყენება ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე. თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისია შვედეთი, სადაც მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე გამოძიების ან სასამართლო განხილვის ეტაპზე.<sup>225</sup> ავსტრიის პრეზიდენტს კი სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის შეცვლის უფლებამოსილება გააჩნია.<sup>226</sup>

მსგავსი წესის არსებობა შეიძლება უკავშირდებოდეს სასამართლო შეცდომის გამოსწორების დამატებით გარანტიებს, თუმცა სადავოა პოლიტიკური პირის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა სასამართლო შეცდომის გამოსწორების გარანტიაა თუ პოლიტიკური ინტერესების განხორციელების უნიკალური შესაძლებლობა.

223 ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ 24.03.2004. ეს საქმე მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ევროპულმა სასამართლომ, მიუხედავად თავისი სუბსიდიური ბუნებისა, გამოსცა შედეგობრივი განკარგულება და განმცხადებლის დაუყოვნებლივ განთავისუფლება მოითხოვა.

224 Beaumartin. § 34.

225 Constitution du 28 février 1974. Suède. Chapitre XI. Article 13. იხ. ლინკი: <http://mjp.univ-perp.fr/constit/se1974.htm> ბოლოს გადამოწმებულია: 10.09.2015.

226 Loi constitutionnelle fédérale du 1er octobre 1920 Autriche. Chapitre III. Article 65. 2. C). იხ. ლინკი: <http://mjp.univ-perp.fr/constit/at1929.htm>

საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სამართლებრივი მოვლენებიდან გამომდინარე, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით აქტუალური გახდა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის აუცილებლობა. ქართული საზოგადოება რთული მოვლენის წინაშე აღმოჩნდა. მოხდა აღიარება, რომ სასამართლოები პოლიტიკური მიზნების გამოყენების იარაღად იყო ქცეული. აღნიშნული ფაქტი აღიარა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ.<sup>227</sup> ბუნებრივია, ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა იმ პირთა საქმეების გადასინჯვა, რომელთა განაჩენიც უკვე კანონიერ ძალაში იყო და ეს პირები უკვე სასჯელს იხდიდნენ. დაიწყო მსჯელობა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე, რომელიც წინა წლებში მოსამართლეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გადასინჯავდა.

მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიაში მოიაზრება არასასამართლო ორგანო. არასასამართლო ორგანოს მიერ შესაძლო ხარვეზების მქონე საქმეების გადასინჯვა კი ხელისუფლების დანაწილების და სასამართლო დამოუკიდებლობის კონსტიტუციით და საერთაშორისო სტანდარტებით უზრუნველყოფილ პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში. სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადი პრინციპების მიხედვით „სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას“.<sup>228</sup> მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდეს მხოლოდ სასამართლო, მაგრამ ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი არის სამართლიანობის დამკვიდრება, ამიტომ, სამართლიანობის გამრუდების შემთხვევაში აუცილებელია სამართლიანობის აღდგენის მექანიზმის შემუშავება.

მაშასადამე, ერთ მხარესა გვაქვს სასამართლოს ფუნდამენტური პრინციპი, რომლის გადახვევაც სასამართლო სისტემის რყევას გამოიწვევს, და მეორე მხარესაა მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების გამოსწორებისა და გამრუდებული მართლმსაჯულების აღდგენის აუცილებლობა.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც არ დააზიანებს სასამართლო სისტემას, მაგრამ ამავე დროს მოხდება მართლმსაჯულების წარსული ხარვეზების გამოსწორება. ბუნებრივია, კომისიამ არ უნდა განახორციელოს მართლმსაჯულება, ანუ არაიურიდიული ორგანო ვერ შეასრულებს იურიდიული ორგანოს ფუნქციებს, მით უმეტეს სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი განაჩენების გადასინჯვას.

სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისიების არსებობას ცნობს ევროპული პრაქტიკა,<sup>229</sup> სადაც გადახედილი საქმეები ისევ სასამართლოს ეგზავნება. ვენეციის კომისიის პოზიციით, უნდა მოხდეს საქმეების თავიდან

227 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა თაობაზე“. 05.12.2012.

228 იხ. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ. მუხლი 4.

229 მსგავსი კომისია პირველად შეიქმნა 1997 წელს (ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში), შემდგომ 1999 (შოტლანდიაში) და 2003 (ნორვეგიაში).

გამოძიება და „ხელახლა გახსნილ საქმეებზე გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლომ უნდა გამოიტანოს“.<sup>230</sup> ვინაიდან კომისიის ფუნქცია არ იქნება მართლმსაჯულების ხარვეზების დადგენა, ამიტომ, ტერმინი „დადგენა“ უნდა შეიცვალოს უფრო ნეიტრალური ტერმინით, როგორცაა „შესწავლა“ ან სხვა მსგავსი.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა, რომელიც აღრიცხავს შემოსულ საჩივრებს და ქონებას, შეისწავლის და თუ გადაწყვეტს, რომ უნდა მოხდეს მათი გადასინჯვა, საქმე გადასასინჯად გადაეცემა პროკურატურას, რომელიც დაადგენს, მართლაც დაარღვია თუ არა კანონი მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღების დროს, მოხდა თუ არა მოსყიდვა, ქრთამი, პირადი დაინტერესება, ზეგავლენა და ა.შ. კომისიას არ უნდა ჰქონდეს პროკურატურისათვის რაიმე ფორმით მოთხოვნის წაყენების უფლება. პროკურატურას უნდა შეეძლოს საქმის შეწყვეტა დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით. თუ პროკურატურა დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მოსამართლის მიერ საქმის გადაწყვეტის დროს კანონდარღვევას, იგი საქმეს გააგზავნის იმავე ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც აღნიშნული საქმე განიხილა, მაგრამ არა კონკრეტულად განაჩენის გამომტან სასამართლოში.

ამასთანავე, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენმა კომისიამ მხოლოდ ცალკეული შემთხვევები უნდა აღწეროს. დაუშვებელია მან დასკვნები გამოიტანოს სასამართლოს სისტემურ ხარვეზებსა და მიზეზებზე. საჩივრების წარდგენის ვადა უნდა იყოს განსაზღვრული და გაცხადებული მედიაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გაუქმება და არსებული მდგომარეობის გამოსწორება. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ამჟამად ღიად არის დატოვებული და შემდგომ მოქმედებებს საჭიროებს.

\* \* \*

მაშასადამე, სასამართლო არის ის ერთადერთი ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს მართლმსაჯულება. საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეთა პოზიციით, „ჩვეულებრივი იურისდიქციის სასამართლოების ნაცვლად არ შეიძლება შეიქმნას სპეციალური ან საგანგებო ტრიბუნალები“.<sup>231</sup> აღნიშნული აკრძალვა მიზნად ისახავს საერთო სასამართლოების, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთიანი სასამართლო კორპუსის მდგრადობის შენარჩუნებას, მაგრამ აქ არ იგულისხმება სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის აკრძალვა საერთო სასამართლო სისტემის ფარგლებში. სპეციალიზებული სასამართლო შეიძლება შეიქმნას საერთო სასამართლოების სისტემაში, მის მოსამართლეებს გავლილი უნდა ჰქონდეთ

230 ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე. 27 ივნისი, 2013 CDL-AD(2013)13, დასკვნა N728 / 2013. § 83.

231 „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები (პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები). მიღებულია სასამართლოს პატიოსნებისა და განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ ქ. ლუსაკა, ზამბია. 2010 წლის 21-22 იანვარი. 10.1. „გ“.

სპეციალური მომზადების კურსი შესაბამის სფეროში. სპეციალიზებული სასამართლოები წარმოადგენენ საერთო სასამართლოების სისტემის განუყოფელ ნაწილს და გააჩნიათ საკითხის გადაწყვეტის ვიწრო სფერო. ამგვარი ტიპის სასამართლოებში სრულად არის დაცული საერთო სასამართლოების საქმისწარმოების მკაცრი წესები, მოსამართლეები კი არიან კონკრეტულ სფეროში სპეციალიზებული იურისტები. შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება აღნიშნულ სფეროში ბევრად უფრო კომპეტენტური და სიღრმისეულია, ვიდრე ჩვეულებრივი მოსამართლისა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ცნობენ სპეციალიზებულ სასამართლოთა პრაქტიკას. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა კრძალავს სპეციალურ და საგანგებო ტრიბუნალებს, მაგრამ უშვებს სპეციალიზებულ სასამართლოებს საერთო სასამართლოების მკაცრად კონტროლირებად სისტემაში, სადაც ამგვარი ტიპის სასამართლოები საერთო სასამართლოების წიაღში ფუნქციონირებენ და ფედერალურ სასამართლოთა პალატაში ცენტრალიზებული სახით არიან გაერთიანებულნი. სპეციალიზებულ სასამართლოებს ცნობს აგრეთვე ინგლისის, იაპონიის, კანადის, უნგრეთისა და უკრაინის სასამართლო სისტემები.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთო სასამართლოების სისტემის ფარგლებში შექმნილი სპეციალიზებული სასამართლოები არ იწვევს ერთიანი სასამართლო სისტემის რღვევას. აქ მთავარი პირობა ისაა, რომ აუცილებელია მათი მკაცრად ცენტრალიზებული სახით გაერთიანება საერთო სასამართლოების სისტემაში. ამგვარი ტიპის სასამართლოებს აქვთ დადებითი მხარეები, კერძოდ: პროცესი არის დაჩქარებული და საქმისწარმოება მიმდინარეობს შედარებით სწრაფ ვადებში. შესაბამისად, სასამართლოები ნაკლებად გადატვირთულია და გადაწყვეტილება არის ბევრად უფრო ხარისხიანი.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია ცნობს ასევე ისეთი სპეციალური სასამართლოს შექმნასაც, რომელიც არ შედის საერთო სასამართლოების სისტემაში. მაგალითად, საფრანგეთში შექმნილია უმაღლესი სასამართლო, რომელიც ეროვნული კრებისა და სენატის წარმომადგენლობებით არის დაკომპლექტებული და მისი ფუნქციაში შედის პრეზიდენტის გასამართლება.<sup>232</sup> სპეციალური სასამართლოები გვხვდება ასევე აშშ-ში, რომლებიც კონგრესის გადაწყვეტილებით იქმნება. მათი მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ, სენატის თანხმობით. ასეთი სასამართლოებია: სასარჩელო, საბაჟო, საპატენტო სასამართლო და სხვ.<sup>233</sup>

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის თანახმად, „*არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები*“.<sup>234</sup> მეტიც, „*თუ არასრულ-*

232 Constitution de la République française. 4 octobre 1958. Version mise à jour en janvier 2015. art. 67, 68

233 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. კრებული I. ავტორთა კოლექტივი ო. მელქაძის რედაქტორობით. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი. 2008. თბილისი. გვ.42.

234 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 16 (1).

ნლოვანის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განავრძოს პროცესი“.<sup>235</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, კანონის თანახმად, განსაზღვრავს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეების სპეციალიზაციის სტანდარტს, რათა არასრულწლოვანის საქმე განიხილოს მოსამართლემ, რომელიც ნაზიარებია სპეციალურ პროგრამას აღნიშნულ სფეროში. არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, მათი საქმეების განმხილველ მოსამართლეს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური ტრენინგი არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის შესახებ.

მაშასადამე, ქართული კანონმდებლობა უშვებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული პირების ჩართვას, ოღონდ იმგვარად, რომ აღნიშნულ სფეროში სპეციალიზებული იქნებიან მხოლოდ ის მოსამართლეები, რომელთაც იუსტიციის საბჭო ყოველ კონკრეტულ საქმის განხილვის დროს შეარჩევს.

აღნიშნული, უდავოდ, წარმოადგენს პროგრესულ ნაბიჯს, მაგრამ საკმარისი არ არის. შეიძლება ვიმსჯელოთ არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის მიზანშეწონილობაზე, რაც სრულ შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან და არ შეიცავს საერთო სასამართლოების ერთიანი კორპუსის მდგრადობის დარღვევის საფრთხეს. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციით, სასურველია, სახელმწიფოებმა დააარსონ არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოები, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა.<sup>236</sup>

მსგავსი ტიპის სასამართლოები სასურველია, განლაგდნენ განცალკევებით, სასამართლო შენობის ცალკე სხდომის დარბაზებში. შესაძლებელია ასევე არასრულწლოვანთა სასამართლოდ გამოყენებული იქნეს არსებული სასამართლო შენობის დარბაზები კვირის გარკვეულ დღეებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვებისა და იმ ზრდასრულების ერთად მოხვედრა, რომელთაც ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა. „სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლოს ფიზიკურ სქემას და დასაჯდომი ადგილების განლაგებას... მოსამართლეები უნდა იხდნენ ბავშვის დონეზე და არა შემადლებულ ადგილზე, რათა უფრო ადვილად ესაუბრონ ბავშვს. ეს დაეხმარება ბავშვს, უფრო ქმედითი მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში“.<sup>237</sup>

არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა საერთო სასამართლოს სისტემაში, სადაც მოსამართლეებს სპეციალური

235 იქვე.

236 გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007), ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში CRC/C/GC/10. § 93.

237 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. ქეროლინ ჰაშილტონი. ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2013. 1.2.1.

ტრენინგები ექნებათ გავლილი, მნიშვნელოვნად გაზრდის მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს. „*მოსამართლე, რომელსაც აქვს სპეციალიზაცია სამართლის კონკრეტულ დარგში, ბევრად უფრო სწრაფად შეძლებს საქმის რელევანტური ასპექტების არარელევანტურისგან გამოცალკევებას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, დაადგება პრობლემის გადაჭრის სწორ გზას*“.<sup>238</sup>

სპეციალიზებული სასამართლო ხელს შეუწყობს საქმეების უფრო სწრაფად, დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტას. *ჯერჯერობით, საქართველოში სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის იდეა მომნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ აღნიშნული საკითხის აქტუალობა, მისი დადებითი მხარეების გათვალისწინებით, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში.* სპეციალიზაციის შემოღების შედეგად სასამართლოები გახდებიან უფრო კვალიფიციურნი. დარგობრივი კვალიფიკაციის ხარისხის გარდა, სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა შეამცირებს საქმეების რაოდენობას სასამართლოებში. შესაბამისად შემცირდება გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, სახელმწიფო ხარჯები და ასე შემდეგ. აღნიშნული სიახლე უზრუნველყოფს ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის დანერგვას ქვეყანაში.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა.<sup>239</sup> აღნიშნული არ კრძალავს სპეციალიზებული (პროფესიული) სასამართლოების შექმნას. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნული ჩანაწერი აშინებს ხელისუფალთ. მართალია, კონსტიტუცია სპეციალური სასამართლოების შექმნას კრძალავს, რაც სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ბუნდოვანების გასაქრობად სასურველია კონსტიტუციაში ამ მხრივ მეტი სიცხადე.

238 ჰაგენლოხი ულრიხ. დრემდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე. *გერმანელი მოსამართლის თვლით დანახული მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში*. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015. გვ. 24.

239 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 83(4).



## §6. სასამართლოს ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის პრინციპი პირველად აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გაცხადდა. სწორი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელია, ყოველ პირს ჰქონდეს სამართლებრივი დავის შეუზღუდავი უფლება, რაც გულისხმობს, რომ პირს შეუძლია აღძრას საქმე ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ და იდავოს სამართლებრივად. არავის არ უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევა რაიმე პრივილეგიის ან თანამდებობის გამოყენებით. აუცილებელია, რომ სასამართლოს წინაშე ყველა იყოს თანასწორი. სასამართლოს „პრინციპები მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როცა არსებობენ იოლად მისაწვდომი სასამართლოები, მოუსყიდველი მოსამართლეები და ადმინისტრაცია, რომელსაც სურვილი აქვს, სასამართლო გადაწყვეტილებები აღასრულოს“.<sup>240</sup>

სასამართლოზე ხელმისაწვდომობა მოიცავს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას, თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ტერიტორიულ ხელმისაწვდომობასაც. ტერიტორიული ხელმისაწვდომობა ნიშნავს, რომ ყოველ ტერიტორიულ ერთეულს უნდა ჰქონდეს თავისი სასამართლო, რათა პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები რაიმე ფორმით შეილახა, არ მოუხდეს შორს წასვლა და ხელი არ ჩაიქნოს სამართლის ძიებაზე.

შესაბამისად, დაუშვებელია თანხების დაზოგვის ან სხვა რაიმე მიზეზით სასამართლოების გამსხვილება და რამდენიმე ქალაქის ან დაბის ერთ სასამართლო სივრცეში გაერთიანება. აღნიშნულით შეიძლება ხელისუფლება შეფარულად ცდილობდეს დაბრკოლება შეექმნას მოქალაქეებს, რათა მათ არ მიმართონ სასამართლოს მათთვის ნაგულვები უფლების აღსადგენად.

გემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია სასამართლო რეფორმის ე.წ. მეორე ეტაპზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გაუქმება, რომლებიც სააპელაციო სასამართლოებს წარმოადგენდნენ. დღეისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას ასრულებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ტერიტორიულად. შესაბამისად, ტერიტორიული სიშორე ართულებს მოქალაქეებისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანას სასამართლოში. მიუღებელია ასევე აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს გაუქმებაც, თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით, მაშინ როცა ფუნქციონირებს ამ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა შტოების უმაღლესი ორგანოები. აღნიშნული ცვლილებების ფარგლებში განხორციელდა ასევე რაიონული (საქალაქო)

240 დავიდ რენე. *თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები*. თბილისი. 1993. გვ. 112.

სასამართლოების გაერთიანებები. ამ რეფორმის შედეგად რამდენიმე რაიონული სასამართლო ერთ სასამართლოდ გაერთიანდა. დღესდღეობით საქართველოში 22 გაერთიანებული სასამართლოა, გაერთიანებული რაიონები კი დიდი მანძილით არიან დაშორებულნი სასამართლოებთან, რაც ქმნის მოსახლეობისათვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის პრობლემას. მაშასადამე, აღნიშნული რეფორმით შეიზღუდა მოქალაქეების მიერ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რაც არღვევს ასევე კონსტიტუციურ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.<sup>241</sup> აღნიშნული საკითხი შემდგომ მსჯელობასა და გადასინჯვას მოითხოვს.

სასამართლოზე ხელმისაწვდომობა გულისხმობს ასევე სასამართლო სხდომებზე დასწრების შესაძლებლობას. საზოგადოებას უნდა შეეძლოს დაესწროს სასამართლო მოსმენებს საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად. აუცილებელია განხილვების შესახებ წინასწარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით როგორც მხარეების, ისე საზოგადოებისათვის. აგრეთვე, სასამართლო დარბაზის მოცულობა უნდა იყოს საკმარისი და საზოგადოების დასწრებისათვის შექმნილი უნდა იყოს სათანადო პირობები. დარბაზში არასაკმარისი სივრცის არსებობისას კი, გამოყენებული უნდა იქნეს ვიდეოეკრანები, რათა საზოგადოების ინტერესი დაკმაყოფილდეს.

სამართლის მიღწევა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხარის ფინანსურ შესაძლებლობებზე. მათ ვისაც არ გააჩნიათ საჭირო საშუალებები სასამართლო პროცესის წარსამართად, უნდა ჰქონდეთ უფლება, განთავისუფლდნენ ხარჯებისაგან. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ბაჟი საერთოდ იქნეს უარყოფილი სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ მისი ოდენობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. „საქართველოში, დღესდღეობით სასამართლო ბაჟის გადახდა მოქალაქეების უმრავლესობისათვის შეუძლებელია, მოსახლეობის უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელია ასევე ადვოკატების მომსახურება, ხოლო უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა შესაბამისი მასშტაბით და კვალიფიკაციით არ ხორციელდება“.<sup>242</sup> აღნიშნული მნიშვნელოვნად ართულებს მართლმსაჯულების პროცესს სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის კუთხით.

241 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 42.

242 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო. OSCE. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. ვარშავა. 9 დეკემბერი, 2014. § 76.

## §7. საჩინარობა და ნდობის ხარისხი

სასამართლო პროცესებისადმი ნდობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმურობას. „სასამართლოს ავტორიტეტი... საბოლოო ჯამში, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სჭერა საზოგადოებას, რომ მას აქვს გადაწყვეტილებების მიღების მორალური უფლება“.<sup>243</sup>

სასამართლო სისტემისადმი ნდობა სხვადასხვა ფაქტორით ყალიბდება. ნდობის მთავარ ფაქტორად სასამართლო სხდომების გამჭვირვალობა და საქვეყნოება შეიძლება დავასახელოთ. სასამართლო სხდომების საქვეყნოება გაცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.<sup>244</sup> სასამართლო პროცესების საქვეყნოებას აღიარებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც.<sup>245</sup> საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განიხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.<sup>246</sup>

სასამართლო პროცესის საქვეყნოება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ევროპული კონვენციის მიხედვით, სხდომა შესაძლებელია დაიხუროს, როდესაც საქმე ეხება მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების საკითხებს, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, და როდესაც საქვეყნოება ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს. აღნიშნული ინფორმაცია გამოცალკავებული უნდა იყოს ძირითადი მტკიცებულებებისაგან.

დახურული სასამართლო სხდომები ნებადართულია მხოლოდ კანონით მითითებული გამონაკლისი გარემოებების არსებობისას. გამონაკლისი გარემოებად არ შეიძლება მივიჩნიოთ სხდომაზე წესრიგის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ სასამართლოს უპატივცემულობისათვის გათვალისწინებულ ზომები.<sup>247</sup>

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაცია ხაზს უსვამს სასამართლო პროცესებისადმი საჯარო ინტერესს: „სასამართლო პროცესებისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან

243 Baker v. Carr, Supreme Court of the United States of America, (1962) 369 US 186, per Justice Frankfurter

244 იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხლი 10 და 11(1).

245 იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მუხლი 14. § 1

246 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 85.

247 აღსანიშნავია, რომ საქართველოში, მოსამართლეები სასამართლო დარბაზში წესრიგის აღსადგენად, აფრთხილებენ დარბაზს, რომ ხმაურის შემთხვევაში დახურავენ სხდომას. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლო. ხიზანიშვილის პროცესი. 6 ნოემბერი. 2013. იხ. ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო. OSCE. ვარშავა. 9 დეკემბერი, 2014. § 89.

დაკავშირებული საკითხების მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი“.<sup>248</sup>

საინტერესოა ევროსაბჭოს კიდევ ერთი რეკომენდაცია სამართლებრივ საინფორმაციო-საძიებო სისტემებში სასამართლო გადაწყვეტილებების შერჩევის, დამუშავების, წარდგენისა და დაარქივების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, „*მიანოდოს ინფორმაცია ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ავლენს სასამართლო პრაქტიკის მიმართ დაინტერესებას*“.<sup>249</sup>

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ხაზს უსვამს პროცესის საქვეყნო ხასიათს. საქმეში „ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას, ვინაიდან „*არცერთი იურიდიული გადაწყვეტილება არ გამხდარა საქვეყნო და არ მომხდარა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა*“.<sup>250</sup>

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ ვხდით პროცესს საქვეყნოს, მაშინ როცა, სასამართლო გადაწყვეტილება ეხება მხარეს? დახურული სასამართლო პროცესის დროსაც კი, გადაწყვეტილებას საქვეყნოდ ვახმოვანებთ და ვატყობინებთ საზოგადოებას.

დავების განხილვა ყოველთვის ატარებდა საქვეყნო ხასიათს. საჩინარობის პრინციპი ისტორიულად ყალიბდებოდა როგორც მართლმსაჯულების თანმდევით მოთხოვნა და თავისი არსით სხვადასხვა ფაქტორებით არის ნაკარნახევი, კერძოდ:

პროცესის საჩინარობა საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს სასამართლო პროცესს და ერთგვარი კონტროლი განახორციელოს სასამართლოზე, მოსამართლეებს კი იცავს, რათა გაიფანტოს ყოველგვარი ეჭვი მათი მიკერძოების თაობაზე და ამტკიცებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ. საჩინარობის პრინციპი მოსამართლეს აძლევს არა მარტო კორუფციული გარიგებები და სხვა უკანონო ქმედებები იქნეს მაქსიმალურად თავიდან აცილებული, არამედ, ასევე უბიძგებს მათ, ზედმიწევნით დაიცვან ეთიკური ნორმები და საზოგადოების წინაშე პირნათელნი და მიუკერძოებელნი წარსდგნენ.

უკანონო გადაწყვეტილება, რომელსაც საზოგადოება ხედავს, უარყოფითად აისახება ცნობიერებაზე. ნებისმიერი ამგვარი გადაწყვეტილება საზოგადოების რომელიმე წევრის მიმართ იწვევს მძაფრ რეაქციას და საზოგადოების გალაშქრებას ამ უსამართლობის წინააღმდეგ. სამართლიანად წარმართული პროცესი და სამართლიანი გადაწყვეტილება კი ადამიანს აძლევს იმედს, რომ

248 Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies). Art. 19.

249 RECOMMENDATION No. R (95) 11 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES CONCERNING THE SELECTION, PROCESSING, PRESENTATION AND ARCHIVING OF COURT DECISIONS IN LEGAL INFORMATION RETRIEVAL SYSTEMS (Adopted by the Committee of Ministers on 11 September 1995 at the 543rd meeting of the Ministers' Deputies). Appendix I. II.

250 AFFAIRE WERNER c. AUTRICHE. (138/1996/757/956). STRASBOURG. 24 novembre 1997. § 60.

მისი ცხოვრება დაცულია და უცალობებს ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. „სასამართლო პროცესი, როგორც წესი, არის ადამიანის დაცვის პროცესი, რომელიც ასე თუ ისე, აისახება სხვა ადამიანების ცხოვრებაზეც, მათ მიერ დაცულობის აღქმაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე კანონისადმი, სასამართლოსადმი, მოსამართლისადმი“.<sup>251</sup>

სასამართლო სხდომების საქვეყნოდ განხილვა იძლევა საშუალებას, ნათლად დაინახოს საზოგადოებამ სამართლებრივი მსჯელობა, ეს იძლევა სამართლებრივი კულტურის გამომუშავების საშუალებას, რაც უთუოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. „საზოგადოების წევრებს შორის სწორი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია, იმ სასამართლო სხდომის შედეგად იქნეს მიღწეული, რომელიც ხორციელდება, როგორც მატერიალური სამართლის, ასევე ... საპროცესო ნორმების ნათლად წარმოჩენითა და გუსტად დაცვით... ნორმის შინაარსის ნათლად წარმოჩენა და მისი გუსტად და თანმიმდევრულად დაცვა სასამართლო სხდომებზე თუ გადაწყვეტილებაში, რა თქმა უნდა, საზოგადოების მხრიდან როგორც კანონის, ისე სასამართლოს მიმართაც პატივისცემის დამკვიდრების ხელისშემწყობი ფაქტორია“.<sup>252</sup>

მაშასადამე, საქვეყნო სასამართლო განხილვის ვალდებულება უზრუნველყოფს როგორც ბრალდებულთა, ისე მთლიანად საზოგადოების ინტერესებს და ეხმარება პროცესის დამსწრე წევრებს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაში.

სასამართლო პროცესის საქვეყნობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მედიის დაშვება სასამართლო პროცესზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ვიდეოჩანერის უფლება აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც მოთხოვნისამებრ ვალდებულია გაავრცელოს მასალა სხვა მედიამაუწყებლებში.<sup>253</sup> საქვეყნო განხილვის გარანტიის განსამტკიცებლად, საზოგადოებრივ მაუწყებელს ეძლევა შეუზღუდავი უფლება განახორციელოს ფოტოების გადაღება და აუდიო/ვიდეო მასალის ჩანერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება, სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. ეს პროგრესული ნაბიჯია, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული სხდომების საქვეყნობა, პროცესის ფართო მასებისათვის ჩვენებასაც გულისხმობს. კანონის ძველი რედაქციის თანახმად, აუდიო/ვიდეოს გადაღებისათვის აუცილებელი იყო „დასაბუთებული მოთხოვნა“, ხოლო კანონი არ აკონკრეტებდა, რა შედიოდა დასაბუთებულ მოთხოვნაში. 2013 წლის 20 მარტის ცვლილებებამდე კი საერთოდ იკრძალებოდა სასამართლო დარბაზში ვიდეოგადაღება.

სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, სასამართლო პროცესის ჩანაწერების არარსებობის გამო, დარღვეულად იქნა მიჩნეული

251 Мурадян М., Судебное право. Санкт-Петербург. 2007. стр. 31

252 ლილუაშვილი გ. სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015.

253 კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 131 (2) და (3).

პირის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება. „სასამართლო განხილვის პროცესში შეუძლებელი იყო ჩანაწერების წარმოება და სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება არ ჩაბარდა მხარეს, არ მომხდარა ასევე მისი გამოქვეყნება“.<sup>254</sup>

\* \* \*

სასამართლოს მიმართ ნდობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე გადაწყვეტილების დასაბუთება. იგი ერთადერთი გზაა სამართლიანობის მიმართ თვითნებობის შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა მტკიცებულებები მიიღო სასამართლომ მხედველობაში და რა არ გაითვალისწინა. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, თუნდაც იგი იყოს სამართლიანი, ვერ განაწყობს საზოგადოებას ნდობით სასამართლო ხელისუფლების მიმართ და მიუთითებს მოსამართლის არაპროფესიონალიზმზე, ასევე, ქმნის განაჩენის მიკერძოებულობის ეჭვის საფუძველს.

სწორედ დასაბუთების წყალობით ეძლევა მხარეს საშუალება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში. „ეფექტიანი გასაჩივრების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეს აქვს შესაძლებლობა, ჰქონდეს სათანადოდ დასაბუთებული წერილობითი განაჩენი მინიმუმ ერთი ინსტანციის სასამართლოში“.<sup>255</sup>

დასაბუთებულობა არ არის მხოლოდ სასამართლო განხილვის ფრაგმენტი. იგი თან უნდა გასდევდეს სამართალწარმოების მთლიან პროცესს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. „მოტივირებული გადაწყვეტილება მთლიანი პროცესის დასკვნითი სტადიისათვის აუცილებელი ელემენტია“.<sup>256</sup>

დასაბუთებულობა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მოსამართლის ლოგიკურ მსჯელობას, კერძოდ, მოსამართლემ დამატერებლად უნდა განმარტოს, რაზე დაყრდნობით გაუჩნდა მას შინაგანი რწმენა, რა მტკიცებულებები მიიღო მხედველობაში, რომელი არ მიიჩნია სარწმუნოდ და რატომ. მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ტოვებდეს კითხვებს და უნდა უზრუნველყოფდეს მტკიცების ტვირთის სწორად და სამართლიანად გადანაწილებას. სასამართლოებმა ნათლად უნდა განმარტონ, რა მტკიცებულებები იქნა მხედველობაში, რომელი მტკიცებულება იქნა უარყოფილი, უნდა ჩამოთვალონ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორები, ასეთის არსებობის შემთხვევაში და დაასაბუთონ ამ ფაქტორების გათვალისწინება კონკრეტულ საქმეში.

254 Bobek c. Pologne, no 68761/01. 17 juillet 2007.

255 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2007 წლის 23 აგვისტოს N32 ზოგადი კომენტარი. § 49.

256 S. Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, 2006, გვ 102. ციტირებულია: ბურჯანაძე გ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა. სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. თბილისი. 2011. გვ. 27.

განაჩენის დასაბუთებულობას სავალდებულოდ აცხადებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მართალია, კონვენციის ტექსტი ღიად არ ახსენებს დასაბუთებულობას, მაგრამ იგი კონვენციის მე-6 მუხლის დინამიკური ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. მოცემული მუხლის ფორმულირება გულისხმობს, რომ ადამიანს აქვს დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება. მას უნდა შეეძლოს, დეტალურად გაეცნოს გადაწყვეტილების შინაარსს და გააანალიზოს, თუ რას მისცემს შემდგომი გასაჩივრების უფლება. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დასაბუთებულობის შეფასება სწორედ კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში ხდება. „კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები“.<sup>257</sup>

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალსახად მიუთითებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ მოტივირებული გადაწყვეტილებები როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს, რომ დასაბუთება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სასამართლო ვალდებულია გააკეთოს ცალკეული არგუმენტის დეტალური ანალიზი.<sup>258</sup> ცხადია, დასაბუთება დამოკიდებულია თითოეული გადაწყვეტილების ხასიათზე, არგუმენტების მრავალფეროვნებაზე, ცალკეული სამართლებრივი სისტემის კანონმდებლობის დეტალებზე, ჩვეულებით ნორმებზე, საქმის გარემოებებზე და ა.შ. მთავარი აქ ის არის, რომ ყველა მტკიცებულება სათანადოდ იქნეს შესწავლილი და პასუხგაცემული. „სასამართლო არ არის ვალდებული დეტალური პასუხი გასცეს ყველა კითხვას, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი წარდგენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მას“.<sup>259</sup>

2010 წლის 16 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ“ დასაბუთება აუცილებელ პირობად დაასახელა. საქმე ეხებოდა ბელგიის მოქალაქე რიჩარდ ტაქსკეს, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო მინისტრისა და მისი თანაშემწის მკვლელობის მცდელობა. მსაჯულთა სასამართლომ ტაქსკე და მასთან ერთად რამდენიმე ეჭვმიტანილი დამნაშავედ ცნო და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სტრასბურგის სასამართლომ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოს სამართლიანობას და იცავს ინდივიდებს მიკერძოებულობისაგან. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, იმ მოტივით, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნება ვერდიქტს, რომელსაც არა აქვს

257 RUIZ TORIJA c. ESPAGNE. STRASBOURG. 09 décembre 1994. § 29. იხ. ასევე: TAXQUET c. BELGIQUE. STRASBOURG. 16 novembre 2010. § 91. და Hadjianastassiou c. Grèce, 16 décembre 1992. § 33.

258 VAN DE HURK c. PAYS-BAS. STRASBOURG. 19 avril 1994. § 61. იხ. ასევე: BOLDEA c. ROUMANIE. STRASBOURG. 15 février 2007. § 29.

259 კორკელია კ; ქურდაძე ი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. სამოსამართლო სწავლების ცენტრი. 2004.

გასაჩივრების შესაძლებლობა და ბრალდებულს არ ესმის, რატომ სცნეს იგი დამნაშავედ. ვინაიდან ბელგიური სისტემა არ ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების გასაჩივრების შესაძლებლობას და საჩივარი საკასაციო სასამართლოში მხოლოდ სამართლის საკითხებს ეხებოდა, შესაბამისად, ბრალდებული ვერ იყო უზრუნველყოფილი მის მიმართ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებით“.<sup>260</sup> „ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინონ ის დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მათ მიერ გამოტანილი განაჩენი. დასაბუთებული განაჩენები ასევე ემსახურებიან მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათ უსმენენ, რაც მათი მხრიდან განაჩენის მიღების მზაობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ისინი ავალდებულებენ მოსამართლეებს დააფუძნონ თავიანთი მსჯელობა ობიექტურ არგუმენტებზე და ასევე უზრუნველყონ დაცვის უფლებები. მიუხედავად ამისა, დასაბუთების ვალდებულების ხარისხი იცვლება განაჩენის ხასიათის მიხედვით და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. მაშინ, როდესაც სასამართლოებს ყოველ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემა არ ევალებათ, განაჩენიდან უნდა იყოს ცხადი, რომ საქმის ყველა არსებით საკითხს პასუხი გაეცა“.<sup>261</sup>

სასამართლომ მიუთითა იმაზეც, რომ ფაქტებიდან არ ირკვეოდა, რაზე იყო დაფუძნებული განმცხადებლის მსჯავრდება: ობიექტურ მტკიცებულებებზე, ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენებასა, თუ ანონიმური მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე, მან დაადგინა, რომ სასამართლო განხილვის პროცედურა ზღუდავდა ბრალდებულის უფლებებს.

დასაბუთებული განაჩენი ემსახურება ასევე მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათ უსმენენ, რაც მათი მხრიდან გამოტანილი განაჩენის მიღების მზაობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ამასთანავე, ისინი ავალდებულებენ მოსამართლეებს დააფუძნონ თავიანთი მსჯელობა დამატარებულ არგუმენტებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასამართლოებს ევალებათ არა ყოველ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემა, არამედ ყოველ არსებით საკითხზე.<sup>262</sup>

მაშასადამე, დაუსაბუთებელი ვერდიქტის გამოტანა ეროვნული სასამართლოების მიერ, იმთავითვე ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს. დასაბუთება კი, როგორც ვიცით, არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ნდობის ასამაღლებლად. გარდა ამისა, იგი იძლევა გასაჩივრების შესაძლებლობას და წარმოადგენს მართლმსაჯულების სისწორის დამადასტურებელ და უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეუძლია კანონის უგულებლყოფით გაამართლოს განსასჯელი. იგი მხოლოდ შინაგანი რწმენისა და სინდისის შესაბამისად მოქმედებს და არანაირი კანონისმიერი ვალდებულება არ გააჩნია; სინდისის დეფიციტის შემთხვევაში კი მის ხელშია განსასჯელის ბედი.

260 TAXQUET c. BELGIQUE. 16 novembre 2010. § 99.

261 იქვე. § 91.

262 Van de Hurk v. the Netherlands. 19 April 1994, § 61, Series A no. 288



ევროპული კონვენცია სავალდებულოდ აცხადებს, აგრეთვე, სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის მიღებაზე უარის თქმის დასაბუთებას, რითაც ხაზს უსვამს დასაბუთების, როგორც სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს: „სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე განჩინება, რომელიც განაცხადს მისაღებად ან მიუღებლად აცხადებს, უნდა იყოს დასაბუთებული“.<sup>263</sup> ცხადია, აქ იგულისხმება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებაც.

განაჩენის დასაბუთებულობა აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში, სადაც საქმის განხილვის დროს ხდება ზუსტად ამსახველი დეტალური ოქმის შედგენა, რასაც უზრუნველყოფს სასამართლო პალატა.<sup>264</sup>

აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს დასაბუთებულ და სანდო განაჩენს. თვალსაჩინო ხდება, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება და რა მტკიცებულებები იქნა გამოკვლეული. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს და სამართლიანი სასამართლოს ბუნებას განაპირობებს.<sup>265</sup>

განაჩენის დასაბუთების საკითხს უკავშირდება აგრეთვე მტკიცებულებათა შეფასების პრინციპები, დასაბუთების ტექნიკა, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მითითება, სასჯელის შესაბამისობა სასჯელის მიზნებთან, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, პრეცედენტები სასჯელის დასაბუთებაზე და ა.შ.

---

263 ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია. 1950 წელი. მუხლი 45. § 1

264 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. 1998. მუხლი 64. პარაგრაფი §10

265 კორკელია კ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. 2007. გვ. 51

## §8. თანასწორუფლებიანობა საჩინარობის კონტექსტში<sup>266</sup>

სამართალწარმოების მთლიანი პროცესი სრულად უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა თანასწორობას. მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები და არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებაში. აღნიშნულ გარანტიებს უზრუნველყოფს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც პროცესის სრულ თანასწორობას სავალდებულოდ აცხადებს.<sup>267</sup>

ბანგალორის სასამართლო პრინციპების მიხედვით: „სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას“.<sup>268</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის მინიმალურ უფლებებს, კერძოდ, წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ გაცნობას, გონივრული დროისა და შესაძლებლობების მიცემას დაცვის მოსამზადებლად, უფასო დამცველისა და თარჯიმნის ყოლის უფლებას, ასევე, მოწმეთა გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას.<sup>269</sup>

სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ მოითხოვს, რომ „საქმის ყველა მხარეს ჰქონდეს ერთნაირი პროცედურული უფლებები“.<sup>270</sup> სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური ასპექტი „სისხლის სამართლის პროცესის შეჭიბვებითობასა და ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანასწორობაში მდგომარეობს“.<sup>271</sup> იმავე სასამართლოს განმარტებით, „მხარეთა თანასწორობის პრინციპი შესაძლებელია დაირღვეს, თუკი სისხლის სამართლის საპროცესო წესები კანონმდებლობით არ იქნება დარეგულირებული, რადგანაც ამგვარი წესების მიზანია, დაიცვას განსასჯელი თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამეტებისგან და, შესაბამისად, თუ ასეთი წესები არ არის ნათლად გაწერილი, სწორედ დაცვის მხარე დაზარალდება უფრო მეტად“.<sup>272</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევად მიიჩნია ბრალდებულის საქმის მასალებზე წვდომის

266 საჩინარობის ტერმინის დამკვიდრება ეკუთვნის მინდია უგრეხელიძეს. იხ. საჩინარობის დოქტრინა - უგრეხელიძე მ. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის სათავეებთან (ნაწილი პირველი). „მართლმსაჯულება“. 2008. N1. გვ. 20.

267 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. მუხლი 14(3)

268 იხ. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები. (5)

269 იხ. ევროპული კონვენცია. მუხლი 6 (3).

270 Coëme and Others v. Belgium 22 June 2000. § 102.

271 დოუსეტეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სტრასბურგი. 24 ივნისი 2003. § 41.

272 იხ. Coëme and Others v. Belgium 22 June 2000. § 102.

შეზღუდვა.<sup>273</sup> თანასწორობის პრინციპის დარღვევად იქნა ასევე მიჩნეული დაცვის მხარისათვის მტკიცებულებების გაუმჯობესებლობა.<sup>274</sup>

თუმცა აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების გამჯობების ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. სამართალწარმოების პროცესში შეიძლება არსებობდეს კონკრეტული ინტერესები და მტკიცებულების გამჯობების ვალდებულება ამ ინტერესების გათვალისწინებით შეიზღუდოს. ასეთ ინტერესებად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს ეროვნული უშიშროების საკითხებს, სხვა პირის ფუნდამენტურ უფლებებს, მოწმის დაცვის საჭიროებას, პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მიზნით გამოყენებული მეთოდების საიდუმლოების დაცვას და სხვ.<sup>275</sup>

მხარეთა თანასწორობის პრინციპი თანაბრად ვრცელდება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოებაზე. სხდომების დროს დაცული უნდა იყოს ასევე წესი, რომელიც მხარეებს თანაბრად წარმოაჩენს. მოსამართლე უფრო მაღლა უნდა იტყდეს, ვიდრე პროკურორი და ადვოკატი. ეს უკანასკნელნი კი ერთნაირად (theory of appearances)<sup>276</sup>. აუცილებელია ბრალდებულის დასწრება პროცესზე. აღნიშნულ უფლებას აღიარებს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ: „გასამართლდეს მისი თანდასწრებით“.<sup>277</sup> ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ყოფნას თანასწორუფლებიანობის დაცვად მიიჩნევს სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაც.<sup>278</sup>

თანასწორუფლებიანობა გულისხმობს, რომ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს როგორც თავისი, ისე ბრალდების მოწმეების დაკითხვა. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საერთაშორისო სტანდარტს,<sup>279</sup> მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება ქართულ რეალობაში ხარვეზებით ხორციელდება. კერძოდ, ხშირად არ არსებობს ინფორმაცია, გამოძახებულია თუ არა მოწმე კონკრეტულ პროცესზე, სანამ სასამართლო განხილვა არ დაიწყება. „შეიძლება ისე მოხდეს, რომ სასამართლო სხდომა დაიწყოს მხარის განცხადებით, რომ იგი ვერ დაუკავშირდა მოწმეს და ამიტომ სხდომა გადაიდოს“.<sup>280</sup>

ამდენად, მოწმეთა გამოძახების მხარეებისათვის მინდობა ვერ უზრუნველყოფს მხარეთა გამოცხადებას პროცესზე, რაც ლახავს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ორგანომ შეიტანოს შესწორებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და დაკონკრეტდეს კრიტერიუმები,

273 Matyjek v. Poland. 24 April 2007. § 65.

274 Kuopila v. Finland. 27 April 2000. § 38.

275 Khan v. the United Kingdom, STRASBOURG. §§ 34-40, Edwards v. the United Kingdom, §§ 33-39

276 უგრეხელიძე მ. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის სათავეებთან (ნაწილი პირველი). „მართლმსაჯულება“. 2008. N1. გვ. 20.

277 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 14(3)(d).

278 სტოიჩკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, სტრასბურგი, 24 ივნისი 2005. § 56.

279 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 42 (ნ). იხ. აგრეთვე სსსკ. მუხ. 14(2).

280 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო. OSCE. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. ვარშავა. 9 დეკემბერი, 2014. § 205.

რომლის მიხედვითაც უნდა დამტკიცდეს პროცედურა, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს ბრალდებულის მიერ სასამართლოში გამოცხადების თავის არიდების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი დაუსწრებლად გასამართლება. აუცილებელია, სასამართლოს დაეკისროს მოვალეობა, გადაამოწმოს ბრალდებულის გამოცხადების პროცედურა და დარწმუნდეს, რომ მხარემ დანამდვილებით უარი თქვა სასამართლოში გამოცხადების უფლებაზე.

\* \* \*

როგორც აღვნიშნეთ, პროცესის თანასწორობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს შეჭიბრებითობა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, მოწმეთა მოძიება, მათი სასამართლოში დაბარება და მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა მხარეთა ინიციატივას განეკუთვნება. პროცესი შეიძლება იყოს ასევე ინკვიზიციური (საგამოძიებო), რაც გულისხმობს იმას, რომ მასში საქმის გარემოებათა გამოკვლევისას პრივილეგია ენიჭება არა მხარეებს, არამედ სახელმწიფო ორგანოებს. მოსამართლეს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება და ვალდებულია კიდევ, მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რაც ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენას. იგი არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებით და არ არის დამოკიდებული მხარეზე, გამოითხოვოს რაიმე მტკიცებულება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე.“<sup>281</sup> პროცესის ინკვიზიციურ ელემენტებს ქართული კანონმდებლობა არ ცნობს. მოსამართლეს არა აქვს უფლება, ჩაერთოს სასამართლო გამოძიებაში და დამოუკიდებლად დასვას კითხვები. ეს მხოლოდ მხარის ინიციატივით უნდა მოხდეს.<sup>282</sup>

მაშასადამე, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს გაუჩნდება დამაბუსტებელი კითხვა, მან ამის შესახებ მხარეებს უნდა სთხოვოს ნებართვა, რომელიც შესაძლოა ვერც კი მიიღოს. დამაბუსტებელი კითხვის პასუხმა კი მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლეს შეიძლება დარჩეს განცდა იმისა, რომ ბოლომდე ვერ მიიღო სასურველი ინფორმაცია საქმეზე სრული წარმოდგენის შექმნის მიზნით. ასეთ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნება მოსამართლის შინაგანი რწმენის სრულყოფილი შედეგი.

**შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მოსამართლეს შევეზღუდავთ იმის უფლებას, რომ დასვას დამაბუსტებელი შეკითხვა მხარეების ნებართვის გარეშე, მას იმავდროულად იმის უფლებასაც შევეზღუდავთ, რომ გადაწყვეტილება თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს. ამასთანავე, როცა მტკიცებულების უზუსტობა აშკარაა და მოსამართლე დამაბუსტებელ კითხვასაც კი არ სვამს,**

281 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 6(2).

282 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 25(2).

**მოსამართლის ამგვარმა პასიურმა დამოკიდებულებამ, შეიძლება გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარის მიკერძოებულობის აღქმა.**

ამიტომ, მიმაჩნია, რომ მოსამართლეს უნდა მიეცეს დამაზუსტებელი კითხვების დამოუკიდებლად დასმის საშუალება და შეზღუდულ ფარგლებში გამოძიების წარმოების უფლება. რა თქმა უნდა, მხარები არ უნდა შეიზღუდონ მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობით, ანუ შეჭიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, მაგრამ აუცილებელია მოსამართლის როლის გაძლიერება სასამართლო გამოძიებაში აღნიშნული ინკვიზიციური ელემენტის შემოტანით. სამართალწარმოების პროცესში ორივე ამ ელემენტის გათვალისწინება უნდა მოხდეს მეტ-ნაკლები მოცულობით და აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესაბამისად.<sup>283</sup>

ინკვიზიციურ ელემენტს ცნობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. რომის სტატუტის მიხედვით, წინასწარი წარმოების პალატას აქვს მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ საკუთარი ინიციატივით ზომების მიღების უფლება.<sup>284</sup> ინკვიზიციური პროცესის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არსებული ფაქტების დამდგენი კომისია, რომლის ფუნქციებში შედის მტკიცებულებების მოპოვება.

მაშასადამე, გარდა, შეჭიბრებითობის პრინციპისა, საერთაშორისო სასამართლო ინკვიზიციური პროცესის ელემენტებსაც იყენებს, რაც სწორი მართლმსაჯულების განხორციელების კეთილგონივრულ სინთეზს წარმოადგენს.

---

283 Inquisitio ლათინურად ნიშნავს გამოძიებას. ინკვიზიციური პროცესი კი მოსამართლის მიერ გამოძიების წარმოებას, მოწმეებზე კითხვების დასმას და ასე შემდეგ. იურისტებისათვის ამ ტერმინში იგულისხმება ძიება მისი ფართო მნიშვნელობით, ეს არის მოსამართლისათვის უფლების მინიჭება, თავად აწარმოოს სასამართლო გამოძიება.

284 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო რომის წესდება. 1998. მუხლი 56. 3(ა).

# მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტები და ქართული რეალიები

# 3

იმ უდიდესი ფუნქციის შესრულება, რაც მოსამართლეს აქვს დაკისრებული, ბუნებრივია, შესატყვისი ანგარიშვალდებულების არსებობას უკავშირდება. დაუშვებელია მოსამართლის არასათანადო ქცევის საპირწონედ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ან რომელიმე სხვა პრინციპზე მითითება. მხოლოდ დაცვის მექანიზმებით აღჭურვა, საზოგადოების მიმართ ყოველგვარი ანგარიშვალდებულების გარეშე, სასამართლოს აქცევს ყოვლისშემძლე ორგანოდ, რომელსაც ბოროტი ზრახვების გაჩენის შემთხვევაში, წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება.

ამასთანავე, ბალანსი უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას შორის იმგვარად უნდა იყოს დაცული, რომ მოსამართლის ქცევის შეფასებით არ იქნას ხელყოფილი მართლმსაჯულების რომელიმე პრინციპი. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ანგარიშვალდებულება იმავდროულად მისი სიძლიერეცაა. შეგნებამ, რომ სასამართლოს გარკვეული ვალდებულებები აკისრია საზოგადოების წინაშე, შესაძლოა შეამციროს კიდევ მისი მონყვლადობა გარე ზეწოლების მიმართ. ასეთ შემთხვევაში „*აღარ იარსებებს ვასამართლებელი არგუმენტი, რომ მოსამართლეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება გარედან აიძულებს*“.<sup>285</sup>

მოსამართლის დანიშნულების ეტაპობრივმა ევოლუციამ განაპირობა ის, რომ მოსამართლე აღარ არის მხოლოდ „კანონის ბაგე“ (ანუ გამხმომვანებელი), არამედ ის გარკვეულწილად, კანონის შემოქმედიცაა, რაც მას უდიდეს პასუხისმგებლობასა და კანონისადმი მორჩილებას აკისრებს.

## §1. მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა

ადამიანის აქტივობა იწყება ინდივიდუალური ეთიკით<sup>286</sup> (თვითგაკიცხვა არაკეთილსინდისიერი საქციელის ჩადენის გამო). მაგრამ თუ მას არ გააჩნია

285 GUIDANCE FOR PROMOTING JUDICIAL INDEPENDENCE AND IMPARTIALITY, Office of Democracy and Governance Bureau for Democracy, Conflict and Humanitarian Assistance U.S. Agency for International Development (2002).

286 ეთიკა ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (ethos) და ნიშნავს ზნე-ჩვეულებას, ურთიერთობას, თანაცხოვრებას, ადამიანთა არსებობას. მსგავსი აზრობრივი მნიშვნელობით არისტოტელემ დაამკვიდრა ტერმინი ეთიკა (ethika). შესაბამისად, ეთიკა არის მოძღვრება ზნეობის შესახებ,

ინდივიდუალური ეთიკა და მაინც ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი საქციელი, მაშინჩაირთვებასაზოგადოებრივიეთიკა, ანუსახეზეასაზოგადოებრივიგაკიცხვის ელემენტი. თუ საზოგადოებრივი ეთიკაც უძლური აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში შემოდის პროფესიული ეთიკა, რომელიც დაწერილ, ჩამოყალიბებულ სახეს ატარებს და გარკვეულ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. პროფესიულ ეთიკის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის სწორად და კეთილსინდისიერად წარმართვისათვის.

მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა, როგორც პროფესიული ეთიკის შემადგენელი ნაწილი, ვლინდება მოსამართლის ეთიკის კოდექსში. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მითითებას მართლმსაჯულების განხორციელებისზნეობრივიდეალებსადაპრინციპებზე, პროცესისმონაწილეთა საქმიანობის მორალსა და ზნეობრივ ხასიათზე. ვინაიდან მოსამართლეები სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, საზოგადოება მათგან მოელის, არა მხოლოდ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობას, არამედ მათი ქცევის კონტროლსაც. ის ვინც მართლმსაჯულებას ემსახურება, მისი მორალი და ზნეობა საზოგადოებაში კითხვის ნიშნებს არ უნდა აჩენდეს. თუმცა, სამოსამართლო ეთიკის კოდექსი უმეტესად მორალურ-ზნეობრივ დატვირთვას ატარებს და მათ დარღვევას ყოველთვის შეიძლება არ მოყვეს დისციპლინური სახდელი.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსმა ზუტად უნდა განსაზღვროს მართლმსაჯულების მორალური, ეთიკური სტანდარტები, ამასთანავე უნდა უზრუნველყოს მათი შესრულების მეთოდები. იგი უნდა ითვალისწინებდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, რომ შეძლოს მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებლობის შენარჩუნება, კანონის მოთხოვნათა დაცვა, მიუკერძოებელი და ავტორიტეტული მოსამართლის სახელის ტარება.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსი იმდენად ახლოს უნდა იყოს მოსამართლის პროფესიულ ღირსებასა და თვითშეგნებასთან, რომ მოსამართლე დაკისრებულ მოვალეობებს ნებაყოფლობით ასრულებდეს. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული სამოსამართლო ეთიკის მნიშვნელობა და მორალური, ზნეობრივი ნორმების შესრულება ყოველდღიური ცხოვრების წესად უნდა ჰქონდეს ქცეული.

კოდექსი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს მოსამართლის ეთიკური ქცევის წესებს როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, ოჯახში და საზოგადოებაში. მოსამართლეს ყველგან მოეთხოვება ისეთი ქცევა, რომ არ შელახოს მართლმსაჯულების ავტორიტეტი. კოდექსი უნდა განსაზღვრავდეს, ასევე მოსამართლის ქცევის წესებს პროცესში ჩართული ყველა მონაწილის მიმართ. უნდა იყოს კონკრეტული მითითებები, თუ რომელმა ქმედებამ შეიძლება შელახოს მოსამართლის პატივი, ღირსება ან მთელი სასამართლო ხელისუფლების პრესტიჟი და ავტორიტეტი.

ამ კრიტერიუმების დაცვით შედგენილი სამოსამართლო ეთიკის კოდექსი ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების ყველა სხვა პრინციპის განმტკიცებას,

სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამღლებას, სასამართლო ხელისუფლების ღირსებისა და ავტორიტეტის დაცვას.

ევროპული სტანდარტების მიხედვით, მოსამართლის ეთიკის კოდექსების შემუშავებაში წამყვანი როლი უნდა შეასრულონ თავად მოსამართლეებმა.<sup>287</sup> საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე წელიწადში, შემუშავდა მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თაოსნობით.<sup>288</sup> კოდექსის შექმნაში ჩართული იყო ასევე სასამართლო კორპუსი, ხელისუფლების სხვა განშტოებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები. კოდექსი სრულად და ზედმიწევნით პასუხობდა სასამართლო ხელისუფლების გამონწვევებს და კონკრეტულად ადგენდა მოსამართლეთა საქმიანობის პრინციპებსა და ქცევის სტანდარტებს.

აღნიშნულმა სამოსამართლო ეთიკის კოდექსმა განსაკუთრებული მონონება და აღფრთოვანება დაიმსახურა უცხოეთში. ამერიკის იურისტთა ასოციაციის წევრი, საგრაფოს პროკურორი შერონ ფეინდეკი ამგვარად აფასებს კოდექსის პროექტს: „სამოსამართლო ეთიკის კოდექსის განმარტებითი ბარათი გახდება საკანონმდებლო ისტორიის განუყოფელი ნაწილი, როგორც ფუძემდებელი და წამამძღვარებელი დოკუმენტის ბრწყინვალე ნიმუში“.<sup>289</sup> სამართლის პროფესორ რობერტ ფ. დრინანის შეფასებით საქართველოს სამოსამართლო ქცევის წესები არის განსაკუთრებულად კარგი და მისაღები. უფრო მეტიც, საქართველოს სამოსამართლო ქცევის წესები „მრავალმხრივ უმჯობესია, ვიდრე 1990 წელს ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ მიღებული სამოსამართლო ქცევის წესები“.<sup>290</sup>

აღსანიშნავია, რომ კოდექსი იმდენად მისაღები და სანიმუშო აღმოჩნდა ევროპული წრეებისათვის, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მიწვეულნი იქნენ პარიზში, ვერსალის სასახლეში „ავუების“ ასოციაციის მიერ, აღნიშნული კოდექსის დებულებებთან დაკავშირებით კონსულტაციების გასაწევად.<sup>291</sup>

დღესდღეობით, ძალაშია სამოსამართლო ეთიკის წესები, რომელიც მხოლოდ 28 მუხლისაგან შედგება.<sup>292</sup> მისი პირვანდელი ვარიანტისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები ძალიან ზოგადი ხასიათისაა და მასში აღარ იკითხება, თუ რა ვალდებულებები ეკისრებათ მოსამართლეებს და რა შემთხვევაში შეიძლება მოეთხოვოთ მათ პასუხი, ან რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კონკრეტულ შემთხვევაში.

287 Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010). § 73.

288 სამოსამართლო ეთიკის კოდექსი. 2001 წლის 23 ივნისი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის №6 დადგენილება.

289 უცხოელ ექსპერტთა გამომხატურებანი საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსზე. მართლმსაჯულების მაცნე. საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი. 1998. 2-3. გვ. 64.

290 იქვე. გვ. 63.

291 საფრანგეთში „ავუები“ (avoué), იყვნენ მაღალი რანგის იურისტები, წარმოდგენილნი სააპელაციო სასამართლოში. 2012 წლის 1 იანვრიდან ეს ინსტიტუტი აღარ არსებობს.

292 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები: <http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>



აღნიშნული წესები, ბუნებრივია, სრულყოფილად ვერ ასახავს მოსამართლის ქცევის ნორმებს და ვერ უპასუხებს მოსამართლის პროფესიის დარეგულირების თანამედროვე სტანდარტებს.

მაშასადამე, მაღალი სტანდარტები, რომელსაც სამსამართლო ეთიკის წესები ითვალისწინებდა და რომელიც მოწონებული და მისაღები აღმოჩნდა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის, დაყვანილი იქნა ერთ ფურცლამდე, რომელიც ვერ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტს, ისეთი მაღალი კატეგორიის პროფესიისათვის, როგორცაა მოსამართლის პროფესია და ეთიკა; აღნიშნული ფაქტი დღემდე ბადებს პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებიც იმდროინდელ პოლიტიკურ რეჟიმთან ასოცირდება საქართველოში.

## §2. დისციპლინური პასუხისმგებლობა

სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, მხოლოდ ეთიკური ქცევის ნორმების არსებობა როდი კმარა. საჭიროა, მათი განმტკიცება დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმებით. სწორედ პროფესიული ეთიკის პრინციპების ხელყოფა იწვევს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი წესით. მაგრამ პროფესიული სტანდარტების შეუსრულებლობა ყოველთვის არ უნდა გავაიგივოთ გადაცდომებთან, რომლებიც დისციპლინურ წარმოებას უკავშირდება. დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ პროფესიული სტანდარტების დარღვევა ისეთი სერიოზული ხასიათისაა, რომ შეადგინს ქცევას, რომლისთვისაც გამართლებული და აუცილებელია დისციპლინური, უფრო მძიმე შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი სანქციები. „დისციპლინური ღონისძიება არის უკიდურესად მძიმე სანქცია მესამე ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ და, აქედან გამომდინარე, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამართლის მძიმე გადაცდომის საწინააღმდეგოდ უბრალოდ აღარ არსებობს რეაგირების სხვა შესაძლებლობა“.<sup>293</sup>

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს სასამართლოს სწორად ფუნქციონირებას და განამტკიცებს მოქალაქეთა ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ, მაგრამ საჭიროა ამ მექანიზმის იმგვარად გამოყენება, რომ საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. მაშასადამე, უნდა იქნეს დაცული ბალანსი მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომის გამოვლენასა და სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობას შორის. ამისათვის კი, სამართლის ნორმები, რომლებიც მოსამართლეთა მიმართ გამოიყენება, მაქსიმალურად კონკრეტულად უნდა ასახავდეს ქცევას, რომელმაც შეიძლება მოსამართლეთა დისციპლინური სანქციები გამოიწვიოს.

სხვადასხვა ქვეყნების მარეგულირებელ კანონმდებლობას შორის, რომლებიც მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, გვხვდება როგორც გარკვეული თანხვედრა, ისე სპეციფიკური თავისებურებებიც, „არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ერთგვაროვან განმარტებას, ანუ არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა“.<sup>294</sup>

293 შაგენლოხი ულრიხ. გერმანელი მოსამართლის თვლით დანახული მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015. გვ. 23.

294 Дисциплинарное производство в отношении судей в Российской Федерации, Доклад миссии МКЮ Декабрь 2012, ISBN: 92-9037-168-4. об. [http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT\\_rus.pdf](http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf)

ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს ცალკე კანონი, ან კანონქვემდებარე აქტი არეგულირებს (მაგ. იტალია, დიდი ბრიტანეთი, მაკედონია). რიგ ქვეყნებში კი მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებას სასამართლო ხელისუფლების შესახებ ზოგადი კანონი მოიცავს (მაგ. ბულგარეთი, ესპანეთი, პოლონეთი). საფრანგეთსა და რუმინეთში აღნიშნული საკითხები მოსამართლისა და პროკურორის სტატუსის შესახებ კანონით განისაზღვრება. აშშ-ში არ არსებობს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ერთიანი კანონმდებლობა. დისციპლინურ საქმეთა განმხილველი ორგანოები და პროცედურები თითოეული შტატის კონსტიტუციითა განსაზღვრული. ზოგიერთ შტატში აღნიშნულ პროცედურას სპეციალური კანონი განსაზღვრავს, ხოლო ზოგიერთ შტატში მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოსამართლეთა კონფერენციის მიერ მიღებული წესები არეგულირებს.

ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და სანქციებიც. ზოგიერთ ქვეყანას დისციპლინური გადაცდომების ძალიან მძირი საკანონმდებლო ჩამონათვალი აქვს, მაგალითად საფრანგეთს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის კანონმდებლობის ამგვარი სიმცირე შევსებულია სასამართლო პრაქტიკით, ვინაიდან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში დეტალურადაა განვირეილი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.<sup>295</sup>

ესპანეთისა და ალბანეთის სისტემა დისციპლინურ დარღვევებს ყოფს სამ კატეგორიად: განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და მსუბუქ დარღვევებად. სამივე სახის დარღვევაზე სხვადასხვა სანქციაა გამოყენებული. იტალიის კანონმდებლობა აღიარებს გადაცდომათა სახეებს, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას და გადაცდომებს, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია მოსამართლის საქმიანობის ფარგლებს გარეთ.<sup>296</sup>

აშშ-ში სამართლებრივი შეცდომა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა, თუ ნორმის დარღვევა მოხდა არაკეთილსინდისიერად, იგი სერიოზული მნიშვნელობისაა, აქვს სისტემატური ხასიათი და გამოუსწორებადია. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია განზრახი გადაცდომა ჩადენილი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ანუ ქმედება, რომელსაც ზიანი მოაქვს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის და ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს, სამოსამართლო უფლებამოსილების ჭიუტად შეუსრულებლობა, დანაშაულის ჩადენა და ა.შ.<sup>297</sup> კალიფორნიის შტატში დისციპლინური პასუხისმგებლობის

295 Ordonnance n° 58-1270 du 22 décembre 1958 portant loi organique relative au statut de la magistrature. Version consolidée au 24 octobre 2015 იხ. საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/>

296 კახა წიქარიშვილი, *მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (შედარებითი მომხილვა)*. თბილისი 2014. იხ. <http://dcj.court.ge/>

297 Synthia Gray, how judicial conduct commissions work, *Justice System Journal*, Vol. 28, N. 7. p. 406.

საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე საქმეზე კომენტარის გაკეთება, ან გარეშე პირებისათვის იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომ პირს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე სახის წინასწარგანწყობა აქვს.<sup>298</sup>

ევროპული სტანდარტების მიხედვით, სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება შესაძლებელი უნდა იყოს სამართლებრივი გასაჩივრების მექანიზმებით. თუ დაშვებული შეცდომის გამოსწორება შესაძლებელია ზემდგომ ინსტანციაში დავის გაგრძელებით, მაშინ დისციპლინური სამართალწარმოების გამოყენება დაუშვებელია.<sup>299</sup> „დამოუკიდებელი მოსამართლის ფუნდამენტური უფლებაა, მოახდინოს კანონის იმგვარი ინტერპრეტაცია, როგორც მას მიაჩნია სწორად, მოცემულ შემთხვევაში“.<sup>300</sup>

მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის მიხედვით, ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელების თაობაზე სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე. ხოლო, ამ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, საქმე გადასცეს სადისციპლინო ორგანოს, ან იმ ორგანოს, რომელსაც სადისციპლინო ორგანოსათვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. „თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულების გამრუდების შესახებ შესაბამისი სარჩელი სპეციფიკური ფორმლობის გარეშე შეიტანოს დამოუკიდებელ ორგანოში. თუ საქმის ყურადღებით შესწავლის შედეგად უდავოდ იქნა მიჩნეული მოსამართლის მხრიდან დარღვევის ჩადენა, აღნიშნული ორგანო 5.1 პარაგრაფის თანახმად, უფლებამოსილია საკითხი გადასცეს დისციპლინურ ორგანოს ან კანონით გათვალისწინებულ შესაბამის კომპეტენტურ ხელისუფლებას“.<sup>301</sup>

მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას აწესებს 2010 წლის ევროსაბჭოს რეკომენდაცია, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია, ფაქტებისა და მტკიცებულებების არასწორი შეფასება, წინასწარ შეგნებულ განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას უკავშირდება.<sup>302</sup> ამ შემთხვევაში სამართლებრივი შეცდომა უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცხადად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ნორმას და ჩადენილი უნდა იყოს არაკეთილსინდისიერი განზრახვით, შეგნებულად, ანუ უნდა იყოს „მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა“.<sup>303</sup>

298 State of California, Commission on Judicial Performance <http://www.cjp.ca.gov/res/docs/appendix/Chart%20-%20Types%20of%20Misconduct.pdf>

299 OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967 Concerning the Judicial System, the Supreme Council of the Judiciary and the Status of Judges in Tunisia [hereinafter OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967].

300 Expert Opinion on International Legal Standards Regarding Judicial Independence for the European Court of Human Rights in the case of Baltazar Gazron v. Spain, by Professor Carlos Ayala, Judge Azhar Cachalia, Param Cumaraswamy, Leandro Despouy, Professor Manfred Nowak, Professor Stefan Trechsel [http://www.interights.org/userfiles/Annex\\_2\\_Judicial\\_Independence\\_filed.pdf](http://www.interights.org/userfiles/Annex_2_Judicial_Independence_filed.pdf)

301 იხ. მოსამართლეთა სტატუსის ევროპული ქარტია. § 5.3.

302 Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies). § 66.

303 იხ. სინტია გრეის სტატია აღნიშნულთან დაკავშირებით: [http://www.hofstra.edu/PDF/law\\_lawrev\\_Gray\\_vol32no4.pdf](http://www.hofstra.edu/PDF/law_lawrev_Gray_vol32no4.pdf) (ბოლოს გადამოწმებულია 10.10.2015)

კიევის რეკომენდაციების მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა: „*მოსამართლის პროფესიასთან შეუსაბამო ქცევა (professional misconduct), რომელიც არის მძიმე და მიუტევებელი და რომელიც ლახავს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, რეპუტაციას*“.<sup>304</sup>

ამგვარად, საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის შედეგად, ყველა თანხმდება, რომ მოსამართლეს არ შეიძლება დაევისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა სამართლებრივი შეცდომის გამო. ამიტომ, აუცილებელია დადგინდეს, თუ სად გადის ზღვარი სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის.

დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მივიჩნიოთ „*მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონის დარღვევა ბოროტი განზრახვით, არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებით, წინასწარი შეცნობით, რომ ქმედება სცდებოდა მოსამართლის უფლებამოსილებას (ან იმ ვარაუდებებში, როდესაც მოსამართლეს უნდა სცოდნოდა, რომ აჭარბებდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას)*“.<sup>305</sup>

მაშასადამე, მოსამართლეს არ შეიძლება დაევისროს პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის, სამართლებრივი შეცდომის, კანონის, ფაქტების თუ მტკიცებულებების არასწორი ინტერპრეტაციის გამო. მოსამართლის პასუხისმგებლობა არ გულისხმობს მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას, არამედ „*მის უკანონო მოქმედებით ან ფუნქციების განხორციელებით გამოწვეული ზიანის არანორმალურ, განსაკუთრებულ და სერიოზულ ხასიათს*“.<sup>306</sup> დისციპლინური სამართალწარმოების მიზანია, აღარ განმეორდეს მოსამართლის მიერ შეგნებული არასათანადო ქცევა, ხოლო შეცდომა, რომელსაც მოსამართლე სამართლებრივ ნორმებში ნაკლებ განსწავლულობით, კანონის არასწორი ინტერპრეტაციით თუ სხვა არაგამიზნული მოქმედებით ჩადის, არ შეიძლება მისი დისციპლინური დევნის საფუძველი გახდეს.

\* \* \*

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. „*კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს, მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა*“.<sup>307</sup>

მაშასადამე, თუ მოსამართლემ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღო

304 OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights/Max Planck Minerva Re- search Group on Judicial Independence, Kyiv Recommendations on Judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia (2010), Kyiv Recommendations, Rec. 25

305 Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, COMMENTS ON PROPOSED AMENDMENTS TO DISCIPLINE LAW GEORGIA, Georgia 2011

306 მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიის ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი. 5.2.

307 საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 2. § 3.

გადაწყვეტილება და მიიჩნევა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა რაიმე პირადი ინტერესი, მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ სამართლებრივ შეცდომაზე. აღნიშნულ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ხელყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს. თუმცა სადავოა, რა იგულისხმება თავად ტერმინში „შინაგანი რწმენა“. შინაგანი რწმენა არ შეიძლება გაგებულ იქნეს მოსამართლის განუსაზღვრელ შესაძლებლობებად, იგი უნდა წარმოიშვას კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და უნდა იქნეს დასაბუთებული განხილული პრინციპების ერთობლიობით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის პოზიციით, დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვრის გაგლებისას, აუცილებელია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა, მიყენებული ზიანი და მისი გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, განმეორებითობა და ჩადენის მოტივი. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებებაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. *“შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი არის ძირითადი ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის”*.<sup>308</sup>

მაშასადამე, ხარვეზი, რომ ამ ტერმინების ერთმანეთისაგან გამიჯნა საკანონმდებლო დონეზე არ ხდება, სადისციპლინო კოლეგიამ საკუთარი პრაქტიკით შეავსო და ევროპულ სტანდარტებს მიუსადაგა. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაც, სამართალდარღვევას მხოლოდ მაშინ განიხილავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად, როდესაც მას ახლავს ერთ-ერთი აღნიშნული წინაპირობა მაინც.

საინტერესოა საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 45 მოსამართლემ და 138 ადვოკატმა. შევითხვას – წარმოადგენს თუ არა გადაცდომას საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ აშკარა უპირატესობის მინიჭება პროცესში მონაწილე რომელიმე მხარისათვის – მოსამართლეთა 62 პროცენტმა უპასუხა, რომ არ მიაჩნია აღნიშნული ქმედება გადაცდომად და მიაჩნია, რომ ქმედების გადაცდომის ხასიათი დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე. ადვოკატთა 93 პროცენტმა კი აღნიშნული ქმედება გადაცდომად გამოაცხადა.<sup>309</sup>

308 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის №1/04-12 გადაწყვეტილება.

309 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ. 2015 წლის აპრილი. იხ. <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/2015DCJresultsJUDGESvsGBA.pdf>

\* \* \*

ქართული კანონმდებლობით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია მოსამართლის მიერ მოვალეობის „არაჯეროვანი შესრულება“.<sup>310</sup> კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა მოიაზრება არაჯეროვან შესრულებაში, ამიტომ დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული სახე ბუნდოვანია და სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევის რისკებს არ გამორიცხავს. ამ ეჭვს აძლიერებს „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ ჩატარებული კვლევა, საიდანაც ჩანს, რომ 2012-2014 წლებში სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული 6 გადაწყვეტილებიდან 5 საქმე სწორედ მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე მოდიოდა.<sup>311</sup>

თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იტალიის კანონმდებლობა, სადაც დეტალურად და ამომწურავადაა ჩამოთვლილი ყველა ის დარღვევა, რომელიც მოსამართლემ შეიძლება ჩაიდინოს მის საქმიანობასთან დაკავშირებით ან მის გარეთ და რომელთა გამოც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისროს მოსამართლეს. ამ შემთხვევაში თავიდანაა აცილებული კანონის არასწორი ინტერპრეტაცია და მოსამართლის თვითნებური დევნის რისკები.

ქართულ კანონმდებლობაში დისციპლინური გადაცდომის ცალკე სახედაა განასზღვრული „საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება“,<sup>312</sup> რაც საქმის არაჯეროვან შესრულებაში იმთავითვე მოიაზრება. მიმაჩნია, რომ „საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების“ ცალკე პუნქტად არსებობა სრულიად უსარგებლო მოცემულობაა. უმჯობესია, მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების პუნქტი დაკონკრეტდეს, დეტალურად გაიწეროს, თუ რა შედის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაში, და, ყველა სხვა განსაზღვრებასთან ერთად, საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებაც მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების კონკრეტულ კონტექსტში იქნეს განხილული.

ამასთანავე, საკანონმდებლო დონეზე არ ხდება მკაფიო გამიჯვნა საქმის არაჯეროვან შესრულებასა და სამსახურებრივ გულგრილობას შორის. ეს უკანასკნელი კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს.<sup>313</sup> სამსახურებრივი გულგრილობის დროს აუცილებელია, ქმედებამ „არსებითი დარღვევა“ გამოიწვიოს. სწორედ არსებითი დარღვევაა ის ობიექტური ფაქტორი, რომელიც სამსახურებრივ გულგრილობას საქმის არაჯეროვანი შესრულებისაგან განასხვავებს და ქმედებას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აქცევს. ამასთან, ძნელია გავმიჯნოთ მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შედეგად

310 იხ. საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 2. § 2(ვ).

311 მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი (ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი; საია; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. კვლევა შესრულებულია „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის ფარგლებში. თბილისი. 2014. გვ. 11.

312 საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 2. § 2(ე).

313 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 342.

გამოწვეული დარღვევა არსებითია თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვინაიდან კანონმდებლობა არ განმარტავს, როდის შეიძლება ჩაითვალოს დარღვევა არსებითად. არსებითობა წარმოადგენს შეფასებით ელემენტს და პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს განმარტებული.

მაშასადამე, ერთი და იგივე შემთხვევა, შეიძლება სხვადასხვა დროს დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისამართლებრივი დანაშაული, ან დისციპლინური გადაცდომა. აღნიშნული პროკურატურას ანიჭებს მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დაწყების ან არდაწყების დისკრეციას. მოსამართლისათვის კი წინასწარ შეუძლებელი ხდება იმის განჭვრეტა, აღნიშნული ქმედებისათვის მას დისციპლინური სახდელი დაეკისრება თუ სისხლისამართლებრივი დევნა განხორციელდება.

ზოგადად, ყველა ქმედებას, რომელიც მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას უკავშირდება, უარყოფითი შედეგები მოჰყვება და დაუშვებელია მათი დაყოფა იმისდა მიხედვით, თუ რომელმა ქმედებამ უფრო მეტად უარყოფითი შედეგი გამოიწვია. მაგალითად, ერთი მხრივ, თუ მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო, პირი ერთი დღით უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა და მეორე მხრივ მოსამართლის მიერ საქმის არაჯეროვანმა შესრულებამ ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, ძნელია იმის მტკიცება, რომ ერთი დღით უკანონო პატიმრობა არ წარმოადგენს არსებით დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიკვდილი გაცილებით მძიმე და მიუღებელია.

ამგვარად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოსამართლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ყველა შემთხვევაში არსებითია და არსებითობის ფაქტორის დადგენა, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის, შეიცავს მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის მაღალ რისკს.

შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებითი დარღვევის ნაცვლად, ზუსტად უნდა იყოს ჩამოთვლილი ის კონკრეტული შემთხვევები, რა დროსაც მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება გასცდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებს და ქმედებას სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე გაიყვანს. ასეთებად შეიძლება მიჩნეული იქნეს ადამიანის სიკვდილი, მისი ფსიქიკური მდგომარეობის შერყევა ან გაუარესება და ა.შ.

\* \* \*

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის სახეები – სასამართლო ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებელი ქმედება (დ), მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება (ვ), პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება (ზ), –



გათვალისწინებულია ასევე საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესებით.<sup>314</sup> აღნიშნული კანონის მეორე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინურ გადაცდომის სახედ ითვლება ასევე სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა. შესაბამისად, „ი“ ქვეპუნქტი თავისთავში იმთავითვე მოიცავს ჩამოთვლილ ქმედებებს და მათი განმეორებით ჩამოთვლა არარელევანტური და სრულიად ზედმეტია. გადაცდომის სახეები კანონში მკაფიოდ და ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს და არანაირ კითხვას არ უნდა ტოვებდეს.

\* \* \*

რაც შეეხება მოსამართლეთა დისციპლინურ სახდელებს, განასხვავებენ მორალურ და ფინანსურ დისციპლინურ სახდელებს. უფრო მძიმე სანქციები, – როგორცაა სამსახურიდან დათხოვნა, ჩამოქვეითება, უფლებამოსილების შეჩერება, გამოიყენება როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ზოგადად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების, როგორც უკიდურესი დისციპლინური ზომის, გამოყენება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედების გამო მისი სისტემაში დატოვება საზოგადოებაში გამოიწვევს სამართლიან პროტესტს და აღძრავს ეჭვს, რომ სასამართლო ხელისუფლება მიმართულია არა მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად, არამედ მფარველობს მოსამართლეებს.

რაც შეეხება მოსამართლეთა ფინანსურ სანქციებს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იგი მიუღებელია: *“მოსამართლე არ უნდა იყოს იძულებული, იმოქმედოს ფინანსური სანქციის შიშის ქვეშ, რომლის არსებობამაც ქვეცნობიერად შესაძლოა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.”*<sup>315</sup> 1985 წლის გაეროს რეკომენდაციის თანახმად, *„მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ სასამართლოში თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების ან არასწორი ქმედების ან დაუდევრობის გამო სამოქალაქო საჩივრებისაგან პიროვნული იმუნიტეტით“*.<sup>316</sup>

საქართველოში მოსამართლეთა გათავისუფლებას, ისევე როგორც სხვა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, განიხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საკითხის გადასაწყვეტად საბჭო წევრთა 2/3-ის მხარდაჭერის შემთხვევაშია უფლებამოსილი. თუმცა დაუზუსტებელია, აღნიშნული რაოდენობის მხარდაჭერის არქონის შემთხვევაში, მოხდება თუ არა საქმის წარმოების შეწყვეტა. დისციპლინური დევნის შეწყვეტა კი, როგორც გადაწყვეტილების ერთ-ერთი ფორმა, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. *„ყველა დისციპლინური სასჯელი, უფლებამოსილებათა შეჩერება ან თანამდებობიდან*

314 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები. მუხლები: 4,8,13 იხ: <http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>

315 ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო. CCJE (2002) Op. no. 3.

316 იხ. სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. § 16.

გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად“.<sup>317</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პარალელურად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, უფლებამოსილი არიან დაიწყონ დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო დევნის შემდგომი მსვლელობის უზრუნველსაყოფად, ვალდებულნი არიან შესაბამისი მასალები წარუდგინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.<sup>318</sup>

მაშასადამე, სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ, რაც მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის გარკვეულ რისკებს უკავშირდება. სასამართლოს თავმჯდომარე აღჭურვილია იმავე უფლებამოსილებით, რითაც კოლეგიური ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კოლეგიური ორგანო, მით უმეტეს იმ პროცედურული განხილვის ფონზე, რაც კანონითაა გათვალისწინებული, მეტი ლეგიტიმაციით სარგებლობს, ვიდრე სასამართლოს ერთი მოხელე. სასამართლოს თავმჯდომარის აღჭურვა ამგვარი უფლებით, ადმინისტრაციული მართვის ვერტიკალში, მაქსიმალურად ზრდის მოსამართლეზე მისი ზემოქმედების შესაძლო რისკებს.

\* \* \*

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „*მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.*“<sup>319</sup> მაშასადამე, მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა, ისევე როგორც მათი განთავისუფლება, კონსტიტუციითა და ორგანულ კანონზე დაბალი ნორმით არ უნდა რეგულირდებოდეს. მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. რაც შეეხება მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებას, იგი რეგულირდება საქართველოს კანონით, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან.<sup>320</sup>

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრული უნდა იყოს ორგანული კანონით, მით უმეტეს, როცა მისი დანიშვნა სწორედ ორგანული კანონით ხორციელდება, ხოლო გათავისუფლების წესს კი არეგულირებს იერარქიულად უფრო დაბლა მდგომი ნორმა.

მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების წესის მაღალი იერარქიული ნორმით დარეგულირება უზრუნველყოფს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უფრო მაღალ ხარისხს.

317 იხ. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ. § 19.

318 იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონი. მუხ. 7.

319 იხ. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 86(2).

320 იხ. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხ.77, 80.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მთელი ეტაპი კონფიდენციალურია,<sup>321</sup> გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც მიიჩნია, რომ აუცილებელია მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების მთლიანი პროცესის კონფიდენციალურობა. სასამართლო იშველიებს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, „*იბღუდება ინფორმაციის მიღების თავისუფლება, თუკი ეს ზიანს აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას*“.<sup>322</sup> დისციპლინური სამართალწარმოების გასაიდუმლოების მომხრეები ამას სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვის საჭიროებითაც ხსნიან.

მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის დაცვა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და მნიშვნელოვანია. მაგრამ სრული პროცესის გასაიდუმლოება არღვევს პროცესის გამჭვირვალობის სტანდარტს. ერთ მხარესაა კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი, ხოლო მეორე მხარეს კი მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება. თუ მოცემულ ღირებულებებს (კერძო მოსამართლისა და მართლმსაჯულების ინტერესებს) ლეგიმეტრიული თვალსაზრისით შევადარებთ<sup>323</sup>, სწორი მართლმსაჯულების განხორციელება უდავოდ გადაწონის, ვინაიდან მოსამართლის დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი სწორედ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებიდან მომდინარეობს და მას უნდა ემსახურებოდეს. ამასთანავე, ბალანსი იმგვარად უნდა იყოს დაცული, რომ პროცესის საჯაროობის შემთხვევაში არ უნდა იქნეს შელახული კონკრეტული მოსამართლის ღირსება და მთელი სამართალწარმოება უნდა დაექვემდებაროს იმ ზოგად წესს, რომ საქმის დახურვა ხდება ინტიმური დეტალების გამჟღავნების თავიდან არიდების მიზნით.

საერთაშორისო პრაქტიკით, სხვადასხვა ქვეყნებში დასაშვებია მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაიდუმლოება. მაგალითად, აშშ-ში კალიფორნიის შტატში ხდება დისციპლინური სამართალწარმოების მხოლოდ რეზიუმეების გამოქვეყნება ანონიმური სახით.<sup>324</sup> აღნიშნული იძლევა საორიენტაციო გზამკვლევეს, რათა შეფასდეს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური ხასიათის გადაცდომად.

ევროპული სტანდარტების მიხედვით, დისციპლინური სამართალწარმოების მთლიანი პროცესი (დანყება, სამართალწარმოების პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებები), სრულად უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობის

321 იხ. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 5.

322 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2004 წლის 28 ივნისი.

323 ლეგიმეტრიის შესახებ ვრცლად იხილეთ: უგრეხელიძე მინდია. ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი - განზომილებათა სისტემა). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, II, თბილისი, 2015, „მერიდიანი“.

324 Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, CONFIDENTIALITY ISSUES, Georgia 2011.

ხარისხს, რათა გამოირიცხოს დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის შერჩევითი გამოყენება.<sup>325</sup>

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. მაგალითად, ესპანეთსა და ბულგარეთში მოსამართლეთა სხდომები დახურულია. საჯარო განხილვა დაშვებულია ბელგიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთსა და რუმინეთში.<sup>326</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სადაც საქმე ეხებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გათავისუფლებას დისციპლინური სამართალწარმოების გზით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის საჯაროდ განხილვა აშკარად შედის საზოგადოების ინტერესებში. თუმცა, ამ კონკრეტულ საკითხში, მხედველობაში იყო მიღებული პიროვნების საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, სხდომის დახურვით დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და ეს დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში იქნა განხილული.<sup>327</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები მოითხოვს კონფიდენციალურობას, ოღონდ თავდაპირველ ეტაპზე: „საკითხის გამოძიების საწყის ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს.“<sup>328</sup> აღნიშნულ მუხლში არ იკითხება იმის მოთხოვნა, რომ მთელი სამართალწარმოების პროცესი იყოს საზოგადოებისათვის დახურული, არამედ მხოლოდ საქმის შესწავლის თავდაპირველი ეტაპი, ანუ შემონშემის წინასწარი ეტაპი, რასაც ქართული კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს. ხოლო, საქმის გამოკვლევის პროცესი, ანუ მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეჯერება, შესაძლებელია იყოს საჯარო და დაექვემდებაროს იმ ზოგად წესს, რომლითაც საქმის დახურვა ხდება მხოლოდ ინტიმური დეტალების გამჟღავნების თავიდან არიდების ან ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნით.

ამასთანავე, პროცესის სრული გასაიდუმლოებით ჩნდება განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლის ინტერესები იქნება დაცული, ვინაიდან ვერაგინ შეაფასებს, რა მოხდა და რა კრიტერიუმები მიიღო მხედველობაში სადისციპლინო კოლეგიამ, ვინაიდან სამართალწარმოების მთელი ეტაპი ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშეა დარჩენილი. აღნიშნული ინვესს საზოგადოების უნდობლობას ზოგადად სასამართლო სისტემის მიმართ.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დისციპლინური ჰასუ-ხისმგებლობის დაწყებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი აფასებს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიმართავს წინადადებით მოსამართლის დისციპლინურ ჰასუხისგებაში მიცემის ან მის

325 Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul, A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par. 45.

326 A Comparative Analysis of Disciplinary Systems for European judges and Prosecutors (2011).

327 OLUJIĆ v. CROATIA. STRASBOURG. 5 February 2009. §76.

328 იბ. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ. §17.

მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.<sup>329</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეიძლება არ დაეთანხმოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემას, ხოლო თანხმობის შემთხვევაში, საქმე გადაეგზავნება საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიას.

სტატისტიკის თანახმად, 2012 წელს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შევიდა 844 საჩივარი. აქედან, 22.2%-ის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა, 1.7%-ს მიმართეს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, 1.2%-ს ჩამოერთვა ახსნა–განმარტება. იმ საქმეებიდან, რომელშიც მოსამართლეს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა, 4 შემთხვევაში მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში.<sup>330</sup> მაშასადამე, იუსტიციის საბჭოში შესული საჩივრების დიდი ნაწილი თავდაპირველი განხილვის ეტაპზევე დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მიერ მოსამართლის მფარველობის გარკვეული რისკები ამ ეტაპზეც არსებობს, ვინაიდან საბჭოს არა აქვს ამ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, თავდაპირველი გადარჩევის ეტაპის გახმაურება მაინც დაუშვებელია. ამ ეტაპზე იფილტრება მოსამართლის ქმედების ხასიათი და ხარისხი და შემდგომში მისი დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნება. რაც შეეხება შემდგომ სტადიას, აქ უკვე მოსამართლის ქმედებაში შეინიშნება გარკვეული ეჭვები, რაც მან თავად უნდა გააქარწყლოს სამართალწარმოებაში.

ამიტომ, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის გასაიდუმლოება უნდა ხდებოდეს ნაწილობრივ. კერძოდ, თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც სადისციპლინო კოლეგია იკვლევს, რამდენად საფუძვლიანია საქმის წარმოებაში მიღება და არსებობს თუ არა მოსამართლის დისციპლინური დევნის რეალური საფუძვლები, პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური. თუ საჩივარი დაუსაბუთებელია, საქმე უნდა შეწყდეს. სადისციპლინო კოლეგიას უნდა შეეძლოს მოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული საკითხები და მოიპოვოს ინფორმაცია მომჩივანის მხრიდან. ამ ეტაპზე დაცული უნდა იყოს როგორც მოსამართლის, ისე მომჩივანისა და მოწმეების კონფიდენციალურობაც. სადისციპლინო კოლეგია წყვეტს, რამდენად საფუძვლიანია საჩივარი და ამის მიხედვით საქმე გადადის მართლმსაჯულების ეტაპზე. თავდაპირველ ეტაპზე საქმის გასაიდუმლოება, მოსამართლეს იცავს, რომ მისი რეპუტაცია არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, ხოლო შემდგომ ეტაპზე მას საშუალება ეძლევა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

მომდევნო ეტაპი, მართლმსაჯულების განხორციელება, უნდა დაეყვამდებაროს მართლმსაჯულების ზოგად წესებს, უნდა იყოს საჭარო და გამჭვირვალე. დისციპლინური სამართალწარმოების მთელ ეტაპზე, მოსამართლეს უნდა მიეცეს გონივრული დრო თავისი პოზიციის მოსამზადებლად, შეეძლოს პროცესზე მტკიცებულებების წარდგენა და მის წინააღმდეგ წაყენებულ

329 იხ. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლები 9,15.

330 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის სტატისტიკური ინფორმაცია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/statistika%20%202012.pdf>

ბრალდებებზე პასუხის გაცემა. ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, მას უნდა ჰქონდეს მის საწინააღმდეგოდ არსებულ მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.<sup>331</sup> სურვილის შემთხვევაში უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი; სამართალწარმოება უნდა წარიმართოს დროულად და ა.შ.; დაცული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა პრინციპი.

\* \* \*

მაშასადამე, ქართულ კანონმდებლობაში არსებობს დისციპლინურ სახდელებთან მიმართებაში მთელი რიგი ხარვეზები და ბუნდოვანება. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები აკმაყოფილებდეს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს. კანონის ისეთი განსაზღვრებები, როგორცაა „მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება“ ან „სასამართლო ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებელი ქმედება“ ქმნის სამართლებრივ ბუნდოვანებას. ნათლად ჩამოუყალიბებელი და ბუნდოვანი წესები კი დისციპლინური სამართალდარღვევისათვის მოსამართლეთა თვითნებური დევნის მაღალ რისკებს არ გამორიცხავს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინური პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ. კანონმდებლობა არ ცნობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიმართ სადისციპლინო ზომებს, რაც შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს.

---

331 ვენეციის კომისიის დასკვნა ტუნისში მოსამართლეებისათვის დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. იხ: Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaut A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives. 21 May 2013, § 46.

### §3. მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მოსამართლის დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც აღვნიშნეთ, მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის, სამართლებრივი შეცდომის ან კანონის არასწორი ინტერპრეტაციის გამო. თუმცა კანონის ან ფაქტის არასწორი ინტერპრეტაცია შეიძლება გახდეს მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მხრიდან ჩადენილ იქნა უხეში გაუფრთხილებლობა ან ადგილი აქვს განზრახვას.<sup>332</sup>

მაშასადამე, უხეშმა გაუფრთხილებლობამ და განზრახვამ შეიძლება ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე გაიყვანოს. უხეშ გაუფრთხილებლობად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოსამართლეს გონივრული სტანდარტიდან გამომდინარე რაღაც გარემოება უნდა განეჭვრიტა, ის ამკარა იყო და არ ტოვებდა ეჭვის საფუძველს.

ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, როგორცაა კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.<sup>333</sup> მიღებული საჩუქარი კი იმ შემთხვევაში იქნება კანონთან საწინააღმდეგო, თუ ამ საჩუქრის ჭამური ღირებულება საანგარიშო წლის განმავლობაში, არ აღემატება მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს.<sup>334</sup>

ამ ნორმაში ცხადად იკითხება მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები. მაგრამ თუ, მიღებული საჩუქარი არ აღემატება თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს და არ არსებობს მოსამართლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი, ამ შემთხვევაში, გაურკვეველია, დაისმება თუ არა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

მართალია, დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია მოსამართლის კორუფციული სამართალდარღვევა, მაგრამ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს ქმედება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.<sup>335</sup> ვინაიდან

332 იხ. Recommendation CM/Rec(2010)12. §67.

333 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 340.

334 საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ. მუხლი 5.

335 იხ. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 2. § 2(ბ).

აღნიშნულ ქმედებაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, ამიტომ შეუძლებელი ხდება ვიმსჯელოთ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე.

შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნულ შემთხვევაში მოხდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და აღნიშნულმა ქმედებამ, როგორც მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთმა სახემ, ასახვა პოვოს კანონმდებლობაში. ვინაიდან, მოსამართლის მიერ საჩუქრის მიღება, მიუხედავად საჩუქრის ღირებულებისა, მაინც აყენებს მას ვალდებულებით მდგომარეობაში საჩუქრის მიმცემის მიმართ და გარკვეულწილად ზღუდავს მის დამოუკიდებლობას.

\* \* \*

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დასაწყებად აუცილებელია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა. გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ მისცემს ნებას, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, კანონის თანახმად, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა, ხოლო დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, პარლამენტის თანხმობის მიუღებლობა პირის დაუყოვნებლივ განთავისუფლების საფუძველი უნდა გახდეს.<sup>336</sup>

მაშასადამე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნებისმიერი ტიპის დანაშაულისათვის (მათ შორისაა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული), ერთპიროვნულად აქვს თანხმობის გაცემის უფლება და შეუძლია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი თქვას მოსამართლის სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე, დაკავების შემთხვევაში კი დაუსაბუთებლად დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იგი.

**შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული სრულიად მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს, ვინაიდან ერთი პირის ხელში თავს იყრის განუსაზღვრელი ძალაუფლება, რომელსაც შეუძლია ერთპიროვნულად შეაჩეროს მართლმსაჯულება, თანაც იმგვარად, რომ ამის შესახებ არანაირი კანონისმიერი განმარტებაც კი არ გააკეთოს; კანონის აღნიშნული ჩანაწერი მოსამართლეს ქვეშევსრულად ჩააგონებს აზრს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, ერთ პირს შეეძლება მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დახსნა, თუკი მის კეთილგანწყობას დაიმსახურებს.**

მიმაჩნია, რომ მოსამართლის სისხლის სამართლებრივ დევნაზე არ უნდა არსებობდეს სპეციალური ნებართვა და მოსამართლეები უნდა დაექვემდებარონ

336 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. მუხლი 40. § 1.



სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო საკანონმდებლო წესს. მითუმეტეს, რომ ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, როდესაც მოსამართლე არ იმყოფება სამსახურებრივ მდგომარეობაში, იგი ისევე უნდა დაექვემდებაროს სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, როგორც სხვა ჩვეულებრივი მოქალაქე.<sup>337</sup> მოსამართლის დაცულობა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება. ხოლო თუ მოსამართლე ჩადის ქმედებას, როგორც რიგითი მოქალაქე, მას ისევე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც ნებისმიერ სხვას. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი გარანტიები და უნდა არსებობდეს სრული თანასწორობის პრინციპი.

---

337      იხ. Recommendation CM/RES 2010(12) § 71.

# მართლსაჯულების საერთაშორისო პრინციპები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

# 4

დღესდღეობით, მსოფლიოში განასხვავებენ სამ ძირითად სასამართლო სისტემას. ერთ-ერთ მათგანში მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები მოქმედებენ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საერთაშორისო სასამართლოები. ქვეყნები, რომლებიც მხოლოდ პროფესიონალურ სასამართლოს იყენებენ, შემდეგია: ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მოლდოვეთი, ნიდერლანდები, სან მარინო, თურქეთი ა.შ.

მეორე სისტემა მიმართავს ე.წ. შეფენების ინსტიტუტს,<sup>338</sup> ანუ შერეულ მოდელს (mixed court), სადაც საქმეს თანაბრად განიხილავენ პროფესიონალი და არაპროფესიონალი მოსამართლეები. ეს სისტემა ნაფიცი მსაჯულებისაგან იმით განსხვავდება, რომ არაპროფესიონალი მოსამართლეები ყველა იმ უფლებით არიან აღჭურვილნი, რითაც სარგებლობენ პროფესიონალი მოსამართლეები. ისინი ერთნაირად არიან პასუხისმგებელნი და ერთად მონაწილეობენ როგორც ფაქტების დადგენაში, ისე ნორმების შეფარდებაში.

აღნიშნული სისტემის კლასიკური მაგალითია გერმანია, სადაც ორი მსაჯული და ერთი (ან სამი) მოსამართლე ერთად განიხილავენ როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს. გერმანიაში ამ ტიპის სასამართლო არსებობს 1924 წლიდან, როდესაც გაუქმდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რადგან მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი საზოგადოებაში არ აღიქმებოდა დასაბუთებულად და სამართლიანად. საქმეთა განხილვის მზარდი კომპლექსურობის გამო, მსაჯულთა საქმიანობაში შეინიშნებოდა შეცდომების დაშვების ტენდენციაც.<sup>339</sup>

შერეული მოდელი მოქმედებს იტალიაშიც, სადაც საქმეს განიხილავს 2 მოსამართლე და 6 მსაჯული (Lay Judges). საფრანგეთში კი – ცხრა მსაჯული და სამი მოსამართლე, რომელთაგან ერთი სხდომის თავმჯდომარეა; ისინი ერთად განსჯიან ფაქტებისა და სამართლის საკითხებს.<sup>340</sup> ამ ტიპის ქვეყნებში მსაჯულთა რაოდენობა სხვადასხვა რიცხვით განისაზღვრება.

შერეული სისტემის მქონე ქვეყნებს ასევე განეკუთვნება: ესტონეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საბერძნეთი,

338 „შეფენი“ „schöffe“ – გერმ. არაპროფესიონალი მოსამართლე.

339 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი, 2012. გვ.57.

340 Dubber Markus Dirk. American Plea Bargains, German lay Judges and the Crisis of Criminal Procedure. 49. Stan. L. Rev. 547. გამოყენებულია: იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა). თბილისი. „ბონა კაუზა“ 2009. გვ. 17.

უნგრეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მონაკო, მონტენეგრო, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, უკრაინა და ა.შ.

მესამე სისტემა იყენებს ნაფიც მსაჯულებს, სადაც მხოლოდ არაპროფესიონალები განსჯიან. ამგვარი ქვეყნებია: აშშ, კანადა, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ნორვეგია, მალტა, რუსეთი, ესპანეთი, შვედეთი, შოტლანდია, მექსიკა, ინგლისი, ახალი ზელანდია და სხვ.

## §1. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნებში

უძველესი დროიდან საზოგადოება სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ვაცობრიობა იცნობს ისეთ უძველეს სასამართლოებს, როგორც იყო ჰეილესტთა სასამართლო ათენში, რომელიც ხალხის მიერ არჩეული 1500 მოქალაქისგან შედგებოდა და ერთი წლის ვადით კენჭისყრით აირჩეოდა, მსაჯულთა საბჭო რომში, რომელიც 100-დან 1000-მდე ადამიანისაგან შედგებოდა და ა.შ.<sup>341</sup>

ყველაზე დახვეწილ მოდელს, სადაც მოქალაქეები მაქსიმალურად არიან ჩართულნი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მის სამშობლოდ აღიარებულია ინგლისი, სადაც ეს ინსტიტუტი მე-11 საუკუნიდან იღებს სათავეს. ამ ინსტიტუტის შემდგომი განმტკიცება მოხდა 1166 წელს მეფე ჰენრი II-ის ორდონანსით, რომელსაც სურდა სასამართლო გაეხადა უმნიშვნელო, სამართლიანი ორგანო და მოსახლეობის ნდობა მოეპოვებინა.<sup>342</sup>

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემდგომ ფართოდ გავრცელდა როგორც ინგლისის ყოფილ კოლონიებში, ისე ამერიკასა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების მომენტიდან ფუნქციონირებს.<sup>343</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება ნაფიცი მსაჯულებისა და რამდენიმე პროფესიონალი მოსამართლისაგან. მსაჯულთა და მოსამართლეთა რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანასა და განხილვის საგანზე. მაგალითად, ირლანდიაში, მალტაში, რუსეთში, ესპანეთში, შვეიცარიაში და გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს თავმჯდომარეობს ერთი მოსამართლე. ავსტრიაში, ბელგიასა და ნორვეგიაში სასამართლო, ნაფიც მსაჯულებთან ერთად, სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შედგება.

მოსამართლე ძირითადად მსაჯულებს განუმარტავს გამოსაყენებელ კანონს, იურიდიულ ტერმინოლოგიას, ხოლო ფაქტის დადგენის საკითხში

341 დაწვრილებით იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=788>

342 ჭაჭუა ვ. მოსამართლე ოდენ ბაგვა კანონისა. „ახალგაზრდა იურისტი“. 8 მაისი. 2001.

343 WILLIAM FORSYTH, M.A. „HISTORY OF TRIAL BY JURY“. წყარო: <http://www.constitution.org/cmt/wf/htj.htm> ბოლოს გადამოწმებულია: 10/07/2015.

იგი არ მონაწილეობს. პროფესიონალ მოსამართლეებს არ შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობა, ეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაა. მსაჯულები, როგორც წესი, განცალკევებით თათბირობენ. მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება უმეტეს ქვეყანაში მკაცრად დაცულია. მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევებში აქვს ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში შესვლის უფლება მკაცრად დაცული რეჟიმით. ბელგიაში, პროფესიონალი მოსამართლე შესაძლებელია მიიწვიონ სათათბირო ოთახში კონკრეტული სამართლებრივი საკითხების განსამარტავად, მაგრამ მას არა აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი ბრალეულობასთან დაკავშირებით ან კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა. შვეიცარიაში, ჟენევის კანტონში მოსამართლე თათბირში მონაწილეობს მხოლოდ მსაჯულთა დახმარების მიზნით და მას ბრალეულობასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება არ გააჩნია.

ამ მხრივ ერთგვარად წინააღმდეგობრივია ამერიკული და ინგლისური სისტემები: აშშ-ში მოსამართლეს ეკრძალება ფაქტების შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთება, ხოლო ინგლისში მოსამართლეს მტკიცებულებათა განმარტების უფლება აქვს. განმარტებაში არ უნდა შეინიშნებოდეს რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოება.<sup>344</sup>

აშშ-ში მოსამართლე მსაჯულებს აძლევს განმარტებებს სათათბირო ოთახში გასვლამდე, ხოლო მსაჯულების თათბირის განმავლობაში გარეშე პირები არ დაიშვებიან. მსაჯულებს უფლება აქვთ სამართლებრივი საკითხების განმარტებისათვის მიმართონ სხდომის თავმჯდომარეს. თუ გონივრულ ვადაში ისინი ვერ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მიმართოს მსაჯულებს დამატებითი განმარტებებითა და მითითებებით. მოსამართლე განუმარტავს მსაჯულებს, რომელი მტკიცებულებები უნდა გაითვალისწინონ და მიუთითებს მათ იმ კანონზე, რომელიც ამ მტკიცებულებების შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ. ზოგიერთ შტატში მოსამართლეს საერთოდ ეკრძალება კონკრეტული მტკიცებულებების შეფასება მსაჯულების თანდასწრებით, მაგრამ უფლება აქვს საქმიდან გამორიცხოს მტკიცებულება, რომელიც კანონსაწინააღმდეგოდაა მოპოვებული.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ყველა იმ კატეგორიის დანაშაულის საქმეები, რომლებიც კანონით ექვს თვეზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს; ამგვარ შემდგომად არ ითვალისწინებს კონსტიტუცია და იგი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკითაა განპირობებული.

კანადაში მოსამართლეს შეუძლია რეკომენდაცია მისცეს ნაფიც მსაჯულებს, თუმცა მსაჯულებს კანონი არ ავალდებულებს აღნიშნული რეკომენდაციის

344 იორჰენდი ლ; წიქარიშვილი კ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დასავლური სისტემების მიმოხილვა. ბონა კაუზა. თბილისი 2009. გვ. 54.

მიღებას.<sup>345</sup> ამასთანავე, მსაჯულებს შეუძლიათ გამოიტანონ სპეციალური ვერდიქტი, თუ ისინი მივლენ დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა ქმედება შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინა.<sup>346</sup>

შოტლანდიაში საქმის განხილვის შემდგომ მოსამართლე მსაჯულებს აძლევს განმარტებებს საქმის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით, აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოკლედ გადმოცემს თავის აზრს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მაგალითად, აღნიშნული ქმედება განზრახვა თუ გაუფრთხილებლობად შეიძლება შეფასდეს, რას ნიშნავს თანამონაწილეობა და ა. შ. მაშასადამე, იძლევა სამართლებრივ განმარტებებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ვერდიქტს ხარვეზიანად ან ბუნდოვნად მიიჩნევს, მას შეუძლია მისცეს მსაჯულებს დამატებითი მითითებები და მსაჯულებს განმეორებითი თათბირის ჩატარება სთხოვოს.<sup>347</sup>

შოტლანდიის ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს თავისებურება ახასიათებს. გარდა ტრადიციული ორი სახის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტისა, შოტლანდიის სასამართლო სისტემა ცნობს ვერდიქტის მესამე ფორმას – „არ მტკიცდება“. აღნიშნული გულისხმობს, რომ შესაძლებელია ბრალდებულმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ მისი ბრალი დამატებულად არ არის წარმოდგენილი.<sup>348</sup>

ირლანდიაში ნაფიცი მსაჯულები მოსამართლის მითითებით მოქმედებენ და შეზღუდულნი არიან მისი ინსტრუქციებით, ისევე როგორც კანონით, თუმცა ფაქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში, ისინი სრულიად თავისუფალნი არიან. მოსამართლე ფაქტის დადგენის საკითხში არ ერევა. ამასთანავე, მსაჯულების ერთხმივობა ვერდიქტის მიღების დროს სავალდებულო არ არის.<sup>349</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში ბრალდებული თავად წყვეტს, განიხილოს თუ არა მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა (მაგ. აშშ, საქართველო), ხოლო ზოგი ქვეყანაში განსასჯელი არ წყვეტს მისი საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის საკითხს (მაგ. იტალია, ესპანეთი). პირველ შემთხვევაში ზოგჯერ მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე დანაშაულთა განსჯადობის წრეს. მაგალითად, აშშ-ში განსასჯელს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება გადაწყვიტოს მისი საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულების მიერ, თუ სასჯელად ემუქრება მინიმუმ ორ თვით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ შემთხვევაში ყველა დანაშაულს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.<sup>350</sup>

345 ვიდმარი. ნ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. თბ. 2005 წ. გვ.112.

346 <http://www.cscja-acjcs.ca/>

347 Mittermaier C.J.A. Englische, nchottische und Nordamerikanische Strafverfahren Im Zusammenhange mit den politischen, sittlichen und sozialen Zustanden und Einzelheiten der Rechtsübung (1851). 2009. 492

348 ვიდმარი ნ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საერთო სამართლის ქვეყნები (Law and Contemporary Problems) 1999. გვ. 259.

349 ნაფიც მსაჯულთა სისტემა თანამედროვე ირლანდიაში: მღელვარე წარსულის ფონზე. ჯეკსონი დ; ქუენი ქ; მალლი ო; სტატიათა კრებული ნ. ვიდმარის რედაქტორობით. სამართალი და თანამედროვე პრობლემემატიკა. თბილისი 2005. გვ. 288.

350 იორჰანდი ლ; წიქარიშვილი კ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დასავლური სისტემების მიმოხილვა.

მექსიკაში ნაფიც მსაჯულებს ირჩევს ხალხი. ყველა განსასჯელს, თუ წაყენებული ბრალი ითვალისწინებს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, ან საქმე ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ან სიტყვის თავისუფლებას, აქვს უფლება მოითხოვოს, მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.<sup>351</sup>

\* \* \*

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლიდან არსებობს, რაც საკონსტიტუციო ნორმით არის განმტკიცებული<sup>352</sup>. ქართული მოდელი მცირედი ნაირსახეობით განსხვავდება ამერიკული მოდელისაგან. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შედის 12 მსაჯული, რომლებიც პროცესს ერთ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად უძღვებიან. მათ აქვთ ექსკლუზიური უფლებამოსილება – გამოიტანონ ვერდიქტი განსასჯელის ბრალეულობასთან დაკავშირებით. მათი როლი სანქციის განსაზღვრაში შემზღუდულია, განსხვავებით აშშ-საგან, სადაც ნაფიცი მსაჯულები წინასწარი ვერდიქტის წესით დამოუკიდებლად წყვეტენ რეკომენდაციის ფორმით სასჯელთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საქმეებს, კერძოდ, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობებს.<sup>353</sup> ამ შემთხვევაში, სრულიად გაუგებარია ე.წ. მარტივი მკვლელობის (დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე) გამორიცხვა ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის ნუსხიდან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს მოსამართლე, რომელიც განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულის აცილების საფუძველი.<sup>354</sup> აცილების პროცედურის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს 12 მსაჯულს და ორ სათადარიგო მსაჯულს. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლეს შეუძლია დაამტკიცოს უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულიც. წილისყრის საფუძველზე შეირჩევა უფროსი მსაჯული, რომელიც ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს. მას შეუძლია წერილობით მიმართოს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, აცხადებს ვერდიქტს და ხელს აწერს მას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე და ათზე ნაკლები –

---

ბონა კაუზა. თბილისი. 2009. გვ. 22

351 მამნიაშვილი მ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის მიმოხილვა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი. 2009. გვ. 33.

352 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 82(2).

353 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხ. 330.

354 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 223.

განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშულთა საქმეებზე. სხდომის თავმჯდომარე აძლევს განმარტებებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ამის შემდეგ კი ნაფიცი მსაჯულები დამოუკიდებლად, მოსამართლის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ფაქტებთან დაკავშირებით და გამოაქვთ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.

სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით გამოხატოს თავისი პირადი აზრი მოსალოდნელი ვერდიქტის შესახებ. მას შეუძლია მხოლოდ განუმარტოს მსაჯულებს ბრალდების შინაარსი, მისი სამართლებრივი საფუძველი, მტკიცებულებათა შეფასების წესი, გამამტყუნებელი ვერდიქტის შესაბამისობა გამოსაყენებელ კანონთან. მსაჯულები მხედველობაში მიიღებენ მხოლოდ პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს და დაუშვებელია ვარაუდის საფუძველზე ან პროცესის მიღმა მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოყენება.

ნაფიცმსაჯულები ადგენენ ფაქტებს და თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ადგენენ ბრალდებულის ბრალეულობას ან მის არაბრალეულობას. სხდომის თავმჯდომარეს მხოლოდ მაშინ შეუძლია გააუქმოს გამამტყუნებელი ვერდიქტი, როცა იგი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების ერთადერთი შესაძლებლობაა.

განაჩენის დადგენისას, სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს, ვერდიქტის დასაბუთება არ ევალებათ არც ნაფიც მსაჯულებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში.<sup>355</sup>

---

355 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261. 265 მუხლები.

## §2. ფაქტის ნორმატიულობა და ნორმის ფაქტიურობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ორ სასამართლოს ერთ ჭერქვეშ.<sup>356</sup> ერთია ფაქტების სასამართლო, ხოლო მეორე – ნორმების შემფარდებელი სასამართლო. ნაფიცი მსაჯულები მსჯელობენ მხოლოდ ფაქტებზე, ადგენენ ფაქტებს, მოსამართლე კი წარმართავს სასამართლო პროცესს, ახდენს სამართლებრივ შეფასებას და ათავისუფლებს ბრალდებისგან ან უფარდებს სასჯელს.

მაშასადამე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ფაქტებს ადგენს ნაფიცი მსაჯული, ხოლო მტკიცებულებათა შეფასებას ახდენს და სასჯელს უფარდებს მოსამართლე. მართალია, მოსამართლე მცირე დობით გარკვეულ ზეგავლენას მაინც ახდენს ფაქტების დადგენაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს მოსამართლის მხრიდან მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის შეზღუდვით, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ფაქტების საკითხს წყვეტენ მხოლოდ მსაჯულები.

სწორედ აქ წარმოიშობა ფაქტებისა და შეფასებების გამიჯნის სამართლებრივ-ფილოსოფიური პრობლემა, რაც ხშირად დაუძლეველ სირთულეებთან არის დაკავშირებული. როდესაც ნაფიცი მსაჯული წყვეტს, არის თუ არა პირი დამნაშავე, ეს უკვე გულისხმობს მის ბრალეულობას, და თუ ფაქტის საკითხია ის, რომ დამნაშავეა, მაშინ იგი იმავდროულად ბრალეულობის საკითხიცაა. მაშასადამე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ ფაქტი. წმინდა ფაქტს არ სჭირდება არანაირი განსჯა. მსაჯულები იმავდროულად ბრალეულობის საკითხსაც წყვეტენ, ვინაიდან გამოაქვთ ვერდიქტი. მაშასადამე, ნაფიცი მსაჯულები ფაქტის განსჯის შედეგად ადგენენ ბრალეულობის საკითხს. ბრალი კი გახლავთ ნორმატიულ-შეფასებითი კატეგორია, რომელიც ქმედების გასაკიცხაობას გულისხმობს და მისი დადგენა მხოლოდ მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება და არა ნაფიცი მსაჯულის. შესაბამისად, წარმოიშობა ფაქტის (ადამიანის ქმედების) ნორმატიულობისა და ნორმის (სამართლის) ფაქტიურობის ურთიერთგამიჯნის პრობლემა, ანუ სახეზეა ფაქტისა და ნორმის ურთიერთმიმართება.

როგორც მათეულად აღნიშნავს პროფესორი გ. ნაჭყებია, ფაქტებიდან შეფასებაზე (არსიდან ჭერარსზე) პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს და ამიტომ ეს გადასვლა შეიძლება იყოს ინდუქციური (სავარაუდო). ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტისა და სამართლის მიმართების პრობლემა იურისპრუდენციის ისეთი ორი საწყისია, რაც ყოველი იურისტის

356 გამონათქვამი ეკუთვნის პროფესორ მინდია უგრეხელიძეს.



ბენჯის ხიდზე გავლის ტოლფასია.<sup>357</sup> მეცნიერი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ფაქტი და ნორმა (ფაქტი და სამართალი) ერთმანეთისგან მოწყვეტილია, რის გამოც ბუნდოვანია მათი ერთიანობის იდეა. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საგნად ხშირად სახელდება მხოლოდ ფაქტი, თანაც იმგვარად, თითქოს იგი შეფასებით კატეგორიას საერთოდ არ წარმოადგენდეს. შესაბამისად, გაუგებარი ხდება ნაფიც მსაჯულთა ტერმინის გამართლება, ვინაიდან ფაქტის მსაჯულება ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველია.<sup>358</sup>

ნაფიც მსაჯულთა მიერ ქმედების დანაშაულად შერაცხვა შეუძლებელია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენისა და მათი შეფასების ანუ დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემატიკისა და მეთოდის ცოდნის გარეშე. ამდენად, ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მხოლოდ ფაქტს მივაკუთვნოთ და იგი სამართლის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს წარმოადგენს.

ამასთანავე, ფაქტის დამტკიცება, მტკიცების პროცესის (მათ შორის მტკიცებულებათა შეფასების) ჭეშმარიტების ძიება-დადგენის პროცესი კვალიფიციური იურისტებისთვისაც ურთულეს საპროცესო-სამართლებრივ გადაწყვეტას მოითხოვს, რასაც აკეთებს მსაჯული, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს (უკეთეს შემთხვევაში, ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს) აღნიშნულის შესახებ.<sup>359</sup>

ფაქტის სამართლებრივი საკითხებისგან გამიჯნას შეუძლებლად მიიჩნევს ასევე პროფესორი თ. ლილუაშვილი. ავტორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ პირის ბრალეულობას, აუცილებელია მინიმუმ იმის ცოდნა, თუ რა მიიჩნევა ბრალეულ ქმედებად კანონის მიხედვით. ავტორი განსაკუთრებით რთულად მიიჩნევს ფაქტისა და სამართლის გამიჯნას მტკიცების საგნისა და მისი ელემენტების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის ეტაპზე. აქ თავს იჩენს მტკიცების საგნისა და მისი ელემენტების მატერიალური სისხლისსამართლებრივი საფუძვლები.<sup>360</sup>

ფაქტსა და სამართალს ერთმანეთისაგან მიჯნავს პროფესორი გ. ნანიშვილი, რომელიც სამართალს ჭერარსულ ფენომენს მიაკუთვნებს, ხოლო ფაქტს არსის სფეროს. მეცნიერის მტკიცებით, ფაქტი არის უკვე მომხდარი, განხორციელებული, ხოლო სამართალი მომავალში უნდა განხორციელდეს, რადგან მას აქვს შანსი განხორციელებისა. ფაქტს არ შეიძლება ჰქონდეს განხორციელების ტენდენცია, რადგან იგი უკვე განხორციელებულია, იგი მიზეზობრივად გამონვეულია და თვით იწვევს რალაცას, ხოლო სამართალს, აქვს განხორციელების უნარი და პრეტენზია. სამართლის ნორმა, როგორც ჭერარსული მოთხოვნა, სამართლებრივი ურთიერთობის ფორმით უნდა

357 ნაჭყებია გ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. გ. ნაჭყებია რედაქტორობით. ივერიონი. თბილისი. 2013. გვ. 180.

358 იხ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 349.

359 გაბისონია ი. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრანტთა და მომრიგებელი სასამართლოები. მერიდიანი. თბილისი. 2008. გვ. 279.

360 ლილუაშვილი თ. გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? სამართალი. 1995. გვ. 5.

განხორციელდეს, ანუ უნდა იქცეს მართლწესრიგად.<sup>361</sup> ავტორის მტკიცებით, „თუ ჩვენ დავუშვებთ იმას, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე.ი. დავუშვებთ, რომ ის, რაც უნდა იყოს, უკვე არის, მაშინ ნორმაც, როგორც ასეთი, უაზრობად უნდა ჩაითვალოს“.<sup>362</sup>

მაშასადამე, ფაქტი უკვე განხორციელებული ისტორიაა, რომელიც შეიძლება სამართლებრივი შეფასების საგნად მოგვევლინოს. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი ვერ გახდება სამართლის საკითხი, ვინაიდან იგი ფაქტების დადგენის პროცესია. ფაქტი, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ადგენს, იმავდროულად ბრალეულობის საკითხიცაა, ვინაიდან წყდება ბრალდებულის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის საკითხი. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ადგილი აქვს ფაქტისა და სამართლის ერთმანეთისაგან ხელოვნური განცალკავების მცდელობას. **ნაფიცი მსაჯულები ადგენენ ფაქტებს, ხოლო მოსამართლე სამართლებრივ შეფასებას აძლევენ ამ ფაქტებს. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება ფაქტისა და შეფასების ლოგიკური ერთიანობის იდეას, ვინაიდან ეს ორი ფენომენი შეუძლებელია ერთმანეთისაგან მოწყვეტილად განვიხილოთ.** როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პასუხს სცემს კითხვას, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ამის გარკვევა მხოლოდ ფაქტის საკითხი არაა და იგი იმავდროულად მოითხოვს ბრალის დადგენას. მაშასადამე, ფაქტის საკითხის გადაწყვეტის დროს დგინდება ბრალეულობის საკითხიც, რასაც ახდენს არაპროფესიონალი მსაჯული, ხოლო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე დანაშაულად აკვალიფიცირებს ქმედებას, რაც იდეაში უკვე გააკეთეს ნაფიცმა მსაჯულებმა. რამდენადაც მსაჯულებს ვერდიქტი საკუთარი სინდისის კარნახით გამოაქვთ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ისინი ახდენენ ფაქტის შეფასებას; მაშასადამე, განსაზღვრავენ ფაქტის ბრალეულობას. მართალია, სამართალი არ არის მოწყვეტილი ფაქტებს, მაგრამ ფაქტის საკითხს არ წარმოადგენს ბრალი, იგი სუბიექტის გაკიცხვის საფუძველია და შეფასებით კატეგორიას მიეკუთვნება.

სულ სხვა ვითარება გვექნებოდა, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას რომ ვაღიარებდეთ, სადაც ბრალი ქმედების შემადგენლობად გვევლინება, ხოლო ქმედების შემადგენლობა მთელი დანაშაულის ტოლფასად შეიძლება შეფასდეს. ასევე, დანაშაულის ინგლისურ-საქსონური სისტემისათვის, სადაც ბრალის საკითხი ფაქტის შიგნით მოიაზრება, სუბიექტის ბრალი შეიძლება გახდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი.

მეტიც, კანადასა და აშშ-ში მსაჯულები წყვეტენ შეურაცხადობის საკითხს და გამოაქვთ ვერდიქტი, ანუ წყვეტენ, პირმა ქმედება შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინა თუ არა და გამოირიცხება თუ არა ბრალი მისი ქმედებიდან. შეურაცხადობა კი არის ბრალის გამომრიცხავი გარემოება, რაც განიხილება არა მოსამართლის, არამედ მსაჯულთა მიერ.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული მოდელის მიხედვით, მსაჯულთა ვერდიქტი

361 ნანეიშვილი გ. *სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა*. სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბილისი. 1992. გვ. 64.

362 იქვე. გვ. 61.

მხოლოდ იმას განსაზღვრავს, პირი დამნაშავეა თუ უდანაშაულო; რაც შეეხება მეორე მოდელს, მსაჯულებს წარდგენილი აქვთ საკითხებისა და წინადადებების ნუსხა (რუსული მოდელი). პირველ შემთხვევაში მსაჯულები, რა თქმა უნდა, ბრალის დადგენაში მონაწილეობენ და დამნაშავედ ან უდანაშაულოდ რაცხავენ პირს, მერე შემთხვევაში კი მსაჯულებს ეძლევათ შესაძლებლობა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანონ მაშინაც კი, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი სახეზეა და ფაქტი ეჭვს აღარ იწვევს. ამ მხრივ, აღსანიშნავია კრასნინას ცნობილი საქმე რუსეთში, სადაც ნაფიცმა მსაჯულებმა დაასკვნეს: „არ არის დამნაშავე, თუმცა მკვლელობა მან ჩაიდინა“.<sup>363</sup> მაშასადამე, მსაჯულები ადგენენ ფაქტის ნამდვილობას (რაც იმავედროულად ბრალეულობის დადგენას წარმოადგენს) და უფრო მეტიც, წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი სასჯელისაგან განთავისუფლდეს, ანუ მოსამართლის ფუნქცია საერთოდ ნულამდეა დაყვანილი.

ამგვარად, გაუმართლებელია ბრალი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის კონტექსტში მოვიაზროთ. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს პირის ბრალეულობის დადგენას: „ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.“<sup>364</sup> აღნიშნულით კანონმდებლობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ ფაქტს ადგენენ, არამედ წყვეტენ ბრალეულობის საკითხსაც, რაც გემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიუღებელია.

ამგვარად, ფაქტი, ანუ ადამიანის ქცევა, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება, ხოლო ეს „ცალკეული მოქმედებები ძირითად მიზანს ემსახურებიან და ერთ მთლიან ქცევას შეადგენენ,<sup>365</sup> ნორმატიული შეფასების საგანს წარმოადგენს. ფაქტი ანუ ჭეშმარიტების დადგენა, ხოლო ნორმა, როგორც ჭეშმარიტებაზე კვალიფიკაციის დადგენის საფუძველი, შეუძლებელია ცალ-ცალკე იქნეს განხილული. ნაფიცი მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები წყვეტენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებს დამოუკიდებლად, მაშინ როცა, გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტისა და მისი სამართლებრივი შეფასების საკითხის განცალკევება როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე შეუძლებელია.

ამასთანავე, ფაქტის შეფასებისას, აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების მხედველობაში მიღება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში კი, მოსამართლე, რომელიც ფაქტებს აფასებს და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს, საერთოდ არ მონაწილეობს მათი დადგენის პროცესში. შესაბამისად, იგი ადგენს განაჩენს ისე, რომ არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ან რაიმე წარმოდგენა იქონიოს კონკრეტული ფაქტის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებზე.

363 კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილება. იხ. [http://www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf)

364 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხ. 261 (2).

365 უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი. 1998. გვ. 182.

ისტორიულ ასპექტში ამ მხრივ საინტერესოა, რომ მსაჯულები მხოლოდ ფაქტის დამდგენნი კი არ იყვნენ, არამედ თავად იყვნენ მოწმეები და იცოდნენ საქმის გარემოების შესახებ, მასასადამე, თავად წყვეტდნენ როგორც ფაქტის, ისე ფაქტის შეფასების საკითხებს. დღევანდელ ვითარებაში კი, როდესაც პროფესიონალ მოსამართლეს ვანდობთ მართლმსაჯულების განხორციელებას, ნაფიც მსაჯულთა როლი კითხვის ნიშნებს აჩენს. რატომ ხარჯავს სახელმწიფო უამრავ დროსა და რესურსს პროფესიონალის მომზადებაში, რატომ უნდა იყოს მასში მართლმსაჯულების ყველა პრინციპი გამჭდარი, თუკი მისი როლი ლამის მხოლოდ სასჯელის დანიშნით შემოიფარგლება?

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივარი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეხება, ე.ი. ეხება პირის ბრალეულობასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი შეიზღუდება სამართლებრივი საკითხებით, საპროცესო აქტებით ან დაკისრებული სასჯელით, მაშინ მას შერეული ტიპის სასამართლო განიხილავს.<sup>366</sup> აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მსაჯულების მიმართ ნდობა სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას ნაკლებია და მას მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ევალება.

მნიშვნელოვანია ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხი. ვინაიდან შეფასება გადადის ფაქტიდან სამართლის საკითხში, აუცილებელია დედუქციური წესით იქნეს დადგენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც მოითხოვს ანალიტიკური აზროვნების უნარს და დასკვნების გაკეთებას, რასაც ვთხოვთ არაპროფესიონალ მსაჯულს.

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს, სად გადის ზღვარი ნორმის ფაქტიურობასა და ფაქტის ნორმატიულობას შორის და როგორ უნდა გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან. ფაქტი და ნორმა, როგორც წესი, ერთ ზოლად გასდევს მართლმსაჯულების უწყვეტ პროცესს და ეს ორი მოვლენა ერთ მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. შეფასებისას მათი განცალკევება გაართულებს ჭეშმარიტების დადგენას, მით უმეტეს, თუ ამ ურთულეს ფუნქციას პრაქტიკაში არაპროფესიონალებს მივანდობთ.

---

366 ნორვეგიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 1981წ მაისი. მუხლი 352 (2). წყარო: იორჰენდი ლ; წიქარიშვილი კ. *ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დასავლური სისტემების მიმოხილვა*. ბონა კაუზა. თბილისი 2009. გვ. 69.

### §3. მართლმსაჯულების ცალკეულ პრინციპებთან შეუთავსებლობა (საკითხის ლეგიმეტრიული ხედვა)

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო პრინციპების განხილვისას აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ საზოგადოებაში ნდობის მოპოვების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არ გვხდება დასაბუთების ვალდებულება. გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ ესპანეთი და შვეიცარია (ჟენევის კანტონი). ესპანეთში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი შეიცავს დასაბუთების მოკლე აღწერას, ასევე ასახულია ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქმის განხილვის მსვლელობისას, თუმცა არ ხმაურდება ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება თათბირის საიდუმლოება დაარღვიოს. ვერდიქტი უნდა მოიცავდეს მტკიცებულების შეფასების მოკლე აღწერასა და ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის საფუძვლებს. შვეიცარიაში (ჟენევის კანტონში) ნაფიც მსაჯულთა განხილვას ესწრება სასამართლო მდივანი, რათა აწარმოოს მიღებული გადაწყვეტილებებისა და დასაბუთების მოკლე ჩანაწერი.

ბელგიაში, ცნობილ „ტაქსკეს საქმეში“, სტრასბურგის სასამართლომ ნათლად ჩამოაყალიბა დასაბუთების ვალდებულება: „*ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინონ ის დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მათ მიერ გამოტანილი განაჩენი*“.<sup>367</sup>

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ბელგიამ ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილება უკავშირდება ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას, რომლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანისა და საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, სასამართლო ნაფიც მსაჯულებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა განმარტოვდეს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების ძირითადი სამოტივაციო ნაწილის ფორმულირებისათვის. უნდა მოხდეს ვერდიქტის ძირითადი მოტივების ფორმულირება და გადაწყვეტილების მოკლედ დასაბუთება (მინიმალური სტანდარტი). ვერდიქტის დასაბუთება უნდა ეცნობოთ მხარეებს და მიეწოდოთ ასლი. მაშასადამე, მოსამართლე მონაწილეობს იმ გადაწყვეტილების სამართლებრივ გამართვასა და ფორმულირებაში, რომელსაც შესაძლებელია შინაგანად არც კი ეთანხმება, და რომლის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიუღია.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მინიმალური სტანდარტი არ არის საკმარისი. როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ახდენს ძირითადი მოტივების ფორმულირებას და ცდილობს მოკლედ დაასაბუთოს ვერდიქტი, ასეთ შემთხვევაში, დასაბუთებას ვთხოვთ არაპროფესიონალს, რომელსაც შეხება

367 იხ. გვ. 96.

არ ჰქონია სამართლის ნორმებთან და მისგან მოვითხოვთ ერთ პროცესზე შეისწავლოს ყველაფერი, რასაც პროფესიონალი წლების მანძილზე იმეცნებს. მსაჯულს ვთხოვთ იმის გაკეთებას, რაშიც მას არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია და არც არის ვალდებული ჰქონდეს ამგვარი გამოცდილება. მისთვის შეიძლება სრულიად უცხო იყოს დასაბუთებული და ლოგიკური მსჯელობა თუნდაც მინიმალურ დონეზეც კი, და კიდევაც რომ შეეცადოს ამის გაკეთებას, არანაირი გარანტია იმისა, რომ იგი ამას შეძლებს, არ არსებობს. სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, დაუსაბუთებელი ან ნაკლებად დამაჯერებელი და ბუნდოვანი გადაწყვეტილება საზოგადოებაში ყოველთვის აღძრავს ეჭვს და ამას უსათუოდ გამოიყენებენ მხარეები თავიანთ სასარგებლოდ. სამართლიანმა, მაგრამ დაუსაბუთებელმა ვერდიქტმა უფრო მეტი უნდობლობა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლის მიერ კარგად დასაბუთებულმა, თუნდაც უსამართლო გადაწყვეტილებამ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დასაბუთება უნდა გააკეთოს არაპროფესიონალმა მსაჯულმა (ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში). არაპროფესიონალის მიერ გაკეთებული სამართლებრივი ანალიზი ზრდის სამართლებრივი შეცდომების რისკებს, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი უცდომელობაა.

**ამასთანავე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უმთავრეს იდეად საზოგადოების თვალში მართლმსაჯულების მიმართ სწორედ ნდობის მოპოვება სახელდება. საზოგადოების ჩართულობა სამართალწარმოების პროცესში, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყველაზე დადებით თვისებად წარმოდგება, სწორედ საზოგადოების ნდობის ამაღლებას ისახავს მიზნად. დაუსაბუთებელი ვერდიქტი კი თანამედროვე საზოგადოებაში ვეღარ იმსახურებს საზოგადოების ნდობას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას ჩანასახშივე ეწინააღმდეგება.**

განაჩენის დასაბუთების ვალდებულებას აღიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.<sup>368</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.<sup>369</sup> კოდექსი მიუთითებს აგრეთვე, თუ რას უნდა შეიცავდეს განაჩენის სამოტივაციო ნაწილი. გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს *„იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო“* და *„მტკიცებულებას, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე“*.<sup>370</sup>

ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა დაუსაბუთებელი ვერდიქტი წინააღმდეგობაშია როგორც ევროპულ კონვენციასთან, ისე კონსტიტუციურ ნორმასთან განაჩენის დასაბუთების თაობაზე.

368 იხ. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 40. § 3.

369 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 19. § 1.

370 იქვე. მუხლი 260 და 273(1).

დაუსაბუთებელი ვერდიქტი მოკლებულია გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის სპეციფიკით აიხსნება. შეუძლებელია განჭვრიტო, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით მიიღეს მსაჯულებმა კონკრეტული გადაწყვეტილება და რას ხდის მხარე სადავოდ, რა მტკიცებულებები მიიჩნიეს სარწმუნოდ ან რატომ. ამის შესახებ არ არსებობს არანაირი დეტალური ჩანაწერი. პროფესიონალთა სასამართლოში მოსამართლეს მოეთხოვება დასაბუთებული განაჩენის მიღება. ასეთ შემთხვევაში უსამართლო გადაწყვეტილება საზოგადოებისათვის თვალსაჩინოა და მხარეს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას უტოვებს. მხარემ იცის, თუ რამდენად მყარია არგუმენტები მის წინააღმდეგ ან პირიქით. ხოლო როდესაც არ არსებობს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეუძლებელია არსებობდეს მისი გასაჩივრების მექანიზმი. შესაბამისად, ბრალდების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა დიდ სამართლებრივ შეუსაბამობას წარმოადგენს.

ქვეყნების ნაწილში არსებობს მხოლოდ სასჯელის გასაჩივრების შესაძლებლობა. აშშ-ში გასაჩივრების უფლება არ განისაზღვრება კონსტიტუციით. აღნიშნულ უფლებას მხოლოდ ცალკეული შტატების კანონები განსაზღვრავენ.<sup>371</sup> აპელაციის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემული სადამრიგებლო სიტყვის შინაარსი.

ინგლისში, 1995 წლიდან, შესაძლებელია ვერდიქტის გასაჩივრება. სააპელაციო სასამართლო ხელახლა განიხილავს საქმეს სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით. გასაჩივრების ერთადერთი საფუძველია არსებითი შეცდომა, რომელმაც ზიანი მიაყენა განსასჯელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე საჩივრის შეტანა დაუშვებელია საქართველოშიც. მხარეს შეუძლია ერთჯერადად, საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქმე ეხება მტკიცებულებათა ან შუამდგომლობათა უკანონო გადაწყვეტილებას სხდომის თავმჯდომარის მიერ: ადგილი ჰქონდა არსებით შეცდომას ნაფიც მსაჯულთათვის განმარტებების მიცემისას, განაჩენი ეყრდნობა კანონმდებლობის დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს, სასჯელი უკანონო ან აშკარად დაუსაბუთებელია ან არ იქნა გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.<sup>372</sup>

მაშასადამე, ბრალდების გასაჩივრება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეუძლებელია, მაშინ როცა ბრალდების გასაჩივრების შესაძლებლობას იძლევა საერთაშორისო კანონმდებლობა. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ მსჯავრდებულ პირს, უფლება უნდა ჰქონდეს, მისი ბრალდება და განაჩენი კანონის შესაბამისად

371 Jones v. Barnes, 463 U.S. 745, 103 S. Ct. 3308, 77 L.Ed. 2 d 987 (1983).

372 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 266; 292 (4).

გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ.<sup>373</sup> ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამ მხრივაც წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

\* \* \*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არსებობს რისკი იმისა, რომ ნაფიც მსაჯულებად არჩეულმა მოქალაქეებმა, გამიზნულად, მტკიცებულებების საპირისპიროდ, სოლიდარობის ან სხვა რაიმე მოტივით მოახდინონ მიკერძოება ბრალდებულის სასარგებლოდ ან პირიქით. აღნიშნული მოვლენა ე.წ. ნულიფიკაციის სახელითაა ცნობილი.<sup>374</sup> განაჩენის დაუსაბუთებლობა მათ ამის სრულ შესაძლებლობას აძლევს.

მაშასადამე, არაპროფესიონალი მსაჯულის მიერ ფაქტისა და ნორმის ურთიერთშეხამების პროცესში, მსაჯულს აქვს უსამართლო გადაწყვეტილების შეგნებულად მიღების შესაძლებლობა, რაზედაც ნებისმიერმა ფაქტორმა შეიძლება იმოქმედოს (ადვოკატის მტკვერმეტყველება, ბრალდებულისადმი სიბრაღული, სოლიდარობის გრძნობა და ა.შ.), ისე რომ ამაზე პასუხიც არ მოეთხოვოს. პროფესიონალ მოსამართლეს კი უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანა კარიერის დასრულებად შეიძლება დაუჯდეს. თუ ნაფიც მსაჯულს მხოლოდ სინდისის მიხედვით შეუძლია გადაწყვიტოს პირის დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა, მოსამართლის შინაგანი რწმენა მტკიცებულებებსა და კანონს უნდა ემყარებოდეს, რაც მოსამართლეებში პასუხისმგებლობის განცდას ამძაფრებს. რა თქმა უნდა, ნაფიცი მსაჯულები, როგორც არაპროფესიონალები, შეიძლება შეცდნენ, მით უმეტეს, რომ სამართლებრივი შეცდომა პროფესიონალ მოსამართლესაც შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ მოსამართლეებისაგან განსხვავებით, მსაჯულებს არ გააჩნიათ ვერდიქტის დასაბუთებაზე არანაირი პასუხისმგებლობა და ვალდებულება. ამგვარი ნეგატიური პასუხისმგებლობა ეჭვქვეშ აყენებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ვარგისიანობას.

ნეილ ვიდმარი ერთმანეთისაგან განასხვავებს მიკერძოების სხვადასხვა სახეს, კერძოდ: მიკერძოება ინტერესიდან გამომდინარე (უშუალო ინტერესი საქმეში); სპეციფიკური მიკერძოება (მსაჯულს გააჩნია კონკრეტულ საქმეზე მრწამსი ან მოსაზრება); ზოგადი მიკერძოება (განწყობა რასობრივი, ეთნიკური ნიშნით, ან მსაჯულის დამოკიდებულება კონკრეტული ტიპის დანაშაულის მიმართ) და კონფორმისტული მიკერძოება (ნაფიცი მსაჯული ემორჩილება საზოგადოებრივ აზრს).<sup>375</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ნულიფიკაციის შესაძლებლობა მსაჯულებს

373 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1966. მუხლი 14 (5).

374 ბლექის ლექსიკონის მიხედვით ნულიფიკაცია წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა მიერ წინასწარი შეცნობით და განზრახვით მტკიცებულებების უგულვებელყოფას ან კანონის გამოყენებაზე უარის თქმას, რომლის მიხედვითაც მსაჯულები უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე თავად კონკრეტული საქმე. Blacks Law Dictionary (seventh edition 1999). p. 862.

375 ვიდმარი ნ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საერთო სამართლის ქვეყნები (Law and Contemporary Problems) 1999. გვ. 122.



მიკერძოების სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ისინი მხოლოდ თავიანთი სინდისით მოქმედებენ, ხოლო დაბალი ზნეობრივი და მორალური შეგნების შემთხვევაში, მართლმსაჯულება სრულიად დაუცველი და უსუსური ხდება. პროფესიონალ მოსამართლეებს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ყველა სხვა კრიტერიუმთან ერთად, უნდა ჰქონდეთ ზნეობრივი რეპუტაცია.<sup>376</sup> მოსამართლისათვის აღნიშნული მოთხოვნის წაყენება, ყველა სხვა მოთხოვნებთან ერთად, მიუკერძოებლობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს. მოსამართლის პროფესიული რეპუტაცია არა მხოლოდ მისი პროფესიული ვალის გაცნობიერება, არამედ მისი შესრულებაცაა, რაც განაჩენის სამართლიანობასა და დასაბუთებულობაზე აისახება. „*მოსამართლის სინდისი, მის მიერ პროფესიული მოვალეობის გაცნობიერება განაპირობებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევის სისრულეზე, ობიექტურობასა და ყოველმხრივობაზე, სასამართლო განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე*“.<sup>377</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში კი ყოველად შეუძლებელია შემთხვევით შერჩეული მსაჯულების ღირებულებათა სფეროს შეფასება, მსაჯულთა შერჩევის პროცესში მათი მორალური ღირებულებების დადგენა პრაქტიკულად გამორიცხებულია. შესაბამისად, მიკერძოების რისკები მაქსიმუმამდეა გაზრდილი. ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ უარყონ და არ გაითვალისწინონ ისეთი მტკიცებულებაც კი, რომელიც ეჭვს არ იწვევს, რასაც ნაკლებად ველოდებით პროფესიონალთა სასამართლოში. თუ პროფესიონალთა სასამართლოში გვაქვს ამგვარი გადაწყვეტილების გაუქმების გარანტიები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეუძლებელი ხდება შელახული სამართლიანობის გამოსწორება.

ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ნულიფიკაციის მოვლენა დადებითად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან გაუმართლებლად მსუბუქ ან სასტიკ კანონს მსაჯული ბევრისათვის მოულოდნელი ვერდიქტით უპირისპირდება. ასეთ შემთხვევაში „*ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფოს, იგი ხელისუფლებას წარუდგენს მზა, ახლებურ სახალხო შეხედულებებს, რომლებიც არ შეიძლება არ გაითვალისწინოს გონიერმა კანონმდებელმა*“.<sup>378</sup>

**შეუძლებელია დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. ნულიფიკაციის შემთხვევაში ადგილი აქვს სრულიად უდანაშაულო ადამიანის დასჯას ან პირიქით, დამნაშავის გამართლებას. რაც შეეხება შემთხვევას, რომ მსაჯულებმა ნულიფიკაციის გზით სასტიკი და ულმობელი კანონის მსხვერპლი უნდა გაამართლონ, ან საშიში დამნაშავე მსუბუქი კანონის უგულვებელყოფით უნდა დასაჯონ, თუ საკითხს მართლზომიერების კუთხით შევხედავთ, შეიძლება საზოგადოებრივი სიკეთის გადაწონის პრინციპით შევაფარდოთ: რომელი უფრო მისაღებია სამართლიანი**

376 იხ. გაეროს 1985 წლის პრინციპები; გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

377 Грошевой, Ю. М. Теоретические проблемы формирования убеждения судьи в советском уголовном судопроизводстве. Харьков. 1975. Ст. 43.

378 Судебная власть. Под ред. Петрухина И.Л. М. 2006. г. Ст 239.

მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე – ნაკლებად მძიმე დანაშაულის დროს ზედმეტად ხისტი კანონისაგან დაცვა მოულოდნელი ვერდიქტით, ან სასტიკი დამნაშავის დასჯა მსუბუქი კანონის საწინააღმდეგოდ, თუ უდანაშაულო პირის დამნაშავედ გამოცხადება, ან დამნაშავის უპირობოდ განთავისუფლება? რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ილახება მართლმსაჯულება, რომლის მიზანი სამართლიანობის მიღწევაა, მაგრამ პირველ შემთხვევაში მსუბუქი ან სასტიკი კანონების შეცვლა საზოგადოებას სხვა ფორმითა და მეთოდებით შეუძლია, იგი საზოგადოების განსჯის საგანი ხდება და ყოველთვის არის შესაძლებელი ამ მდგომარეობის გამოსწორება, დამნაშავის გამართლება ან უდანაშაულოსათვის სასჯელის მისჯა კი გვაძლევს გამოუსწორებელ შედეგს – შელახულ სამართლიანობას.

ამასთანავე, მსაჯულთა მხრიდან ნულიფიკაციის შესაძლებლობამ, ყველა ადამიანში შეიძლება გააღვივოს განცდა იმისა, რომ მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა და მის წინააღმდეგ შეკრებილი გამატყუნებელი მტკიცებულებებისა, იგი შეიძლება დაუსხლტეს მართლმსაჯულებას, თუკი მსაჯულების კეთილგანწყობას დაიმსახურებს. კვლევების თანახმად, ინგლისში განსასჯელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სწორედ იმ რწმენით ირჩევს, რომ მასში გამართლების მეტი შანსი არსებობს.<sup>379</sup>

ნულიფიკაციის მაგალითები მრავლადაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიაში. ერთ-ერთი გახმაურებული საქმე იყო „კალიფორნიის ხალხი სიმპსონის წინააღმდეგ“ აშშ-ში. 1995 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის წევრთა უმრავლესობა შავკანიანი იყო, საქმის განხილვის შედეგად სიმპსონის მიმართ გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანა. მსაჯულებმა ცოლისა და მისი პარტნიორის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სიმპსონის დანაშაულის არცერთი მტკიცებულება არ გაითვალისწინეს.<sup>380</sup> აღსანიშნავია, რომ იმავე პირის მიმართ სამოქალაქო საქმეზე მკვლელობის ფაქტი დადგენილად მიიჩნია კალიფორნიის სამოქალაქო სასამართლომ.

\* \* \*

მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს აგრეთვე პროფესიონალიზმი. არაპროფესიონალის მონაწილეობა ართულებს მართლმსაჯულების პროცესს. სხდომის თავმჯდომარე უნდა ეცადოს ნაფიც მსაჯულებს მათთვის გასაგები ენით აუხსნას კანონი და მიმდინარე პროცედურული საკითხები, ხოლო არაპროფესიონალმა მსაჯულმა, ყველაფერი, რასაც პროფესიონალი მოსამართლე წლების განმავლობაში შეიმეცნებს, უნდა გაიაზროს მოკლე დროში. ამიტომ მოსამართლემ, შეძლებისდაგვარად, მარტივი ენით უნდა აუხსნას მსაჯულებს თავისი მოსაზრებები, რაც სიძნელეებთან არის დაკავშირებული. „ისინი იძულებულნი არიან, მოახდინონ თავიანთი სიტყვების

379 ვიდრემარი ნეილ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საერთო სამართლის ქვეყნები (Law and Contemporary Problems) 1999 წ. გვ. 27.

380 <http://www.msajuli.ge/index.php?m=790>

დეტალიზება, რათა უფრო ვასაგები გახადონ მსაჯულებისათვის, რომელთაც მოსმენის კულტურის დონე ყოველთვის როდი აქვთ მაღალი“.<sup>381</sup>

შესაბამისად, არაპროფესიონალი ნაფიცი მსაჯული, ადვილად შეიძლება დაექვემდებაროს კარგად განაფული პროფესიონალი ადვოკატის ან პროკურორის სასამართლო რიტორიკის უძლიერეს ზემოქმედებას. აქ უარყოფილია ყველანაირი იურიდიული ლოგიკა და ყველაფერი დაფუძნებულია სამოყვარულო მეთოდებზე, რომლესაც მთლიანად წარმართავს ადვოკატი და პროკურორი. შესაბამისად, მსაჯულების შეცდომის რისკი ძალიან მაღალია.

„თუ არ მოხდება დარგობრივი კვალიფიკაციის წინა პლანზე წამოწევა, შეიძლება მივიღოთ სამართლებრივი გაურკვეველობა, უსამართლობა და არაეფექტიანად მომუშავე სასამართლოები. საქმეებს მსგავს შემთხვევაში მოიგებენ ისინი, ვისაც გააჩნია საუკეთესო ადვოკატის აყვანის სახსრები და არა ისინი, ვინც ობიექტურად მართლები არიან“<sup>382</sup>

ნაფიც მსაჯულებზე შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მედიამაც. არაპროფესიონალთათვის ადვილია განწყობის შექმნა და ამრის ფორმირება ბრალდების ან დაცვის სასარგებლოდ საქმის ირგვლივ მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით. ასევე, შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიეწოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც მათ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ განაწყობს. ასეთი შეიძლება იყოს ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი. აღნიშნული რისკები პროფესიონალ სასამართლოშიც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ გაცილებით მცირე დოზით. ვერანაირი პროცედურები ვერ უზრუნველყოფენ „ნაფიც მსაჯულთა სათანადო კონტინგენტის შერჩევას, შესაბამისი ჟიურის ფორმირებას, შემდგომში კი მათ დაცვას მოსამართლის, დაინტერესებულ მხარეთა, სხვა პირთა თუ მედიის ზეგავლენისგან, ანუ მათს მიუკერძოებლობას და აქედან გამომდინარე, გამოტანილი ვერდიქტის ობიექტურობა-სამართლიანობას“.<sup>383</sup>

აშშ-ში ამ ფაქტს ებრძვიან იმით, რომ ნაფიც მსაჯულებს მოსამართლეებთან ერთად ევალეუბათ საქმის გადაწყვეტის პროცესზე არ დაუშვან ზემოქმედება იმ ინფორმაციისა, რომელიც სასამართლოზე არ ყოფილა გამოკვლეული. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება იმდენადაა გაჭერებული გავრცელებული ინფორმაციით და დიდია მასმედიის გავლენა, შეიძლება მოსამართლემ შეცვალოს საქმის განხილვის ადგილმდებარეობა. მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა ასევე შეიცავდეს ისეთ ცნობებს, რომლებიც განხილვის დროს შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული.<sup>384</sup>

ნაფიც მსაჯულებზე მედიისა და საზოგადოებრივი განწყობის ზეგავლენის მოხდენის თვალსაჩინო მაგალითია „ვანინკჰოფის მკვლელობის საქმე“ (Wan-

381 ჭაჭუა ვ. სასამართლო რეფორმის ზოგიერთი ინსტიტუციური ხარვეზების შესახებ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“. N3. 2003. გვ. 425

382 ჰაგენლოხ ულრიხ. დრემდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე. გერმანელი მოსამართლის თვალთ დანახული მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015. გვ. 22.

383 იხ. ი. ვაბისონია. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები. გვ. 93.

384 იხ. ვიდმარი ნ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 93.

ninkhof case). შემთხვევა მოხდა სამხრეთ ესპანეთში 1999 წელს. მოკლულ იქნა 19 წლის როსიო ვანინ ჰოფი. პოლიციამ ეჭვმიტანილად ცნო დოლორეს ვასკესი. საქმე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. ეჭვმიტანილმა წარმოადგინა უდანაშაულობის მყარი ალიბი: მკვლელობის დროს იგი იმყოფებოდა გარდაცვლილის დედასთან სახლში და რამდენჯერმე დარეკა კიდევ ტელეფონით, რაც სატელეფონო კომპანიამ დაადასტურა. პროცესი განვითარდა იმ პირობებში, როცა მედია საქმეში მონაწილე პიროვნებებისა და მკვლელობის მიმართ გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენდა, საზოგადოება კი საქმის დროულად გადაწყვეტას მითხოვდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სიტყვასიტყვით გაიმეორა პროკურორის მოსაზრება და მიუხედავად წარმოდგენილი მყარი ალიბისა, დამნაშავედ ცნო დოლორეს ვასკესი. დოლორეს ვასკესი 17-თვიანი პატიმრობიდან განთავისუფლდა, როდესაც პოლიციამ ნამდვილ მკვლელს მიაგნო.<sup>385</sup>

მაშასადამე, პროფესიონალიზმის უქონლობის გამო განუზომლად იზრდება შეცდომის ალბათობა და მაღალია უსამართლო გადაწყვეტილების მიღების რისკი, მაშინ, როცა პროფესიონალი მოსამართლის დასაბუთებული გადაწყვეტილებით სამართლიანი კანონის უგულებელყოფის რისკი გაცილებით ნაკლებია და თუ მაინც მოხდა ამგვარი რამ, მოსამართლემ იცის, რომ ამის გამო პასუხს აგებს, თუ კანონით ვერა, საზოგადოების გაკიცხვით მაინც, რაც მისთვის მნიშვნელოვანია. ხოლო ნაფიც მსაჯულს არანაირი შემდგომი პასუხიმგებლობა ვერდიქტზე არ აკისრია და არც მათი ვინაობა გაცხადდება არასოდეს.

\* \* \*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვისას ისმება საკითხი: არის თუ არა ნაფიცი მსაჯული გარანტია იმისა, რომ ხელისუფლების ზემოქმედება სამართლის აღსრულებაზე შემცირებული იქნება? რამდენად არის იგი დაცული ხელისუფლების გავლენებისაგან?

ბუნებრივია, თუ ხელისუფლება ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეზე, რომელსაც დაცვის კანონისმიერი გარანტიები გააჩნია და კარგად იცის თავის დაცვის მექანიზმები, მას გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულზე. დაუშვებელია ვიფიქროთ ასევე, რომ 12 მსაჯულის მოსყიდვა ნაკლებ შესაძლებელია, ვიდრე ერთი მოსამართლის. მსაჯულების მოსყიდვა, რომელთაც არანაირი ვალდებულებები არ გააჩნიათ და დაცვის მექანიზმებითაც ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, შეიძლება უფრო მარტივი აღმოჩნდეს დაინტერესებული მხარისათვის, ვიდრე ერთი პროფესიონალი მოსამართლის, რომელსაც თავდაცვის ყოველგვარი ბერკეტი გააჩნია და კარგად ერკვევა კიდევ თავის უფლებებში. მითუმეტეს, რომ ქვეყნების უმეტესობაში 12 მსაჯულიდან გადამწყვეტი ხმა აქვს ნახევარზე მეტს, ანუ 7 მსაჯულს (ქართული მოდელი).

385 აღნიშნული პროცესის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: [http://elpais.com/elpais/2003/09/01/actualidad/1062404225\\_850215.html](http://elpais.com/elpais/2003/09/01/actualidad/1062404225_850215.html)

შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, არაკეთილსინდისიერი ხელისუფლების ხელში საზოგადოებისათვის პასუხისმგებლობის გადაბარების მექანიზმადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვქმნით საფრთხეს იმისა, რომ ოდესღაც თუ ხელისუფლება თავს მისცემს უფლებას მართლმსაჯულება გაამრუდოს, მას ამის მარტივი მექანიზმი ექნება და სამართალს სწორედ საზოგადოების სახელით გაამრუდებს.

\* \* \*

სწორი მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა დროულობა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მსაჯულების კანდიდატების შერჩევა, აცილებების განხილვა, საბოლოო შემადგენლობის ფორმირება და სხვა უამრავი ტექნიკური დეტალი დიდი დროისა და უზარმაზარი სასამართლო რესურსის ხარჯზე მიმდინარეობს. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ხდება მსაჯულების წინასწარი გამოკითხვა – voir dire<sup>386</sup>, რაც გულისხმობს მოსამართლის ან მხარეების მიერ მსაჯულების გამოკითხვას იმის დასადგენად, არის თუ არა იგი მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესასრულებლად. მსგავსი პრაქტიკა გავრცელებულია აშშ-ში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორიც. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შენახვა გამრდილ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაშინ როცა მსოფლიო ეკონომიურ მართლმსაჯულებაზე გადასული. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მსაჯულთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა. მაგალითად ინგლისში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო და უფრო ხირად მიიჩნევა ძვირ სიამოვნებად და ეს არგუმენტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეზღუდვის მომხრეთა წისქვილზე ასხამს წყალს.<sup>387</sup> აშშ-ში 500 მილიონამდე იხარჯება წელიწადში სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ამ ინსტიტუტის შესანახად.<sup>388</sup>

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური ფაქტორი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კრიტიკისას ყველაზე ნაკლებად არის მხედველობაში მისაღები, ვინაიდან ჩვენ ვაკრიტიკებთ მის არაეფექტიანობას სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში და უარს ვამბობთ არა იმიტომ, რომ იგი ძვირადღირებულია, არამედ მისი არაეფექტიანობის გამო. ბუნებრივია, თუ რომელიმე სამართლებრივი სისტემა ყველაზე მეტად მიგვაახლოებს სამართლიანობას და მეტად ეფექტიანი აღმოჩნდება სამართლიანობის იდეის აღსრულების საქმეში, მაშინ, თანხების დაზოგვის მიზნით, მასზე უარის თქმა გაუმართლებელი და მიუღებელი იქნებოდა.

386 ძველ ფრანგულ ენაზე ნიშნავს სიმართლის თქმას

387 ვიდმარი ნ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საერთო სამართლის ქვეყნები. 1999. გვ.27

388 გაბისონია ი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: წარმოშობა, ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკვანძო საკითხები. „მართლმსაჯულება და კანონი“. N5. 2005. გვ. 77

\* \* \*

იმ დადებით მხარეთა და უპირატესობათა შორის, რომლებზეც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები ამახვილებენ ყურადღებას, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: საზოგადოების ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, პროცესის მაქსიმალური შეჭიბრებითობა, საზოგადოების სამართლებრივი შეგნების ამაღლება და ჰუმანურობა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებითი მხარეებიდან ყველაზე მაღალი კოეფიციენტი, თითქმის მაქსიმუმთან მიახლოებული, სწორედ საზოგადოების ჩართულობის ელემენტს შეიძლება მივანიჭოთ. ამ ინსტიტუტის მოხრეთა არგუმენტებით, საზოგადოების ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ყველაზე მეტად უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და უფრო დემოკრატიულს ხდის ამ ინსტიტუტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნის თავდაპირველი მიზანიც სწორედ საზოგადოების ჩართულობა და დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა გახლდათ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა მართლაც ფასდაუდებელი როლი ითამაშა ისტორიის მანძილზე და მიიჩნეოდა მართლმსაჯულების განხორციელების ყველაზე სწორ ფორმად. სასამართლო ვერ სარგებლობდა ხალხის ნდობით და მონარქის სურვილების შემსრულებლად აღიქმებოდა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებამ კი გააჩინა ხელისუფლებისაგან სასამართლოს გამიჯნვის გარკვეული განცდა. სულ სხვაა რა ხდებოდა რეალობაში და რამდენად შესწევდათ უნარი მსაჯულებს მონარქის სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ, მაგრამ საზოგადოებას მაინც ჰქონდა შეგრძნება იმისა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რაღაც ფორმით, თავად იყო ჩართული.

XX საუკუნის შუა წლებიდან, მრავალ სახელმწიფოში თანდათან დამკვიდრდა დემოკრატიული მმართველობის თანამედროვე ფორმები. ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს. საერთაშორისო სამართალმა მსოფლიოში დაამკვიდრა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები, რომლებიც უპირობო შესასრულებლად იქცა სახელმწიფოებისათვის. მართლმსაჯულების პრინციპები, როგორც ზემოთ განვიხილეთ, სხვადასხვა საერთაშორისო აქტებში გაცხადდა, რაც შემდგომ სავალდებულოდ იქცა ქვეყნებისათვის შესასრულებლად. შედეგად, ადამიანი უფრო ნაკლებად რჩება ხელისუფლების პირისპირ. აღნიშნული პრინციპების დამკვიდრება უფრო და უფრო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, ხოლო ეროვნულ დონეზე სამართლის გამრუდების შემთხვევაში, მას საერთაშორისო სასამართლო იცავს. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი აღარ შეიძლება შეიძლება მივიჩნიოთ იმ როლის მატარებლად, რაც მას ისტორიულად გააჩნდა. ბრალდებულის ყველა საპროცესო გარანტია, რომლებიც დაცულია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, ართმევს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ისტორიულ როლსა და დანიშნულებას. თუ უნინ საზოგადოებას ნაკლები საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა პროცესისათვის და

ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა სამართალწარმოებაში ჩართულობის ერთადერთი ფორმა იყო, დღესდღეობით ეს საკითხი გადაწყვეტილია. სასამართლო პროცესის ღია და გამჭვირვალე ხასიათი ისედაც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თვალყური ადევნოს სასამართლო პროცესს, რასაც აადვილებს თანამედროვე ტექნოლოგიები. შესაბამისად, ნებისმიერი საპროცესო გარანტიის დარღვევას მოჰყვება მწვავე რეაგირება საზოგადოების მხრიდან. საზოგადოება თვალყურს ადევნებს არა მხოლოდ საპროცესო გარანტიების დაცვას სამართალწარმოების პროცესში, არამედ, მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა კრიტიკის ქარ-ცეცხლში ეხვევა საზოგადოების მხრიდან.

საზოგადოების ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელებაში სწორედაც რომ სამართლიანობის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა, მაგრამ ჩართულობის ფორმის ნაფიც მსაჯულთა სახით წარმოდგენა ვეღარ აკმაყოფილებს მართლმსაჯულების თანამედროვე გამოწვევებს და აღარ შეიძლება განიხილებოდეს დემოკრატიულობის ეტალონად. მისი შექმნის მიზანი – ხალხის ჩართულობა, თანამედროვე პირობებში გარანტირებულია პროცესის გამჭვირვალე ხასიათით. მართლმსაჯულების სავალდებულო პრინციპების განუხრელად დაცვის შემთხვევაში, პროფესიული სასამართლო ვეღარ გამოიწვევს იმნეგატიურ მოვლენებს, რაც მონარქიების ან დიქტატურის არსებობის პერიოდში შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც საზოგადოებამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რატომ და რა მტკიცებულებებით გაასამართლეს. ამიტომ საზოგადოების ჩართულობის მიზნით არაპროფესიონალთა განსჯადობა თანამედროვე პირობებში მის ისტორიულ დანიშნულებას ვეღარ ჰასუხობს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ღირსებად შეიძლება დასახელდეს აგრეთვე შეჯიბრებითობის მაღალი ხარისხი. ამ არგუმენტს ძალიან ბევრი მეცნიერი იშველიებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებით კონტექსტში წარმოსაჩენად. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო ის ნიადაგი, სადაც დამუშავდა შეჯიბრებითი პროცესის ტექნოლოგია.“<sup>389</sup>

უდავოა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მაქსიმუმზეა აყვანილი შეჯიბრებითობის პრინციპი, მაგრამ იგივეს განხორციელება ტრადიციულ სასამართლოშიც სრულადაა შესაძლებელი. შეჯიბრებითობა ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს დაცული პროფესიონალ მოსამართლეთა სასამართლოშიც.

ამასთანავე, შეჯიბრებითობა არ წარმოადგენს მართლმსაჯულების მიზანს, იგი ოდენ საშუალებაა მხარეთა შორის თანასწორობის არსებობისა. ამასთანავე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მოსამართლის ფუნქცია პროცესზე მხოლოდ შეჯიბრებითობის უზრუნველყოფით შემოიფარგლება, რითაც კნინდება სასამართლოს როლი და დანიშნულება.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებით თვისებად მიიჩნევა ასევე საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების ამაღლება. ამ ინსტიტუტის

389 Карнозова Л.М. Суд присяжных в России. инерция юридического сознания и проблемы реформирования. «Государство и право» 1997 г. N10. Ст. 51

მოხმხრეები ავითარებენ მოსაზრებას, რომ მსაჯულებს სასამართლოში შემოაქვთ ხალხური სიბრძნე, ცხოვრებისეული გამოცდილება, სამართლისა და სამართლიანობის მეტი განცდა, საზოგადოებას უძლიერდება პასუხისმგებლობის გრძნობა, განიმსჭვალება მეტი პატივისცემით სასამართლო ხელისუფლების მიმართ, ვინაიდან თავად მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ყოველივე აღნიშნული კი „*ყველასათვის მისაღებს ხდის სასამართლო გადაწყვეტილებას*“.<sup>390</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის ამაღლება, ხდება სამართლებრივი აღზრდის, სამართლებრივი აგითაციისა და პროპაგანდის გზით. ვინაიდან ჩვენი ყოველდღიურობა უფრო და უფრო ვითარდება და იცვლება, შესაბამისად, განვითარების გზაზე აუცილებელია ახალი ფორმების მოძებნა და არა დრომოჭმული ინსტიტუტის შენარჩუნება და დაკონსერვება.

ამასთანავე, როდესაც მსაჯული შეგნებულად, სოლიდარობის მიზნით ამართლებს დამნაშავეს ან უდანაშაულო ადამიანს სდებს ბრალს (ნულიფიკაცია), ეს ფაქტი ნაკლებად მეტყველებს მის მოქალაქეობრივ შეგნებაზე, მით უმეტეს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე.

ზემოთ აღნიშნულ მსჯელობიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმეთა განხილვა უპირისპირდება მართლმსაჯულების იმ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც განხილულ იქნა ნაშრომში, კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დიდია მიკერძოებლობის რისკი, ასევე დარღვეულია პროფესიონალიზმისა და საჩინარობის მოთხოვნები, შერყეულია სასამართლოსადმი ნდობის ხარისხი, ადგილი აქვს პროცესის სიძვირეს და კითხვის ქვეშდგება თავად სამართლიანობის პრინციპი. შედეგად ვიღებთ უსამართლო გადაწყვეტილების მეტად მომეტებულ რისკებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ზემოთ განხილულ დადებით და უარყოფით მხარეებს თუ სამართალმზომელობითი კუთხით შევხედავთ, აშკარაა რომ მისი უარყოფითი მხარეები ზრდის უსამართლო გადაწყვეტილების მიღების რისკებს და სამართლიანობის იდეას უქმნის საფრთხეს. თუ წარმოდგენილ არგუმენტებს შორის ბალანსს დავადგენთ და საკითხს სამართალმზომელობის კუთხით შევხედავთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უარყოფითი მხარეები აშკარად გადასწონის მის დადებით ელემენტებს. „*ცხადი და თანაფარდი*“ 75%-იანი ალბათობითაც კი პროფესიონალ მოსამართლეთა სასამართლო აშკარად აღემატება არაპროფესიონალთა სასამართლოს.<sup>391</sup>

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარაა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არსებობს მართლმსაჯულების მიზნის – სამართლიანობის უგულებელყოფის საკმაოდ დიდი საფრთხე.

390 აბრამსონი ჯ. დგას თუ არა ამერიკის ნაფიც მსაჯულების სისტემა სამართლიანობის გზაზე? თავისუფლება. 11(23). 2004. გვ. 28

391 უგრეხელიძე მ. ლეგიმეტრიის შესავალი. (სამართალგანზომილებათა სისტემა). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტ. II. თბილისი. 2015. გვ. 166.



## § 4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „კერსკეიტივიზი“

დღესდღეობით მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაკნინების ტენდენცია შეინიშნება. ამ ინსტიტუტის განსჯადობა თანდათან ვიწროვდება ისეთ საქმეებზე, რომელთა შეფასება საჭიროებს კანონის ცოდნას და სამართლებრივ ანალიზს უკავშირდება. მაგალითად, ავსტრიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ელემენტები შენარჩუნებულია მხოლოდ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის საქმეთა განხილვისას. შვეიცარიაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სრულად მხოლოდ ფენევის კანტონში მოქმედებს. სხვა დანარჩენ კანტონებში კი საქმეს განიხილავენ შერეული ტიპის სასამართლოები. დანიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წელიწადში ას საქმეზე მეტს არ განიხილავს.<sup>392</sup> კვლევების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა მიმართ უკმაყოფილება თანდათან იზრდება ნორვეგიაში.<sup>393</sup> ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის არე შეზღუდულია ასევე ბელგიაში. იგი განიხილავს მხოლოდ 20 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით დასჯად ქმედებებს.<sup>394</sup> ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიეკუთვნება დანაშაულთა მეტად შეზღუდული წრე და იგი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით შემოიფარგლება.<sup>395</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაღმასვლას განიცდის არა მხოლოდ სხვა ქვეყნებში, არამედ თვით თავის სამშობლოში – ინგლისსა და ირლანდიაში.<sup>396</sup> ინგლისში სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ 2%-ს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, კანადაში კი 1%-ს.<sup>397</sup> ნაფიც მსაჯულთა სისტემას აკრიტიკებენ აშშ-შიც, სადაც ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეთა 5 პროცენტს განიხილავენ.<sup>398</sup>

აღნიშნული დაღმასვლის მიზეზად შეუძლებელია დასახელდეს მხოლოდ ამ ინსტიტუტის სიძვირე. თავისთავად ცხადია, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის ფარგლების შეზღუდვა, თავად მის ნაკლებ ეფექტიანობაში უნდა ვეძებოთ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაკნინების მიზეზად სახელდება მიკერძოებულობა,

392 Wiedmar Neil. *World Jury Systems*. Oxford University Press, 2000. გვ. 445.

393 იორჰენდი ლ; წიქარიშვილი კ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 85.

394 ვან დე ვინგაერტი კრისტინე. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. 1996. გვ. 27. გამოყენებულია: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დასავლური სისტემების მიმოხილვა. ბონა კაუზა. თბილისი. 2009. გვ. 25.

395 იხ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. გ. ნაჭყებიას რედაქტორობით. გვ. 34.

396 Lloyd-Bostock Sally and Cheryl Thomas. *Decline of Little Parlement: Juries and Jury Reform in England and Wales*. [www.law.duke.edu/shell/cite.pl?62+Law+&+Contemp.+Probs.+7+\(Spring+1999\)](http://www.law.duke.edu/shell/cite.pl?62+Law+&+Contemp.+Probs.+7+(Spring+1999))

397 იხ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. გვ. 33.

398 Pizzi William. *The search for the whole truth about American and European Criminal Justice Trial Without Truths: Why our system of criminal trials has become an expensive failure and what we need to do to rebuild it*. Reviewed by Richard Frase. 3. Buff. Crim. L. R. 785

პროცედურის სირთულე, მსაჯულთა მოსყიდვის შესაძლებლობის მაღალი დონე და ა.შ.<sup>399</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაუქმდა ინდოეთში 1960 წელს იმ მოტივით, რომ ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენას ახდენდა მედია, საზოგადოებრივი აზრი და მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის მიუკერძოებლობა საზოგადოებაში ეჭვებს ბადებდა. აღნიშნული მთელი სიცხადით გამოვლინდა საქმეში „ნანავატი მაჰარაშტრას შტატის წინააღმდეგ“, სადაც ნაფიცი მსაჯულები ჩართულნი იყვნენ ნანავატის მხარდაჭერაში, რაც გამოიხატა კიდევ დაუსაბუთებელ გამამართლებელ განაჩენში, მაშინ როცა მის წინააღმდეგ პროკურატურას საკმარისი მხილებები გააჩნდა.<sup>400</sup> ინგლისში სამოქალაქო საქმეებზე სრულად აკრძალეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა ადვოკატებისა და სხვადასხვა კომპანიების მიერ წარდგენილი არგუმენტების საფუძველზე, ვინაიდან ნაფიცი მსაჯულები დაუსაბუთებლად აკმაყოფილებდნენ პირადი ზიანის მიყენებიდან გამომდინარე სარჩელებს.<sup>401</sup>

მიკერძოების თავიდან აცილების მიზნით, აშშ-ში ნაფიც მსაჯულებს არჩევენ სქესის, რასის, რელიგიური კუთვნილების ბალანსის სრული დაცვით. ნაფიც მსაჯულთა სიაში თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა სოციალური ჯგუფი. სახელმწიფოს შეუძლია უარყოს ბრალდების მტკიცება იმის საფუძველზე, თუ აჩვენებს, რომ არაპროპორციული წარმომადგენლობით ხორციელდება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი.<sup>402</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას ახაიათებს თავისებურება. შესაძლებელია, ერთმა ინსტიტუტმა რომელიმე ქვეყანაში გამართლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი სხვა ქვეყანაშიც იმავე წარმატებით იმუშავებს.<sup>403</sup> საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გამო ძნელია რასობრივი და ეთნიკური ნიშნით ნაფიც მსაჯულთა თანაბრად შერჩევა, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც ნაფიცი მსაჯულის არსებობის არანაირი ტრადიცია არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით „ბჭვს“ ინსტიტუტს ხევსურეთში. საქართველოში ჰარლამენტმა 1919 წელს, მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ“.<sup>404</sup> აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციაში მძიმე სისხლის სამართლისა და პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისთვის ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა განსაზღვრა. აღნიშნული კანონი არასოდეს შესულა ძალაში საბჭოთა ოკუპაციის გამო.

ზოგიერთი პრაქტიკოსი თუ თეორიტიკოსი იურისტი საუბრობს ასევე ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ნაადრევად შემოტანაზე საქართველოში,

399 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. რედაქტორი ო. მელქაძე. გვ.122.

400 Case Brief: K.M Nanavati v. State of Maharashtra 1962 AIR 605, 1962 SCR Supl. (1) 567 <https://legalbloc.com/case-brief-k-m-nanavati-maharashtra-1962-air-605-1962-scr-supl-1-567/>

401 მელქაძე ო. იხ. მითითებული ნაშრომი. გვ. 153.

402 Connie Milonakis Sabina Rajpal: Right to Jury Trial (90 Geo. L. J. 1613).

403 მამნიაშვილი მ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის მიმოხილვა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი. 2009. გვ. 24.

404 საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანონი. 1919 წლის 17 იანვარი.

და რომ ამგვარი ნოვაციისთვის წინასწარ უნდა უნდა მოხდეს საზოგადოების მომზადება.<sup>405</sup> აღნიშნული მოსაზრება, ჩემი აზრით, მიუღებელია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უკვე წარმოადგენს ანაქრონიზმს და თანამედროვე ეპოქაში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, მოძველებულ და გამოუსადეგარ ინსტიტუტს. შესაბამისად, მისი შემოტანა არათუ ნაადრევ, არამედ უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

ნაფიც მსაჯულთ ინსტიტუტის, როგორც მოძველებული და არაეფექტიანი სისტემის როლზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელების ეტალონს წარმოადგენენ (მიახლოებულს ამქვეყნიურ სამართლიანობასთან), არ ცნობენ ნაფიც მსაჯულებს. ბუნებრივია, მათ არ გაუჭირდებოდათ ნაფიცი მსაჯულების მოძიება, მით უმეტეს, როცა პროფესიონალი მოსამართლის მომზადება და მოძიება გაცილებით რთული და ძვირადღირებული ფუფუნებაა. მსოფლიოში ყველა საერთაშორისო სასამართლო იყენებს მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებს, რაც არაპროფესიონალთა მართლმსაჯულებაში მონაწილეობას იმთავითვე გამორიცხავს.<sup>406</sup>

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, ევროპული ქვეყნების უმრავლესობამ არჩევანი სწორედ ასიზების (შეფენების) სასამართლოზე გააკეთა, სადაც პროფესიონალი მოსამართლე და არაპროფესიონალი მსაჯული ერთობლივად ადგენენ ბრალეულობისა და სასჯელის საკითხებს. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისთავად იმ ფაქტს, რომ არაპროფესიონალები შეიძლება იყვნენ სასამართლოს შემადგენლობაში, პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად, არ მიიჩნევს კონვენციის მე-6 (1) მუხლის დარღვევად: „*შერეული შემადგენლობის არსებობა, არ წარმოადგენს იმთავითვე მიკერძოების მტკიცებულებას. იურისპრუდენციაში დამკვიდრებული მიუკერძოებლობის ზნეობრივი პრინციპი თანაბრად მოეთხოვებათ როგორც პროფესიონალებს, ისე არაპროფესიონალებს*“.<sup>407</sup>

მაშასადამე, პრინციპები, რომლებიც მოეთხოვება სასამართლოსა და მართლმსაჯულებას, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება ეროვნულ კანონმდებლობაში. ვინიდან თუ დაირღვა დასაბუთებულობის ან პროფესიონალიზმის პრინციპი, შეუძლებელია ვიმსჯელოთ სხვა პრინციპების შენარჩუნებაზე. დარღვეულია საჩინარობის პრინციპი, ვინაიდან მსაჯულთა თათბირი დახურულია და შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მტკიცებულებები მიიღეს, ან არ მიიღეს მსაჯულებმა მხედველობაში. ზემოთ განხილულ

405 ჭაჭუა ვ. კონსტიტუციური ნოვაცია - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ადამიანი და კონსტიტუცია. 2006. N2. გვ. 61-67.

406 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოსამართლედ ირჩევს მაღალი სამოსამართლო თანამადებობის დასაკავებლად აუცილებელი კვალიფიკაციის სამართლმცოდნეებს (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მუხ. 21(1); მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (გაეროს წესდება) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ითხოვს კომპეტენტურ მოსამართლეებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (რომის წესდება. მუხლი 36. 3. (ი); (იი).

407 Langborger c. Suède, STRASBOURG. §§ 34-35 ; Cooper c. Royaume-Uni. § 123.

მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ ნაფიცი მსაჯულის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვებს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ღრმა კრიზისს განიცდის და ვეღარ აკმაყოფილებს მართლმსაჯულების თანამედროვე მოთხოვნებს. შესაბამისად, იგი ვეღარ იმსახურებს საზოგადოების მხრიდან ნდობას.

ამ ფონზე ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში, წარმოადგენს სრულიად უცხო სხეულს ქართულ სასამართლო სისტემაში და მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციის საწინააღმდეგო შემობრუნებას მოასწავებს. იგი ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების იმ თანამედროვე სტანდარტებს, რომლისკენაც მიისწრაფვის თანამედროვე მსოფლიო.

## რეკომენდაციები

ნაშრომში მოცემული საკითხების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი სახის მიგნებები და რეკომენდაციები:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, საერთო სასამართლოს ყველა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კი ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ე.ი. ეს უკანასკნელი იმავროულად იმ ორგანოს ხელმძღვანელიცაა, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას ახორციელებს. ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არჩეულ იქნეს თავად საბჭოს შემადგენლობის არამოსამართლე 5 წევრისაგან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი შეიძლება დარჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რიგით წევრად, ისევე როგორც ამას ევროპული სტანდარტი გვთავაზობს.

კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის დისციპლინური გადაცდომის კონკრეტული სახის განმარტება, კერძოდ: საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს, თუ რა მოიაზრება მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაში, ამიტომ დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული სახე გარკვეულ ბუნდოვანებას უკავშირდება და სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევის რისკებს არ გამორიცხავს. ამასთანავე იმავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება იმავდროულად საქმის არაჯეროვან შესრულებაში მოიაზრება. აუცილებელია გაუქმდეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, როგორც კანონის სრულიად უსარგებლო ნაწილი და საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება იმავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი იქნეს ინტეგრირებული, როგორც მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება.

ამასთანავე, მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას საქმის უსაფუძვლო

გაჭიანურების გარდა, დაემატოს არასაპატიო მიზეზით სხდომაზე დაგვიანება, სამსახურში გამოუცხადებლობა ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა, პროცესში მონაწილე რომელიმე მხარისათვის აშკარა უპირატესობის მინიჭება (თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას), ბრალდებულისათვის საქმის მასალებზე წვდომის შეზღუდვა (თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას), აგრეთვე საქმის შინაარსობრივ ნაწილზე მოსამართლის მიერ წინასწარ კომენტარის გაკეთება.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომათა სახეებს უნდა დაემატოს კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მოსამართლის მიერ საჩუქრის მიღება, მიუხედავად საჩუქრის მცირე ღირებულებისა, მაინც აყენებს მას ვალდებულებით მდგომარეობაში საჩუქრის მიმცემის მიმართ და გარკვეულწილად ზღუდავს მის დამოუკიდებლობას.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მთელი ეტაპი კონფიდენციალურია და სამართალწარმოების მთელი ეტაპი ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი. პროცესის სრული გასაიდუმლოებით, ჩნდება განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლის ინტერესები იქნება დაცული, ვინაიდან ვერავინ შეაფასებს, რა კრიტერიუმები მიიღო მხედველობაში სადისციპლინო კოლეგიამ. სასურველია, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის გასაიდუმლოება ხდებოდეს ნაწილობრივ. საწყის ეტაპზე, როდესაც სადისციპლინო კოლეგია იკვლევს, რამდენად საფუძვლიანია საქმის წარმოებაში მიღება და არსებობს თუ არა მოსამართლის დისციპლინური დევნის რეალური საფუძვლები, პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური. ამ ეტაპზე დაცული უნდა იყოს როგორც მოსამართლის, ისე მომჩივნისა და მოწმეების კონფიდენციალურობა. მომდევნო ეტაპი კი, მართლმსაჯულების განხორციელება, უნდა დაექვემდებაროს მართლმსაჯულების ზოგად წესებს, უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე. სურვილის შემთხვევაში კი მოსამართლეს უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, სამართალწარმოება უნდა წარიმართოს დროულად და დაცული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა პრინციპი.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ. აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიმართ ეთიკის ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მექანიზმის მოთხოვნის საკანონმდებლო ინიციატივა.

უმჯობესია დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეზოგატივა გახდეს და უზენაეს და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებს აღარ ჰქონდეთ

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კანონით უნდა განესაზღვროს დისციპლინური სამართალწარმოების კონკრეტული ვადა დროული გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლის მიმართ გამოტანილი დისციპლინური გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო, ამასთან, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მასალებზე ხელმისაწვდომობა და უკვე დასაბუთებული გადასწყვეტილების შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. ამასთან, მოსამართლის და მომჩივნის საპროცესო უფლებები უნდა დარეგულირდეს კანონით.

„არსებითი ზიანი“ რომელიც ქართულ კანონმდებლობაში მოსამართლის დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობებს ერთმანეთისგან მიჯნავს, საჭიროებს მეტ დაზუსტებას. არსებითი ზიანის ნაცვლად, კანონში ზუსტად უნდა იყოს დაკონკრეტებული, თუ რა შეიძლება გახდეს მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

დახვეწას საჭიროებს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი. დღეს მოქმედი ნორმები მეტისმეტად ზოგადი ხასიათისაა და არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მოსამართლეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

მოსამართლის სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება უკავშირდებოდეს სასამართლოს თავმჯდომარის სპეციალურ ნებართვას და მოსამართლეები უნდა დაექვემდებარონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო საკანონმდებლო წესს. მოსამართლის დაცულობა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება ან მასთანაა დაკავშირებული. ხოლო თუ მოსამართლე ჩადის ქმედებას, როგორც რიგითი მოქალაქე, მას ისევე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც ნებისმიერ სხვას. დაუშვებელია უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის დაწყებაზე პარლამენტის თანხმობის მოთხოვნა, ვინაიდან ეს წესი გამოარჩევს მათ სხვა მოსამართლეებისაგან. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი გარანტიები და უნდა არსებობდეს სრული თანასწორობა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა საერთო სასამართლოების სისტემაში, სადაც მოსამართლეებს ექნებათ სპეციალური ტრენინგები გავლილი და მიღებული ექნებათ დარგობრივი მომზადება. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს, ვინაიდან მათი გადაწყვეტილება ბევრად უფრო კომპეტენტური და სიღრმისეული იქნება, ვიდრე ჩვეულებრივი მოსამართლისა. დარგობრივი კვალიფიკაციის ხარისხის გარდა, სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა შეამცირებს საქმეების რაოდენობას სასამართლოებში. შესაბამისად, შემცირდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ოდენობა, სახელმწიფო ხარჯები და ა.შ.. არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლო უნდა ფუნქციონირებდეს საერთო სასამართლოების წიაღში და

ეცემდებარებოდეს სასამართლო საქმისწარმოების მკაცრად განსაზღვრულ ბუნებას.

საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრული უნდა იყოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომლითაც ხდება მოსამართლის დანიშვნა. დღესდღეობით მოსამართლეთა გათავისუფლება ხორციელდება „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრული უნდა იყოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაკონკრეტდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა დამტკიცდეს პროცედურა, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს ბრალდებულის მიერ სასამართლოში გამოცხადების თავის არიდების შემთხვევაში. კერძოდ, მსგავს შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დაუსწრებლად გასამართლება. სასამართლოს უნდა დაეკისროს მოვალეობა, გადაამოწმოს ბრალდებულის გამოძახების პროცედურა და დარწმუნდეს, რომ მხარემ ცალსახად უარი თქვა სასამართლოში გამოცხადებაზე.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, სასამართლო პროცესის ინკვიზიციური ელემენტი ნაწილობრივ აღდგეს ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ გაუქმდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, მოსამართლეს ეკრძალება დამაბუსტებელი შეკითხვის დასმა მხარეთა ნებართვის გარეშე. შეჭიბრებითობის პრინციპი კვლავინდებურად უნდა იყოს დაცული, ანუ მხარები არ უნდა შეიზღუდონ მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობით, მაგრამ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი ინიციატივით დამაბუსტებელი შეკითხვის დასმის უფლება. სასამართლო გამოძიებაში ჩართვით მოსამართლეს მეტად ექნება შესაძლებლობა, გადაწყვეტილება თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას შეიძლება დარჩეს განცდა იმისა, რომ ბოლომდე ვერ მიიღო სასურველი ინფორმაცია და ამ დროს საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნება მოსამართლის შინაგანი განწყობის სრულყოფილი შედეგი. ამასთანავე, როდესაც მტკიცებულებათა უზუსტობა აშკარაა და მოსამართლე დამაბუსტებელ შეკითხვას არ სვამს, ეს იწვევს მხარეთა განცდას მოსამართლის მიკერძოებულობის შესახებ. აღნიშნული ელემენტის შემოტანა გამართლებულია იმ ფონზე, როცა შეჭიბრებითობის და ინკვიზიციური ელემენტების ურთიერთმეხამების პრაქტიკას ცნობენ საერთაშორისო სასამართლოები.

აუცილებელია კანონში დაკონკრეტდეს, დისციპლინური სამართალწარმოების რომელ ეტაპზე უნდა შეიზღუდოს მოსამართლის დაწინაურება. ეს შეზღუდვა არ უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების



მთელ პერიოდზე. ამასთანავე, მოსამართლეებს, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილნი დასაწინაურებლად ან არჩეულნი უვადოდ, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის კრიტერიუმები, რომლებიც გათვალისწინებულია დასაწინაურებლად ან დასანიშნად, აზრსაა მოკლებული, ვინაიდან გაურკვეველი იქნება, მოხდა თუ არა ამ კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა მისი დანიშვნის დროს, მისი გასაჩივრების უფლების გარეშე.

ამგვარად, სასურველია შეიცვალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრების დამტკიცების წესი და შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან. აღნიშნულ საბჭოს წევრებს უნდა ამტკიცებდეს არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, არამედ მოსამართლეთა კონფერენცია.

სასურველია შეიცვალოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მართალია, პრეზიდენტის უფლებამოსილება წარდგენის შემდგომ მოსამართლეზე წყდება, მაგრამ მოსამართლე მაინც შეიძლება დარჩეს მისი წარმდგენის გავლენის ქვეშ და ამ მხრივ გარკვეული რისკები არსებობს. ამიტომ, უმჯობესია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები არჩეულ იქნენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო კანდიდატურების წარდგენა განხორციელდეს საპარლამენტო ფრაქციების მიერ, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ.

დაბოლოს, განხილული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების ანალიზის საფუძველზე, აუცილებლად მიმაჩნია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება ქართულ კანონმდებლობაში. ყველაზე მისაღებ და უკეთეს მოდელად, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ შერეული სასამართლო სისტემა, სადაც პროფესიონალებთან ერთად თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი არაპროფესიონალებიც, რომლებიც თანაბარი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი და ერთნაირად მიიღებენ მონაწილეობას როგორც ფაქტების დადგენის, ისე ნორმების შეფარდების საკითხებში. შერეული მოდელი უზრუნველყოფს დასაბუთებულ გადანაცვლებას, რასაც ახორციელებს პროფესიონალი მოსამართლე. ამგვარი ტიპის სასამართლოს აქვს პროფესიონალი მოსამართლის მიერ სისხლის სამართალწარმოებასა და ვერდიქტის გამოტანაზე სამართლებრივი კონტროლისა და დასაბუთების საშუალება. ამასთან გათვალისწინებულია გადანაცვლებების გასაჩივრების შესაძლებლობა. ცხადია, აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილებით აღმოფხვრილი იქნება ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამობის პრობლემა. მრავალი წლის გამოცდილების შემდეგ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და არჩევანი სწორედ შერეული ტიპის სასამართლოზე გააკეთა.

# ციტირებადი ლიტერატურა

## I. შრომები

### ბ. ქართულენოვანი წყაროები:

1. აბრამსონიჭ., *დვასთუარაამერიკისნაფიცი მსაჯულების სისტემა სამართლიანობის გზაზე? „თავისუფლება“*. #11 (23), 2004
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით. „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. თბილისი, 2004
3. ანდრაშ შაიო., *ხელისუფლების თვით-შეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი*. სტივენ ჰოლმისის წინათქმით. თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქცია. „სეზანი“. 2003
4. აშშ კონსტიტუცია: *კომპრომისის ხელოვნება* ანუ მართულთა მმართველობა. თარგმანი: მინდია უგრეხელიძე, ვიქტორ ყიფიანი. სამეცნიერო რედაქტორი მინდია უგრეხელიძე. „ჯისიი“. თბილისი 1997
5. ბიბლია. მეორე რეჯული. (1.16). *პალიტრა L*. 2013
6. ბურჯანაძე გ., *ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა*. სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. თბილისი. 2011
7. გაბისონია ი., *ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: წარმოშობა, ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკვანძო საკითხები*. „მართლმსაჯულება და კანონი“. N5. 2005
8. გაბისონია ი., *ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები*. თბილისი, „მერიდიანი“. 2008
9. გაბისონია ი., *სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში*. თბილისი, „მერიდიანი“ 2008
10. გაბაშვილი ვ., *დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით*. „ენიმკის მოამბე“. XIII. 1943
11. გვენეტაძე ნ., წიქარიშვილი ვ., *წინასიტყვაობა ნეილ ვიდმარის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული გამოცემისათვის“*. თბილისი. 2005
12. გოცირიძე ე., *გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში*. თსუ. 2008.
13. გოცირიძე ე., *მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში*. „ჯისიი“. თბილისი. 2006
14. გოცირიძე ე., *ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ინკორპორაციისათვის (წინათქმა), კრებულში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა*. თბილისი. 2001
15. გოცირიძე ე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი – სუბსიდიურობის პრინციპის განვითარება თუ გაუმართლებელი ჩარევა? „ქართული უნივერსიტეტი“, ტ. I. 2015

16. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში. თსუ. 2002
17. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი. 1963
18. დავიდ რენე., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბილისი. 1993
19. დრაიფერი რალოფ., რა არის სამართლიანობა. „მართლმსაჯულების მაცნე“. თბილისი. 2-3. 2000
20. ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), თბ. 2005, 21
21. ვილდჰაბერი ლ., ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2003, #1
22. ვიტკაუსკასი დ., დიკოვი გ., ევროსაბჭო, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად. 2012
23. ზოიძე ბ., რამდენიმე შტრიხი დამოუკიდებელი მოსამართლისა. საიუბილეო კრებული. ლილუაშვილი თ. 75. თბილისი. 2005
24. თოფურაძე ნ., საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში. სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. თსუ. 2013
25. იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით. 1949
26. იოანე ბატონიშვილი., კალმასობა. ტომი 1. კ. კვეციანისა და ა. ბარამიძის რედაქციით. 1936
27. იორჰენდი ლ., ნიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა). თბილისი. ბონა კაუზა. 2009
28. კორკელია კ. ი., ქურდაძე., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. სამოსამართლო სწავლების ცენტრი. 2004
29. კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. 2007
30. კვეცილია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. ტ.1
31. ლილუაშვილი გ., სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა. სამართალი და მსოფლიო. N2. 2015
32. ლილუაშვილი თ., გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? სამართალი. 1995
33. მამნიაშვილი მ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის მიმოხილვა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი. 2009
34. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. შ. მესხიას რედაქტორობით. 1948
35. მელქაძე ო. დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. მსოფლიო ჰარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი XI. თბილისი. მერანი-3. 2000
36. მეტრეველი გ., ქართული სამართლის ისტორია., „მერიდიანი“. თბილისი. 2013
37. ნანეიშვილი გ., სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბილისი. 1992
38. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. ავტორთა ჯგუფი გურამ ნაჭყებიას რედაქტორობით. ივერიონი. თბილისი. 2013
39. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. სამეცნიერო რედაქტორი

8. მეიშვილი. საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი. 2010
40. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია. თბილისი. 2010
41. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტომი III
42. სიჭინავა ე., საერთაშორისო სამართლის ჟურნალი. თსუ. თბილისი. N1. 2008
43. სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 1952
44. პაქეძე პიერ., ფრანგული კონსტიტუციური სამართალი. ფერდინანდ მელენსუკრამიანი. 28-ე გამოცემა. თსუ გამომცემლობა. 2012
45. რამიშვილი ნ., სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი XXII. ენა და კულტურა. თბილისი. 2005
46. „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები.“ ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით. მთარგმნელი ე. გოცირიძე. საქართველოს უზენაესი სასამართლო. ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი. 2001
47. უგრეხელიძე მ., ლეგიმეტირების შესავალი. (სამართალი – განზომილებათა სისტემა). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტ. II. თბილისი. 2015
48. უგრეხელიძე მ., სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის სათავეებთან (ნაწილი პირველი). „მართლმსაჯულება“. 2008. N1
49. უგრეხელიძე მ., სასამართლო რეფორმა გზაჯვარედინზე. სამართალი. 1998. #7-8
50. უგრეხელიძე მ., სამართლიანი, სწრაფი, ემედიითი მართლმსაჯულებისათვის. სამართალი. 1998. #1-2
51. უგრეხელიძე მ., სასამართლო ხელისუფლება. მართლმსაჯულების მაცნე. 1993, #3
52. ფალიაშვილი ა., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში) „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2004. 3
53. შვარცი ჰერმან., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი 2003
54. ჭავჭავაძე ი., ცხოვრება და კანონი. „ივერია“, 1877 წლის 3 მარტი, N1
55. ჭაჭუა ვ., მოსამართლე ოდენ ბაგეა კანონისა. ახალგაზრდა იურისტი. 8 მაისი 2001
56. ჭაჭუა ვ., კონსტიტუციური ნოვაცია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ადამიანი და კონსტიტუცია. N2. 2006
57. ჭაჭუა ვ., სასამართლო რეფორმის მოვიერთი ინსტიტუციური ხარვეზის შესახებ. „ქართული სამართლის მიმოხილვა.“ N3. 2003
58. ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. თბილისი. 2011
59. ჭავახიშვილი მ., დამოუკიდებელი სასამართლო. ივერია. 1906. N20
60. ჭეკოსონი დ; ქუენი ე; მალლი ო; ნაფიც მსაჯულთა სისტემა თანამედროვე ირლანდიაში: მღელვარე წარსულის ფონზე. სტატიათა კრებული ნ. ვიდმარის რედაქტორობით. სამართალი და თანამედროვე პრობლემეტიკა. თბილისი 2005
61. ჰაგენლოხი ულრიხ., დრემდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე. გერმანელი მოსამართლის თვალთ დანახული მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში. „სამართალი და მსოფლიო“. N2. 2015
62. ჰალერი ვალტერ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში. ქართული თარგმანი: ნ. ბაქრაძე, თ. ბაქრაძე. „უნივერსალი“. 2012

## ბ. უცხოენოვანი წყაროები

1. Albert Venn Dicey. Introduction to the Study of the Law of the Constitution, 10<sup>th</sup> ed. Macmillan Education, London 1959
2. Abramson Jeffrey. Harvard University Press. Cambridge, Massachussets. London, England. The JURY. System and the Ideal of Democracy. 2000
3. Baker V. Carr, Supreme Court of the United States of America, (1962) 369 US 186, per Justice Frankfurter
4. Basic Writings of Mo Tzu, and Han Fei Tzu, Burton Watson (ttrwsans.) Columbia Universiti Press, 1967
5. Black's Law Dictionary. Seventh edition 1999
6. Charles Secondat, Baron de Montesquieu. The Spirit of the Laws, and ed. Anne M. Cohler, Basia Carolyn Miller, and Harold Samuel Stone (Cambridge: Cambridge University Press, 1992), XI
7. Sacred Books of the East, 50 vols., F. Max Muller, (Motial Banarsidass, Delhi) 3rd reprint (1970), volume XXV, VII
8. Wiedmar Neil.; *World Jury Systems*. Oxford University Press, 2000
9. The Civil Law, S.P. Scott (trans.) (Cincinnati, Central Trust Co. 1932), Vol 1
10. Twersky J (ed.), A. Maimonides Reader (Berham House Inc., 1972)
11. Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, "Judicial Independence", The Australian Judicial Conference, 2 November 1996, Canberra
12. The New *Oxford Companion to Law*. Edited by Peter Cane Joanne Conaghan. Oxford University Press. 2002
13. Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul, A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013
14. Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009
15. Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives. 21 May 2013
16. Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, CONFIDENTIALITY ISSUES, Georgia 2011
17. Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, COMMENTS ON PROPOSED AMENDMENTS TO DISCIPLINE LAW GEORGIA, Georgia 2011
18. Weeramantry C.G., An Invitation to the Law. Melbourne, Australia, Butterworths, 1982
19. Decaux Emmanuel., *Droit international public*, DALLOZ, 5 ème edition, 2008
20. DUPUY, P.M., *Droit international public*, Dalloz-Sirey, Coll. « Précis de droit public », Paris, 6<sup>e</sup> éd., 2002
21. Грошевой, Ю. М. *Теоретические проблемы формирования убеждения судьи в советском уголовном судопроизводстве*. Харьков. 1975
22. Мурадян М., *Судебное право*. Санкт-Петербург. 2007
23. Никеров Г.И.: *Судебная власть в правовом государстве (Опыт сравнительного исследования) государства и права*. 2001N3
24. Царевич Давид. *Обозрения Грузии по части прав и законовещения*. 1813

## II. ანგარიშები, რეკომენდაციები, დასკვნები, გადაწყვეტილებები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. ქეროლინ ჰამილტონი. ქართული თარგმანი გაეროს ბავშვთა ფონდი. 2011
2. არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში (შედარებითი ანალიზი). დანიის პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა. 2013
3. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი მართლმსაჯულების საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში. N10 (2007). სტრასბურგი, 2007 წლის 23 ნოემბერი. III
4. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N2(2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის. სასამართლო ორგანოების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოების მართვისა და დაფინანსების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესრულების თაობაზე. სტრასბურგი, 2001 წლის 23 ნოემბერი. CCJE (2001) OP N2
5. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N3(2002), მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკური ნორმების, თანამდებობასთან შეუთავსებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ
6. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია NR(94)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ. მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ. 13 ოქტომბერი, 1994
7. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1098-ე შეკრებაზე მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2010)12 წევრი სახელმწიფოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და პასუხისმგებლობის შესახებ. 17 ნოემბერი, 2010
8. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ტომას ჰამარბერგის ანგარიშ-მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011
9. ვენეციის კომისიის დასკვნა N728/2013 მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონ-პროექტის თაობაზე. 27 ივნისი, 2013
10. ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა N°773/2014. CDL-AD 031. სტრასბურგი, 14 ოქტომბერი 2014
11. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების ეფექტიანად ამოქმედების ზომები (პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები). მიღებულია სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ, ქ. ლუსაკა, ზამბია. 2010 წლის 21-22 იანვარი
12. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა, ვენეციის კომისიის 70-ე პლენარულ სესიაზე მიღებული ანგარიში (ვენეცია, 16-17 მარტი 2007წ.) (CDL-AD (2007)028)
13. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები. გერმანიის

- საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). თბილისი. 2015
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2004 წლის 28 ივნისი
  15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ. N1/204-2007. 2007 წლის 25 სექტემბერი
  16. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო. OSCE. ვარშავა. 9 დეკემბერი, 2014
  17. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2012
  18. სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (JILEP) ფარგლებში საიას-ს მიერ განხორციელებული სასამართლო მონიტორინგი. პროექტის ხანგრძლივობა 06.12.2010-30.09.2014
  19. სუვის განცხადება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ, მიღებული მოსამართლეთა კოლოკვიუმის მიერ. 2004
  20. კაიროს დეკლარაცია, მიღებული სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ მართლმსაჯულების საკითხებში მეორე არაბული კონფერენციის მონაწილეთა მიერ. 2003
  21. უცხოელ ექსპერტთა გამობმარეზბანი საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსზე. მართლმსაჯულების მაცნე. საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი. 1998. 2-3
  22. OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967 Concerning the Judicial System, the Supreme Council of the Judiciary and the Status of Judges in Tunisia. hereinafter OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967
  23. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights/Max Planck Minerva Re-search Group on Judicial Independence, Kyiv Recommendations on Judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia (2010), Kyiv Recommendations
  24. Commentaire des Principes de Bangalore sur la déontologie judiciaire. Office des nations unies contre la drogue et le crime Vienne. NATIONS UNIES New York, 2013. Préface de C. G. Weeramantry Président du Groupe sur l'intégrité de la magistrature
  25. European Network of Councils for the Judiciary (ENCJ) ENCJ WORKING GROUP, Judicial Ethics Report 2009-2010
  26. Commission de Venise, Avis sur des modifications récentes de la loi relative aux principales dispositions constitutionnelles de la République d'Albanie, CDL-INF(1998)009
  27. COMMISSION EUROPEENNE POUR LA DEMOCRATIE PAR LE DROIT (COMMISSION DE VENISE) NOMINATIONS JUDICIAIRES Rapport adopté par la Commission de Venise lors de sa 70e session plénière (Venise, 16-17 mars 2007). CDL-AD(2007)028. Strasbourg, le 22 Juin 2007. Avis n° 403 / 2006

### III. ნორმატიული მასალა

#### ბ. უნივერსალური, რეგიონული და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი აქტები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948 წლის 10 დეკემბერი. მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 217 A(III)
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი. (ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს)
3. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენცია. 1969 წლის 22 ნოემბერი (ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს)
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტი. სტრასბურგი. 2006
5. ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია. 1981 წლის 27 ივნისი (ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს)
6. არასრულწლოვანი მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტული წესები («პეკინის წესები»), გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია 40/33
7. არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2005 წლის 22 ივლისის რეზოლუცია 2005/20
8. არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები. ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)
9. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები („ერიადის წესები“), გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია (A/RES/45/112)
10. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (1989 წლის 20 ნოემბერი)
11. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის 2000 წლის 25 მაისის რეზოლუცია A/RES/54/263
12. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები (2010)
13. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. 1945 წლის 26 ივნისი (ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს)
14. დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 1386 (XIV)
15. გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტი. 1978. (2005 წლის 14 აპრილის შესწორებებით)
16. მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია და განმარტებითი მემორანდუმი (სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი). ქართული თარგმანი იხილეთ: „*მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები.*“ ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით. თარგმანი ე. გოცირიძის. საქართველოს უზენაესი სასამართლო. ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი. 2001
17. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1966 წლის 16 დეკემბერი (ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს). მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2207(XXI)



18. სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები. მიღებული გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ. მილანი. 1985 წლის 26 აგვისტო-6 სექტემბერი. ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით
19. სამოსამართლო ქცევის კოდექსი. 2001წ. ბანგალორი. მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰაავაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს
20. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება – რომის სტატუტი. 1998 წლის 17 ივლისი (ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს)
21. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები („ჰავანას წესები“), გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/113
22. ფენევის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ (1924), ერთა ლიგა
23. Constitution de la République française. 4 octobre 1958
24. The Constitution of the United States of America. September 17, 1787
25. German Judiciary Act in the promulgation. 19 April 1972 (as last amended by Article 9 of the Art of 5 February 2009)
26. Convention de la Haye 1907. La Haye, 18 octobre 1907
27. Pacte de la Société des Nations. Traité de Versailles de 1919

## დ. საქართველოს კანონმდებლობა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. საქართველოს კანონი. 12 ივნისი. 2015
2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონი. 28 დეკემბერი 2005
3. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. 4 დეკემბერი 2009
4. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონი. 23 თებერვალი, 2000
5. საქართველოს კონსტიტუცია. 24 აგვისტო, 1995
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს კანონი. 22 ივლისი 1999
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს კანონი. 9 ოქტომბერი 2009
8. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი. 17 ოქტომბერი 1997
9. სამოსამართლო ეთიკის კოდექსი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის N6 დადგენილება. 23 ივნისი 2001

## IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განჩინებები და გადაწყვეტილებები:

- |  |  |
|--|--|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. Agrokompleks v. Ukraine. 6 October 2011</li> <li>2. Beaumartin v. France. 24 November 199</li> <li>3. Belilos v. Switzerland. 29 April 1988</li> <li>4. Boldea v Roumanie. 15 février 2007</li> <li>5. Bobek v. Poland. 17 juillet 2007</li> <li>6. Belilos v. Switzerland. 29 April 1988</li> <li>7. Coëme and Others v. Belgium 22 June 2000</li> <li>8. Coëme and Others v. Belgium. 22 June 2000</li> <li>9. De Wilde, Ooms et Versyp c. Belgique. 18 juin 1971</li> <li>10. Flux (NO.2) v. Moldova. 3 July 2007</li> <li>11. Findlay v. The United Kingdom. 25 February 1997</li> <li>12. Hadjianastassiou v. Greece. 16 December 1992</li> <li>13. Harkins and Edwards v. the United Kingdom. 17 January 2012</li> <li>14. Hauschildt v. Denmark. 24 May 1989</li> <li>15. Khan v. the United Kingdom. 12 May 2000</li> <li>16. Kuopila v. Finland. 27 April 2000</li> <li>17. Langborger v. Suede. 22 June 1989</li> <li>18. Le compte, Van Leuven and de Meyere</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>v. Belgium. 23 June 1981</li> <li>19. López Ostra v. Spain. 9 décembre 1994</li> <li>20. Matyjek v. Poland. 24 April 2007</li> <li>21. Olujić v. Croatia. 5 February 2009</li> <li>22. Özertikoğlu c. Turquie. 17 mai 2001 § 25</li> <li>23. Pabla Ky c. Finlande. 22 juin 2004</li> <li>24. Parlov-Tkalčić v. Croatia. 22 December 2009</li> <li>25. Piersack v. Belgium. 1 October 1982</li> <li>26. Ringeisen v. Austria. 16 July 1971</li> <li>27. Ruiz Torija v. Spain. 09 December 1994</li> <li>28. Sacilor-Lormines v. France. 9 November 2006</li> <li>29. Sramek v. Austria. 22 October 1984</li> <li>30. Stoykov v. Bulgaria. 6 octobre 2015</li> <li>31. Taxquet v. Belgium. 16 November 2010</li> <li>32. Van De Hurk v. The Netherlands. 19 April 1994</li> <li>33. Werner v. Austria. 24 November 1997</li> <li>34. Wemhoff v. Germany. 27 June 1968</li> <li>35. Worm v. Austria. 29 August 1997</li> <li>36. Zolotas v. Greece. June 2005</li> </ol> |
|--|--|

### საქართველოს მიმართ

- |  |   |
|--|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ. 8 აპრილი. 2004</li> <li>2. “ამბტ.ჯი” და მებაღეობის საქართველოს წინააღმდეგ. 27 სექტემბერი. 2005</li> <li>3. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>28 ნოემბერი. 2006</li> <li>4. ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ. 26 აპრილი. 2011</li> <li>5. მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. 30 სექტემბერი. 2014</li> </ol> |
|--|---|

## V. საიტიები

1. საქარო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: <http://www.justice.gov.ge/>
2. საქარო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო: <http://www.hcoj.gov.ge/>
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა: <http://www.hsoj.ge/>
4. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი: <http://department.court.ge/>
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო: <http://www.supremecourt.ge>
6. თბილისის საქალაქო სასამართლო: <http://www.tcc.gov.ge/>
7. თბილისის სააპელაციო სასამართლო: <http://tbappeal.court.ge/>
8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო: <http://www.kutaisiappeal.court.gov.ge/>
9. საქართველოს სასამართლოები: <http://court.ge/>
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: <http://www.constcourt.gov.ge/>
11. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: <http://www.msajuli.ge/>
12. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია: <http://gba.ge/ka/>
13. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია: <http://dcj.court.ge/>
14. საქართველოს პარლამენტი: <http://www.parliament.ge/ge/>
15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: [www.police.ge](http://www.police.ge)
16. საქართველოს სახალხო დამცველი: <http://www.ombudsman.ge/>
17. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/>
18. ევროპის საბჭო: <http://www.coe.int/fr/>
19. საფრანგეთის საელჩო საქართველოში: <http://www.ambafrance-ge.org/>
20. აშშ საელჩო საქართველოში: <http://georgian.georgia.usembassy.gov/>
21. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი: <http://www.ewmi-jilep.org/>
22. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDT) <http://www.msajuli.ge/>
23. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო: <http://transparency.ge/>
24. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: <https://qyla.ge/geo/news>
25. კანადის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ასოციაცია (ACJCS): <http://www.cscja-acjcs.ca/>
26. ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო: <http://www.hcourt.gov.au/>
27. საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო: <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/>
28. საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრო: <http://www.justice.gouv.fr/>
29. ისლამი დღეს (საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი): <http://fr.islamtoday.net/>
30. სახელმწიფო დეპარტამენტი (აშშ): <http://www.state.gov/>
31. კონსტიტუციური საზოგადოება (აშშ): <http://constitution.org/>
32. საერთაშორისო მართლმსაჯულება (ესტონეთი): <http://www.juridicainternational.eu/>
33. ვენეციის კომისიის საინფორმაციო ბაზა: [www.codices.coe](http://www.codices.coe)

# პიროვნებების, ქალაქების, სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ანბანური საძიებელი

მინიშნებები გაკეთებულია შესაბამის გვერდებზე

## ა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო  
18, 19, 29, 43, 44, 57, 59, 63, 66, 68, 70, 79,  
83, 93, 100, 117, 148  
ავსტრია 18, 49, 59, 61, 84, 93, 124, 146  
ავსტრალია 48, 124  
ავღანეთი 27  
ალაბამა 27  
ალბანეთი 42, 67, 108, 123  
აშშ 27, 42, 49, 53, 87, 90, 108, 116, 124, 125,  
126, 127, 131, 136, 139, 140, 142, 146, 147  
ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 61  
აპოსტოლი 83  
აზერბაიჯანი 123  
ალბანეთი 42, 67, 108, 123  
ახალი ზელანდია 124

## ბ

ბანგალორი 37, 74, 78, 99  
ბარფორდი 60  
ბაჰამონდე 39  
ბელგია 39, 49, 70, 96, 117, 134, 146  
ბელიზი 48  
ბელილოსი 18, 72  
ბეხლერ გ. 61  
ბილდტი კ. 61  
ბოტსვანა 48  
ბულგარეთი 45, 46, 108, 117, 123  
ბრაზილია 48  
ბრიტანეთი 49, 108  
ბოიმარტინი 83  
ბუვიანაშვილი ბ. 62

## გ

გაერო 18, 24, 32, 33, 36, 37, 39, 72, 78, 88, 114  
გერმანია 27, 32, 49, 51, 83, 87, 123, 154  
გირგვლიანი 9, 29  
გვინეა 39  
გოცირიძე ე. 19, 38, 60, 64, 65  
გენერალური ასამბლეა 18, 36, 37

## დ

დაისი ალბერტ 21  
დამფუძნებელი კრება 147  
დანელიუსი 68  
დანია 53, 60, 123, 146  
დე მეიერი 39, 49  
დვალი ბ. 23, 156  
დიდიე 19  
დოლორეს ვასკესი 141  
დრაიერი რალფ 20  
დრინანი რობერტ 105

## ე

ევროსაბჭო 79, 92, 93, 109, 122  
ენუქიძე 9, 29  
ერაყი 27  
ერთა ლიგა 32  
ესპანეთი 60, 139, 140, 152, 162, 163, 165, 169,  
172, 178  
ესტონეთი 74, 77, 162  
ეუთო 91, 92, 100, 160

## ვ

ვანინ ჰოფი 141  
ვან ლოვენი 39, 49  
ვაშინგტონი 61  
ვენეციის კომისია 50, 85, 119  
ვემპოფი 83  
ვერნერი 93  
ვირჯინია 27

## თ

თაყაიშვილი ე. 15, 157  
თბილისი 29, 62, 127  
თოფურიძე ნ. 77  
თურქეთი 45, 46, 48, 70, 123  
თუთმო 12

## 0

იაპონია 27, 43, 87  
 იმნაიშვილი ი. 14, 156  
 ინგლისი 27, 87, 124, 125, 136, 139, 142, 146, 147  
 ინდოეთი 147  
 ინკალი 70  
 ირანი 25  
 ირლანდია 42, 124, 126, 146 იტალია 27, 45, 46, 108, 112, 117, 123, 126, 154  
 იუსტიციის უმაღლესი საბჭო 9, 42, 45, 46, 47, 49, 54, 55, 56, 73, 80, 81, 88, 105, 111, 114, 115, 117, 118, 119, 150, 151, 154  
 იუსტიციის უმაღლესი სკოლა 47, 80, 81, 154

## კ

კალიფორნია 108, 116, 139  
 კაიზერ ვიომ II 32  
 კანადა 43, 48, 87, 124, 125, 131, 146  
 კაროლინა 27  
 კეკელია მ. 14, 156  
 კელზენი ჰანს 22  
 კენტუკი 27  
 კემპბელი 39  
 კვიპროსი 45, 48, 53, 123  
 კიევი 110  
 კორკელია კ. 63

## ლ

ლატვია 123  
 ლაუკო 39  
 ლე კონტი 39  
 ლიბერმონი 59  
 ლიტვა 42, 53, 123  
 ლიხტენშტეინი 124

## მ

მაკედონია 108  
 მალაიზია 48  
 მალტა 42, 124  
 მანუ 12, 13  
 მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო 32, 72, 78  
 მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო 32  
 მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია 85, 86  
 მაჰარაშტრა 147  
 მეზალიშვილი 22

მელქაძე ო. 23, 40, 43, 87, 147, 156  
 მეტრეველი ვ. 14, 15, 20, 28  
 მინისტრთა კომიტეტი 38, 46, 54, 55  
 მოლდოვა 42, 123  
 მონტესკიე 6, 40  
 მოლაშვილი 56, 163

## ნ

ნაფიცი მსაჯული 97, 123-149, 154  
 ნანავატი 147  
 ნიდერლანდები 43, 123  
 ნორვეგია 124, 133, 146  
 ნამიბია 48

## პ

პარიზი 83, 105  
 პაქტე პიერ 35, 70  
 პერუ 48  
 პიერსაკი 70  
 პოლონეთი 42, 108, 117, 124  
 პორტუგალია 45, 124  
 პროკურატურა 29, 41, 86, 113, 147

## ჟ

ჟენევა 125, 134, 146

## რ

რამიშვილი ნ. 40  
 რინგაიზერი 18, 49  
 რომი 13, 33, 102  
 რუსეთი 43, 53, 124, 132  
 რუმინეთი 43, 108, 117, 123

## ს

საბერძნეთი 42, 48, 123  
 საბჭოთა კავშირი 7  
 საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგია 111, 112, 117, 118, 151  
 საკონსტიტუციო სასამართლო 8, 22, 23, 52, 53, 116  
 სააპელაციო სასამართლო 50, 55, 56, 90, 115, 136, 151  
 საქალაქო სასამართლო 29, 56, 62, 127  
 საქართველო 5, 7, 8, 9, 15, 27, 29, 47, 49, 50, 51, 54, 55, 57, 61, 62, 67, 73, 74, 75, 80, 81, 83, 84, 85, 87, 89, 91, 92, 94, 100, 101, 105, 106, 110, 111, 116, 117, 121, 127, 132, 135, 147, 149, 150, 151, 153

საფრანგეთი 6, 19, 27, 46, 59, 63, 84, 87, 108,  
117, 123, 154  
სახელმწიფო დეპარტამენტი 61  
სერბეთი 124  
სლოვენია 42, 53, 67, 124  
სლოვაკეთი 39, 53, 124  
სისხლის სამართლის საერთაშორისო  
სასამართლო 33, 102  
სინგაპური 48  
სიუნ ციუ 13  
სომხეთი 42, 123  
სმარეკი 61  
სტრასბურგი 18, 19, 63, 64, 65, 70, 94, 96, 98,  
99, 100, 134  
სურგულაძე ი. 14, 15  
სლოვაკეთი 39, 53, 124

## თ

ტაქსკე 96, 194  
ტენესი 27  
ტრექსელი 68, 72

## უ

უზენაესი სასამართლო 7, 8, 42, 43, 47, 49, 54,  
55, 56, 117, 121, 150, 152, 154  
უკრაინა 42, 87  
უნგრეთი 45, 51, 87, 124  
უგრეხელიძე მ. 11, 20, 21, 26, 33, 40, 56, 69, 99,  
100, 116, 129, 145

## ფ

ფლორიდა 27  
ფეინდუკი შერონ 105

## ქ

ქუთაისი 90  
ქურდაძე ი. 63

## შ

შვეიცარია 18, 42, 53, 61, 72, 77, 124, 125, 134,  
146  
შვედეთი 43, 54, 61, 84, 124  
შოტლანდია 25, 124, 126  
ში-ლანკა 48  
შიო ანდრეშ 24  
შვარცი კ. 69, 78

## ჩ

ჩილე 48  
ჩეხეთი 123

## ც

ჯავჭავაძე ი. 25

## ხ

ხევსურეთი 147  
ხორვატია 45, 123

## ჯ

ჯავახიშვილი ი. 19, 20  
ჯავახიშვილი მ. 41

## კ

კააგა 31, 32, 37, 74, 78, 162  
კაგენლოხი უ. 48, 89, 107  
კალერი ვ. 42, 77  
კამარბერგი ტ. 29  
კანა 48  
კოლანდია 32  
კოლშილდტი 70